

K 182256
3

საქართველოს
ლიბრერიები

სიგელი

საქართველოს
ლიბრერიები



თბილისი-საქართველო
ლიბრერიები IV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი





ნიკო

ქართული ენის ინსტიტუტი

თბილისი
1981

„საქართველოს ენის ინსტიტუტი“
თბილისი 1981

20

1-20

ჩიკო ღორთუჩიჭანიძე



უცოპი IV

საგვ-2000
შეამოწმებულია

პიესეები,
დაუმთავრებელი
თხზულებები,
პუბლიცისტიური
წერილები

„საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1981

91-1007
08-001008

8C7

699.962.1+899.962.1-32
ლ 852



სარედაქციო კოლეგია:

გურამ ზვირდუაშვილი
მირაზ ლორთქიფანიძე
ზივი შიგაძე
სოლომონ შუბანიშვილი
ვახტანგ ჯავახიანი

ტომი გამოსაცემად მოამზადა
სოლომონ შუბანიშვილმა

ტომის რედაქტორი
ვახტანგ ჯავახიანი

K 182256
3

70302-012
M601(08)-80 293-81

ქ. შარაშენის ბაზ. სტ.
ახრ სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

პიქსელი

ქ ე თ ო

(პიესა სამ მოქმედებად. უფრო ნათარგმნი, ოდნავ გადმოქართულებული)

მოქმედნი პირნი:

ვანო გიორგის ძე ფარალიშვილი — ცნობილი ვეჭილი.

ქეთო — მისი ცოლი.

თ-დი გოგლო მალაძე.

ქრისტეფორე ინაშვილი — ფარალიშვილის მდივანი.

მოქმედება I

ვანოს სამუშაო ოთახი: წიგნები, საქმეები; ოთახი ლამაზად და სტუმართ-
მოყვარეთ გამოიყურება. ეტყობა, აქ ხშირად იკრიბება ოჯახი, აქვე
იღებენ სტუმრებს.

ვანო სხვადასხვა წიგნებს ფურცლავს, რაღაც შენიშვნებს იწერს
რვეულში. ქრისტეფორე მეორე სუფრას უზის. წინ საწერი მანქანა
უდგას. თავი ხელეზე დაუყრდნია და ფიქრს ვაუტაცნია.

ვანო წიგნებს გადადებს, რვეულს შეკეცს, აიღებს წერილებს და
გაზეთებს ხსნის. ერთ წერილს რომ გადააეღებს თვალს, ღრმად და
ღიმილით ამოიოხრებს.

ქრისტეფორე — კიდევ ლექცია?

ვანო — ჰო, ნაძალადევის „თავისუფლების ჯგუფი“ მთხოვს
სამშაბათს დილით ლექცია წავიკითხო. ნეტა რა ჯგუფია?

ქრისტეფორე — ანარქისტები უნდა იყვნენ.

ვანო — მართლაც ანარქისტები ყოფილან. განა არ იციან, რომ
დღეს ყოველ ვეჟილს თავისი ლექცია აქვს სასამართლო-
ში? ერთი მისწერეთ, სამშაბათს ოლქის სასამართლოში
მობრძანდენ, იქ მოისმინონ ჩემი ლექცია: კანონის და
უფლების შესწავლა არ აწყენთ. მისწერეთ აგრეთვე,
რომ დღით მხოლოდ უქმე დღეები მაქვს თავისუფალი და
სალამოობით კი... ჩაიხედეთ ერთი წიგნაკში.

ქრისტეფორე — ახლავ.

ვანო — თავისუფალია ორშაბათი სალამო?

ქრისტეფორე — არა! რედაქციაში სხდომაა.

ვანო — ხუთშაბათს?

ქრისტეფორე — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ საღამოა დანიშნული.

ვანო — შემდეგი დღეები?

ქრისტეფორე — სამშაბათს კრებაა ისტორიული საზოგადოებისა... თქვენ მოხსენება უნდა წაიკითხოთ. ოთხშაბათს — დრამატულ კრებაზე ლექცია. პარასკევს — ლიტერატურული გასამართლება... უმჯობესია პირდაპირ მივწერ, რომ დრო არ გაქვთ... არც ღირს... ორი, სამი უმეცარი შეიკრიბება...

ვანო — უხერხულია უარის თქმა. იქნებ 25 თავისუფალია?

ქრისტეფორე — პატრონატის შესახებ მოხსენება უნდა წაიკითხოთ...

ვანო — აი, ჯანდაბას წაუღია პატრონატი... 28-აც დაკავებულა?

ქრისტეფორე — ქალთა წრე გამოფენას მართავს.

ვანო — მადლობა ღმერთს. ქალთა წრეს არაფრად დავაკლდები და წავალ „თავისუფლების ჯგუფში“. (ისმის ფეხის ხმა.) ქეთო! ჩემო კარგო! სადგურზე ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ამ დავიდარაბამ გადამაფიწყა. (თავის თავზე უკმაყოფილოთ ხედავს საათს, ჩამოართმევს ქეთოს ღვედებში გამოკრულ საბანს. ჰკოცნის, როგორც დამნაშავე.) როგორ მოერიე ბარგს-ბარხანას... დაილაღე?

ქეთო — (აჩერებს მას და ითავისუფლებს თავს ხვეწნა-კოცნისაგან). მოიცა, მოიცა! მე მარტო არ ვარ, ჩვენთან სტუმრათ იყო გოგლო. ერთად ჩამოვედით.

ვანო — (გახარებული). გოგლო!

ქეთო — ახლა ბარგი ჩამოაქვს. მოეხმარე... არ მინდა, რომ მან გადაიხადოს ეტლის ფული. (ვანო მიდის. ქრისტეფორეს) სხვა რა ამბავია ჩვენსა?

ქრისტეფორე — (უეცრად გამოერკვევა). ვცხოვრობთ... კარგათ... რა გვიჭირს... ვცხოვრობთ. თქვენი წასვლა დაგვეტყო, მარა ვცხოვრობთ.

ვანო — (შემოდის გოგლოსთან ერთად). ნახევარი საათი მაინც შეგიძლიათ ჩვენთან დარჩეთ.

გოგლო — (უხერხულად მიდის კუთხეში და მიეყრდნობა წიგნების უჯრას).

ქრისტეფორე — (უხერხულად გრძნობს თავს. ატყობს, იქ მეტია) წამობრძანდებით, ბატონო გრიგოლ?

გოგლო — თქვენ საით?

ვანო — არა, არა! გოგლო ჩვენთან დარჩება...

ქრისტეფორე — მე ცხნეთის ქუჩაზე გეახლები.

გოგლო — ცხნეთი, ეს მცხეთასთან არის ვანა?

ვანო — მცხეთაშიო? ჰა-ჰა... სად მცხეთა და სად ცხნეთის ქუჩა. პირველად ვხედავ თბილისელს, რომ ცხნეთის ქუჩა არ იცოდეს... არ გეწყინოთ...

გოგლო — არა, აჰ! (ქრისტეფორე მიდის.)

ვანო — სამწუხაროდ, ვერ დაგტოვებ. ქაღალდების პირი ხვალვე საჭიროა. (მიყვება კარის დასაკეტათ. გოგლო დაკვირვებით შესცქერის მათ, სანამ არ მიიშალეებიან.)

ქრისტეფორე — მივიღივარ, ბატონო, მივიღივარ.

ქეთო — (იციინის). აბა, გოგლო? (გოგლო უეცრად შემობრუნდება და ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდება ქეთოს. ოდნავის დაცინვით.) მაშ თქვენ წახვალთ მცხეთაში, რომელიც ცხნეთის ქუჩასთან ახლოა.

გოგლო — (კითხვის კილოს ვერ გაიგებს, აბნეულათ). თუ თქვენ გნებავთ, კი.

ქეთო — (ნასიამოვნები). იცით, გოგლო, თუმცა ძლიერ ახირებული, მაგრამ ძლიერ საყვარელი კაცი ხართ. თქვენ რომ გული მოგსლოდათ ჩემ ხეპრე კითხვაზე, არ მეწყინებოდა, მაგრამ მე მხიბლავს თქვენი თავმდაბლობა, მორჩილება...

გოგლო — გული უნდა მომსვლოდა თქვენზე? მე შეგატყვეთ, რომ დამცინეთ, მაგრამ არ მწყენია... მე ისე დაბნეული ვარ, ოხუნჯობას მალე ვერც გავიგებ. ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ ასეა.

ქეთო — (ბავშურათ შეანძრევს გოგლოს). კარგია! კმარა! დიდო ბავშო! დღეს ჩვეულებრივზე უარესი ხართ. რათ იყავით ისე მოწყენილი და ოცნებით სავსე, როცა ეტლით მოვდიოდით?

გოგლო — თქმათაც არ ღირს! არ ვიცოდი რამდენი მიმეცა მეეტლისათვის. ვიცი, რომ ეს სისულელეა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაშინებს ასეთი წვრილმანები.

მთელი ჩემი არსება თრთის, როცა საჭიროა უცხო კაცთან ვიქონიო საქმე. (მალე დამშვიდდება.) მაგრამ ყოველგვარ კეთილად ვათავდა. მთელი სახე გაუბრწყინდა მეეტლეს, ქუდი მოიხადა, როცა ვანომ მანეთი მისცა, მე კი ხუთი მანეთის შეძლევას ვაპირებდი. (ქეთო გულწრფელად იცინის. შემოდის ვანო და შემოაქვს წერილები და გაზეთები.)

ქეთო — ვანო, წარმოიდგინე ერთი! გოგლო აპირებდა მეეტლისათვის ხუთი მანეთი მიეცა — ხუთი მანეთი სამი წუთისათვის. ო, ღმერთო ჩემო!

ვანო — (თავს აიღებს წერილიდან). ნუ გრცხვენიათ, გოგლო, იცინოს. გრძნობა, რომელიც გვაიძულებს მეტი მივსცეთ, კეთილშობილური გრძნობაა, იგი უკეთესია და უფრო იშვიათია, ვიდრე გრძნობა, რომელიც გვირჩევს ნაკლები მივსცეთ.

გოგლო — (ისევ მოიწყენს). არა, ეს სილაჩრე და უგუნურებაა, ქალბატონი ქეთო სრულიად მართალია.

ქეთო — რა თქმა უნდა, მართალი ვარ. (აიღებს თავის ჩანთას.) ახლა უნდა დაგტოვოთ ვანოსთან. იმედი მაქვს, თქვენს საკმაოდ პოეტი ხართ, რომ წარმოიდგინოთ, თუ როგორ მდგომარეობაში დახედება დიასახლისს ოჯახი სამი კვირის შემდეგ. მომეცით ღვედები საბნით. (გოგლო მიაწოდებს, ქეთო მარცხენა ხელით გამოართმევს, რადგან მარჯვენაში ჩანთა უჭირავს.) გადამადევით ხელზე მოსასხამი. (გოგლო ასრულებს ბრძანებას.) ახლა ქუდი. (გოგლო იმ ხელში მისცემს ქუდს, რომელშიაც ჩანთა აქვს.) აბა, გამიღეთ კარი. (გოგლო მივარდება კარის გასაღებათ.) გმადლობთ. (ქეთო მიდის. გოგლო კარს მიხურავს.)

ვანო — (საქმეშია გართული). მაშ, დარჩებით ჩვენთან საუზმეზე, არა?

გოგლო — (შეშინებული). არ უნდა დავრჩენილიყავ. (საჩქაროთ შეხედავს ვანოს. ვანო გულახდილად შეეყურებს. გოგლო თავს დალუნავს და არაწრფელად დაუმატებს.) მე მინდოდა მეთქვა, რომ არ შემიძლია, საქმე მაქვს.

ვანო — ესე იგი არ გასურთ.

გოგლო — (დინჯათ). არა, გარწმუნებთ. ძლიერ მსურს, ღრმად გმადლობთ, მაგრამ... მაგრამ...

ვანო — (გაათავებს წერილების კითხვას. დამშვიდებით). ყველა ეს მაგრამ, მაგრამ, ერთ ჩირად არ ღირს. თუ გსურთ, დარჩით. ხომ მაინც ვერ დამაჯერებთ, რომ რაღაც საქმეები გაქვთ. თუ ფიქრობთ, რომ ვისმე ხელს შეუშლით, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებთ, გაისეირნეთ ხეივანში. შეგიძლიათ რაიმე ლექსი შეთხზათ, მაგრამ პირველის ნახევარზე დაბრუნდით, მაშინ საუზმე უფრო გაიმებათ.

გოგლო — გმადლობთ, მეც ასე მსურს. მაგრამ, მართლა, რომ არ შეიძლება. თუ ნამდვილი გნებავთ, ქალბატონმა ქეთომ ამიკრძალა. მითხრა, ვანო საუზმეზე არ დაგვატიყებსო და თუ დაგვატიყოს, არ იფიქრო, რომ შენი დარჩენა ვანოს ეამოსო. (საწყლად) ქალბატონმა ქეთომ მითხრა, თქვენ გაიგებთ, რათ მოხდება ასეო, მაგრამ არ მესმის. გთხოვთ არ გადასცეთ, რომ თქვენ ყოველივე გაიმბეთ.

ვანო — (მხიარულად). ესაა, მეტი არაფერი? ვანა ჩემი წინადადება ხეივანში გაისეირნეთ-მეთქი, ყველა წინააღმდეგობას არ სპობს?

გოგლო — როგორ?

ვანო — (გულუბრყვილობით იცინის). როგორ? ა, თვალთმაქციო! (ხმამალალი მხიარულება ვანოსი არაბუნებრივია, როგორც მისთვის, ისე გოგლოსთვის. შეჩერდება და ნაზი სიღინჯით.) არა, მე არ მინდა ეგრე წარმოვიდგინო საქმე. ჩემო კარგო, ბედნიერ ცოლქმრობაში, როგორიცაა ჩვენი, რაღაც წმინდაა ოჯახში ცოლის დაბრუნება. (გოგლო ჩქარა შეხედავს ვანოს. ნახევრად გაიგო აზრი.) ძველი მეგობარი და კეთილშობილი, თანამგრძნობი ადამიანი არ დაუშლის მათ ხელს. შემთხვევით მოსული სტუმარი კი არ არის სასურველი, ზედმეტია. (გოგლო სავსებით გაიგებს ვანოს სიტყვებს. სახეზე ისეთი გამომეტყველება დაედება, როგორც წამოგდებულ ნადირს. შეშინებულია. ვანო ვერ ამჩნევს, რადგან თავის აზრებით არის გატაცებული.) ქეთოს ეგონა წინააღმდეგი ვიქნებოდი თქვენი აქ ყოფნისა, მაგრამ შემცდარა, თქვენ ძლიერ

მიყვარხართ და მსურს თვითონ შეხედოთ, თუ რა ბედნიერებაა ისეთი ცოლქმრობა, როგორც არის ჩვენი.

გოგლო — ბედნიერება!.. თქვენი ჯვარისწერა! თქვენ აგრეთვე ფიქრობთ? თქვენ დარწმუნებული ხართ?

ვანო — (ცოცხლად). მე ეს ვიცი, ჩემო კარგო; ლარომფუტკომ თქვა, რომ არის რიგიანი ცოლქმრობა, მაგრამ ბედნიერი ცოლქმრობა კი არ არისო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნება აიტაცებს ადამიანს, როცა იგი დარწმუნდება, თუ როგორი საშინელი ცრუ და გარყვნილი ცინიკი იყო ეს ვაჟბატონი. ჰა-ჰა! კი, გაისეირნეთ ხეივანში და შეთხზეთ ერთი ლექსი, არ დაგავიწყდესთ: სწორეთ პირველის ნახევარზე, ჩვენ არავის ვუცდიოთ.

გოგლო — (ველურათ). არა, მოითმინეთ! მე მინდა ეს გამოვარკვიო.

ვანო — (გაკვირვებული). რაო? რა უნდა გამოვარკვიოთ?!

გოგლო — უნდა მოგელაპარაკოთ. არის რაღაცა, რაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ.

ვანო — (მოუთმენლად ხედავს საათს). ახლავე?

გოგლო — (თავდავიწყებით). ახლავ, სანამ ამ ოთახიდან გახვიდოდეთ. (დაიხვეს უკან. დადგება ისე, თითქოს კარებისკენ არ უნდა გაუშვას.)

ვანო — (ადგილიდან არ იძვრის; დინჯათ; ესმის უკვე, რომ საქმე სახუმრო არ არის). მოითმინეთ. მე ხომ არსად მივდივარ. მე მეგონა, თქვენ წახვიდოდით. (გოგლო დაიბნევა. ზურგს შეიბრუნებს მისკენ, იტანჯება შეურაცხყოფით და მწვავე ტკივილით. ვანო მიდის მასთან, დაადებს ალერსით ხელს მხარზე. არ აქცევს ყურადღებას, რომ გოგლო ცდილობს ხელი მოიშოროს.) დამშვიდდით, დაჩექით და მიაშბეთ, რა მოხდა? გახსოვდეთ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ და შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ. რომ, რაც არ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, ყოველი ჩვენგანი მოთმინებით და მეგობრულათ მოისმენს.

გოგლო — (უეცრად შემობრუნდება). ო, მე არ ვივიწყებ ჩემს თავს! მე მხოლოდ... (სასოწარკვეთილებით დაიფარავს სახეს ხელებით.) შიშმა ამიტანა (შემდეგ ჩამოუშვებს ხელებს, შედიდურად ასწევს სახეს, მიდის ვანოსთან მუქა-

რით.) თქვენ უკვე ამჩნევთ, შესაძლოა აქ მოთმენა და მეგობრობა თუ არა. (ვანო კლდესავით უდრეკი შებრალებით უცქერს.) ნუ მიყურებთ ასეთის კმაყოფილებით, თქვენ ჩემზე უფრო ძლიერი გგონიათ თქვენი თავი, მაგრამ ათრთოლდებით, თუ კი გული გაქვთ.

ვანო — (თავის თავზე დაიმედებული). აბა, ამათრთოლე, ჩემო კარგო, ბრძანეთ რა ამბავია...

გოგლო — პირველი...

ვანო — პირველი?

გოგლო — მე მიყვარს თქვენი ცოლი. (ვანო უკან დაიხვეს, ერთ წამს უმწვერვალეს განცვიფრებით შესცქერის და შეუკავებელი სიცილით იცინის. გოგლო განცვიფრებულია. მაგრამ არ შეკრთება. მერმე ზიზღი და აღშფოთება მოერევა.)

ვანო — (დაჯდება, რომ შეიკავოს სიცილი). ჩემო კარგო ბავშო. ეს თავის თავად იგულისხმება. იგი ყველას უყვარს. ეს მე ძლიერ მომწონს, მიხარია. მაგრამ (გულუბრყვილოდ შეხედავს.) ნუთუ, გოგლო, თქვენის ფიქრით საქაროა ამაზე ლაპარაკი. თქვენ ჯერ ოცის წლის არ ხართ, მან კი ოცდაათს გადააბიჯა. განა არ გაგონებსთ ეს ხბოს სიყვარულს?

გოგლო — (ფიცხად). თქვენ ბედავთ ასე ილაპარაკოთ იმაზე! თქვენ გგონიათ, რომ მას შეუძლია ასეთი გრძნობა გამოიწვიოს. ეს შეურაცხყოფაა იმისი!..

ვანო — (ჩქარა დგება, შეცვლილი ხმით). იმისიო! გოგლო, გაფრთხილდით. ვითმინე. იმედი მაქვს კიდევ მოვითმენ. მაგრამ არის ზოგიერთი რამ, რაც არ მსურს რომ მოხდეს. ნუ მაიძულებთ გამოვიჩინო შებრალება ბავშისადმი. ვაჟკაცურათ მოიქეცით.

გოგლო — (ისეთის მიმოხრით, თითქოს ზურგს უკან რასმე ატრიალებსო). ახ, მივატოვოთ სისულელე! შიშით ვძაგძაგებ, როცა ვიფიქრებ, თუ რამდენი სისულელე უნდა აეტანა ამ უფერულ წლების განმავლობაში თქვენს მეუღლეს; თქვენ თვითკმაყოფილებას იგი მსხვერპლად შესწირეთ. თქვენ, რომელსაც არც ერთი აზრი, არც ერთი გრძნობა არ გაქვთ მასთან საერთო.

ვანო — (ბრძნულად). ასეთ ცხოვრებას, მგონი კარგად იტანს. (უყურებს პირდაპირ სახეში.) გოგლო, დამიჯერეთ, სულელურ მდგომარეობაში იყენებთ თავს — ეს სიგიჟეა. ნამდვილ ჭეშმარიტებას გეუბნებით.

გოგლო — თქვენ გვინათ, რომ ეს არ მესმის? მაგრამ ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ის, რისთვისაც ადამიანები სიგიჟეს ჩადიან, ნაკლებ ჭეშმარიტი და ნამდვილი არის, ვიდრე ის, რისთვისაც არ ჰკარგავენ საღს გონებას? (პირველად გაუელვებს იქვი ვანოს. უნებლიეთ მიიბრუნებს სახეს და განცვიფრებული უსმენს და უკვირდება ნათქვამს.) არა, ისინი უფრო ჭეშმარიტნი არიან. ისინია მხოლოდ ჭეშმარიტნი. თქვენ ძლიერ მშვიდათ ხართ, ძლიერ ჩქარა სჯით და ძლიერ თავდაჭერილათ მეპყრობით, რადგან ხედავთ, რომ მე მაგიჟებს თქვენის მეუღლისადმი გრძნობა. სწორედ ისე, როგორც თქვენი მოხუცი მამა ან დედა, რომელიც საღის გონების ნაკარნახებს გეუბნებიან თქვენ სოციალიზმზე, ქვეყნის წესრიგის შეცვლაზე — კარგად ხედვენ, რომ თქვენ გიყურათ იქცევით იდეისთვის. (ფარალიშვილის შეკრთომა მატულობს; ამით სარგებლობს გოგლო) განა ეს ამტკიცებს, რომ თქვენ არ ხართ მართალი? და განა თქვენი კმაყოფილი სიბრალული ჩემდამი ამტკიცებს, რომ მე მტყუანი ვარ?

ვანო — (მიბრუნდება გოგლოსკენ, რომელიც თვალებს არ არიდებს). გოგლო, ეგ სიტყვები დემონმა გათქმევინათ, ადვილია, ძლიერ ადვილია, დააკარგვინო თავის თავის რწმენა ადამიანს, მაგრამ ამით სარგებლობა, რომ გასტეხო მისი მხნეობა, მაცდური საქმეა. ფრთხილად მოიქმედეთ ის, რასაც შვრებით. თავი დაიკავეთ.

გოგლო — (უწყალოთ). ამას განგებ ვშვები, აკი გეუბნებოდით, თავტანი აგერევათ-მეთქი. (ერთის წუთით მტრულად უტყერიან ერთმანეთს. ვანო მაინც დასძლევს თავს და ღირსეულად დაიჭერს თავს.)

ვანო — (კეთილშობილური მიზნით). გოგლო, გამიგონეთ. დადგება დრო, მე მრწამს და იმედი მაქვს, და თქვენ ისეთივე ბედნიერი კაცი შეიქნებით, როგორიც მე ვარ. (გოგლო მოუთმენლად აქნევს თავს. გულმოსული უარყოფს მისი

ბედნიერების ღირსეულებას. ვანო ღრმად შეურაცხყოფილია, მაგრამ თავდაპირველად, დარწმუნებით აგრძელებს თავის აზრის განმარტებას. სიტყვა მისი მხატვრობა და ხელოვნური.) ცოლს შეიერთავთ და მთელ თქვენს ძალას შესწირავთ, რომ ქვეყნის ყოველი კუთხე ისეთივე ბედნიერი იქნეს, როგორც თქვენი სახელი. თქვენ იქნებით ქვეყნათ უფლის სამეფოს ერთი დამყარებელთაგანი და — ვინ იცის? — იქნებ თქვენ იქნეთ ოსტატი და ეტიკი იქ, სადაც მე ვიყავ უმნიშვნელო დღიური მუშა; რადგან, ჩემო ძვირფასო, მე გამჩნევთ, თუმცა თქვენ ყმაწვილი ხართ, რომ თქვენში ბევრად მეტი ნიჭი და ძალაა ჩამარხული, ვიდრე ჩემში. მე ძლიერ კარგად ვიცი, რომ წმინდა სული ადამიანისა — ღვთაება ადამიანში — ყველაზე მეტად პოეტში იჩენს თავს და მარტო ეს აზრი უნდა ავსებდეს თქვენს სულს — აზრი, რომ შეიძლება თქვენ გაქვთ დავალებული დიდი ტვირთი და დიდი მადლი — იყოთ პოეტი.

გოგლო — (შეუბრალებლათ ყურს არ უგდებს ვანოს მქვერმეტყველებას და ბავშურ ბუნებრივ დაყინებით ამტკიცებს). ეგ მადლი მე არ მათრობს, არ მზიბლავს. მე მარტო ვიცი, როცა ვამჩნევ, რომ იგი სხვებში არ არის.

ვანო — (წრფელი სურვილი და სიმკაცრე გოგლოსი აიძულებს მას გააორკეცოს ძალა მჭერმეტყველობისა). მასე თუ არის, აღანთე იგი ჩვენში, ჩემში და ნუ აქრობ, რაც არის. მომავალში, როცა თქვენ ჩემსავით ბედნიერი იქნებით, მეც რწმენით თქვენი ერთგული ძმა ვიქნები. მე ხელს შევეუწყობ თქვენს რწმენას, რომ ღმერთმა გვიბოძა მიწა, რომლის სამოთხეთ გადაქცევას მხოლოდ ჩვენივე სისულელე უშლის ხელს. მე დაგეხმარებით ირწმუნოთ, რომ თქვენი მშრომელი ხელი სთესს ბედნიერების ყანას დიდი რთველისთვის, რომელსაც ოდესმე მოიმკიან თვით ჩაგრულნი და დამონებულნი. უკანასკნელი — მერწმუნეთ, ეს ბევრს ნიშნავს — მე დაგეხმარებით; არ დაგეკარგოსთ რწმენა, რომ თქვენს ცოლს უყვარხართ და ბედნიერია თავის ოჯახში. ჩვენთვის, გოგლო, საჭიროა ასეთი დახმარება. ყოველთვის. საჭიროა... ყოველთვის ბევრი

რამ არის, რაც იწვევს იქვს, თუ კი ერთხელვე ნება მიგეცით აგვირიოს სული და ოჯახშიაც კი, თითქოს ბანაკში ალყა აქვს შემორტყმული მთელს ჯარს უნდობლობისას, იქვისას, ნუთუ გსურთ იყოთ გამყიდველი, მოლაღატე და შემოიყვანოთ ისინი ჩემთან?

გოგლო — (ახედ-დახედავს). და მასაც მუდამ ასეთის სიტყვებით უმასპინძლდებით? დიდსულოვანი ქალი ისწრაფვის ნამდვილ ცხოვრებისკენ, სიმაართლისკენ, თავისუფლებისკენ; იმას კი აწოდებენ შედარებებს, სიტყვებს, რიტორიკას? და თქვენ გგონიათ, ქალის სულს შეუძლია იცხოვროს მქადაგებლის ნიჭით?

ვანო — (გულნატყენი). გოგლო! თქვენ ცდილობთ დავკარგო მოთმინება. ჩემი ნიჭი ჰგავს თქვენს ნიჭს, რამდენადაც მას აქვს ნამდვილი ღირებულება. ეს ნიჭია ღვთაებრივი ჭეშმარიტებისათვის საჭირო სიტყვების მოპოვება.

გოგლო — (ანჩხლათ). ეს ნიჭია — ლაქლაქის, არც მეტი, არც ნაკლები. რა აქვს ჭეშმარიტებასთან საერთო თქვენს ხერხს ენაწყლიანათ ლაპარაკისას? არა უმეტესი ვიდრე საკრავ იარაღს დაკვრასთან. თავის დღეში არ ვყოფილვარ თქვენს სასამართლოში, მაგრამ თქვენს პოლიტიკურ კრებებზე ვიყავი. ვნახე, როგორ მოახერხებ ბრბოს აღელვება, აღფრთოვანება. მსმენელნი თითქოს დათვრენო, ისე ირჩებოდნენ. ცოლები უყურებდნენ მათ და ამჩნევდნენ, თუ რა სულელები იყვენ ისინი. ეჰ, ეს ძველი ამბავია. დაბადებაშიცა ნახავთ. მე გგონია, დავით მეფე წამსა აღმაფრენისას ძლიერ გგავდა თქვენ. (სიტყვებით თითქოს ურტყამს.) „მაგრამ ცოლმა გულში შეიზიზლა იგი“.

ვანო — (განრისხებული). გამშორდით სახლიდან! გესმით?! (მიუახლოვდება გაბრაზებული.)

გოგლო — (დაიღუნება ტახტისკენ). დამეთხოვეთ! ხელი არ მახლოთ! (ვანო სტაცებს ხელს საყელოში. გოგლო მიწვება ტახტზე და ყვირის.) შეჩერდით, თუ დამარტყით, თავს მოვიკლავ! ამას ვერ ავიტან! (თითქმის ისტერიულათ.) გამიშვით! გასწიეთ იქეთ ხელი!

ვანო — (წყნარათ, ზიზლით). მტირალა, ფრთხალი ბავში!

(გაუშვებს ხელს.) წადით, თორემ შიშისაგან მუცელი აგტკივდებათ.

გოგლო — (ტახტზე ძლივს ითქვამს სულს, მაგრამ გრძნობს თავს, რადგან ვანომ ხელი გაუშვა). თქვენი სრულიადაც არ მეშინია. თქვენ გეშინიათ და არა მე.

ვანო — (ზემოდან დაპყურებს მშვიდათ). ო, მასე უნდა იყოს. ეტყობა კიდევაც...

გოგლო — (ანჩხლი დაუდევრობით). დიახ, ეტყობა. (ვანო ზიზლით შეაქცევს ზურგს. გოგლო წამოდგება და მიყვება.) თქვენ ფიქრობთ, რომ მე თუ ვთრთი, როცა ჩემზე ძალას ხმარობენ, რადგან (ტირილის ხმით.) გულმოსულობისაგან მე მხოლოდ ტირილი შემიძლია ძალმომრეობის შეხედვაზე; რადგან ეტლიდან დიდი ზანდუკის ჩამოღება არ შემიძლია და ჯარისკაცივით მუშტიკრის ვერ გავაბამ თქვენი ცოლისთვის — თქვენ გგონიათ მეშინია? ცდებით. თუ ფიზიკური ძალა არ მაქვს, რასაც თქვენ ვაჟკაცობას უძახით, მაგიერათ არც თქვენსავეთ ფრთხალი ვარ: მე არ მაშინებს ნაწერი კანონი; მე შემიძლია თქვენი უფლების წინააღმდეგ ბრძოლა. მე გავათავისუფლებ მას. თქვენი იდეების წინააღმდეგ მე წამოვაყენებ ჩემს იდეებს. თქვენ სახლიდან მაგდებთ, რადგან ვერ ბედავთ საშუალება მისცეთ ჩემსა და თქვენს იდეებში არჩევანი მოახდინოს. თქვენ გეშინიათ ჩვენი ერთმანეთთან შეხვედრის. (ვანო გულმოსული უეცრათ მისკენ გაიწეეს. უნებურათ შეშინებული გოგლო კარებისკენ გარბის.) დამეხსენით! მე მივდივარ.

952.2814

ვანო — (ზიზლით). მოითმინეთ ერთი წუთი. ნუ გეშინიათ, ხელს არ გახლებთ. როცა ჩემი ცოლი შემოვა, იკითხავს თუ რისთვის წადით. და როცა გაიგებს, რომ თქვენ აწი აღარ ივლით ჩვენსას, მოისურვებს მიზეზი გაიგოს. მე არ მინდა შევაწუხო იგი თქვენი უწესო საქციელით...

გოგლო — (შემობრუნდება. თავდავიწყებით). არა, უამბეთ, თქვენ მოვალე ხართ უამბოთ. თუ ნამდვილი მიზეზი არ უთხარით, თქვენ მატყუარა და ლაჩარი ხართ. გადაეცით ჩემი სიტყვები, უამბეთ თქვენ ვაჟკაცობაზე და ლონეზე; უთხარით, თუ როგორ მჯიჯვნიდით აქ, როგორც ნაგაზი

ქ. მბარძანს სახეჯარბ
არს სახელმწიფომ
რმსაშგლიქშრნი
308 2 0 0 0 0 0 0

საწყალ გოქს; როგორ ვიკრუნჩხებოდი და ვთრთოლი
შეშით და როგორ დამიძახეთ მტირალა და მშიშარა ბაგ-
ში და გამაგდეთ კარში. თქვენ თუ ასე არ მოიქცეით, მე
გავაგებინებ: მივწერ.

ვანო — (გაკვირვებით). რათ გინდათ, რომ მან ყოველივე გაი-
გოს?

გოგლო — (ლირიული აღტაცებით). იმიტომ რომ გაიგებს ჩემს
სულისკვეთებას და შეიტყობს, რომ მე შევიგნე მისი
არსება. ერთი სიტყვაც რომ დაფაროთ, თუ შეგეშინ-
დათ ჰეშმარიტება გაუთვალისწინოთ მას, ისე როგორც
მე მზათა ვარ მოვიმოქმედო, მაშინ სიკვდილამდის გემახ-
სოვრებათ, რომ იგი ნამდვილათ მე მეკუთვნის და არა
თქვენ. მშვიდობით. (აპირებს წასვლას.)

ვანო — (ძლიერ აღელვებული). მოიცადეთ, მე არ ვეტყვი.

გოგლო — (შემობრუნდება კარებთან). რაკი მე წავალ, ან მარ-
თალი და ან ტყუილი უნდა უთხრათ, მეტი გზა არ გაქვთ.

ვანო — (მზათ არის შეურიგდეს). გოგლო, ზოგჯერ სიცრუე...

გოგლო — (აწყვეტინებს). ვიცი... გასამართლებელია. უსარ-
გებლოთ ჩაგივლისთ. მშვიდობით. ბატონო ვეჟილო...
(შემობრუნდება უკანასკნელათ კარებისკენ, რომელიც
იღება და შემოდის ქეთო საშინაო ტანსაცმელში.)

ქეთო — თქვენ უკვე მიღიხართ, გოგლო? (დაკვირვებით დაათ-
ვალიერებს.) სწორედ მართო თქვენ შეგიძლიათ ქუჩაზე ამ
სახით გასვლა! პოეტი ხართ, გეპატიებათ! შეხედე ერთი,
ვანო! (სტაცებს ხელს და მიათრევს ვანოსკენ.) შეხედე
საყულოს! ყელსახვევს! თმა! ღმერთო ჩემო! თითქოს ვისმე
გაუწეწიხართ! თითქოს ვინმე გახჩობდათ! (გოგლო და
ვანო ერთმანეთს გადახედავენ — აბა, რომელი გაამხელს,
რაც მოხდაო) აბა, გაჩერდით დინჯათ! მოიცადეთ. (საყუ-
ლოს შეუბნევს; ყელსახვევს მარყუჟათ შეუსკვნის; თმაზე
ხელს გადაუსვამს.) აი, ასე; ახლა ისე კარგად გამოიყურე-
ბით, რომ ჩემის ფიქრით, საუზმეზე ჩვენთან დარჩენა
შეგიძლიათ, თუმცა წინათ კი გითხარით არ დარჩეთ-
მეთქი. ნახევარ საათში საუზმე მზათ იქნება. (ხელმოე-
რედ უსწორებს ყელსახვევს. გოგლო ხელს ჰკოცნის.) ნუ
სულელობთ...

- გოგლო** — მე — რა ვთქვა! — მინდა დავჩე, თუ თქვენი მეუღლე არ იქნება წინააღმდეგი.
- ქეთო** — დარჩეს, არა, ვანო, თუ ჭკუიანათ იქნება და მომეხმარება სუფრა გავშალო. (გოგლო თავს მოიბრუნებს და გამომწვევის შეხედულობით უცდის პასუხს.)
- ვანო** — (მოკლედ). რა თქმა უნდა, ასე სჯობია. (მიდის მაგიდასთან და მიიღებს გამომეტყველებას, თითქოს ქალაქებში იყოს გართული.)
- გოგლო** — (ხელგასაყრელათ ემზადება). წავიდეთ სუფრის გასაშლელათ. (ხელს გაუყრის ქეთოს, მიდიან კარებისკენ ორივე.) მე უბედნიერესი აღამიანი ვარ.
- ვანო** — ასეთი ვიყავი მე ერთი საათის წინათ.

მოკმეღება II

იგივე სცენა. იმავე დღის საღამო.

- ქრისტეფორე** — (სინჯავს მანქანას). დასწყევლა ღმერთმა! თქვენ მოშალეთ უსათუოდ!
- გოგლო** — (შემკრთალი). უკაცრავათ! მე ვშინჯე მხოლოდ, თუ როგორ იწერება.
- ქრისტეფორე** — (ასწორებს მანქანას). გეგონათ მანქანა სამიჯნურო წერილს თავისთავად დაგიწერდათ, არა?!
- გოგლო** — (დინჯათ). მე მრწამს, რომ შეიძლება ისეთი მანქანის გამოგონება, რომელიც სამიჯნურო ბარათს დაწერს. ისინი ხომ ყველა ერთმანეთსა ჰგვანან... არა, ბატონო ქრისტეფორე?
- ქრისტეფორე** — მე რა ვიცი? მე რათ მკითხეთ?
- გოგლო** — მომიტევეთ. მე მეგონა ჭკვიანი აღამიანი ის აღამიანია, რომელიც ჯეროვნად მოაგვარებს ყოველივეს: წერილსაც დაწერს, სამიჯნურო საქმეშიაც დახელოვნებულა და სხვა...
- ქრისტეფორე** — თავადო!
- გოგლო** — იმედი მაქვს შეურაცხყოფა არ მომიყენებია. იქნებ არ უნდა შევხებოდი თქვენს გრძნობებს.

ქრისტეფორე — არავითარი განსაკუთრებული გრძნობება მე არ მაქვს. როგორ მიბედავთ ასეთს სიტყვებს!

ვოგლო — (გულუბრყვილოდ). წრფელის გულით ამბობთ? მაშინ თქვენ ისეთივე მორიდებული ყოფილხართ, როგორც მე. თქვენ გეშინიათ, არა?

ქრისტეფორე — არაფრისაც არ მეშინია. რა გნებავთ რომ თქვათ?

ვოგლო — (საიდუმლოდ). თქვენ — თქვენ უსათუოდ გერიდებათ. სწორედ მორიდებაა მიზეზი, რომ ასე ცოტაა სამიჯნურო საქმენი. ჩვენ ყველა სავსენი ვართ სიყვარულის წადილით; იგია ჩვენი ბუნების უპირველესი მოთხოვნა და იგია პირველი ლოცვა ჩვენი სულისა; მაგრამ ვერ ვბედავთ გამოვამყლავნოთ ღრმა სურვილი, მეტათ მორიდებული ვართ, მეტათ შეგუბყრივართ კრთომას. ბატონო ქრისტეფორე, რას არ მისცემდით, რომ უშიშარი გახდებოდეთ — უსირცხვილო.

ქრისტეფორე — იცით, ბატონო მალლაძე, რომ...

ვოგლო — (მოუთმენლათ). ნუ მომიყვებით სისულელეს! ისინი ვერ შემიყვანებენ შეცდომაში, ანდა რისთვის? რათ გეშინიათ ჩემთან ისეთივე იყოთ, როგორიც ნამდვილათა ხართ? მე ხომ სწორედ ისეთი ვარ, როგორიც თქვენა ხართ.

ქრისტეფორე — ისეთი, როგორც მე!.. ერთი მიბრძანეთ, ვის ასიამოვნეთ შედარებით — მე თუ თქვენსავე თავს?

ვოგლო — (შეაჩერებს საიდუმლოდ). ჩუმათ! მომისმინეთ. ქვეყნად მე სიყვარულს ვეძებ და ვბოულობ უთვალავ განძს, ადამიანთა მკერდში ჩამარხულის სიყვარულისას. და როცა მინდა მოვითხოვო იგი სიყვარული, ეს საშინელი რიდი მბოჭავს; და ვდგავარ მუნჯი, გაქვავებული და — რაც კიდევ უარესია — ვლაპარაკობ უმნიშვნელო სიტყვებს, სულელურს და თაღლით სიტყვებს. და ვუყურებ, რომ სინაზე და სიყვარული, რომელთაც ეგრე მხურვალეთ ვეძებ, ეძლევა ძაღლებსა და კატებს და პატარა ჩიტებს, რადგან ისინი მოურიდებლათ მოითხოვენ სიყვარულს. (თითქოს ფუჩუნით.) სიყვარული უნდა მოითხოვო; იგი, როგორც აჩრდილი, მანამ ვერ ამოიღებს ხმას,

სანამ არ შეეკითხები. (ჩვეულებრივი ხმით, მაგრამ ძლიერის ღრმა სევდით.) ყოველგვარ სიყვარულს სწადია გამოიმეტა ვინაობა, სურს სიტყვით გამოითქვას, მაგრამ ვერ ბედავს, ვინაიდგან მხდალია, მორიდებული. ამაშია ქვეყნიერების ტრალედია. (ღრმად ამოიხვნეშს, დაჯდება სავარძელზე და სახეს ხელებით დაფარავს.)

ქრისტეფორე — გარყვნილი ადამიანები სძლევენ ამ მორიდებას, გადალახვენ ამ რიდს, არა?

გოგლო — (წამოხტება აღელვებული). გარყვნილი ადამიანები ისინი არიან, ვისაც არ უღვივის სიყვარული: ამიტომ მათ არაფრის სცხვენიათ. ისინი თამამად მოითხოვენ სიყვარულს, ვინაიდგან მათ არ სჭირდებათ სიყვარული; მათ შეუძლიათ სიყვარულის მიწოდება, ვინაიდგან მათ იგი არ აქვთ. (უძლურათ დაეშვება სკამზე და მწუხარეთ დაუმატებს.) მაგრამ ჩვენ, რომელთაც გვაქვს სიყვარული, ჩვენ, რომელთაც ვნებით გვწადია შევეუერთოთ ჩვენი სიყვარული მეორე ადამიანის სიყვარულს, ჩვენ ვერ ვიღებთ ხმას. (მორიდებით.) მეთანხმებით?

ქრისტეფორე — ბატონო მაღლაძე, თუ ასეთს სიტყვებს თავს არ დაანებებთ, მე წავალ... მართლა, ეს უადგილოა.

გოგლო — უადგილოა ყველაფერი, რაც ღირს რომ ითქვას. (ადგება და ხეტილობს ოთახში.) თქვენი ვერაფერი გამიგია. მაშ რაზე ვილაპარაკოთ?

ქრისტეფორე — (დარიგებით). ილაპარაკეთ უმნიშვნელო საგნებზე... ტაროსზე, მაგალითად.

გოგლო — წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინ დგას შიმშილისაგან ატირებული ბავში; ნუთუ თქვენ უმნიშვნელო საგნებზე დაუწყებთ ლაპარაკს?

ქრისტეფორე — რა თქმა უნდა, არა!

გოგლო — აი, ასე, მეც არ შემძლია უმნიშვნელო საგნებზე ლაპარაკი, როცა ჩემი გული მწარეთ ტირის შიმშილისაგან.

ქრისტეფორე — მაშ გაჩუმდით.

გოგლო — დიახ, დიახ! ჩვენ შორის ყველაფერი ასეა — გაჩუმდი! ჩვენც ვდუმვართ. მაგრამ ამით განა შესწყვეტს

თქვენი გული ტირილს? ხომ ტირის? მართალი ვარ, ხომ? უსათუოდ ტირის, თუ კი გაქვთ გული...

ქრისტეფორე — (საჩქაროთ ადგება, ხელს გულზე იჭერს). მუშაობაც არ შეიძლება, როცა ასე ლაპარაკობთ. (მიატოვებს თავის მაგიდას და სავარძელში ჩაჯდება.) ჩემი გული ტირის თუ არა, თქვენი საქმე არ არის... მაგრამ მაინც გეტყვით.

გოგლო — არ არის საჭირო. მე ვიცი რომ კი... ტირის.

ქრისტეფორე — გახსოვდეთ: თუ ოდესმე თქვით, მე უარს ვიტყვი.

გოგლო — მესმის... ვერ ბედავთ გაუტყდეთ, არა?

ქრისტეფორე — (წამოხტება). ვის, ვის?!

გოგლო — ვინც უნდა იყოს. იმ ადამიანს, რომელიც გიყვართ. სულ ერთია ვინ არის: გიმნაზიელი ქალი, ცირკის მოცემევე.

ქრისტეფორე — უკაცრავათ! მე ვინ გგონივართ?

გოგლო — (მოზებურდება მასთან ბაასი). ასეთი სიტყვები არ არის საჭირო. თქვენ არ გსურთ ნამდვილი პასუხი მომცეთ, დინჯათ ილაპარაკოთ — და მეუბნებით ვაცვეთილ, ათასჯერ ნათქვამს.

ქრისტეფორე — თუ რამე არაჩვეულებრივი ვნებავთ, თავის თავს ემუსაიფეთ...

გოგლო — ყველა მგოსანი ასე იქცევა; ისინი თავის თავს ხმამალლა ემუსაიფებიან. ბრბო კი არ უსმენს მათ. მაგრამ ნამეტარ მარტოხელათ, ობლათ გრძნობს ადამიანი თავს, თუ ზოგჯერ მაინც არ გაიგონა სხვისი სიტყვებიც.

ვანო — (შემოდის ჩქარი ნაბიჯით). ქრისტეფორე, იქ მთხოვნელები არიან. გამოკითხე, რა საქმე აქვთ... თუ შესაძლოა, ხვალ მოვიდენ, დღეს არ მცალია. (ქრისტეფორე გადის.)

გოგლო — სადაა?

ვანო — ახლავ მოვა... გაკვეთილი გაათავა, ლამპებში ნავთს ასხამს.

გოგლო — (წამოვარდება შეწუხებული). ხელებს დაისვრის. ეს შეუძლებელია. სირცხვილია და ურიგობა. მე თვითონ წავალ, ჩავასხამ. (მიდის კარებისკენ.)

ვანო — ნუ წახვალთ, (გოგლო შეჩერდება, ყოყმანობს.) თო-

რემ ჩემს წაღებსაც გაგაწმენდივს, რომ ხვალ მე გამო-
თავისუფლოს მუშაობისაგან.



გოგლო — როგორ? მოსამსახურე არა გყავთ?

ვანო — გვყავს, მაგრამ იგი მონა არ არის. ჩვენი სახლი კი ისე გამოიყურება, თითქოს სამი მოსამსახურე გვყავდეს, იმიტომ რომ საოჯახო მუშაობა გაყოფილი გვაქვს ერთმანეთში. საუზმის შემდეგ მე და ქრისტეფორე საქმეებზე ვმუშაობთ და თან ჭურჭელსა ვრეცხთ. ჭურჭლის რეცხვა არც ისე მოსაწყენი საქმეა, როცა ორი მუშაობს ერთად.

გოგლო — (აღშფოთებული). თქვენ გგონიათ, რომ ქალი ისეთივე გაუთლელი ტლანქია, როგორც ქრისტეფორე?

ვანო — გოგლო!

გოგლო — რა იყო?

ვანო — რამდენი მოსამსახურე ჰყავს მამათქვენს?

გოგლო — ოჰ, არ ვიცი! (უკმაყოფილოთ ბრუნდება თავის ადგილზე, თითქოს სურს კითხვები თავიდან მოიშოროსო და სავარძელში ჯდება ნავთზე ფიქრით შეწუხებული.)

ვანო — (ძლიერ დინჯათ). იმდენი, რომ არც კი იცით რიცხვი! (უფრო მტრულათ.) ყოველ შემთხვევაში, როცა უსიამო და უხეში საქმეა გასაკეთებელი, თქვენ რეკთ და სხვას უბრძანებთ გააკეთოს. ხომ ასეა? ეს უმთავრესი საგანია თქვენის ცხოვრების? არა?

გოგლო — ნუ მტანჯავთ! ჩემთვის ახლა უმთავრესი ის არის, რომ თქვენი მეუღლის მშვენიერი თითები ითითხნება ნავთში და თქვენ კი აქ არხეინათ მოსვენებული ზიხართ და ქადაგობთ ამ საგანზე — მუდამ ქადაგობთ და ქადაგობთ სიტყვებს, სიტყვებს და სიტყვებს!

ქეთო — (შემოაქვს ლამაზა, დგამს ვანოს ახლო, იწმენდს თითებს, უკმაყოფილოა სუნით). გოგლო, ჩვენთან თუ დარჩით, ლამპების წმენდა და მოწყობა უნდა მოგანდოთ.

გოგლო — დავრჩები, თუ ყველა ტლანქ სამუშაოს მე გადმომცემთ.

ქეთო — ძლიერ თავაზიანათ თქვით, მაგრამ ჯერ უნდა გავშინჯო, როგორ აასრულებთ საქმეს. ვანო, შენ ვერ მოგივლია ოჯახისათვის.

ვანო — როგორ, ჩემო კარგო?

ქეთო — წაღები ტანისამოსის ჩოთქით გიწმენდია. (გოგლო დაიწყებს ქვითინს. ქეთო სავარძელთან საჩქაროთ მივიდა.)
რა მოხდა, გოგლო, ავით ხართ?

გოგლო — არა! კარგათა ვარ! მაგრამ საშინელებაა! საშინელებაა! (ჩაღუნავს თავს.)

ვანო — ექიმობაა საჭირო!

ქეთო — არაფერი ექიმობა არ არის საჭირო. შენ ვერ მიხვდი. ეს ხომ, გოგლო, პოეტური საშინელებაა. მეტი არაფერი! და ისიც რისთვის? ტანისამოსის ჩოთქისთვის? (გოგლო თრთის.) დამშვიდდით! დამშვიდდით! (მოუჯდება გვერდში.) შეიძლება ახალი ჩოთქი მაჩუქოთ, ლამაზი, იცით, სადაფიანი.

გოგლო — (ჩუმად და მუსიკალურად, თან აღგზნებითა და სევდიანად). ჩოთქს კი არ გაჩუქებდით, არამედ ნავს — იალქნიან პატარა ნავს, რომ განშორდეთ ადამიანებს, წახვიდეთ იქ, სადაც მარმარილოს იატაკს წვიმები რეცხს და მზე აშრობს. სადაც სამხრეთის სიო მწვანე მდელოზე ნახათ არხევს ალისფერ ვარდებს. ან მოგართმევდით ეტლს, რომელიც ცათა აღგიტაცებდათ, სადაც ლამპის მაგიერ ვარსკვლავებია, უნავთოდ მოციმციმენი, მოკაწკაშენი.

ვანო — (მკვახედ). და სადაც არაფრის გაკეთება არ იქნება სავალდებულო, არამედ უსაქმოდ და უსარგებლოთ ცხოვრება; მხოლოდ თავისთავისთვის.

ქეთო — (ნაწყენი). ვანო, განა შეიძლება ასეთი სურათის გაფუჭება.

გოგლო — (აღტაცებული). დიახ, უსარგებლოთ, უსაქმოდ ცხოვრება! თავისთავზე ზრუნვა! მხოლოდ ასეთი ცხოვრებაა მშვენიერი, თავისუფალი და სანეტარო. განა ყოველ ვაჟს ეს არ სურს ქალისთვის, რომელიც უყვარს? ჩემი მისწრაფება ასეთია. როგორია მისწრაფება თქვენი, ყველა იმ საშინელი ადამიანების, რომელნიც ცხოვრობთ ამ საძაგელ სახლებში კი არა — ყაზარმებში? ქადაგებანი და ტანისამოსის ცოცხი! თქვენ უნდა წარმოთქვათ ქადა-

გებანი და თქვენმა ცოლმა კი წმინდოს ტანსაცმელი და
წალები!

ქეთო — (აღერსიანათ). იგი წმენდს, გოგლო, წალებს. ხვალ
თქვენ გაწმენდთ სასჯელათ იმისა, რაც ვანოზე თქვით.

გოგლო — ო, ნუ მელაპარაკებით წალებზე! თქვენი შიშველი
ფეხები მშვენიერი იქნებოდნენ მთაში...

ქეთო — გოლოვინის პროსპექტზე ვერაფერი სანახავია!

ქრისტეფორე — (ვანოს, რომელიც შესჩერებია). ხვალ მოვ-
ლენ... უმნიშვნელო საქმეა, ქალბატონო ქეთო, მზარე-
ული გთხოვთ გამობრძანდეთ... ნიორი მოუტანიათ.

გოგლო — (ათრთოლებული). ნიორი!

ქეთო — დიახ, ნიორი! და ესპანური კი არა, უბრალო, წვრილი,
წითელი, საძაგელი ნიორი. თქვენ დამეხმარებით წმენ-
დაში. წავიდეთ. (სტაცებს ხელს და მიათრევს.)

ქრისტეფორე — ბატონო ივანე, ახირებული კაცია თავადი...

ვანო — არ ვიცი.

ქრისტეფორე — რაც უნდა იყოს, დიდი კაცის შვილია, ასე
აგდებით არ უნდა მოვეპყრათ... ქალბატონიც არ არის
ჩვეულებრივი. (უაღრესი სიყვარულით.) აი, ასე (ხელით
აჩვენებს.) პატარა რომ იყო, ძალას დამატანდა და ლედ-
ვის საკრეფათ ხეზე გამაგზავნიდა.

ვანო — (უყურადღებოთ, თავის საქმეებში გართული). და
თქვენ ადიოდით!

ქრისტეფორე — უარს როგორ ვეტყვოდი... (სიჩუმე.) ლაპარა-
კიც კი არ შეიძლება იმაზე, როგორ უნდა გასძლოს ასე
კაცმა...

ვანო — თქვენ რაღა გეშართებათ?

ქრისტეფორე — მე... (დაიწყებს ტირილს.)

ვანო — (მიდის. თითქოს ებოდიშება). რა იყო? კარგი, დამ-
შვიდდით. გაიარეთ, ჯერ არ მჭირდებათ.

ქრისტეფორე — მე წავალ... ყოველთვის უნდა წავიდე... მე არ
ვარ საჭირო... (გადის.)

ვანო — (ხელს ჩააქნევს, გაკვირვებით დადის. დაჯდება. წერს.
შემოდის ქეთო). გოგლო სადღაა?

ქეთო — ხელს იბანს. მშვენიერი მზარეული იქნებოდა, მაროსი
რომ არ ეწინოდეს.

ვანო — ჰო! უსათუოდ! (ქეთო მიუჯდება გვერდში. ხელს მხარზე დაადებს.)

ქეთო — ერთი შემახედე შენი თავი, ჩემო კარგო! მიიბრუნე თავი სინათლისაკენ... ჩემი ვანო ცუდათ გამოიყურება. დაიღალე?

ვანო — ისე, ჩვეულებრივ.

ქეთო — ვანო ძლიერ ფერმკრთალია, ჭაღარა მომატებია, სახეზე ნაოჭები აქვს... დაბერებულა. (სევდა უფრო და უფრო გულს აწვება ვანოს. ქეთო სავარძლისაკენ წაათრევს.) ასე. დღეისთვის საკმაოთ იმუშავე. დანარჩენი ქრისტეფორემ გააკეთოს, ჩვენ კი ვიმუშაოთ.

ვანო — მაგრამ...

ქეთო — ერთხელ მაინც უნდა ილაპარაკო ჩემთან. (დააჯენს და ქვემოთ ნოხზე დაჯდება.) აი, ასე. (ხელზე ხელს ურტყამს.) ახლა უკეთ გამოვიყურებით; რათ არ მიატოვებ ზედმეტ დამქანცველ შრომას? ყოველ ღამეს ან ლექცია, ან კრება გაქვს დანიშნული. რასაც შენ ამბობ, ჭეშმარიტია, სამართლიანია, მაგრამ უსარგებლოა. მათ არაფერი ესმით. რა თქმა უნდა, გეთანხმებიან. მაგრამ რა აზრი აქვს მათ თანხმობას, თუ კი, როგორც კი დაგშორდებიან, სრულიად წინააღმდეგს მოიმოქმედებენ? დაუკვირდი შენი ლექციების მსმენელთ. განა შეიყვარეს მათ ქართული მწერლობა? არა. ისინი მოდიან, რადგან ექვსი დღის განმავლობაში ისე თავდავიწყებით შრომობდენ, ისე ცდილობდენ მოეგოთ, შეეძინათ, რომ კვირა დღეს აღარ უნდათ იფიქრონ ვაჭრობა-ყიდვაზე, სურთ მოისვენონ, რომ შემდეგ ისევ თავის საქმეს მიჰყონ ხელი და გაორკეცებულის ენერგიით იფიქრონ მოგებაზე, გამდიდრებაზე!.. კი არ აშორებ მათ მდაბალ სურვილებს, შენ ეხმარები მათ ამ არასასურველ მოქმედებაში.

ვანო — (დინჯათ და დაბეჯითებით). შენ კარგად იცი, რომ ასეთი მოქმედებისათვის ხშირათ ვტუქსავ მათ, მაგრამ მათ ლექციებზე სიარულში თუ დასვენებისა და დროის გატარების მეტი არაფერია, რატომ სხვა უფრო მხიარულ და ადვილ გასართობებს არ ეტანებიან? იმაშიც ბევრი კარგია, რომ კვირაობით ჩემს ლექციას უპირატესობას აძლევენ ცუდ ადგილების წინაშე.

ქეთო — ცუდი ადგილებისათვის ფულია საჭირო. თანაც შენ ისე კარგად ლაპარაკობ, რომ მათთვის ნამდვილი წარმოდგენაა. ქალები მაინც რათ აღენტეებიან შენის ლექციებით.

ვანო — (შეურაცხყოფილი). ქეთო!

ქეთო — ო, მე ვიცი რაშია ანის საქმე. შენ გგონია, ჩემო ბაბულო, რომ „ქილილა და დამანას“ პოეტური ადგილები ან პეტრიწის ფილოსოფია აღელვებს მათ და ასეთ ალტაცებაში მოჰყავს. ასე რომ იყოს, მაშინ ისინი ისე მოიქცეოდნენ, როგორც შენ ურჩევ... არა! ისინი მხოლოდ იმისთვის მოდიან, რომ შენ გიცქირონ.

ვანო — ქეთო! რა საშინელი, გულისმზარავი ცინიზმია! იქნება ხუმრობ? ანდა... ნუთუ შესაძლებელია—ექვეიანობ?

ქეთო — (ნაზათ, წრფელად). კი. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვექვეიანობ.

ვანო — ვიზე?

ქეთო — არა, არა! არაეიზე არ ვექვეიანობ — მე ვექვეიანობ სხვის მაგიერ, რომელიც ნაკლებ უყვართ, ვიდრე ღირსია.

ვანო — ჩემს მაგიერ?

ქეთო — შენს მაგიერ! შენ ისე განებივრებული ხარ სიყვარულითა და გაღმერთებით. შენ მეტი გხვდა სიყვარული, ვიდრე გერგებოდა. არა! მე გოგლოზე ვლაპარაკობ.

ვანო — (შეკრთება). გოგლოზე!

ქეთო — ეს ხომ უსამართლობაა: შენ ამდენი სიყვარული გხვდეს წილად და მას კი მარცვლის ოდენაც კი არა. მას კი ბევრათ მეტად სჭირია სიყვარული, ვიდრე შენ. (ვანო თავისდა უნებურათ ათრთოლდება.) რა მოხდა? ლაქლაქით თავი მოგაწყინე?

ვანო — (ჩქარათ). სრულიადაც არა! (უცქერის დაეინებოდა, ალტაცებული.) ხომ იცი, ქეთო, რომ სრულებით გენდობი.

ქეთო — რა მედიდური ხარ! განა დარწმუნდი, რომ აგრეთი მიმზიდველობა გაქვს.

ვანო — ქეთო, უხერხულათ მელაპარაკები... არც კი მიფიქრია ჩემს მიმზიდველობაზე. მე მხოლოდ მრწამს შენი სიკეთე, სისუფთავე... ამიტომაც მაქვს შენი ნდობა...

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამსახური

ქეთო — ფუ! რა ცუდ, უსიამო სიტყვებს მეუბნები! შენ — ქილი ხარ, ვანო, ნამდვილი ვეკილი!..

ვანო — (იბრუნებს პირს; ძლიერ გულნატკენი). ამას გოგლო ამბობს?

ქეთო — (დაინტერესებული მისკენ დაიხრება, ნიდაყვით მის მუხლებს დაეყრდნობა). გოგლო ყოველთვის მართალია. საუცხოო ყმაწვილია იგი. ჩემი მისდამი მეგობრობა დღითი დღე იზრდებოდა, სანამ კი ერთად ვიყავით აგარაკზე. იცი, ვანო, თუმცა იგი ჯერ ვერ ამჩნევს, მაგრამ იგი ახლოა, რომ გაგიყვებით შემეყვაროს.

ვანო — (ფარული სიანჩხლით). შენ ფიქრობ, რომ იგი ვერაფერს ამჩნევს?

ქეთო — სრულიად ვერაფერს. (მუხლებიდან ხელებს ჩამოიღებს, მიბრუნდება ჩაფიქრებული, თავისუფლად ჯდება და ხელებს გულზე დაიკრეფს.) ერთხელაც იქნება გაიგებს, — ოდესმე, როცა გაიზრდება, შენსავით გამოიცილება. მაშინ გაიგებს იგი, რომ მე ყოველივე ვიცოდი, რომ მე უნდა მიმხვდარიყავი. ნეტავი წინდაწინვე შემატყობინა, რას იფიქრებს მაშინ ჩემზე?

ვანო — ცუდს არაფერს, ქეთო. მწამს და იმედი მაქვს, რომ ცუდს არაფერს.

ქეთო — (იჭვით). იმისდამიხედვით...

ვანო — (გაკვირვებული). რისი მიხედვით?

ქეთო — (მას უცქერს). იმისდამიხედვით, თუ რა დაემართება. (ვანო გაკვირვებით შეყურებს.) ვერ გაიგე? მე მინდა ვთქვა, იმისდამიხედვით, თუ რა პირობებში გაეცნობა სიყვარულის დედააზრს, ე. ი. როგორი ქალი დაასწავლის მას სიყვარულს.

ვანო — დიახ, სწორედ ვერ გამიგია რისი თქმა გსურს.

ქეთო — (უხსნის). თუ კარგმა ქალმა ასწავლა სიყვარული, მაშინ ყველაფერი კარგად წავა. გაიგებს და მომიტევენ.

ვანო — მოგიტევენ.

ქეთო — მაგრამ, თუ ხელმძღვანელათ ცუდი ქალი შეხვდა, რაც ძლიერ ხშირად ემართება ვაჟებს, განსაკუთრებით კი პოეტურ ბუნების ვაჟაკებს, რომელნიც ყოველ ქალს ანგელოზათ სახავენ, თუ ცხოვრების ფასი მან შეიგნო

მხოლოდ მას მერმე, რაც გაფლანგავს მის საუნჯეს და თავს დაიმდაბლებს უცოდინარობით! მაპატიებს მაშინ? ა, როგორ ფიქრობ?

საქართველო
საბჭოთაო

ვანო — გაპატიებს — რას?

ქეთო — (გაუგებრობით უკმაყოფილო, მაგრამ ძლიერ ნაზათ). მაინც ვერ გაიგე? (ვანო თავს აქნევს, ქეთო მობრუნდება, რომ აუხსნას თავისი აზრი; ძლიერ საიდუმლოთ; ძლიერ ნაზათ.) მე მინდა ვთქვა, მაპატიებს, რომ მე თვით არ ვიღვე თავზე მისთვის მესწავლებინა, რომ მსხვერპლათ დავუტოვე იგი ცუდ ქალებს, რათა მე დავრჩენილიყავ კარგ სუფთა ქალათ, როგორც შენ ამბობ? ე, ვანო, რა ცუდათ მიცნობ, როცა შენს სურვილს ჩემს სიკეთეზე და ნამუსზე ამყარებ. რომ სხვა რამ არ მაჩერებდეს, მე ისეთივე სიამოვნებით შევწირავდი საწყალ გოგლოს ჩემს ნამუსსა და სიკეთეს, როგორც მივცემდი სიცივით მომაკვდავ მათხოვარს ჩემს შალს. ვანო, იმედი გქონდეს ჩემი სიყვარულისა, რადგან შენს ქადაგებას არა აქვს ძალა — ეს ზომ სიტყვებია, რომელთა საშუალებით თავსაც და სხვებსაც ასულელებ. (ადგომას აპირებს.)

ვანო — მისი სიტყვებია!

ქეთო — (ისევ დაჯდება ნოხზე). ვისი?

ვანო — გოგლოსი.

ქეთო — (აღტაცებით). გოგლო ყოველთვის მართალია; მას ესმის ჩემი, შენი და ქრისტეფორეს გულის პასუხი. შენ კი ვანო, არაფერი გესმის. (იცინის და დასამშვიდებლათ ჰკოცნის ვანოს. ვანო განზე მიიწევა ჯოხდაკრულივით და ფეხზე წამოიჭრება.)

ვანო — ქეთო, როგორ შეგიძლია მაკოცო, როცა... (სასიკვდილო სევდიანი ხმით). უფრო მიამებოდა ბასრი ფოლადი ჩაგეცა გულში, ვიდრე ეს კოცნა მიმელო.

ქეთო — (შეშინებული ადგება). ჩემო, რა მოხდა?

ვანო — (აღელვებული ერიდება). არ მომეკარო!

ქეთო — (შეშინებული). ვანო!

გოგლო — (შემოვარდება და მათ შორის ჩადგება). რა იყო?

ვანო — (თავს ძალით დაიმშვიდებს). არაფერი, გარდა იმისა, რომ ან თქვენ იყავით მართალი ამ დილით, ანდა ქეთო

გადირია? (ვანო დაჯდება. წინ დაიხრება ძლიერ, რომ სახე არ გამოუჩნდეს.)

ქეთო — (ოდნავ დამშვიდებული, ღიმილით). შენ მხოლოდ არ მოგწონს ჩემი ქცევა! მეტი არაფერი? ოხ, ღმერთო ჩემო, როგორ შებოჭილი ხარო სხვადასხვა პირობებით კაცები, რომელნიც არ ემორჩილებით წესს და რიგს... (მიუბრუნდება გოგლოს.) ვანომ მასწავლა დამოუკიდებლად აზროვნება და სხვების ჩემზე აზრის უყურადღებოთ დატოვება. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ მე ვფიქრობდი, როგორც ვანო, ახლა კი! ახლა ჩემი აზრი არ ეთანხმება მის აზრს და ამიტომაც — შეხედეთ, შეხედეთ — (მხიარულათ ვანოზე მიუთითებს. გოგლო შეხედავს, იმავე წამს გულზე ხელს მიიდებს, თითქოს უეცარი ტკივილი იგრძნო. დაჯდება სავარძელზე ისე, როგორც ჯდებიან ადამიანები, რომელნიც ტრაგედიას უცქერიან).

ვანო — (სიცილით, რომელიც ნახევრათ ქვითინს ჰკავს). უსათუოდ მართალი ხარ. მომიტევე, არ ვიცოდი, თუ საერთო ყურადღება ჩემზე იყო მოქცეული. (თავს ძლევს) კარგი, კარგი, კარგი! (დაბრუნდება თავის ადგილზე და მუყაითად დაიწყებს მუშაობას.)

ქეთო — (მივა სავარძელთან და გოგლოს გვერდში დაჯდება. დაციუნვის გუნებაზეა). გოგლო, რათ ჩამოგიშვიათ ცხვირი? ნიორმა იმოქმედა თუ? იტირეთ კიდევაც! (ვანო ვერ ახერხებს, რომ თვალი ადევნოს მათ).

გოგლო — (ჩუმათ ქეთოს). მწყინს, რომ ეგრე მკაცრი ხარო. მე მძულს სიმკაცრე. საშინელი საყურებელია, თუ როგორ სტანჯავს ადამიანი მეორე ადამიანს.

ქეთო — (ირონიულათ აჯავრებს). საწყალი ბავში! ასეთი მკაცრი ვყოფილვარ! წითელი, საზიზღარი წვრილი ნიორი გავარჩევო.

გოგლო — (დინჯათ). მიატოვეთ ასეთი ლაპარაკი! მე ჩემზე არ ვამბობ. თქვენ ძლიერი ტანჯვა მიაყენეთ ვანოს — ჩემს გულში ვგრძნობ მის მწუხარებას. ვიცი, თქვენი ბრალი არ არის. აქ რაღაც არის, რაც უსათუოდ უნდა მოხდეს. მაგრამ ნუ იქცევით აგრე დაუფიქრებლათ. როცა მისი ტანჯვის დროს თქვენ იცინით, მე ვკანკალებ.

ქეთო — (არ უჯერის). მე ვტანჯავ ვანოს? სისულელეა! გოგლო, თქვენ ყოველთვის აჭარბებთ! ბავშობაა! (მიიხედავს ვანოსკენ, რომელიც საჩქაროთ დაიწყებს მუშაობას. ქეთო მივა. სკამის უკან დადგება. დაიხრება მისკენ.) მიატოვე მუშაობა, ჩემო კარგო! წავიდეთ ყველა, ვიმუშაოთ.

ვანო — (ნაზათ, მაგრამ მწარეთ). არა! არა! მე არ ვიცი მუსაიფი! მე მხოლოდ ვქადაგობ.

ქეთო — (ალერსით). კარგია ახლა! წავიდეთ... გვიქადაგე. (საჩქაროთ შემოვა ქრისტეფორე.)

ქრისტეფორე — როგორ მოისვენეთ, ქალბატონო? (ძლიერ ნასიამოვნებია ხელის ჩამორთმევით და უნდა ხელი დიდხანს დაიჭიროს ხელში, მაგრამ საჩქაროთ გაუშვებს, ვანოსკენ) ეს-ეს არის სახალხო უნივერსიტეტიდან მოვდივარ. ძლიერ შეწუხებული არიან თქვენი უარით. ხომ არაფერი მომხდარა აქ?

ქეთო — რა უარით?

ქრისტეფორე — (ქეთოს). დღეს რეფერატი უნდა წაეკითხა. ახლა შეუთვლია: არ შემიძლია მოსვლაო. მეხდაცემულნი არიან — ვეებერთელა დარბაზი აქვთ დაქირავებული; ბევრი დაეხარჯათ აფიშებზე და განცხადებებზე...

ქეთო — (გაკვირვებული ოდნავ ატყობს, რომ რაღაცა ცუდი ამბავი ხდება). უარი თქვი?

ქრისტეფორე — წერილიც გამოგზავნეს... არ მოგსვლიათ?

ვანო — (თავდაქერილი მოუთმენლობით). კი! კი! მივიღე.

ქრისტეფორე — პასუხი უნდა უთხრათ.

ვანო — ვიცი, ვიცი... არ შემიძლია წასვლა.

ქეთო — რატომ, ვანო?

ვანო — (თითქმის გონებადაკარგული). რადგან სხვაგვარათ არ შემიძლია მოვიქცე. ამ ხალხს ავიწყდება, რომ მეც ადამიანი ვარ. მათ ჰგონიათ, რომ მე მოლაპარაკე მანქანა ვარ, რომლის მომართვა მთელი ჩემი ცხოვრება მათდა სასიამოვნოთ ყოველდღე შეიძლება. ნუთუ ნება არ მაქვს ერთი საღამო მაინც გავატარო სახლში ცოლსა და მეგობართ შორის? (ყველა განცვიფრებულია უცარი სიფიცხით, გარდა გოგლოსი, რომელსაც უცვლელათ რჩება თავისი გამომეტყველება.)

ქეთო — იცი, ვანო, ხვალ სინდისის ქენჯნა გექნება და მე უნდა გამოვიყილო ყველაფერი.

ქრისტეფორე — რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ სალამოს გამგეებმა რამდენი არ ეძიეს, ვერვინ იპოვეს, გარდა ალექსანდრე ჭიხაძისა.

ვანო — (საჩქაროთ). მშვენიერი კაცია. მეტი რა უნდათ?

ქრისტეფორე — კი, მაგრამ იგი მრავალ საკითხში თქვენი მოწინააღმდეგეა და რაც კარგის დათესა მოვასწარიტ, ძირში ამოგვიგდებს. თქვენ უკეთ იცით, მაგრამ... (შეჩერდება.)

ქეთო — წადი, ვანო, წადი. ჩვენც ყველანი წამოვალთ... დავჯდებით ესტრადაზე, როგორც საპატიო სტუმრები.

გოგლო — (შეშინებული). ა, ა, სადაც გნებაეთ, ესტრადაზე კი არა. ყველა ჩვენ შემოგვაჩერდება. მე არ შემიძლია. მე უკანა წყებაში დავჯდები.

ქეთო — ნუ გეშინიათ. ყველა ისე მიატკერდება ვანოს, რომ თქვენთვის არავინ მოიცილის.

ვანო — (ქრისტეფორეს). შენ ერთი გააგებინე მათ, რომ მოვალ. (ქრისტეფორე მიდის, ქალაღდს მოსძებნის და წერიღს წერს.)

ქეთო — ჩვენც წამოვალთ, ვანო.

ვანო — არა! თქვენ აქ დარჩით. გოგლოს გაუმასპინძღდები შენი მოსვღის გამო. (გოგლო წამოღდგება, სული ეხუთება.)

ქეთო — მაგრამ, ვანო...

ვანო — (დაბეჭითებით). ასე სჯობღია, შენ არ გსურს წამოსვღა. არც გოგლოს. (ქეთოს სურს წინააღმღდგი უთხრას.) ნუ მერიღდებით. უთქვენოთაც საკმაო მსმენეღდები მეყოღდება. თქვენ სკამებს იერიღმით აიღებენ ისინი, ვისაც არ მოუსმენღია ჩემი სიტყვა.

ქეთო — (შემკრთალი). გოგლო, თქვენ არ გსურთ წასვღა?

ვანო — მაღის იქ ყოფნა ხელს შემიშღიღდა, ისე კრიტიკულათ უყურებს სიტყვებსა და ქაღაგებებს. (შეცქერიღს გოგლოს.) გოგლომ იცის, რომ მისი მეშინღია — დღეს დღღით იმღდენჯერ გამიჯავრღდა. ახღა მინღდა დავუმტკიცო, რომ მართღაც მეშინღია; ამიტომ ვტოვებ აქ, შენის მღფარველო-



ბის ქვეშ, ქეთო. (ინაშვილს.) აბა, ნუ იგვიანებ, წამოდი.
 იქ მოდი კრებაზე, ზოგი რამ უნდა ჩასწერო...

ქრისტეფორე — (ნებადაკარგული). წავალ... იქ მოვალ...

გოგლო — (აღფრთოვანებული). ვაჟკაცურათ იქცევა. მშვენიერებაა. (ისევ დაჯდება. ისმენს ბაასს პირდაღებული.)

ქეთო — (აღელვებული და დაეჭვიანებული). მაგრამ... მაგრამ, ვანო... აქ რაღაცაა... რა მოხდა? (ძლიერ შემკრთალი.) ვერ გამიგია.

ვანო — ე, ჩემო კარგო! მე მეგონა, რომ მხოლოდ მე ვიყავი გაუგებარი. (ნაზათ გადაეხვევა, შუბლზე ჰკოცნის; მერმე ვაიხედავს და მშვიდათ უყურებს გოგლოს.)

მოქმედება III

იგივე დღე. იგივე სცენა. ლამპები ანთებულია, ფარდები ჩამოშვებული. ოთახი მილაგებულია. ეტყობა, რომ სამუშაო დღე გათავებულია. ქეთო და გოგლო ბუხრის წინ სხედან, ქეთო სავარძელში, გოგლო პატარა დაბალ სკამზე. ქაღალდები და ორი ტომი დევს. ქეთო უკან გადახრილა. ხელში აღმართული მამათი უქირავს და ფეხები ბუხრის რკინის მოაჯირზე აქვს მიბჯენილი. ეტყობა, არაფერი ესმის, რა ემართება.

გოგლო — ყოველ პოეტს ეს აზრი სონეტის ფორმაში გამოუთქვამს. რაღაც გარდუვალაია. სხვაგვარათ, მგონი, შეუძლებელია. (შეხედავს, უნდა გაიგოს მისი აზრი და ამჩნევს, რომ იგი მამათის დათვალეირებას გაუტაცია.) არ გიგდიათ ყური, ქალბატონო ქეთო?

ქეთო — (შეკრთება). რაო?

გოგლო — არ გიგდიათ ყური?

ქეთო — (დარცხვნილი. გადაჭარბებული თავაზიანობით). როგორ არა! ძლიერ კარგია. გააგრძელეთ, გოგლო, თუ რა დაემართა ანგელოზს.

გოგლო — (ხელთნაწერი იატაკზე დაუვარდება). უკაცრავათ, რომ დაგქანცეთ.

ქეთო — სრულიადაც არ დავლოილეარ, გარწმუნებთ. გააგრძელეთ, გააგრძელეთ, გოგლო! გთხოვთ!

- გოგლო** — ანგელოზის შესახებ პოემა თხუთმეტი წამია, რაც გავათავე. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე ლექსი წავიკითხე.
- ქეთო** — (შენანებით). ძლიერ მწყინს, გოგლო, რომ ასე მომხიდა. ამ მაშათმა ისე მიიზიდა ჩემი ყურადღება. (მაშათს ბუხარს მიადგამს.)
- გოგლო** — მე კი ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა.
- ქეთო** — (პირდაპირ). რათ არ მითხარით? დროზე მივაყულებდი კუთხეში.
- გოგლო** — მომერიდა თქვენივე, არ შემეკრთეთ. მაშათი რაღაც იარაღს ჰგავდა. ძველი დროის გმირი რომ ვიყო, ჩვენ შორის ამოღებულ ხრმალს დავდებდი. ვანო რომ შემოსულიყო, იფიქრებდა, რომ მაშათი სწორედ იმიტომ დაიპირეთ ხელში, რომ ხრმალი არ იყო ჩვენ შორის.
- ქეთო** — (განცვიფრებით). რაო? (უცქერის გაკვირვებით.) ვერ გავიგე თქვენი აზრი. იმ სონეტებმა ისე მიმათვლიმეს, რომ სრულიად არაფერი მესმის. რა საჭიროა, რომ ჩვენ შორის ხრმალი იდვას.
- გოგლო** — (სურს თავიდან პასუხი აიცილოს). ამას მნიშვნელობა არ აქვს. (დაიხრება, რომ ნაწერები აიღოს.)
- ქეთო** — მოითმინეთ, მოითმინეთ, გოგლო! ჩემს თაყვანისცემას პოეზიისადმი საზღვარი აქვს. ორ საათზე მეტია, რაც ვანო წავიდა და მას მერმე სულ მიკითხავთ ლექსებს. ახლა ცოტა ვილაპარაკოთ.
- გოგლო** — (ადგება შეშინებული). არა, მე ეს არ უნდა გქნა. (მიმოიხედავს დაბნეული და უეცრათ დაუმატებს.) უკეთესია მე წავალ, ხეივანში გავისეირნებ. (კარისკენ მიდის.)
- ქეთო** — ხეივანი რამდენი ხანია დაკეტეს. უმჯობესია ამ ხალიჩაზე დაჯექით და მთვარის შუქზე მიამბეთ რამე. ისე, როგორც თქვენ გეხერხებათ, ცოტათი გართობა მინდა. თანახმა ხართ?
- გოგლო** — (ელდანაცემი და თან აღტაცებული). კარგი!
- ქეთო** — მაშ დასხედით. (გაიწევა სავარძლიანათ, რომ ადგილი მისცეს. გოგლო ყოყმანობს; შემდეგ მორიდებულათ დაჯდება; ზურგი ქეთოსკენ აქვს. კისერს მის მუხლებს მიადებს, ნოხზე ფეხს გაიწვდის და ისე შესცქერის ქეთოს.)

გოგლო — მთელი საღამო საცოდავით და უბედურათ ვგრძნობდი თავს, რადგან, ისე ვიქცეოდი, როგორც პატიოსან ადამიანს შეფერის, ახლა კი ბოროტმოქმედებას ჩავდივარ და ბედნიერი ვარ.

ქეთო — (ნაზათ დასციინის). კი. დარწმუნებული ვარ, თქვენ დიდ, დიდ ბოროტმოქმედათ და მატყუარათ გრძნობთ ახლა თავს. ძლიერ ამაყობთ ამითი? ხომ კი?

გოგლო — (საჩქაროთ აიღებს თავს და ოდნავ მიუბრუნდება, რომ შეხედოს). გაფრთხილდით. მართალი რომ თქვას კაცმა, მე თქვენზე ბევრათ უფროსი ვარ. (მუხლებზე შემობრუნდება სრულიად, ნიდაყვით დაეყრდნობა ქეთოს მუხლებს და უფრო და უფრო აღელვებული — ეტყობა სისხლმა ჩქეფა დაუწყო.) შეიძლება გითხრათ რამე წრეს გადასული.

ქეთო — (სრულიად უშიშრათ, გულგრილათაც კი არა, მისი გრძნობისადმი ღრმა პატივისცემით და მხოლოდ ჩვეულებრივი ოდნავი დედობრივი დაცინვით და სიბრძნით). არა, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რასაც მართლა გრძნობთ და განიცდით, ყველაფერი, რაც გნებავთ, რაც უნდა იყოს. მე არაფრის მეშინია, მხოლოდ უნდა ვიცოდე, რომ თქვენ გალაპარაკებთ წრფელი გული და არა ზრდილობა, ბოროტმოქმედება, თუ გინდ პოეზია. მე ვერწმუნები თქვენს პატიოსნებას და ჭეშმარიტებისადმი სიყვარულს. აბა, თქვით ყველაფერი, რაც კი გსურთ.

გოგლო — (შმაგი სურვილის გამომეტყველება ეკარგება ტუჩებსა და ცხვირის ნესტოებს. თვალებში აენთება არამიწიერი, პათეთიური აღფრთოვანება). ახლა აღარაფრის თქმა არ შემიძლია: ყველა სიტყვა, რომელიც კი ვიცო, რომელიმე პოზას ეკუთვნის, გარდა ერთისა.

ქეთო — რომელია ეს ერთი?

გოგლო — (ნელა, ხმადაბლა, სიტყვის მუსიკით მთვრალი). ქეთო, ქეთო, ქეთო, ქეთო! ეს უნდა ვთქვა, რაკი ჩემს სინდისსა და სიმართლეს მიმართეთ. თავისდღეში არ ვფიქრობ ფარალიშვილის მეუღლეზე, არაფერსა ვგრძნობ ფარალიშვილის მეუღლისადმი, მხოლოდ და მართო ქეთოსადმი...



ქეთო — რა თქმა უნდა. მაშ რა გნებავთ ქეთოს უთხრათ?

გოგლო — არაფერი. მსურს მხოლოდ ათასჯერ გავიმეორო მისი სახელი. ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ყოველთვის იგი ლოცვაა თქვენდამი?

ქეთო — და ლოცვა რომ შეგიძლიათ, ეს არ გაბედნიერებთ?

გოგლო — ო, ძლიერ, ძლიერ მახედნიერებს.

ქეთო — და ეს ბედნიერებაა — პასუხი თქვენის ლოცვისა. მეტი რაღა გინდათ?

გოგლო — (ნეტარებაში). არაფერი. თითქოს ცაში ვიყო, სადაც სურვილები არ არის. (შემოდის ვანო. შეჩერდება კარებში. ერთი გადახედვით ითვალისწინებს სცენას.)

ვანო — (დინჯათ და მკაცრათ). იმედი მაქვს, ხელი არ შემიშლია. (ქეთოს ძლიერ შეეშინდება, მაგრამ სრულიადაც არ შეკრთება. შეშინებას დასცინის თავს. გოგლო მუხლმოყრილი ხელს სტაცებს სკამს, რომ არ წაიქცეს და ასე გაჩერებული ხახადაღებული შესცქერის ვანოს.)

ქეთო — (დგება). ვანო, როგორ შემაშინე! გოგლოსთან მუსაიდში ისე ვიყავი გართული, რომ ვერ გავიგონე კლიტის ჩხარუნი! გვიამბე, როგორ ჩაიარა კრებამ? კარგი სიტყვა წარმოთქვი?

ვანო — ჩემს ცხოვრებაში არ მილაპარაკნია უკეთესათ.

ქეთო — რა კარგია! დიდი შემოსავალი ჰქონდათ?

ვანო — კი დამავიწყდა მეკითხნა.

ქეთო — (გოგლოს). სიტყვა მართლაც კარგი ყოფილა. სხვა დროს არ ავიწყდება იკითხოს, თუ როგორი შემოსავალი იყო. (ვანოს) ქრისტეფორე სადღაა, რომ არ გილოცავს გამარჯვებას.

ვანო — ის ბევრათ ადრე წამოვიდა. მე შემაჩერეს. მეგონა ველარ დავადწვევდი თავს. ვახშმათ დაიჭირეს უსათუოდ.

ქეთო — (მეოჯახის ხმა-ქცევით). მაშ, მაროს შეუძლია დაიძინოს. წავალ, ვეტყვი. (მიდის სამზარეულოში.)

ვანო — (მოღუშული შესცქერის გოგლოს). აბა?

გოგლო — (ჯერ კიდევ მუხლებზე დგას ბუხრის წინ ნოხზე. ფეხები გადაჯვარედინებული აქვს. ვანოსთან უღარდელათ გრძნობს თავს და ოხუნჯობის გუნებაზეა). აბა?

ვანო — გაქვთ რამე სათქმელი?

გოგლო — არაფერი. მხოლოდ ის, რომ აქ მე მარტო ისე სულელათ მეჭირა თავი, როგორც თქვენ იქ, საზოგადოებაში.

ვანო — არ მგონია, რომ ერთგვარათ.

გოგლო — (ფიცხლათ; ამასთანავე დგება ფეხზე). სწორედ, ერთ და იმავე გვარათ. მე კარგ ადამიანს ვარდგენდი, როგორც თქვენ. გმირობა გამოიჩინეთ, როცა დამტოვეთ აქ ქეთოსთან!..

ვანო — (უნებლიეთ). ქეთოსთან!

გოგლო — დიახ, დიახ! ამ საფეხურზე უკვე ავედი. დიახ... და თქვენი გმირობა გადამდები გამოდგა. ეს ავადმყოფობა თქვენგან მივიღე. ფიცი დავდე, არაფერი მეთქვა თქვენს აქ არ ყოფნაში ისეთი, რაც ერთი თვის წინათ თქვენთან ყოფნის დროს არ შემძლებოდეს მეთქვა.

ვანო — შეასრულეთ ფიცი?

გოგლო — (უეცრათ სავარძელზე სასაცილო პოზაში დაჯდება). საკმაო დიდი ვირი ვიყავი და ვასრულებდი ფიცს თქვენი მოსვლის ათი წამის წინამდის. ამ წამამდის სულ ვკითხულობდი ხან ჩემსა და ხან სხვის ლექსებს, რომ ლაპარაკი თავიდან ამეცდინა. ვიდექ სამოთხის კარებთან და შესვლაზე უარს ვამბობდი. თქვენ წარმოიდგენთ, რა გმირობას ჩავდიოდი და რა ცუდათ ვგრძნობდი მაშინ თავს! მერმე...

ვანო — (მოუთმენლობას ებრძვის). მერმე...

გოგლო — (პროზაულათ ჩამოსრილდება სავარძელიდან და ჩვეულებრივ პოზას მიიღებს). შემდეგ მას დაეკარგა მოთმინება და მთხოვა კითხვა შემეწყვიტა.

ვანო — და როგორც იქნა მიუახლოვდით სამოთხის კარებს?

გოგლო — დიახ.

ვანო — მერე? (მოთმინებიდან გამოსული.) თქვით, რას მაწამებთ?

გოგლო — (ხმადაბლა და მუსიკალურად). მერმე იგი ანგელოზათ გარდაიქმნა; ცეცხლისმფრქვეველი ხმალი მუდამ ისე ტრიალობდა, რომ ედემში შესვლა ვერ მოვახერხე, და ვნახე, რომ ეს კარები ჯოჯოხეთის კარები ყოფილა.

ვანო — (გამარჯვებული სახით). ქეთომ თქვენ უარგყოთ!

გოგლო — (დაუფარავი, უმწვერვალესი ზიზლით). არა, სულელო ადამიანო. ქეთო რომ ეგრე მოქცეულიყო, მაშინ ხომ ედემის კარებს ვერ დავინახავდი. მე უარვყავ! თქვენ გგონიათ, ჩემთვის საკმაო იქნებოდა კეთილშობილური აღშფოთება! თქვენ ღირსი არ ხართ ქეთოსთან ერთად ერთსა და იმავე დედამიწაზე ცხოვრების! (ზიზლით გაშორდება და მიდის ოთახის მეორე კუთხეში.)

ვანო — (უცვლელის სიღინჯით თვალს ადევნებს). თქვენ კი ფიქრობთ, გოგლო, რომ უფრო ღირსეული ხდებით, როცა მე შეურაცხყოფას მაყენებთ?

გოგლო — აქ თავდება ათას პირველი ლექცია. დიდი თაყვანისმცემელი არ ვარ თქვენი ქადაგებების, ვფიქრობ კიდევაც, რომ თქვენზე უკეთ თუ არა, უარესათ არც მე ვიტყოდი. მე მსურდა მენახა ადამიანი, რომელსაც ქეთო ცოლათ გაჰყვა.

ვანო — კაცი, რომელსაც გაჰყვა?.. ჩემზე ბრძანებთ?

გოგლო — მე არ ვლაპარაკობ ბატონ ფარალიშვილზე, გაბერილ „სოციალისტზე“. მე მსურს დავინახო ნამდვილი ადამიანი, რომელსაც პატივცემული ივანე ფარალიშვილი, უეპველია, ჰფარავს სადღაც თავის შავ სერთუქში. დავინახო ადამიანი, რომელიც შეიყვარა ქეთომ. ისეთს ჭალს, როგორც არის ქეთო, ვერ შეაყვარებდით თავს მხოლოდ მით, რომ ისე იცვამთ, როგორც შეჰფერის თქვენს მდგომარეობას და გეხერხებათ საყელოების შესკვნა.

ვანო — (თამამად, დაბეჯითებით). როცა ქეთო დამეთანხმა ცოლათ გამომყოლოდა, მაშინ ისეთივე გაბერილი სოციალისტი ვიყავი, როგორსაც ახლა მიყურებთ. ასეთივე შავი სერთუკი მეცვა და მაშინაც მეხერხებოდა ყელსახვევის შებნევა. თქვენის აზრით, იგი უფრო შემოყვარებდა ჩემს მიმართულებაში რომ გულწრფელი არ ვყოფილიყავი?

გოგლო — (სავარძელზე, ხელებით მუხლები უჭირავს და სწურავს). ო, ქეთომ გაპატიათ თქვენ ისე, როგორც მე მაპატიო სიმბდალე, სინაზე, და, როგორც თქვენ ამბობთ, თვალცრემლიანობა. (ოცნებით.) ქეთოსთანა ჭალი ღეთა-

ებრივ გულთამხილავია. მას უყვარს ჩვენი სული და არა ჩვენი სიგოე, ამპარტავენება, ოცნება, ყელსახვევები, სერთუკები და სხვა ნაჭერი და ნაქსოვი ძონძები, რომელშიაც ვეხვევით. (ერთი წუთით ჩაფიქრდება ამ საგანზე, შემდეგ მიუბრუნდება ვანოს და ჰკითხავს — თვალბში თვალგაყრილი.) მსურს გავიგო, როგორ აუარეთ გვერდი ცეცხლისმფრქვევ ხრმალს, რომელმაც მე შემაჩერა.

ვანო — (მრავალმნიშვნელობით). შეიძლება მხოლოდ იმით ავუარე გვერდი, რომ ათი წუთის შემდეგაც არაფერს შეუშლია ხელი.

გოგლო — (განცვიფრებული). რაო?!

ვანო — ადამიანს შეუძლია უმწვერვალესს მიაღწიოს, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლებს ზედ.

გოგლო — შეცდომაა, ადამიანს შეუძლია იქ დარჩეს მუდამ, სწორედ იქ და მარტო იქ. პირიქით, სხვა მდგომარეობაში იგი ვერ ჰპოებს სიმშვიდეს, ვერ ჰპოებს მიზანს ცხოვრებისას. თუ არა მწვერვალეზე, სად უნდა გავატარო, თქვენის აზრით, ჩემი ცხოვრების წუთები?

ვანო — სამზარეულოში ნიორის რჩევაში ანდა ლამპების წმენდაში.

გოგლო — ანდა კათედრაზე იაფი, თიხის კაცუნების გაადამიანებაში.

ვანო — დიას, ამაშიაც. სწორედ ამ საქმეში მხვდა ჩემი ოქროს წუთი, სწორედ მან მომცა უფლება მეთხოვა ხელი ქეთოსთვის. შემთხვევით არ ამირჩევია წამი და არ მისარგებლნია, რომ ვისთვისმე წამერთმია ბედნიერება.

გოგლო — (ოდნავი ზიზღით მიბრუნდება ბუხრისკენ). დარწმუნებული ვარ, აქაც ისეთს პატიოსნებას გამოიჩენდით, როგორც გირვანქა ყველის ყიდვის დროს. (შეჩერდება ხალიჩის ბოლოზე და ფიქრებში გართული ზურგიტ მიუბრუნდება ვანოს.) მე კი უნდა მიმემართა, როგორც მათხოვარს.

ვანო — (შეკრთება). როგორც მათხოვარს, რომელიც კვდება სიცივეში და სთხოვს მას მოსახვევს.

გოგლო — (შემობრუნდება განცვიფრებული). გმადლობთ, რომ

ჩემი მგოსნური სურათი დაამთავრეთ. დიახ, როგორც მათხოვარი, რომელიც კვდება სიცივეში და სთხოვს მოსახვევს.

ვანო — (აღელვებული). და უარი გითხრათ. ვიამბოთ, თუ როგორ გითხრათ უარი? მე შემიძლია გადმოგცეთ თითქმის ნამდვილი მისი სიტყვები. მან უარი გითხრათ, რადგან...

გოგლო — არც უფიქრნია უარის თქმა.

ვანო — არა!

გოგლო — რაც კი ვთხოვე, ყოველივე მითაეაზა: თავისი მოსახვევი, თავისი ფრთები, თავისი ვარსკვლავების გვირგვინი და ზამბახი, რომელიც ხელთ ეჭირა და მთვარე, რომელიც ფეხქვეშ ჰქონდა.

ვანო — (ხელს ტაცებს). თქვით მთელი სიმართლე. ჩემი ცოლი — ჩემი ცოლია. არ მსურს, თქვენ პოეტურ მანქვანგრეხას ვუსმინო. ძლიერ კარგად ვიცი, რომ თუ დაეკარგე სიყვარული და თქვენ შეიძინეთ იგი, ქეთოს ვერავითარი კანონი ვერ შეებორკავს.

გოგლო — (უშიშრათ, ალერსიანათ და წინააღმდეგობის გაუწევლათ). ვანო, მსტაცეთ ხელი პერანგის საყელოში: მერე ქეთო ისევ გამისწორებს, როგორც ამ დილას, (ჩუმის აღფრთოვანებით.) ვიგრძნობ მისი ხელების შეხებას.

ვანო — იცით, ეშმაკის ფეხო, ჩემთვის ასეთი სიტყვების თქმა საშიშროა? ანდა — (უეცარი იქვით) — იქნებ რაიმე გაძლევთ მხნეობას?

გოგლო — ახლა აღარ მეშინია. წინეთ არ მიყვარდით; ამიტომაც ერთი თქვენი შეხება მაზრიალებდა ტანში. მაგრამ დღეს, როცა თქვენ გაწვალეთ ქეთო — მე შევნიშნე, რომ თქვენ იგი გიყვართ. მას შემდეგ თქვენი მეგობარი შევიქენი. შეგიძლიათ წამახრჩოთ, თუ კი გსურთ.

ვანო — (ხელს გაუშვებს). გოგლო, თუ ეს უგულო სიცრუე არ არის, თუ თქვენში დარჩა ადამიანური გრძნობის ნაპერწკალი — მიამბე რა მოხდა, როცა მე აქ არ ვიყავი?

გოგლო — რა მოხდა, ცეცხლისმფრქველი ხმალი... (ვანო მოუთმენლობით ფეხს აბაკუნებს.) მაშ, უბრყვილო პროზით რომ ვთქვათ, ქეთო ისე შემიყვარდა, რომ სხვა არავითარი სურვილი არ მქონია, გარდა ამ სიყვარულის

განცდის ნეტარებისა. და სანამ უმწვერვალესი სიმაღლი-
დან ჩამოვიდოდი — შემოდით თქვენ.

ვანო — (ღრმა მწუხარებით). ისე, რომ საკითხი გადუწყვეტ-
ლი დარჩენილა! მაშ კიდევ ტანჯვა იქვისა!

გოგლო — ტანჯვა! ქვეყანაზე მე უბედნიერესი კაცი ვარ! ახლა
არაფერი მსურს, გარდა მისი ბედნიერებისა. (თავდადებ-
ის გრძნობით.) იცით, ვანო, მოდი ორივემ უარი ვთქვათ
მასზე, აბა, ერთი რა არჩევანი დარჩენია: საცოდავი, პა-
ტარა, ნერვებაშლილი ავადმყოფი, როგორცა ვარ მე, და
თავსქელა, მოუხეშელი, როგორცა ხართ თქვენ! არა,
წავიდეთ როგორც მწირები, თქვენ დასავლეთით, მე
აღმოსავლეთით, ვეძებოთ ქმნილება, ღირსი ქეთოს სიყ-
ვარულისა — უებრო — მშვენიერი მთავარ-ანგელოზი
თეთრფრთებიანი...

ვანო — რას ბოდავს! ღმერთო! თუ ქეთო იმდენათ გაგიედა,
რომ ჩემს მაგიერ თქვენ გირჩიათ, ვინ დაიცავს მას? ვინ
დაეხმარება? ვინ იმუშავებს მის მაგიერ! ვინ იქნება მისი
ბავშის მამა! (ჭკუაზე შემცდარივით დაეშვება სავარ-
ძელზე, თავს დააყრდნობს შეკუმშულ მუშტებზე; ნიდაყ-
ვი კი მუხლებზე აქვს დაყრდნობილი.)

გოგლო — (შეშლილივით დაატკაცუნებს თითებს). ქეთოს თავ-
ში არ მოუვა ასეთი სულელური კითხვები, პირიქით! მის-
თვისაა საჭირო ვინმე საზრუნავი, დასაცავი, დასახმარებე-
ლი ვისთვისაც უნდა იმუშაოს — ვინმე, ვინც მისცემდა
ბავშებს, რომელთაც მოუვლიდა, მოეხმარებოდა, რომელ-
თათვისაც თავს დადებდა. ვინმე ღიდი, რომელიც ბავშათ
იქცეოდა. ე, რა სულელი, სულელი და სამჯერ სულელი
ხართ! ეს ხომ მე ვარ, ვინც ქეთოს სჭირდება, ვანო, ეს
მე ვარ! (აღელვებული ცეკვავს და იძახის) ე, თქვენ არ
იცით, რა არის ქალი! დაუძახეთ, ვანო, ქეთოს, დაუძახეთ
და მან აირჩიოს. (გაიღება კარი, გამოჩნდება ქეთო. გოგ-
ლო გაშეშდება.)

ქეთო — (განცვიფრებული კარებში). გოგლო, თუ ღმერთი
გწამთ, რა დაგემართათ?

გოგლო — (არ იცის რა თქვას). მე და ვანო დავეჯიბრეთ, ვინ
უფრო კარგად ქადაგობს. გამოვიდა რომ მე. (ქეთო საჩქა-
როთ გადახედავს ვანოს. შეამჩნევს სახეზე მწუხარებას.)

მიდის მასთან ძლიერ შეშინებული და ნაწყენი ეუბნება, გოგლოს.)

ქეთო — თქვენ თავი მოგიბეზრებიათ და გაგიგულისებიათ უნო, ამას არ მოგიტმენთ. გესმით, გოგლო! (მხარზე ხელს დაადებს ვანოს, ავიწყდება ჩვეულებრივი დედაკაცური ზომიერება.) მე არავის მივცემ ნებას, რომ ჩვენს ვანოს აწყენინოს. მე დავიფარავ!

ვანო — (დგება ამპარტანად). მე დავიფარავო!

ქეთო — (არ აქცევს ყურადღებას; გოგლოს მიმართავს). რა უთხარით?

გოგლო — (შეშინებული და შემკრთალი). არაფერი. მე...

ქეთო — გოგლო! არაფერიო?

გოგლო — (საცოდავად დაბნეული). ესე იგი მე მინდა ვთქვა... მე... ძლიერ ვწყუხვარ... მეტს აღარ ვიზამ... ჭეშმარიტად არ ვიზამ. მარტო დაგტოვებთ...

ვანო — (გაათრებული მუქარით გოგლოს). მარტო დაგტოვებთო! აი, თქვე პატარა...

ქეთო — (შეაჩერებს). ს-ს!.. არაა საჭირო! ნება მომეცი მე ვუპასუხო.

გოგლო — თქვენ ხომ არ მირისხდებით? მითხარით, ხომ არა!

ქეთო — (მკაცრათ). გიწყრებით, ძლიერაც გიწყრებით. გაგდებაც კი მინდა თქვენი.

ვანო — (ქეთოს სიმკაცრით გაკვირვებული და უკმაყოფილო, რომ მას მეორე ვაჟიდან ქალი იცავს). დამშვიდდი, ქეთო, დამშვიდდი. მე თვით შემძლია თავი დავიცვა.

ქეთო — (აღერსით). რა თქმა უნდა, ჩემო კარგო. მაგრამ მე არ მინდა, რომ შენ გაწყენინებდენ და ცუდ გუნებაზე გაყენებდენ.

გოგლო — (ცრემლმორეული კარებისკენ მიბრუნდება). მე წავალ.

ქეთო — შეგიძლიათ დარჩეთ. სად გაგაგდოთ ეგრე გვიან. (გულმოსული.) გრცხვენოდეთ! გრცხვენოდეთ!

გოგლო — (სასოწარკვეთილებით). რა დავაშავე?

ქეთო — ვიცი, რაც მოიმოქმედეთ — ვიცი, თითქოს სულ აქ ვიყავი. არ გეკადრებოდათ ეგრე მოქცევა! თითქოს ბაღლი იყოთ, ვერ დაიჭერთ ენას.

გოგლო — (საბრალოთ). ათჯერ სიკვდილი მირჩევნია, ერთ თქვენს წყენას.

ქეთო — (ასეთი ბავშვებისათვის უსაზღვრო ზიზღით). მერე მერა, თქვენ რომ მოკვდეთ!

ვანო — ქეთო, ჩემო ძვირფასო! კამათი მგონი მეტია. აქ ერთ-მანეთს ეჭიშპება ორი ვაჟი, ყველაზე უკეთ ამ ჯიბრის გადაწყვეტაზე უნდა შემეძლოს.

ქეთო — ორ ვაჟკაცს შორის! და ამასაც ვაჟკაცს უძახი! (გოგლოს.) ა, თქვე საძაგელო ბავშო!

გოგლო — (ძალას იკრუნს ქეთოს გაწყრომაში). რადგან, როგორც ბავშს, ისე მიჯავრდებით, მეც, როგორც ბავში ისე ვიმართლებ თავს. პირველათ იმან დაიწყო. ის კი ჩემზე დიდია.

ქეთო — (ოდნავ არ უჭერებს, რადგან ვანოს ღირსება ილახება). შეუძლებელია (ვანოს) ვანო! შენ ხომ არ დაგიწყია პირველი?

ვანო — (აგდებით). არა!

გოგლო — (გულისწყრომით). ო!

ვანო — (გოგლოს). თქვენ დაიწყეთ პირველმა — დღეს დილით. (ქეთოს გაახსენდება სადილობამდის ვანოს მიერ საიდუმლო გადაკვრით ნათქვამი და ამიტომ დიდის ყურადღებით შეაჩერდება გოგლოს. ვანო გააგრძელებს შეურაცხყოფილის უპირატესობით.) მეორე თქვენი დებულება კი მართალია. ჩვენ ორში მე, რა თქმა უნდა, უფროსი ვარ და ლონიერიც. ისე რომ, ქეთო, უმჯობესია ეს საქმე მე მომანდო.

ქეთო — (ისევ ალერსით ამშვიდებს ვანოს). კი, კი, ჩემო კარგო! მაგრამ (დარცხვენილი.) ვერ გამიგია, რა მოხდა დილით.

ვანო — (ალერსით ცდილობს დაამშვიდოს). შენთვის, ჩემო კარგო, არცაა საჭირო გაიგო.

ქეთო — მაგრამ, ვანო, მე... (ისმის ზარის ხმა.) ო. ღმერთო ჩემო, ეს ქრისტეფორე იქნება. (გადის კარის გასაღებათ.)

გოგლო — (ვანოსთან მივარდება). ვანო, ვანო! რა უბედურებაა! ქეთო ჩვენ გვიწყურება; მე ვეჯავრები! რა ვქნა?

ვანო — (ჩუმი უიმედობით თმაში იტაცებს ხელს). გოგლო, თა-

ვი მიბრუნვის. ახლავ ხარხარს დავიწყებ. (დადის წინ და უკან შუა ოთახში.)

გოგლო — (შეშფოთებული უკან დაყვება). არა! არა! არ დაიწყეთ! გთხოვთ! თორემ ქეთოს ეგონება, რომ მე მიგიყვანეთ ისტერიკამდის. (სცენის იქით ისმის მხიარული ხმები. შემოდის ქრისტეფორე შეზარხოშებული.)

ქრისტეფორე — (გახარებული). უნდა მოგილოცოთ, ბატონო ივანე. ისეთი კეთილშობილური, ლამაზი, ზეშთაგონებული სიტყვა წარმოთქვით. თქვენსავე თავს გადააქარბევს.

ვანო — ძლიერ ჩქარა ვლაპარაკობდი, ქრისტეფორე?

ქრისტეფორე — ძლიერ ჩქარა, ძლიერ ჩქარა. (მწუხარებით.) ბევრი რამ გამომჩნია.

ვანო — არაფერია, ჩემო ქრისტეფორე! ვახშამი ქამე?

ქრისტეფორე — კი. თავმჯდომარემ დაგვაპტიყა მე და სხვებიც.

ქეთო — თქვენი რედაქციის კორექტორიც იქ არის, არ შემოვიდა...

ქრისტეფორე — მოიცდის, არაფერია.

ქეთო — რალაც სხენაირათ გამოიყურება, — მიხედეთ.

ქრისტეფორე — სულ შამპანური გვასვეს. თავისდღეში არ დაუღვია — და თავიც კი უბრუნის.

ქეთო — ლიმონის წყალი არ გნებავთ?

ვანო — არ უნდა, არა, ქეთო! შამპანურისათვის დაურღვევია ალთქმა ალკოპოლის მოწინააღმდეგესა.

ქრისტეფორე — დიახ, დავლიე. (ძმა-ბიჭურათ.) ის (კარებისკენ მიუთითებს.) ჩამითვრა კიდევ.

ქეთო — სახლამდის გაჰყევით.

ქრისტეფორე — და რომ დაიწყოს ქუჩაზე ცეკვა და სიმღერა! (ეტყობა, ქეთოსთან მუსაიფით ძლიერ ბედნიერია.)

ქეთო — მოუარეთ. დროით წაიყვანეთ სახლში. კიდევ უფრო არ მოეკიდოს ღვინო.

ქრისტეფორე — (საცოდავის გულნაკლულობით). ექვს გარეშეა, ჩემი მოვალეობა მხოლოდ მისი გაყოლაა, თუნდაც საჭირო არ იყოს. წავალ, წავალ. ღამე მშვიდობისა, ბატონებო. ბატონო გოგლო, თქვენ არ წამობრძანდებით?

გოგლო — (შეშინებული). დიახ, უკეთესია წამოვიდე. (მიჩქარის კარებისაკენ, მაგრამ ქეთო გადუღდება გზაზე.)



ქეთო — (მშვიდად და დაბეჯითებით). დასხედით. ახლა არ წახვალთ.

გოგლო — (სულით დაეცემა). არა... მე, მე არც კი მიფიქრია. (დაბრუნდება და შეწუხებული დაჯდება სავარძელზე.)

ქეთო — (ქრისტეფორეს). გოგლო აქ გაათევს ღამეს.

ქრისტეფორე — მაშ კარგი, ღამე მშვიდობისა, ქალბატონო ქეთო. (მიდის.)

ქეთო — (შეაჩერებს ვანოს, რომელსაც უნდა გაყვეს). დარჩი გენაცვალე, მე დავკეც კარებს. (მიყვება ქრისტეფორეს.)

გოგლო — ვანო! აქ საშინელი ამბავი დატრიალდება ახლა. არ გეშინიათ?

ვანო — სრულიადაც არა!

გოგლო — აქამდის არასდროს არ შემხარბებია თქვენი სიმამაცე. (მოკრძალებით ადგება და ვანოს მკლავზე ხელს მიადებს.) თქვენ დამეხმარებით.

ვანო — (აღერსით, მაგრამ დაბეჯითებით მოიშორებს გოგლოს ხელს). გოგლო, ახლა თავ-თავისთვის უნდა ვიმოქმედოთ. ქეთომ ჩვენ შორის ერთი უნდა აირჩიოს. (მიდის ოთახის მეორე ბოლოში. შემოდის ქეთო. გოგლო ისევ თავის ადგილზე დაჯდება. დამნაშავე შეგირდით გამოიყურება, როცა ბავშს სურს რამდენათაც შეიძლება უბრყვილოდ გამოჩნდეს.)

ქეთო — (შეჩერდება შუა ოთახში. გოგლოს). ინანიებთ შეცოდებას?

გოგლო — (დინჯათ). კი! გული მისკდება.

ქეთო — მაშ კარგი. მიპატიებია, წესიერ ბავშვთ დარჩით და წადით, დაიძინეთ. მე მინდა თქვენს შესახებ ვანოს მოველაპარაკო.

გოგლო — (წამოდგება ძლიერ შემკრთალი). ვანო, ეს არ შემიძლია. მე უნდა დავრჩე. მე არ წავალ, უთხარით ქეთოს.

ქეთო — (ამჩნევს, რომ მისი ეჭვი მართლდება). მითხრას? რა უნდა მითხრას? (გოგლო ქეთოს ცქერას აიცილენს. ქეთო მიუბრუნდება ვანოს იმავე ჩუმის კითხვით.)

ვანო — (უსიამოვნების წინათგრძნობით ემზადება). არაფერი არ მაქვს სათქმელი, გარდა იმისა, რომ (აქ მის დამდაბ-

ლებულ ხმაში მოისმის მკმუნვარე სინაზე)... რომ იგი ჩემი უდიდესი საუნჯეა, თუ კი მართლაც ჩემია.

ქეთო — (შეურაცხყოფილი, რომ ვანო მკერმეტყველებას აყვავ, თითქოს სადმე კრებაზე ლაპარაკობდეს). თუ ამის მეტი არაფერია, მე დარწმუნებული ვარ გოგლოც არა ნაკლებ იტყოდა.

გოგლო — (იმედდაკარგული). ვანო, ქეთო ჩვენ დაგვცინის.

ვანო — (გულმოსული). აქ დასაციინი არაფერია. ქეთო, შენ დაგვცინი?

ქეთო — (მშვიდათ, გულნატკენი). გოგლო მიმხდურია; ვფიქრობ, რომ სასაცილო გახდება, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ძლიერ არ მომიხდება გულისმოსვლა. (მიდის ბუხართან, დაეყრდნობა ბუხრის თავს; ფეხს მოაჯირზე შედგამს. გოგლო ფეხაკრეფით ვანოსთან მივა და ხელს ჰკრავს.)

გოგლო — (ფუჩუნით). ვანო! ვანო! მოდი ნურაფერს ვეტყვით.

ვანო — (ხელს ჰკრავს, შეხედვის ღირსად არ ხდის). იმედი მაქვს არ მაშინებ, ქეთო!

ქეთო — (ხმაში გაფრთხილება ისმის.) ვანო, გაფრთხილდი! გოგლო, აკი ვთხოვეთ მოსასვენებლად წასულიყავით. წახვალთ თუ არა?

ვანო — (ფეხს დააბაკუნებს). არ წავა. მე მსურს, რომ დარჩეს.

გოგლო — მე წავალ. მე ყველაფერში ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ გსურთ.

ქეთო — მოიცადეთ! (გოგლო გაჩერდება.) განა არ გაგიგონიათ რა თქვა ვანომ? მას სურს, რომ თქვენ დარჩეთ. ვანო ამ სახლში ბატონია და პატრონი. ნუთუ ეს არ გესმით?

გოგლო — (აღშფოთებული ტირანიით, როგორც შეფერის ახალგაზრდა მგოსანს). რა უფლებით არის იგი ბატონი?

ქეთო — (მშვიდათ). აუხსენი, ვანო!

ვანო — (გაკვირვებული). ჩემო ძვირფასო, მე ვერ ვიცნობ უფლებას, რომელიც ბატონათ გამზდიდეს და არც გამიცხადებია ასეთი უფლება.

ქეთო — (უსაზღვრო სიყვარულით). ვერ იცნობ? ო, ვანო, ვანო! (გოგლოს, დაფიქრებული.) ნეტავი ვიცოდე, თქვენ თუ გესმით ეს უფლება. არა — თქვენ ძლიერ ყმაწვილი

ხართ. მაშ ასე იყოს — დარჩით, დარჩით და ჭკუა ისწავ-
ლეთ. (მოშორდება ბუხარს და მათ შორის დადგება.) აბა,
ვანო, რა ამბავია? თქვი!



გოგლო — (მთრთოლვარე ფუჩუნით). არ უთხრათ!

ქეთო — აბა! ჩქარა!

ვანო — (გრძლათ). მე მინდოდა მომემზადებინე, რომ რაიმე
გაუგებრობა არ შეგვეპაროს.

ქეთო — ექვი არ მაქვს, რომ ასეთი სურვილი გქონდა, მაგრამ
სულ ერთია, თქვი, მე მივხვდები.

ვანო — იი... (ვერ მოუნახავს საჭირო სიტყვა.)

ქეთო — თქვი!

ვანო — (უხეშათ). გოგლომ თქვა, რომ შენ გიყვარს იგი.

გოგლო — არა! არა! არა! ათასჯერ არა! ტყუილია, ქალბატონო
ქეთო, მე ეს არ მითქვამს, ტყუილია! მე ვთქვი, რომ
მე მიყვარხართ თქვენ, მაგას კი არ უყვარხართ; მე ვთქვი,
რომ მესმის თქვენი არსება, სული, მაგას კი არ შეუძლია
გაიგოს. და ეს მას მერმე კი არ ყოფილა, რაც აქ, ბუხარ-
თან მოხდა, სიტყვას გაძლევთ რომ არა, არამედ დღეს
დილით.

ქეთო — (იწყებს გაგებას). დღეს დილით!

გოგლო — დიახ. (უყურებს, ცდილობს დააჯეროს; მერე გულ-
უბრყვილოთ.) და მაშინ დაიკმუქნა ჩემი საყელო...

ქეთო — (მოკლე სიჩუმის შემდეგ, რადგან იმავ წამს ვერ გაი-
გებს სიტყვების მნიშვნელობას). საყელო! (ოდნავ შეუ-
რაცხოფილი მიუბრუნდება ვანოს.) ვანო! ნუთუ... (შე-
ჩერდება.)

ვანო — (შერცხვნილი). ქეთო, ხომ იცი, ფიცხი ხასიათისა ვარ,
მაგან კი მითხრა (ათრთოლდება.) — თითქოს შენ გულის
სიღრმეში გეზიზღებოდე.

ქეთო — (უეცრათ მიუბრუნდება გოგლოს). თქვენ ასე თქვით?

გოგლო — (შეშინებული). არა!

ქეთო — (მკაცრათ). მაშ, ვანო სტყუის? ამის თქმა გინდოდათ?

გოგლო — არა! არა! მე... მე... (სასოწარკვეთილი უხსნის.) ეს
დავითის ცოლზე იყო ნათქვამი. და ესეც დავითის სახლ-
ში კი არ მომხდარა, არამედ როცა ცოლმა დაინახა, რომ
დავითი ხალხის წინაშე ცეკვავს.

ვანო — (სარგებლობს გოგლოს სიტყვებით, როგორც გამოცდილი მოკამათე). ცეკვავს ხალხის წინაშე და იმედი აქვს, რომ მოქმედებს მაცქერალთა გულზე, მაშინ, როდესაც მათ მხოლოდ ვნებათა ღელვა აღაფრთოვანებს. (ქეთო წინააღმდეგის თქმას აპირებს; ვანო ხელს აწევს, რომ შეაჩეროს ქეთო და წამოიძახებს.) ქეთო, ნუ ცდილობ აღშფოთება გამომიციხადო.

ქეთო — ნუ ცდილობ!..

ვანო — (ვანაგრძობს). გოგლო მართალი იყო. გოგლო ყოველთვის მართალია, როგორც შენ თქვი ცოტა ხნის შემდეგ. მას არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რაც შენ არა თქვი ბევრათ უფრო კარგად და სხარტულათ. გოგლო პოეტია, რომელიც ხედავს და ესმის ყოველი საგანი. მე კი საცოდავი, ყოვლის უმეცარი ვეჭილი ვარ.

ქეთო — (შენანიებით). და შენ სერიოზულათ ღებულობ გიჟი ბაღლის სიტყვებს მხოლოდ იმიტომ, რომ მეც ასეთი რაღაც წამოვროშე?

ვანო — გიჟი ბაღლი ბავშურის ზეშთაგონებით და გველურის სიბრძნით ლაპარაკობს. გოგლო ამტკიცებს, რომ შენ მას უნდა ეკუთნოდე და არა მე. მართალია იგი თუ არა, მე მაინც შემეშინდა, რომ მის დაჩემებას რაღაც საფუძველი აქვს. არ მსურს ეჭვითა და ფიქრით ვიტანჯებოდე. არ მინდა შენთან ვიცხოვრო და თან რაიმე შენთვის უცნობი საიდუმლო მქონდეს. არ მინდა განვიცდიდე დამამცირებელ გრძნობას ეჭვისას. და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ შენ რომელიმე ჩვენგანი უნდა აირჩიო. მე ვუცდი შენს გადაწყვეტილებას.

ქეთო — (ნელა დაიხვეს უკან. სწყინს, რომ რიტორიკას მიმართა ვანომ, თუმცა დარწმუნებულია, რომ გულწრფელათ ლაპარაკობს). მაშ მე უნდა ავირჩიო? თქვენ კი გადაწყვეტილი გაქვთ, რომ მე ან ერთს უნდა ვეკუთნოდე და ან მეორეს?

ვანო — (მტკიცეთ). დიახ, გადაჭრით უნდა აირჩიო ერთი ჩვენგანი.

გოგლო — (შეშინებული). ვანო, თქვენ არ გესმით რას ამბობს

ქეთო! მას სურს თქვას, რომ იგი ეკუთვნის მხოლოდ თავის თავს.

ქეთო — (მიუბრუნდება მას). მაგი და კიდევ ბევრი სხვა მსურს ვთქვა, ბატონო გოგლო. ახლავ ორივე გაიგონებთ, თუ რისი თქმაც მსურს. ჯერ ეს მითხარით, ჩემო მბრძანებლებო და ბატონებო, რას იძლევით არჩევისათვის? როგორც ეტყობა, მე საჭაროთ ვიყიდები. შენ, ვანო?

ვანო — (საყვედურით). ქეთ... (ქვითინი შეაწყვეტინებს ხმას; თვალები ცრემლებით აქვს სავსე; ორატორი აღარ ჩანს: არის დაქრილი ცხოველი.) მე არ შემიძლია ვილაპარაკო!

ქეთო — (მივარდება). ძვირფასო, კარგო!..

გოგლო — (გააფთრებული შიშით). მოიცადეთ! ეს უკანონობაა. თქვენ არ უნდა შეამჩნევით, რომ იტანჯებით. მეც არ ვარ კარგ მდგომარეობაში, მეც ანძაზე ვარ აცმული, მაგრამ არ ვტირი.

ვანო — (მთელ ძალ-ღონეს მოიკრებს). თქვენ მართალი ხართ. შებრალებას არა ვთხოვლობ. (თავს ინთავისუფლებს ქეთოსაგან.)

ქეთო — (დაიხვეს შეურაცხყოფილი). ბოდიშს ვიხდი, ვანო. მე არ მინდოდა შეგხებოდი. მე ვიცდი, თუ რა წინადადებას მომცემ.

ვანო — (ამაყი თავდაბლობით). მე შემიძლია მოგაწოდო მხოლოდ ჩემი ძალა; ჩემი პატიოსანი სურვილით უზრუნველყო ყოველის მხრით; ჩემი ნიჭი და ენერჯია, რომ სიღარიბეს აგაშორო და ბოლოს ჩემი გავლენა და სოციალური მდგომარეობა, რომელიც შეეფერება შენს ღირსებას. ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ვაქმა ქალს უნდა მიაწოდოს.

ქეთო — (სრულიად დამშვიდებული). აბა, თქვენ, გოგლო? თქვენ რას მპირდებით?

გოგლო — ჩემს სისუსტეს! ჩემს სასოწარკვეთილებას! ჩემის გულის ტანჯვას.

ქეთო — (ამ სიტყვების ზეგავლენით დამორჩილებული). ცუდი დაპირება არ არის, გოგლო! ახლა კი ვიცი, როგორ მოვახდინო არჩევანი. (შეჩერდება, ორივეს ათვალიერებს, თითქოს სწონისო მათ. გოგლოს სიტყვების შემდეგ ვა-

ნოს სიამაყე დაეკარგა და სულისშემხუთავი შიშით შეპყრობილი მოუთმენლათ ელის გადაწყვეტილებას. გოგლო ძლიერ თვალგაფაციცებულა. მისი არც ერთი ძარღვი არ იძვრის.)

ვანო — (ხმაჩავარდნილი. ტანჯული. გულის სიღრმიდან). ქეთო!

გოგლო — (თავისთვის, ზიზღით). ლაჩარი!

ქეთო — (მრავალმნიშვნელოვანათ). მე ჩემს თავს ვაკუთვნებ უსუსტესს. (გოგლო მიხედება, თუ რისი თქმაც უნდა ქეთოს. სახე უთეთრდება.)

ვანო — (თავს დახრის არაქათვამოლეულის სიმშვიდით). ვეთანხმები, ქეთო, შენს გადაწყვეტილებას.

ქეთო — გესმით, გოგლო?

გოგლო — ვგრძნობ, რომ დავიღუბე, იგი ვერ აიტანდა ასეთ დამარცხებას.

ვანო — (იღებს თავს, არ სჯერა, მკვახეთ). ნუთუ შენ გინდოდა, ქეთო, გეტქვა, რომ ჩემს სასარგებლოთ სწყვეტ არჩევანს.

ქეთო — (ღიმილით). დავჯდეთ და ჩვენი მდგომარეობა მეგობრულათ გავსაჯოთ. (ვანოს.) ჩემო კარგო, დაჯექი. (ვანო აიღებს ბუხართან მდგომ პატარა სკამს.) გოგლო, გამომიწიეთ სავარძელი. (გოგლო აიღებს სავარძელს რაღაც მოთენთილი ძალით. დადგამს ბუხრის წინ და ვანოს სკამს გვერდში მიუდგამს. წავა და სავარძელზე მარტო დაჯდება ჩუმი და საიდუმლოებით მოცული. ქეთო, როცა ყველა დაჯდება, იწყებს მშვიდი, მოფიქრებული და ნაზი ხმით, რომლითაც მშვიდობას ამყარებს ამ დატანჯულ ადამიანთა გულში.) გახსოვთ, გოგლო, თქვენ ერთხელ მიამბუთ თქვენ თავზე, თუ როგორ იზრდებოდით მოხუცი ძიძის გარდაცვალების შემდეგ ყოველივე მოვლას მოკლებული, იზრდებოდით დედ-მამის აღერსსა და სიყვარულს მოკლებული; თუ როგორ იტანებოდით რუსეთში და როგორ ცდილობდა მამათქვენი შიმშილით აეტულებიეთ დაბრუნებულიყავით კორპუსში. უსახლ-კაროთ, უთვის-ტომოთ გიხდებოდათ თქვენ მუდამ ცხოვრება — ყოველთვის გაუგებარი იყავით და სიყმაწვილის წილათ არ გზდომიათ სიამოვნება. საწყალი ბავში!

გოგლო — (თავისი ბედის კეთილშობილობის შეგნებით). მე მქონდა წიგნები და ბუნება. ბოლოს თქვენ შეგხვდით.

ქეთო — ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. გთხოვთ შეხედოთ მეორე ბავშს, ჩემს ბავშს, აკვანიდანვე განებივრებულს. ორ კვირაში ერთხელ ჩვენ მივდივართ ვანოს დედ-მამის სანახავათ, ერთხელ თქვენც უნდა წამოხვიდეთ, გოგლო, მაშინ ნახავთ სურათებს ამ ოჯახის გმირის, ვანო — ძუძუმწოვარა! ყველა ძუძუმწოვარაზე უკეთესი! ყოველ სასწაულზე უფრო დიდი სასწაული! ვანო სკოლაში პირველი ჯილდოს მიღების შემდეგ! ჯერ კიდევ რვა წლის რომ იყო! მერმე ვანო თერთმეტი წლისა. ვანო პირველათ ფრაკში გამოწყობილი! ვანო თვისი ცხოვრების ყოველ სასახელო წამში! იცით რა ლონიერია ვანო?! იმედი მაქვს, არ დაურტყმევია თქვენთვის! რა ჭკვიანია — რა ბედნიერია! (უფრო დინჯათ.) თქვენ ჰკითხავთ ვანოს დედას და სამ მის დას, თუ რა მოიმოქმედეს, რომ ვანო გაეთავისუფლებიათ ყოველივე ზრუნვისაგან, რათა ვანო ყოფილიყო ჯანსაღი, ჭკვიანი და ბედნიერი. მეც მკითხეთ, თუ როგორ ვახერხებ ვანოს გავუწიო დედობა, დობა, მეუღლეობა და მის შვილებს დედობა. ჰკითხეთ მაროს, ქრისტეფორეს, თუ რა მოსაწყენია ოჯახის მოვლა, მაშინაც კი როცა ისეთი სტუმრებიც არ გვყავს, რომელიც ნიორის გაფცქვნას გვეხმარებოდეს. ჰკითხეთ საქმისათვის მოსულთ, რომელნიც აწუხებენ ვანოს და დროს არ აძლევენ გაამზადოს თავისი მშვენიერი სიტყვები; ჰკითხეთ, ვინ გააგდებს მათ სახლიდან? როცა ვისმე ვეხმარებით ფულით, მაშინ ვანო აძლევს; მაგრამ როცა საჭიროა უარისთქმა, უარს ვეუბნები მე. მე ვქმნი ოჯახის კეთილდღეობას, ვასრულებ ვანოს ჟინს. ვაფუძნებ სიყვარულს და დარაჯათ ვდგავარ, რომ გავათავისუფლო იგი ყოველივე მცირე უსიამოვნებიდან და უბრალო ზრუნვისაგან. მე ვაყენებ ამ სახლის ბატონათ და პატრონათ, თუმცა მე რომ აქ ახლა არ მეთქვა, არც იცოდა და რომ გეკითხათ — ვერ გიპასუხებდათ, თუ როგორ ხდება ყოველივე ეს. (ოდნავის დაცინვით.) და როცა იფიქრა, რომ მე თქვენ გაგყვებით, პირველათ მისი აზრი იყო, თუ უმისოთ მე რა

დამემართებოდა. და მე რომ მოვესყიდე, დამპირდა (დაიძრება განოსკენ და ყოველ სიტყვასთან ალერსით თმას დასწევს). თვის ძალას ჩემდა დასაფარსვეთ, თანეს ნიჭსა და ენერგიას — ჩემს ღირსეულათ შესანახათ, თავის სოციალურს მდგომარეობას, რომ... (ხელს გაუშვებს) მე ავურიე შენი მშვენიერი წინადადებები და დაეარღვიე შთაბეჭდილებანი... არა, ჩემო კარგო? (ნაზათ მიაყრდნობს მის ლოყაზე ლოყას.)

ვანო — (სრულიად დამონებული დაიჩოქებს და ეხვევა უბრყვილოთ, ვით ბავშვი). მართალია, მართალი, ყოველი სიტყვა მართალია! რაც კი ვარ, შექმნილია შენ მიერ. შენის ხელების შრომით და გულის სიყვარულით, შენ — ჩემი მეუღლე ხარ, ჩემი დედა, და; მე მხოლოდ ჯამი ვარ შენ მიერ ჩემდამი ზრუნვისა და სიყვარულისა.

ქეთო — (ჩახვეული ღიმილით გოგლოს). აბა, თქვენ მითხარით ახლა, გოგლო, ვარ მე თქვენთვის დედა, და?

გოგლო — (ადგება მედიდურათ, ძაგებით). არასდროს! მე მივიმალეები ღამის წყვდიადში.

ქეთო — (საჩქაროთ ადგება და გზას გადულობავს). თქვენ ასე არ წახვალთ, გოგლო.

გოგლო — (დავავკაცებულისა და არა ბავშვის ხმით). ვიცი ის საათი, რომელმაც დაჰკრა და მეჩქარება შევასრულო ის, რაც უნდა მოხდეს.

ვანო — (წამოდგება იატაკიდან შეწუხებული). ქეთო, ხელი შეუშალე, რაიმე არ ჩაიღინოს!

ქეთო — (ნდობით უღიმის გოგლოს). ო, აქ სასაშიშრო არაფერია! იგი მიჩვეულია უბედურათ ცხოვრებას.

გოგლო — მე არც კი მსურს ბედნიერება, ცხოვრება უფრო კეთილშობილურია, ვიდრე ბედნიერება, ვეჭილო ვანო! ჩემს ბედნიერებას ორივე ხელებით თქვენ გაძლევეთ. მე მიყვარხართ თქვენ, რადგან თქვენ აღვივსითა გული ჩემი საყვარელი ქალისა. მშვიდობით. (მიდის კარებისაკენ.)

ქეთო — უკანასკნელი სიტყვა. (შეჩერდება, მაგრამ არ შემობრუნდება.) რამდენი წლის ხართ, გოგლო?

გოგლო — ახლა იმდენისვე ვარ, რამდენისაც დედამიწა. ამ დღესას კი თვრამეტის ვიყავი.

ქეთო — (მიუახლოვდება, უკანიდან ალერსით მხარზე ერთხელს დაადებს). თვრამეტი! დაწერე ჩემთვის ერთი პატარა ლექსი. კარგი? მაგრამ ერთის პირობით: იქ უნდა იქნეს ორი წინადადება, რომელსაც ახლა ვიტყვი.

გოგლო — (უძრავათ). მითხარით ეს ორი წინადადება.

ქეთო — როცა მე ოცდაათისა ვიქნები, ის იქნება ორმოცდახუთის, როცა მე ვიქნები სამოცის, ის იქნება სამოცდახუთმეტის.

გოგლო — (შემობრუნდება). ასი წლის ორივე ერთის ხნის ვიქნებით. ჩემს გულში უკეთესი საიდუმლო მაქვს. ახლა კი ნება მიბოძეთ წავიდე. მოუთმენლათ მელის გარშემორტყმული ღამის წყვილიაღი.

ქეთო — შშვიდობით. (ხელებით შეეხება მის სახეს. გოგლო მიხვდება ქეთოს აზრს და მუხლს მოიყრის. ქეთო შუბლზე ჰკოცნის. გოგლო გარბის. ქეთო შემობრუნდება ხელგაშლილი.) ოხ, ვანო! (ეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან. საიდუმლო კი, რომელიც წაიღო თავის გულში პოეტმა, გამოუცნობელი რჩება მათთვის.)

[1914]

შ ე უ თ ა ნ ს მ ე ბ ე ლ ნ ი

(პიესა ხუთ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

ფარნაოზა მარგველაძე — გლეხი.

ელისაბედი — მისი ცოლი.

შაქრო — მათი ვაჟი.

პარმენა — ფარნაოზის ძმა, რკინიგზის მუშა.

მართა — მისი ცოლი.

ანიკო — მათი ქალიშვილი.

ოდანია სარქველაძე

სპირიდონი

გაიოზი, იგივე ლავრენტი

} გლეხობაში მოძრაობის მე-
თაურნი, რკინიგზის მუშები.

ივანე ვასილის ძე გოლიაშვილი — კომერსანტი-ინჟინერი.
მისი მეუღლე.

ტანია — მათი ქალი.

თაყაძე

გიორგი

არჩილ

} ინტელიგენტები.

იოსებ ნორაბიძე — არჩილის მამა.

ლადიკო ნორაბიძე.

უმბანოვი — ქანდარმის როტმისტრი.

კირილე, ფელდფებელი, ესტატე, დიასახლისი, მანდილოსნები, კოსტა,
გაწოლილი მუშა, მსახური, ვახტანგი, ელენე, ვაჭრის ცოლი.

ლიანგში: ჟანდარმის პოლკოვნიკი, ბოჭაული, ტყის მჭრელი
სვანები, წითელრაზმელები, სადგურის უფროსი, უფროსი მე-
მანქანე, მგზავრები, ახალგაზრდობა, ჯგუფი ინტელიგენციისა,
კორიკანა ქალები, მოსეირნე ხალხი და სხვა.

მოქმედება სწარმოებს 1905 წ. — 1914 წ. მანძილზე.

მოქმედება I

ეპიზოდი 1

მოქმედებას წინ მიუძღვის მუსიკა, რომელშიაც უნდა გამოიხატოს უფერულად ჩატარებული რთველი სოფლად. უკმაყოფილო კლი მოუსაველიანობით გამოწვეული.

სცენა — ფარნაოზა მარგველაძის იმერული ღარიბი გლეხის ეზოსაზღვარი. თელსაჩინო ალაგას ცაცხვი. ფარნაოზა ჩალის კონქსზე აბულულებს. ელისაბედი სიმინდის მომცრო ხევეთან ზის და სიმინდის ტაროებს ნაჭურჩელს აცლის.

ფარნაოზა — სად გადაკარგე ის ბიჭი? რა იქნა ამდენ ხანს?..

ელისაბედი — ბეჩა, ძროხა ეზოდან გადასულა და უთუოდ ახლა დაკუნტრუშობს მოტეხილ ქალებში... ადვილათ ვერ მონახავს...

ფარნაოზა — მოტეხილ ქალებში თვარა, წრეულს რომ ჩვენ მოსაველი მოგვივიდა...

ელისაბედი — მართალია, რომ ოდანიასაც ნაკლები მოსაველი ჰქონდა წრეულსო?

ფარნაოზა — რავე ხამივით კითხულობ, ბეჩა ელისაბედ... ოდანია რა? მართალია, ცოტა წელმაგარი ყაძახია, მარა... თუ არ მოგივა ყანაო, მგელმაც კი შეგიჭამაო... ხომ გაგიგონია! ასე მითხრა წედან — სიმინდი თუ შუა იენისამდე გამყვა, კაი უნდა და ღვინო ხომ ნამდვილათ, სოფლის დღეობა რომ ვიცით, საყიდელი გამიხდებოა.

ელისაბედი — ეი, დასწყევლოს ეშმაკი! ამისთანა შემოდგომას რა უთხრა მე... მაინც რა უფერული რთველი იყო ყველგან. ერთი ხევე არ გამიგონია, ნადიც არავის სახლში არ დამინახავს.

ფარნაოზა — კაცო, ხევე და ნადი რაფერ იქნებოდა, რომ ამ

ვერ ხედავ, ოდანია რას ლაპარაკობს? მე და ჩემისთანებ-
მა კი რაცხა ორი კალათი სიმინდი შემოვიტანეთ სახლში,
აგერ ათიოდე კონა ჩალას ვინახავ მთელ ზამთრისათვის...
ესაა და ეს — ამას რა ნადი და სიმღერა უნდოდა.

ელისაბედი — (გაიხედავს). ო, შაქრო მოდის და ჩვენი ძროხაც
მოჰყავს... ვენაცვალე ბიჭს.

ფარნაოზა — (გასძახებს). იქით მოარონიე ძროხა, იქით, ბიჭო,
და პალოზე მიაბი სასიმინდეს ქვეშ... (ჩალის კონების ხე-
ზე დალაგებას ათავენს. ქვეით დაცვენელ ჩალას ერთგან
შეაგროვებს და შემდეგ ყალიონს გააბოლებს და ცაცხვს
შეაჩერდება. ამავე დროს მალხაზი ბიჭი შაქრო მკვირცხ-
ლად მოვა დედასთან, მიუჯდება ხვავს და იწყებს სიმინ-
დის რჩევას. ფარნაოზა ამ დროს ცაცხვს ნელ-ნელა გარ-
შემო უვლის.)

ელისაბედი — (შეამჩნევს ფარნაოზას საქციელს და გულნატკე-
ნი და შეშინებული). რა იყო, ფარნაოზ ბეჩა, რას უტრი-
ალებ მაგ ცაცხვს... აჰ, აჰ! მაგი არ ქნა, არა...

ფარნაოზა — (მწარეთ გაეცინება). რავა, მიმიხვდი?..

ელისაბედი — აჰ, მაგი არ ქნა, ვაფიცებ ამ ბიჭის თავს...

ფარნაოზა — ახირებული ხარ, შენ არ მომიკვდე! მაგი არ ვქნა—
აბა შიმშილით დავიხოცოთ ამ ზამთარში? ხომ ხედავ,
რომ საკმელი ლუკმა პური არ გვექნება ამ ორი-სამი
თვის შემდეგ...

შაქრო — (დედას). რა უნდა ბაბაის?

ელისაბედი — რა უნდა, შვილო, და... აი ცაცხვი რომაა, იგი
უნდა მოჭრას და... ამითი ხელი შეინაცვლოს.

შაქრო — ხელი შეინაცვლოს?.. მოჭრას?.. (ეტყობა, შეწუხე-
ბულია, მაგრამ თავის აზრის გამოთქმას ვერც ახერხებს
და ვერც ბედავს.)

ფარნაოზა — ჰოდა, რა გგონია შენ... ქვედა ტოტებიდან ჩამო-
ნაჭერ-ჩამონახერხიდან ორი ურემი ნაპობი გამოვა...
(შაქრო უკვე ფეხზეა, მამას უახლოვდება და თან ვაფაცი-
ცებით თვალყურს ადევნებს მის საქციელს და სიტყვებს.
ფარნაოზა ხეს გარშემო უვლის.) ზევითა ტოტებიდანაც
შეაკოწიწებს კაცი ერთ-ორ ურემს წვრილ შეშას... ფიცა-
რიც იქნება ერთი ათი... მარა შენ ის თქვი, ელისაბედ,

ძირი თუ ფულურო აქვს... თუ არა აქვს, კიდე დიდი ბე-
დი: გობებს ახდის კაცი...

შაქრო — (გაეცინება, ეტყობა იამა). ჰმ... გობები!

ფარნაოზა — მარა... თუ შიგ ჩამპალა და წყეული ვასაკა ზის...
მაშინ... მაშინ ნახევარი შრომა ჩეივლის... დიდი შრომა
უნდა...

ელისაბედი — (ეტყობა ქმრის აზრი თანდათან მოსწონს). დამ-
ხმარეც დაგჭირდება, დამხმარეც...

ფარნაოზა — დამხმარე?... ჰო... ეს ბიჭი მაინც მომსწრებოდა იმ-
ხელა, რომ ბირდაბირი გაეწია, ეპ!..

ელისაბედი — (განზე გაიხედავს). ეს ვინ არი? გაიხედე, კაცი,
ეგერ ჭიშკარს მოადგა ურმით.

ფარნაოზა — (უკმაყოფილოთ გაიხედავს). ვინ უბედურობაა ამ
უდროო დროს... (უკვირდება.) უჰ, ბიჭო, ნამდვილათ
ჩემი ძმა პარმენა უნდა იყოს... რამდენი ხანია არ მინა-
ხავს, კარგათ ვერც ვცნობ, მარა ის არის, ის.

ელისაბედი — (წამოდგება, თავშალს ისწორებს; დაფაცურდე-
ბა). უიმე, ღმერთო მომკალი, ეს უთუოდ ცოლია მისი...
აბა, ბიჭო, შაქრო, გაიქეცი... (შაქრო დაიძვრება, თვითო-
ნაც მიდის მისაგებებლათ.)

ფარნაოზა — ჭიშკარი ამოჩელტილია და ურემს ვერ გადმო-
იყვანს, მარა ისე დავეხმაროთ, ალაგვზე გადმევიყვანოთ
და ბარგიც გადმოვატანიოთ. (მიდის. ცოტა ხნის შემდეგ
წინ მოდიან ელისაბედი და მართა. ორივეს ხელში რალაც
ფუთები უჭირავთ. მათ უკან ფარნაოზას და პარმენას
მოაქვთ დიდი მაფრაშა, შაქროს კიდეც რაიმე მომცრო
ბარგი.)

ელისაბედი — აქეთ მობრძანდი, გენაცვალე, აქეთ...

მართა — გმადლობთ, შენი ჭირიმე, ვიახლები... (მიდიან სახ-
ლთან.)

ფარნაოზა — (პარმენასთან ერთად სახლში მაფრაშა შეაქვს,
მიმავალი). აბა, ელისაბედ, ახლა შენ იცი... კეცები და-
აფიცხე... შაქრო, ქათამი დაიჭირე ერთი და დაკალი...
(შაქრო ბარგს სახლში შეიტანს, იმწამსვე სახლიდან სირ-
ბილით გამოდის, ეზოში რაიმე ჯოხს წაავლებს ხელს და
ქათმებს გამოუდგება დასაჭერათ.)

მართა — (ელისაბედს). რაზე წუხდებით, შენი ჰირიმე, ჩემო რძალო... აგერ ჩაი მაქ და შაქარი წამოღებული და იგი დავლიოთ...

ელისაბედი — ჩაი?... ამ... ქალაქური ჩვეულება... კარგია... კარგი... გულბოყვს არგებს თურმე.

მართა — (ფუთაზე მიკრულ თუნუქის ჩაიდანს მოხსნის). უკაცრავათ, ერთი წყალი არ შეიძლება, რომ ეს გამოვრეცხოთ?

ელისაბედი — წყალი? რავა არა, შენ შემოგველოს ჩემი თავი. (შედის სახლში და კოკით წყალი გამოაქვს. თუნუქს თვითონ გარეცხს. მართა მკერდზე მიწოლილ ბავშვს ულოლიავენს. ფარნაოზა და პარმენაც სახლიდან გამოდიან.)

პარმენა — (გასძახებს ჰიშკრისკენ). აბა, ბიძიკო, ახლა არ შემოგალამდეს შენ. მეიწიე აქეთ, პეტერე... (გამოჩნდება ახალგაზრდა მეურმე. პარმენა ფულს გადაუთვლის.)

ფარნაოზა — (ელისაბედს). დედაკაცო! ერთი ყველი და მჭადი მაინც გექნება, გამოუტანე აგერ მეურმეს, თვარა ეჩქარება.

პარმენა — ჰო, ჰო, ეგ კარგი იქნება. დროზე თუ არ გარეკა ხარები, დღისსულით ვერ ჩაასწრებს თავის სახლში.

(ელისაბედს მოაქვს ყველი და მჭადი.) (ბნელდება. კინო: რამდენიმე დაღამება და გათენება სოფლად და თან გაქირვებული სოფლის იდილიური სურათი.)

ფარნაოზა — (პარმენს). აბა ახლა, ჩემო ძმაო, მოდი, კაცო, აგერ ჩამოჯექი... რამდენი ხანია აქ ხარ და ერთი არაფერი გითქვამს რა ამბავია ქალაქში.

პარმენა — რა ვიცი, ფარნაოზ ჩემო, რომელი ახალი ამბავი გინდა... თუ სოფლის გარემოება გინდა გეიგო, ქალაქში ამბობენ, რომ მიწებს ხალხს დაურიგებენო.

ფარნაოზა — უმ... რას ამბობ?

პარმენა — გადასახადი არ იქნებაო.

ფარნაოზა — უჰ... (პაუზის შემდეგ.) მერე ხელმწიფე რას ამბობს?

პარმენა — იმას ქე ჩამოაგდებენ.

ფარნაოზა — (თავს გაიქნევს, ჩაფიქრდება, შემდეგ იტყვის). ეს ძნელი საქმეა, ჩემო ბატონო... ბაბუჩემიდან გამიგონია,

მთელი იმერეთი ეომებოდა, მარა აჯობაო, ახლა რა უნდა
ქნათ?

პარმენა — მეც მეეჭვება... ამბობენ სოციალიზმი, მოვითხოვ

ფარნაოზა — ეს ვინლაა? (ამ დროს შაქრო მოიტანს ფიჩხს და
შეარბენინებს სახლში. შემდეგ გამოდის და მოსაუბრეებს
წინ აეტუზება.)

პარმენა — ეს ისაა, რომ ქარხნები, სახლები, ყველაფერი მუშის
იქნება. თავისუფლება იქნება, გადასახადიც მოისპობა და
მღვდელიც...

ფარნაოზა — მიწებზე რომ ამბობენ ის მითხარი... ვის მიწას
მოგვცემენ?

პარმენა — ყველას.

ფარნაოზა — ახლა ოდანიას ხომ ვერ წაართმევენ?

პარმენა — მართლა, რაეა ოდანია? ხომ ისევე ყოჩალათაა?

ფარნაოზა — ყოჩალათ, რა უჭირს, მარა წრეუნდელი მოუსაე-
ლობა იმასაც ძალიან დააჩნდება.

პარმენა — აბა, მართლა, ასეთი მოუსაელობაა წრეულს?.. გზა-
ში ქე მეუბნებოდენ, ძალიან დიდი გასაჭირი დაადგება
წრეულს სოფელსო...

ფარნაოზა — რა სათქმელია!.. მარა ჯერ ეს მითხარი, კაცო, ვის
მიწებს მოგვცემენ. მართლა ახლა, ოდანიასთანებს ხომ არ
წაართმევენ?

პარმენა — არა! სახელმწიფოს, თავადებს, ეკლესიებს...

ფარნაოზა — ჩვენ არაფერი გვერგება და ისაა...

პარმენა — რატომ, შე კაცო?

ფარნაოზა — ჩვენმა ნაბატონარმა ქე გაყიდა რაცხა ორი ქცევა
ადგილი ჰქონდა და ისე არც სახელმწიფოა აქ და არც საე-
ლესიო.

პარმენა — სხვაგან მოგვცემენ.

ფარნაოზა — ეჰ, თუ ვეიყარე, კაი ამბავი ყოფილა! მარა ახლა
შენ ეს მითხარი, რაეა შენი სამსახურის საქმე.

პარმენა — რაეა და — ახლა სამსახური არ მაქვს, ქე დამპირდა
სადგურის უფროსი, რავარც მოხვალ ადგილს რამეს გი-
შოვიო, მარა ვინ იცის. ჩემი დედაკაცი მეცოდება საშინ-
ლათ... ვერ ხედავ, რა ფერზეა? რაც ჯვარი დევიწერეთ
ასე აწვალებს ციება... ახლა, ბალანეიც დაერთო. მეისრო-

ბას ვიყავი დაპირებული (ამ დროს რაღაც საქმეზე გამოდის ელისაბედი და ისევ შედის სახლში) და ახლა უყურებს რა შემართება ამ ოხერი ავადმყოფობით...

ფარნაოზა — რავა, სულ აპრობ სამსახურის მიტოვებას?

პარმენა — არა, აჰ, აქ რა გამაძლებინებს... პატარა მინდა გვეისვენო და დედაკაცი კაი ჰაერზე ვამყოფო...

ელისაბედი — (გამოდის და გამოყავს მართა). აქეთ მობრძანდი, გენაცვალე, აქ დეისვენე წინა კარში, უფრო კარგი ჰაერია და არც ცივა ჯერ.

მართა — არა, ჰაერი, იცოცხლე, ეტყობა, აქ კარგია, მარა ბარემ მომედლებინა ის წყალი.

ელისაბედი — წყალი! რა უნდა, გენაცვალე, იქ შაქროა და ის უგდებს ყურს... აქ დაჯექი, გენაცვალე, ა, აგერ, გინდა მუთაქა მოგიტანო?

მართა — რაზე წუხდები, ბატონო... ასეც არაფერი მიჭირს.

ელისაბედი — ჰოდა, ძალიან კარგი... მეც ქე მოგიჯდები აქ ცოტა ხანს. ყველაფერი მზათ მაქ და... როცა დრო იქნება, შაქრო დამიძახებს.

მართა — ძალიან კარგი, ბატონო, დაბრძანდი, შენი ჭირიმე...

ელისაბედი — კი არ მიძრახო, მართა გენაცვალე, და ერთი ეს ამიხსენი, შენი ქმარი ამბობდა წელან, ყური მოვკარი, მეისრობას არიან დაპირებულიო... რაა ეს მეისრე, გენაცვალე?

მართა — რაა, ქალო, და რკინიგზის სადგურებზე გზა ორისამია; მატარებელი კი ოცი და ასი დაგლიჯინობს; ერთს აქეთ გადაიყვანს და მეორეს იქით.

ელისაბედი — რატომ?

მართა — აბა ერთმანეთს დაეტაკებიან.

ელისაბედი — რავა დაეტაკებიან, ბეჩა, ბრმა არიან თუ, ჩაუარონ ერთმანეთს გვერდით.

მართა — ჰოდა, იმიტომაც გადაჰყავს მეისრეს.

ელისაბედი — (ტუჩებზე თითებს მიიღებს). და ერთი კაცი რავა გედეიყვანს, ყარამანია თუ? მე ასე გამიგონია, თითო მატარებელი ათი ათასი და კიდო მეტი ბათმანი არისო.

პარმენა — (ფარნაოზს). არა, ასე არ შეიძლება... რაცხა უნდა ვქნათ, თვარა საბოლოოთ სული ამოგვხვდება...



ფარნაოზა — რა უნდა ვქნათ?

პარმენა — სამუშაოთ წავიდეთ.

ფარნაოზა — უმ... სად წახვალ, სადა? ვინ მოგცემს?

პარმენა — ახლა რომ მოვდიოდდი, დიდძალი ხალხი შემხვდა, ტყის საჭრელათ მიდიოდენ.

ფარნაოზა — ჰოო, მაგი არაა ცუდი, მარა იარაღი უნდა, ფული უნდა, საგზალი უნდა.

პარმენა — ვიშოვით, შე კაცო, ასე ხელის გაუნძრევლათ და რჩობა რავე შეიძლება?!

ფარნაოზა — ანძრიე შენ ხელი.

ელისაბედი — (მართას). ჰო, ჰო, ადვილი საქმე ყოფილა... ნეტავი ჩემი ფარნაოზიცი იშოვიდეს მაგ ადვილს. გადავალთ ქალაქში და ეს ჩემი ბიჭიცი რაცხას ეწევა, ისწავლის ერთ ორ ანბანს...

პარმენა — (ფარნაოზს). შენი ბიჭიციოც წამეიყვანე, ფარნაოზ... (ელისაბედი შესწყვეტს ლაპარაკს და მამაკაცებს ყურს უგდებს.)

ფარნაოზა — რათ გვინდა, კაცო, ცერისოდენა ბიჭი?! ამ კლდე-ღრეში ხეს ვერ მოჭრის და ვერ გადააბრუნებს.

პარმენა — წყალს მოგვიტანს, ბინას მოგვიცავს, ხარებს მოუვლის.

ფარნაოზა — ხარებიც წვეიყვანოთ?

პარმენა — წვეიყვანოთ, თუ არ გამოგვადგა, აი, სწორედ მაგი წამეიყვანს.

ფარნაოზა — მაგას რავე ვანდობ ხარებს, ამ სიშორე გზაზე?

პარმენა — შე კაცო, არც ისე ქვეყნის კიდეზეა დადიანის ტყე: დილას ადრე რომ წავა, ღამეს მოყვრისას გაითევს საღმე და მერე საღამოს ქე მოუვა დედამისს.

ფარნაოზა — დედამისიცი არ გამოუშვებს, აქ მარტო ქალები რას გააწყობენ?

ელისაბედი — ვიზე ლაპარაკობთ, ბეჩა, ვინ უნდა წეიყვანოთ?

ფარნაოზა — აგერ პარმენა მეუბნება, სამუშაოზე წავიდეთ და შენი ბიჭიცი წამეიყვანეო.

ელისაბედი — ჰოდა, რა უყოთ მერე, ძალიან კარგს იზამ. (პარმენს) წეიყვანე, ბატონო, წეიყვანე. იქნება თვალი გაახლოს და ქვეყანა დეინახოს... გამოადგება, ჩვენსავით

ხომ არ უნდა ჩაკვდეს ჯურღმულში... (ისევ მართას მიუბრუნდება და ლაპარაკს დაუწყებს.)

ფარნაოზა — კაი, რადგან ყველა ჩამაცივდით, თქვენი ნება იყოს, წევიყვან, ოღონდ შენ ის თქვი, თვითონ ჩვენ მოვახერხებთ წასვლას თუ არა?

პარმენა — კარგია ახლა, ნუ ხარ ჯანჯალი კაცი, გეუბნები, რამეს მოვახერხებთ, ოღონდ ხელი გავანძრიოთ-თქვა და მეტი რაღა გინდა: იარაღები ოდანიას აქვს, ცოტა ფული მე მაქ. საშოვარში მივდივართ, შე კაცო, ვიშოვით რამეს, ასე ქვეყანა რაღა შეიკრიბა ჩვენ ჯინაზე... და მერე ერთმანეთში გავსწორდებით.

ფარნაოზა — კაია, ძმაო, თუ რამეს გამოაწყობ, მუშაობას არ დავაკლებ და სხვა რა შემიძლია?!

პარმენა — მე ასე მევისაზრე და შენ არ ვიცი რას იტყვი.

ფარნაოზა — რაღას ვიტყვი რა, თავის კარგი ვის არ უნდა.

პარმენა — ჰოდა, რავარც გითხარი, წვევიდეთ მე, შენ და ოდანი, წვევიყვანოთ შენი პატარა ბიჭი და შენი ხარ-ურემი. რაც ურემზე დეეტევა, ჩალა წვევილოთ და ერთი ორი-სამი ბათმანი ფქვილი; ერთ ხანს ქე გევიჭირვოთ.

ფარნაოზა — ვნახოთ...

პარმენა — რაღა ვნახოთ? რაც დრო გავა, მით უარესი: ტყეს ქიანქველასავით მოედება ხალხი — ჩვენსავით დამშეული და გაჭირვებული ბევრია. გადავიდეთ ახლავე ოდანიასთან და მოველაპარაკოთ.

ფარნაოზა — ახლავე?

პარმენა — ჰო, ახლავე. ნუ ხარ-მეთქი ჯანჯალი კაცი. წვევიდეთ, წვევიდეთ!

ფარნაოზა — კაი, შენი ნებაა.

ელისაბედი — სად მიხვალთ? საცაა ვახშამი მზად იქნება. (მიდიან. შაქროც გაჰყვება.)

ფარნაოზა — მოვალთ, მოვალთ... საქმე გვაქვს პატარა.

ელისაბედი — მაინც რაც მუცელი მომეშალა, ისე ვარ ავათ, რომ გონია ჩემზე გაჭირვებული ხეში მატლი არ არის.

მართა — ჩადი, შე ქალო, ქალაქი აგერ არაა?

ელისაბედი — ჩვენ ქალაქში ქალი ექიმში არაა და იქ ქე არისო, მითხრეს.

მართა — კაცი ჯობია, ელისაბედ, უკეთესი ექიმები სულ ვეცებია.

ელისაბედი — უნდა გამხადოს, მართა, და ახლა რა დროს ჩემი ხნის ქალის კაცთან ვახდაა.

მართა — იმე! გაგიგონია? მთელი ქვეყანა იხდის და შენ რა გიჭირს?

ელისაბედი — ჩემ ქმარს არ ვჩვენებოვარ თლათ ტიტველი და უცხო კაცს რავა ვეჩვენო, ბეჩა! მრცხვენია!

მართა — რას ნიშნავს სოფელი?! აბა ქალაქში ვინ იტყვის მაგას, სასაცილოთ არ ავიღებენ? (პაუზა.) დოხტური არ ყოფილა აქეთ?

ელისაბედი — არა, არ ყოფილა.

მართა — ფერშალი?

ელისაბედი — ფერშალმა ერთი ქე ჩამეიარა შარშან, მარა მაშინ არ მტკიოდა ასე და არაფერი მითქვამს. მხოლოდ ერთი ეს მითხარი, გენაცვალე, მართა, რავა სინჯავენ ექიმები?

მართა — ბავშები რომ სალამურს გააკეთებენ, ე, იმისთანა აქეთ რაცხა და დაგადებს ერთს თავს შენ, მეორე თავზე ყურს დაადებს, ასე გულზე, წელზე, მუცელზე და გასუნთქებს ღრმად.

ელისაბედი — გახდილი უნდა იყო, არა?

მართა — ჰო, წელზევით.

ელისაბედი — მერე?

მართა — მერე პატარა ნაფოტივით რკინის სალტეა და იმას დაგადებს სხვადასხვა ადგილზე და ზედ პატარა ჩაქუნს დაგარტყამს.

ელისაბედი — ხელით არ სინჯავენ?

მართა — კი, ხანდახან.

ელისაბედი — (ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს).

მართა — ჰო, თუ დასჭირდა იქაც.

ელისაბედი — მერე, მართა ჩემო, ყოველთვის ნამუსიანათ თავდება ეს ამბავი?

მართა — რა ამბავი, ბეჩა?

ელისაბედი — რა ამბავი და, კაცი რომ ტიტველ ქალს ბურჯნის, რამდენიც უნდა იმდენს... მართალია, ღმერთმანი,

მე ახლა ბებერი დედაკაცი ვარ და ისე მრცხვენია, თვა-
რა, რა ოხრად უნდებვარ განათლებულ დიდაკას, ექიმს,
სხვას ვერ იშოვის თუ? მარა ამ ლამაზ ახალგაზრდა ქალს
რომ დაუწყებს სინჯვას ახალგაზრდა კაცი, იმე, რავე არ
შეექნება გული?

მართა — მაგი რავეც შენ იცი, ისე ვიცი მეც! ხანდახან იქნება
ქე შეექნეს გული, მარა რა უყოთ ახლა?!

ელისაბედი — რავე რა უყოთ, ნამუსი აღარაფერია?

მართა — ვინც ნამუსიანია კი შეიკავენს თავს, ჩემო ელისაბედ.
(შემოდინა: პარმენ, გაიოზ, ფარნაოზა და შაქრო.)

პარმენა — არა საიდან გაჩნდი აქ, როგორ მოგვაგენი?

ფარნაოზა — აქეთ მობრძანდი, ბატონო, აქეთ... (სახლისკენ
იწვევს.)

ელისაბედი — (თავის საუბარს განაგრძობს მართასთან). არ
ვიცი, რა ამბავია ამ თქვენ ქალაქში. ბევრი კაია, მარა
ბევრი... არ ვიცი... ღმერთმა კი ქნას.

პარმენა — აბა, ჩემო რძალო, გეიცანი: ჩემი მეგობარია გაიოზ
ლაბარდავა, (მართაზე) ეს კიდევე ჩემი ცოლია.

ელისაბედი — მობრძანდი, ბატონო, მობრძანდი, დაბრძანდი.
(ჯდებიან).

პარმენა — აბა, ახლა ოდანიას ჭიშკართან რომ არ შეგხვედრო-
დი, ისე საიდან მოგაგნებდი, ძმაო?

გაიოზი — რავე არა, კაცო, შენთან მოვდიოდი გულდაგულ,
გევიგე, ჩემო პარმენ, რომ ჩვენი რკინიგზისთვის აქეთ
დაუწყიათ ნამორების მზადება. ვიფიქრე, ვშინჯავ, რა
სჯობია, უროს ბრაგუნი და ჩაქუჩის რაკუნი, თუ ნაჯახის
ფახუნი და ბირდაბირის გაწევა-თქვა. გზაზე კი გაზეთში
წევიკითხე, რომ თქვენში მოუსაველობა ყოფილა. მომა-
გონდა, გადავწყვიტე გამეგო რა გუნებაზე ხარ, რას აპი-
რებ, იქნებ სამუშაოზედაც წამყვე...

პარმენა — მიმხედარხარ, ჩვენც ვაპირებთ წასვლას, სწორედ
ამაზე ვიყავით ოდანიასთან.

ფარნაოზა — ჩვენზედაც დაწერეს, ბატონო?

გაიოზი — დიახ, ნახევარი გაზეთი თქვენი ამბებით იყო სავსე.

ფარნაოზა — ძლიერ კეთილი, მარა ვინ დაწერა, ნეტავი?

გაიოზი — არ ვიცი, რა მოგახსენო, „გამვლელი“ კი ეწერა.

ფარნაოზა — რას ნიშნავს „გამეღელი“?! რამდენი კაცი მიღ-
მოდის, რას შეატყობ რა მოხელე კაცია.

გაიოზი — დიახ, ბატონო, სახელისა და გვარის მოწერის მა-
გიერ უცნაურს სწერენ ზოგჯერ. ერთხელ წავიკითხე:
„გაშტიკინებული ყაძახი“, მეორეჯერ „ნაბიჭვარიო“.

ფარნაოზა — იმე, რავა გეკადრებათ?

გაიოზი — ჩემის აზრით, ყოველ წერილს თუ ნამდვილი სახე-
ლი არა, ქვევით უნდა მოაწეროს კაცმა: „იმპერატორ
ნიკოლოზ II“.

ფარნაოზა — უმი (აღვიღზე შეინძრევა და სკამიანათ უკან დაი-
წევა.)

გაიოზი — მაშინ უფრო მნიშვნელობა ექნება. აბა, პარმენ, წა-
ვიდეთ, რაღას უცდით?

ფარნაოზა — რა დროს წასვლაა, რას ბრძანებ! დედაკაცო. აბა
თუ რამე გაქ, სამხრობის დრო ქეა. (ელისაბედი დაფა-
ცურდება.)

პარმენა — ეგ სხვა წასვლაზე ამბობს.

ფარნაოზა — რავა სხვა წასვლაზე?

პარმენა — აი, ტყეში წვევიდეთ სამუშაოზე.

ფარნაოზა — მერე ასე უცბად?

გაიოზი — რა ამდენი საფიქრებელია?! ახლა თუ წავალთ, ხვალ
ნასადილევს იქ ვიქნებით, მოიჯარადრეს მოველაპარაკე-
ბით და, თუ ვერ შევთანხმდით, ზეგ ლამეს ამ თქვენ
სახლში დეიძინებთ ისევე. არსად გეგექცევათ, ნუ გე-
შინიათ.

პარმენა — ჩვენთან კიდო ერთი კაცი აპირებს წამოსვლას.

გაიოზი — აქაურიია?

პარმენა — ა, ჩვენი მეზობელი ოღანია, შენ რომ ეზოს მია-
ღექი. ა, ჩვენ რომ შეგხვდი.

გაიოზი — მერე და დაუძახე, პარმენ, თუ ძმა ხარ. (შეატყობს,
რომ პარმენი ყოყმანობს. ერთს ფარნაოზას გადახედავს,
მაგრამ როცა შეატყობს, რომ ვერც იმას გადაუწყვე-
ტია, დაუძახებს შაქროს) მოდი აქ, პატარა ბიჭო, წადი
ერთი, შენს გაზრდას, რა ქვია?

პარმენა — ოღანია.

გაიოზი — ოღანიასთან და უთხარი, გაიოზ ლაბარდავა გთხოვთ საქმე მაქ და მნახე-თქო.

შაქრო — (ჯერ თავს მოიფხანს, შემდეგ ზრდილობისთვის უფროსებთან ფეხაკრეფით გაივლის და ბოლოს კისრისტეხით გავარდება).

გაიოზი — აბა ახლა, გულხელდაკრეფილი ჯდომა არც ჩვენ გვარგებს... ამ შენმა ძმამ გოდრით სიმინდი ჩამოიტანოს, ხარხინის რიფში ჩაჰყაროს და ხელკავით ჩვენც ქე წევებმართო და დაფშვნათ. სახლში ხომ უნდა დაუტოვო საქვები. კნენებო, ჩვენ სიმინდს დაფშვნით (ელისაბედის ხელბწაკაპიწებული სახლის კარებიდან გამოიხედავს, თითებზე ცომი აცხია), მერე ინებეთ და თქვენ თვითონ წაურეკეთ და ნახევარ-ნახევარი ბათმანი თქვენვე წაიღეთ წისქვილში — თქვენ სუსტ სტომაქებს ესეც ეყოფა. (ელისაბედს გაეცინება, ჩამოვარდნილ თავსაფარს შეიკეც-შემოიკეცავს და კმაყოფილი სახით სახლში შემობრუნდება.)

მართა — (ხუმრობით). აბა თქვენსავით კი არ ვკამთ ერთ ბათმანს ინჯრაზე. (ფარნაოზი წამოდგება, სახლის ყურესთან მიყუდებულ გოდორს აიღებს და მიიმალემა. ამ დროსვე შემოდის ოღანია და შაქრო, მისალმება.)

გაიოზი — (ოღანიას). უკაცრავათ, შეგაწუხეთ, მარა საჩქარო საქმე იყო და უთქვენოთ ვერ გადავწყვეტდით... (სხდებიან.) თუმცა, მე მგონია, თქვენ სამს საქმე უკვე გადაწყვეტილი გაქვთ. (მართა ოღანიას თავს დაუკრავს და სახლში შედის.)

პარმენა — ეს ტყეში სამუშაოზე წასვლას ამბობს.

ოღანია — არა, გადაწყვეტილი კი გვაქ და ბირობებზედაც შეთანხმებული ვართ, მარა ეს ძალიან გვაბრკოლებს, რომ ჩვენ არც ერთს არა გვაქვს და იქ ტყეში ძალიან საეჭვოა ვიშოვოთ საჭირო იარაღი, მაგალითად, რკინის საპოხი სოლები, გაბმული ბირდაბირი, ურო, ქლიბები და სხვა.

გაიოზი — აა, მამი არაფერია...

ოღანია — (აწყვეტინებს). არაფერი კი არა, შეიძლება აქამდისაც წავსულიყავით, მარა ამ გარემოებამ ძალიან დაგვაბრკოლა.

გაიოზი — მე იმიტომ ვამბობ არაფერია-მეთქი, რომ მაგი ყვე-
ლაფერი და ცოტა ზედმეტიც მე თან წამევიღე, აგერ
მაქ, ჩემ ნაცნობ თქვენი მეზობლისას მიბარებულ
ახლავე ვადმევიტან... თქვენ ეს თქვით, მივდივართ ხომ?

ოდანია — როდის?

გაიოზი — როდის და ხვალ.

ოდანია — იმე! ხვალ რა წამიყვანს?

გაიოზი — შე ოჯახაშენებულო, ერთი წელიწადი თუ ჰქონარა
ვერ გევეტიეთ და ორი წელიწადი გზას მოუნდით, სამ
წელიწადში ან მიატოვებენ ტყის ჰრას, ანდა თლათ
გაატიტვლებენ იქოურობას. (ზეზე წამოდგება.)

ოდანია — (მხიარულათ და მხნეთ). კაცო, სახლში არ დევიტა-
რო თადარიგი?

გაიოზი — და ენას ვინ გჭრის, მიდი და უთხარი... რა გაქ ახლ
ამ ზამთარში ამდენი სათადარიგო? ჰამით უშენოთაჲ
ჰამენ, ნუ გეშინია, წამოდი, მე მივცემ შენ მაგიერთ
განკარგულებას, თუ გინდა...

ოდანია — (ვითომ ბუზღუნობს). რა ყოფილა ეს კაცი? ხუნ-
გია თუ?.. კაი, ძმაო, წამოვალ რაცხა იქნება! აქ დააჩქა-
რე ქე მაინც! აღრე წევიდეთ, რომ ღამის გასათევი მოგ-
ნახოთ სადმე, თვარა ამ წყვარამებში კისერს მოიტებს
კაცი.

გაიოზი — ასე არ ჯობია? აბა ახლა მე გადავალ იარაღებზე და
ამწამშივე აქ გავჩნდები. პატარა ბიჭო! რა გქვია შენ?

შაქრო — (შაქრო, რომელიც ოდანიასთან ერთად მოვიდა, აქამ-
დე გაფაციცებით უგდებდა ყურს მოსაუბრეთ). შაქრო.

გაიოზი — ჰოდა, ჩემო შაქრო, წადი და ხარებს ბლომად დაუ-
ყარე ჩალა. დიდი გზა გვიძევს. (პარმენს) ესეც ხომ ჩვენ-
თან მოდის...

პარმენა — რასაკვირველია. მშობლები დავითანხმე.

გაიოზი — ჰოდა, ბიძია, ამას რა ჯობია. შენც ჩვენი კამპანიის
კაცი ყოფილხარ. ასე, ბიძიკო. (ხელს გაუყრის. შაქროს
და მიდის ჰიშკრისკენ. წინ შემოხვდებათ ფარნაოზი კ-
ლათი სიმიწლით). ფარნაოზა, აბა ასე... გადავწყვიტეთ
ხვალ დილით მივდივართ.

ფარნაოზა — ხვალ? კაცო, ოჯახში მიხედ-მოხედვას აღარ და-
მაკლდი?

გაიოზი — ძმაო, ამდენ მიხედ-მოხედვიდან კისერი გაგმრუ-
დებია და აღარ მოგწყინდა? (იცინიან.) მე ახლავე დაე-
ბრუნდები და... ცოტა რამე შესამხესი თუ იქნება, მაგას
რა ჯობია, ადრე დაეწვეთ და დილით უთენია — ჰაიდა!
(შიდის).

ოდანია — რა კაცი ყოფილა, კაცო, ეს კაცი, ცეცხლი არ ყო-
ფილა?

პარმენა — ცეცხლი კი არა, რკინის კაცია, რკინის კაცი.

ფარნაოზა — რაფერ რკინის კაცი? გულით არა?

პარმენა — არა, გულით და ისეც — რკინის ხელობა იცის ძაან.

ოდანია — რავე რკინის ხელობა! მუშაობს სადმე?

პარმენა — ჰო, რკინიგზის მუშაა.

ელისაბედი — (გამოიხედავს). ფარნაოზ, სად გინდათ სამხარი,
მანდ მიირთმევთ, თუ სახლში შემოხვალთ?

პარმენა — აქ იყოს, კაცო, აქ... ჯერ არც ისე ბნელა და წმინდა
ჰაერზე სასიამოვნოც არის. (ელისაბედი შებრუნდება,
გამოაქვს ტაბაკი, ჭიქები, თეფშები და სხვ. მას ეხმა-
რება მართაც).

ოდანია — აბა, ბიჭებო, თქვენ იცით, რაეარც დროზე მზათ
იქნებით. (წასვლა უნდა.)

ფარნაოზა — სად მიდიხარ, ოდანია ჩემო! მართალია ღარიბი
სუფრაა, მარა წვევიხემსოთ ცოტა... ავერ გაიოზიც მოვა
და ცოტა გვეერთოთ კიდე.

ოდანია — აბა იცი რა ვითხრათ, მეც ჭე მენანება თქვენი მო-
შორება, სადაა შენი ბიჭი, ფარნაოზა?

ფარნაოზა — (გასძახის). შაქრო, შვილო, სადა ხარ, მოდი აქ.
(შაქრო მოიბრუნეს.)

ოდანია — ბიძიკო! ერთი წადი ჩემს სახლში და უთხარი, რომ
ერთი დოჭი მაჭარი გადმოგვიგზავნონ...

ფარნაოზა — აჰ, რაზე წუხდები...

ოდანია — არა, კაცო, ცოტა ვისიამოვნოთ, ვინ იცის, ეს რამ-
დენიმე თვე იმ ტყეში იქნება მჭადიც ჭე მოგვენატროს
და ერთი გემო მაინც შეგვრჩება. წადი, ბიძიკო, წადი.
(შაქრო გარბის.)

პარმენა — არაა ეგ ურიგო აზრი...

ოღანია — შენ მაინც ვერ მითხარი, კაცო, რა კაცია ე კაცი.

პარმენა — რა კაცი რა, ხომ გაგაცანი: გაიოზ ლაბარდავა.

ფარნაოზა — არა გვარი და სახელი კი არა, ისე კაი კაცს გავს, მარა თვითონ სადაურია, ვინ არი?

ოღანია — ჰო, ჰო...

პარმენა — უი, ბიძია, მაგის ამბავს მე კი არა, იგი რო ამზობენ, მეცნიერი კაცი რომ არისო, ნიკო ნიკოლაძე, იგიც ვერ მოუყრის თავს... ისე კი, როგორც ხედავთ, კაი კაცია, თვალგახელილი, მარჯვე, კარგი საამხანაგო.

ოღანია — ააშენა ღმერთმა.

ფარნაოზა — აგერ არ მოდის?

გაიოზი — (მოაქვს ტომარი). აა, ძმებო, რაზედაც წუხდით, ისიც აგერ გვაქვს ახლა. (გადმოაპირქვავებს ტომარს, საიდანაც გადმოვარდება: ხერხები, ქლიბები, ჭაჭვები, რკინის ჩანგლები, კეტები და საწევი ჭახრაკი. დამხვდურები ყველა ამას სინჯავენ, ათვალეირებენ და განსაკუთრებით ეტყობა მოეწონებათ რკინის ასაწევი ჭახრაკი.)

დამხვდური — აა, ეს მართლა კარგია!.. აგაშენა ღმერთმა — ეს კი ძაან გამოგვადგება.

ელისაბედი — (მართასთან ერთად გამოაქვთ: ცხელი მჭადები, ყველი, წნილი, ლობიო და სხვ. პატარა დოქით ღვინო). აბა, ბატონებო, მიირთვით: ყველი და პური და კეთილი გულიო... (ქალებს გარდა უსხდებიან სუფრას.)

გაიოზი — დიდებულია, დიდებული, დიასახლისო... მეტი რაღა გინდათ.

ფარნაოზა — (დაასხამს დოქიდან). ეს დალოცვილი იყოს ჩვენი გზა და მარჯვენა (სვამენ).

გაიოზი — აგაშენა ღმერთმა.

(შაქრო მოარბენინებს ოღანიას მაჭარს. ოღანია ჭიქებში დაასხამს. ფარნაოზა გადაკრავს, ეტყობა, იამება.)

ფარნაოზა — იიფ! ეს კი კაი მაჭარია. რა გინდა, კაცო, მეფურად ვქეიფობთ, შენ არ მომიკვდელ!

გაიოზი — მეფურათ კი არა, გლეხურათ, მუშურათ.

ოღანია — არა, ახლა მეფურს გლეხური სჯობიაო, ამასაც მეტყვი.

- გაიოზი — ჯობია, როგორც კაცი, ჯობია. პატარავ, მოდი, კაცო, დაჯექი. შენც ჩვენთან არ მოდიხარ?
- ფარნაოზა — არაფერია, ბატონო, მაგას იქაც აკმევვენ.
- გაიოზი — იქ კი არა, ეს ვაჟკაცი აქ უნდა იყოს ჩვენთან... ამიერიდან ამან ჩვენი ლზინიც უნდა გაიზიაროს და ჭამაც... მოდი, ბიძიკო, მოდი.
- შაქრო — (თვალეზგაბრწყინებული გვერდით მოუჭდება და ჭამას იწყებს. უფროსები კიდევ სვამენ).
- გაიოზი — ჰო, იმას ვამბობდი, რომ მეფურს გლეხური სჯობია-მეთქი! მეფეს ყველაფრის ეშინია. დღეს მისია ქვეყანა და ხვალ ეს ქვეყანა იღრიალებს და დარჩება ტინტრაქა...
- ფარნაოზა — ტინტრაქა?! შენმა მზემ! რაც არ უნდა დარჩეს, შენისთანას და ჩემისთანას კიდევ ჩამეიკიდებს უზანგზე. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ისე მგელი არ მოკვდება, რომ თხის დასამარხათ გახდესო“, „დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო“, „დიდ ხეს დიდი ნაფოტი დასცვივაო“.
- გაიოზი — მიქარვავა მაგი შენი ანდაზები! რა თქმა უნდა, ბრძოლა სასტიკი იქნება და დიდხანს გასტანს, მაგრამ მეფეს თუ არ ეყოლა ჩვენისთანა სულელები, რომლებიც თავის ლუკმას მას უდებენ პირში, შიმშილით მოკვდება.
- ოდანია — შეხედე! რა კაცი ყოფილა, ძმაო, ეს კაცი.
- გაიოზი — ჩვენ კი, აი ორი ხელი გვაქვს და ქვას რძეს გავადენინებთ; რაც ახლა გვაქვს, იმდენი მაინც გვექნება.
- ოდანია — (აიღებს ჭიქას). ოოჰ, იცოცხლე, იცოცხლე, გაიოზ. ავაშენა ღმერთმა! (სხვებიც სვამენ.)

ეპიზოდი 2

ფერდობი ადგილი. ერთი მხრით ტყე ჰხურავს, მეორე მხარეზე თხმელის „ლამფით“ აგებული მომცრო სახლი, წინ აივანივით ხარიხები აქვს ვაკეთებული. სახლი ხრამის პირს დგას და მოსჩანს შიგ მომუშავე ხალხი და მათი მოქმედება. სახლი ტყის წარმოების კანტორობას ეწევა. სახლსა და ტყეს შუა მოსუფთავებული მოედანია. კიდევბზე ყრია ქერქვამქვრალი ხეები, კუნძები. აქა-იქ მუშები მუშაობენ. შორით ტყიდან მოისმის კაკუნი. საღამოვდება.

1-ლი მუშა — (მოდის ტყიდან ნაჯახით ხელში და წააწყდება მიწაზე გაშლართულ სენს, რომელიც ეტყობა ისვენებს). კაცო, სად გაწოლილხარ ამ შუა გზაზე? ან ამ სიტყვეში რამ დაგაწვინა, კაცო, ამ ცივ მიწაზე. გაცივდები და მოკვდები, შე უბედურო.

პარმენა — (შორიახლო მუშაობს რაღაცაზე). კაცო, ეგ სვანები ესეა სულ... არ იქნა, ერთი ფაცხაც კი არ მოლობეს თავისთვის და ასე ყრიან გარეთ.

გაწოლილი მუშა — (სვანური კილოთი). ფაცხა რომ ავიწვინოთ რა, გათბობით მაინც ვერ გავგვათბობს და ტყუილათ ვეწვალათ.

1-ლი მუშა — (მოშორებით რაღაცას მუშაობს). აი, ასე გაიხსიან სულ. მაინც, შე ოჯახამობუქულო, სამუშაო აღარ გაქ, რომ ამ შუადღისას გაწოლილხარ?

გაწოლილი მუშა — ჩემი სამუშაო გავათავე კიდეც და ახლახონ მაინც აუქმებულა.

1-ლი მუშა — ჭერ სად არის აუქმებული, ბუკი არ დაუკრავთ.

მე-2 მუშა — ა, ეგერ არ მოდის ლადიკო, უკვე დროა მუშაობის შეწყვეტისა.

პარმენა — (შაქროს, რომელიც მასთან ახლოს რაღაცას ჩლოგნის). ეს ფარნაოზა სად გადაიკარგა?

შაქრო — ხის მოსაჭრელად არ წავიდა ამ დილით? გახსოვს დიდი წიფელა რომ გვიჩვენა, ცოდვა კი იყო მისი მოჭრა, ა?

პარმენა — ურემიც წეიყვანა?

შაქრო — ჰო, ნამორების ჩამოტანაც მინდაო.

ლადიკო — (შედის კანტორაში, მუშები ტყიდან მოდიან, ზოგს რა მოაქვს, ზოგს რა. ჭგუფ-ჭგუფად იკრიბებიან, ზოგი ყალიონს გააჩაღებს, ზოგიც სამხრობას აპირებს. შემოდის გაიოზიც და პარმენთან მიდის. ზოგან ნელი ლილინიც მოისმის).

ერთი ჭგუფი — ძაან კი შევესიეთ ამ ტყეს და, არ ვიცი, არ ვიცი. — ახლა რავა გგონია შენ? ამ უსიერ ტყეს, ჩვენი ნაჯახი რომ მოხვდა, გაკვირვებული არ არი, თუ იცი?

— კურდღლებმა რომ თვალები დეითხარეს, ეს ვიცი
ნამდვილად. ახლო-მახლო წამლათ ველარ ნახავ.

— მეღიები უნდა ნახო შენ, მეღიები. ეშმაკური პი-
რისახე რო გამოუყვიათ სოროებიდან.

— იმ დღეს დათვს წავაწყდი შორი-ახლო. იზმორე-
ბოდა და ზღაზვნით დაბურულ ტყისკენ აპირებდა წას-
ვლას. თან ეტყობოდა, ენანებოდა ჩათფუნებული ბუნა-
გის დატოვება.

— შე კაცო, ზამთრდება და დათვი ახლაა რომ მოი-
კალათებს, თითებს სალოკათ პირში ჩაიწყობს და იმას
გადენი შენ?

— რა იცის, მართლა, ეს დათვმა?! ჩეიძინებს და
აღარც ჭყინტი სიმინდი ახსოვს, აღარც თაფლი, აღარც
ძროხის ხორცი...

— და აღარც ბატკნის ფართხალი. ჰა, ჰა!

— თქვენ შეამჩნიეთ, რომ მგლები უფრო საზაროთ
ღმუიან... (ტყიდან გამუღმებით მოისმის მხოლოდ ერ-
თი დაობლებული კაკუნი.)

— ფრინველები რომ აწრიალებულა და მშვიდ დასაჯ-
დომს რომ ველარ პოულობენ, ხომ ხედავთ?

— აი, გიდი რავე გავაქაჩლეთ ეს მშვენიერი ტყე.

— ბიჭო, ისეთი გული მატკინა გუშინ... უზარმაზარი
მუხა ვნახე წაქცეული... ისე იწვა, თითქო ცოცხალი
კაციო.

— რცხილა? რცხილა ნახე? ვეშაპივით რომ იყო გა-
წოლილი... წინათ რომ ამაყად იდგა, თითქო ცისკენ
ნატყორცნი ისარიო.

— რა ვიცი, რა ვიცი, ღმერთმა კაი ქნას...

— რავე, ტყე სამაგიეროს გადაგვიხდის, გგონია?

— ტყე, ჩემო ძმაო, გულჩათხრობილია.

(ამასობაში გაიოზა და პარმენას ჯგუფი თანდათან მატულობს,
რადგან, ეტყობა, გაიოზი შეგროვილთ რაღაცა საინტერესოს
უამბობს).

ლადიკო — (გამოდის კანტორიდან). ოჰ, გაიოზაც მოსულა?
(ჩამოდის და ერთ-ერთ შეხვედრილ მუშას.) გაიოზა ლა-
პარაკობს? ო, მიყვარს მაგის ლაპარაკი. წამოდი, ყური

დავუგდოთ. (ორთავენი შეუერთდებიან გაიოზის ჯგუფს.)
სხვა ჯგუფი — კაცო, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ეს რაგად რომ სანამ სამუშაო სრულად დამთავრებული არ იქნება, მანამდე ფულს ვერ მივიღებთ.

— რაღა და ისეა, რომ თავიდანვე ასე გოურიგდით და ახლა რა გინდა შენ?

— გოურიგდით, კაცო, რომელია? ჭიათურაში, ძმაო, თურმე, ხომ გაგიგონია, ჭიათურაში მუშა ყოველ შაბათს ღებულობს თურმე თავის გასამრჯელოს.

— ოჰ, იგი, კაცო, ჭიათურაა, იქ მადანია და...

— მერე, მადანი რომაა, რაღა ეს ტყე ნაკლებ მუშაობას თხოულობს თუ, რაფერ გგონია?

— ერთი ლადიკოს უნდა უთხრათ, კაცო, გამოვასწოროთ ეს საქმე — ან ჩამოტანილ ნამორების კვალობაზე მოგვეცეს ფული, ან შიგ ტყეში მოჭრილ ხეებზე.

— ჰო, ჰო, რაცხა უნდა დავაწესოთ, რაცხა.

— კაცო, ლადიკოს რა შეუძლია — რასაც იქიდან უფროსები უბრძანებენ, ეგეც იმას ასრულებს.

— ლადიკო, კაცო, ჩვენისთანა მუშა არაა ეგეც.

— მუშა კი არა, ღმერთი ააშენებს.

— ოო, რა იცით თქვენ, რა ეშმაკის ფეხია. (ტყიდან კიდევ მოისმის ობოლი კაკუნნი!..)

გაიოზი — (თავის ჯგუფში). ჰოდა, ხომ გესმით ახლა? მთელი ქვეყნის ბურჯი და მარჩინალი ჩვენ ვართ. საჭმელს ჩვენ და ჩვენისთანები ამზადებენ — სჭამს კი მუქთახორა. ბინებს ჩვენ ვაშენებთ, ჩვენ გვეცევა და ვისაც წყებელი არ გაუტეხია — ის ფუფუნებით კოტრიალობს ლოგინში.

ხმები — უჰ, შენ გენაცვალე, შენ!

გაიოზი — თუ ომია, ჩვენ რა გვაქვს საჩხუბარი? რა უნდა წავართვან და რამ უნდა დაახარბოს მტერი? სისხლი კი ჩვენ უნდა დავღვაროთ. თუ სახელმწიფოს სჭირდება ხარჯი, — ამან ჩვენ კისერზე უნდა გადაიაროს, ჩვენ გვიყიდიან უკანასკნელ ცხვარს, უკანასკნელ ბათმან სიმინდს.

ხმები — მართალია, ძმაო, მართალი!

გაიოზი — და რატომ ხდება ეს? — იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენ თავს

ვერ ვიცნობთ და შეკავშირებული არა ვართ. მდიდრები ერთპირათ მოქმედებენ... ბოქაული, მოსამართლე, საპატრო — ყველაფერი ეს მათ სურვილს ასრულებს, მათ ნაბრძანებს აკეთებს. ზვენ ვერ ჩაგვიჭიდნია ხელი ერთმანეთისათვის და ვერ გვითქვამს: ჩემს მონაწევს მე შევუკამ, ჩემ აშენებულში მე შევალ. თუ ვინმეს დავეკრავ, ისევ ჩემ მტერს და თუ მტერს ჩემთვის რამე წაურთმევია, სხვის გადაცემას, ისევ მე დავიბრუნებ...

ხმები — აგაშენა ღმერთმა! აი ნამდვილი სიტყვა!

გაიოზი — შორს არ არის ის დრო, როცა მთელი სახელმწიფო, ყოველი დაწესებულება, სკოლა, სასამართლო, სახლი, მიწა იქნება მთელი მუშათა კლასის, განურჩევლათ ეროვნების, სარწმუნოებისა და სქესისა... მაშინ ამყაათ ასწევს თავს მუშა და გლეხი — ეს იქნება ეამი ნეტარებისა, როცა ჭეშმარიტად დამკვიდრდება სიყვარული და სამართლიანობა. მაგრამ ეს დღე არ მოვა თავისთავათ — ამისათვის არის საჭირო მზადება, კავშირი ერთმანეთში, ბრძოლა... ასეთ მზადებას აწარმოებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკებისა... იგი ჰქმნის კავშირებს მუშებისას და გლეხებისას და იბრძოლებს დასრულებულ გამარჯვებამდე. მაშ გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ბოლშევიკების პარტიას!

ხმები — გაუმარჯოს, გაუმარჯოს! (ჯგუფი იშლება და მიდი-მოდიან. ტყიდან ისევ მოისმის კაკუნი.)

ერთი — კაი ქე თქვა იმ კაცმა, ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი!

მეორე — კაი, თვარა, შენმა მზემ, ბევრი გვიგე, ღმერთი შენ გიშველის.

მესამე — თუ კი ბიჭი ხარ, იგი მითხარი, რაც იმან თქვა, თვარა ისე ერთი ორი მეც ქე გვევიგე.

პარმენა — (ოლანიას). კაცო, ფარნაოზა რომ აგვიანებს არ გიკვირს?

ოლანია — (ცოტა უკმაყოფილოთ, რადგან ვილაცასთან ცხარე ლაპარაკს მოაცდინა). სად იქნება, კაცო... ა, არ გესმის კაკუნი?

პარმენა — მერე ამდენ ხანს?

ოლანია — შერჩა მუშაობას, მოვა საცაა.

პარმენა — კაცო, აგერ მზე ვადიხარა. ამ წყვარამებში ურემს
რაფერ ჩამეიტანს. რამე არ მოუვიდეს.

ოდანია — თუ გინდა გადავძახებ.

პარმენა — აბა, შენ რაზე შეწყუხდები — გადაძახებით მეც მე
გადავუძახებ.

ოდანია — არა, იყავი შენ, მე გადავძახებ. (საჩქაროდ მიდის
და გასძახის: ფარნაოზა, აუ!)

პარმენა — (თითქო თავისთვის). რამე არ მოუვიდეს, მე იმის
მეშინია. (ამ დროს უეცრად შეწყდება კაკუნი. პარმენა
რალაც უცნაურად შეინძრევა და თითქო რალამაც და-
აძალაო, გაირბენს იქით, საცა ოდანია წავიდა. მას გამო-
ედევნება შაქრო.)

მეოთხე — (ჯგუფში, რომელთაც გაცხარებული კამათი აქვთ).
მართალი თქვა იმ კაცმა, მართალი! მხარისდაჭერა არ
იციო და გატანა არ არის, თვარა ასე თხებივით საწველი
არ ვიქნებოდით... წრეულს არ იყო, რომ სახუთოდ გო-
ურიგდი „ნაირმევის“ მიწაზე. მარა ექვთიმია მოძუნძულ-
და მოურავთან და სამესამედოთ დევთანხმა. ახლა ვინაა
დამნაშავე? მოურავს რა ენაღვლება?

მეხუთე — მართალია, ძმაო, მართალი! ი ბიჭი წამომეზარდა,
ვფიქრობდი, ჯამაგირში გოუშვებ და წელში გვევიმართე-
ბი-თქვა. ასწიეს და წეიყვანეს ჯარისკაცათ... რა მაქ, თუ
კაცი ხარ, საჯარო და საჩხუბარი? ან რა იცის ახლა
ფრანცუზმა, გიგოია ჯილაგაძეს რომ ერთი დანგრეულ
ქოხი აქ. ანდა თუ იცის, რა ოხრათ უნდა, მე თვითონ
ამომჭამა თვალი მჭვარტლმა და კვამლმა.

პირველი — მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა!

(ლადიკო და გაიოზი წინ გამოდიან.)

ლადიკო — ძიან ილაპარაკე, ძმაო, ავაშენა ღმერთმა, მარა სა-
დან იცი შენ ეს ყველაფერი?

(გაიოზს უნდა რალაც უპასუხოს, მაგრამ სიტყვა პირზე შეჩჩება
რადგან ტყიდან მოისმის საშინელი ყვირილი: ა... აქეთ, აქეთ!
აქედანაც უპასუხებენ და ბევრი გარბის დაძახილზე.)

რა იყო, რა მოხდა, ნეტაი?

გაიოზი — (მირბის). კარგი ამბავი არ უნდა იყოს, ცხადია!

ოდანია — (შემორბის). უბედურობა, უბედურობა, ფარნაოზა!

ურემი, გადაბრუნებია ჩამოთხევილზე და თვითონ ქვეშ მოყოლია, მისი გადარჩენა ძალიან საეჭვოა!

(ატყდება ერთი საშინელი ალიაქოთი. ზოგი ვარბის, ზოგი შორბის, დიდი ხორხოცია და სიტყვები გარკვევით არ ისმის. იქა-იქა გამოსხლტება მხოლოდ ფრაზები):

— ხომ ვამბობდით, ტყე სამაგიეროს გადაგვიხდის-თქო.

— ტყე კი არა, უგზოობის ბრალია სულ.

— აკი ვთქვი, აუქმებულს მუშაობა კაის არაფერს იზამს-თქვა!

— შენც ერთი, მოყვები რაცხას!

— რას მიედ-მოედები, აუქმებული კი არა, კაცი არაა ჩვენი პატრონი და ეგაა.

— სულ ამ უგზოობის ბრალია — დღეს ეგ ფარნაოზა მოკვდა საწყალი, ხვალ კიდე ვინმე გადავარდება, ან ხე გადაიყოლებს, ან ურემი და ასე მოგვივა სუყველას.

— მერე და ჩვენი ლადიკო რას უყურებს? ვერ შეითხოვს გზა გააკეთონ?

ლადიკო — (იქვე ტრიალებდა, ყურს მოკრავს, უპასუხებს). ვე-ხვეწე გამგეობას გაეკეთებიათ ეს ოხერი გზა, მარა არაფერი გამოვიდა.

(შედის კანტორაში და იქ მოხუც თანამშრომელს რაღაც ბრძანებას აძლევს. ამასობაში დაშვებულ ფარნაოზას ამოიყვანენ, დააწვენენ. შაქრო და პარმენი ხმამაღულდებივ მიშტერებიან. ოდანია და გაიოზი აქ არიან. ირგვლივ მუშებიან.)

ოდანია — (გაიოზს). კაცო, უთხარი პარმენს, შენ უფრო დაგიჭერებს... მაგას მოსარჩენი აღარა აქ, დაეაწვინოთ ურემზე და წავიყვანოთ სახლში.

გაიოზი — ახლა უკვე ღამეა და უთენია მეც მაგრე ვაპირებ.

ოდანია — უთუოდ, უთუოდ. (შაქროზე) ხედავ, საწყალი ბიჭი რაღა გამოშტერებულია!

ფარნაოზა — (მომაკვდავი წამოიძახებს). შაქრო, შაქრო! (შაქრო მიუახლოვდება, მაგრამ მომაკვდავის თვალები სხვაგან ეძებენ მას.) მიხედეთ, ცოდვია.

გაიოზი — (მიდის ახლოს და ჩასძახებს). თუ ადამიანი მჭვია, თავს არ დაეზოგავ, ნუ გეშინია, შენს ბიჭს მოუვლით ყველა, ყველა, პარმენი, მე და ჩემი მეგობრები.

ახალგაზრდა — (კანტორასთან მიდგება, ლადიკოს). მიეცით ფული და გაუშვით, იქნებ შინ მაინც მიაწიოს.

ლადიკო — (კანტორიდან). ვინ მომცა, კაცო, ფული?
ახალგაზრდა — რაღა, კაცი მოკალით და მის ნამუშევარს არ აძლევთ?

ლადიკო — ნაბრძანებია, საქმეს რომ დაასრულებენ, მაშინ გამოუწერეთ ფულიო და რა ვქნა ახლა?... მე ხომ არა ვარ პატრონი?

პარმენა — სადმე გადახურულში მაინც შევიყვანოთ — ცოცხალია.

(დაფაცურდებიან და დაშავებული გაჰყავთ. ამ დროს ერთი ახალგაზრდა შეანძრევს კანტორის ბოძს.)

ახალგაზრდა — ამ კანტორამ ამოგვწოვა სისხლი, ამანი (უეცრად მასთან ჭგუფი გაჩნდება.)

ჭგუფი — დაუშვათ ერთი ძირს, მაგის რჯული კი გაწყდა!
— დაუშვათ, დაუშვათ!

ლადიკო — (კანტორიდან). კაი ვაჟკაცი იქნება და გაბედავს!
ჭგუფიდან — შენ ერთი რას გვიზამ?

ლადიკო — ვნახოთ... (მოხუც თანამშრომელს) შენ გარეთ გადი. მაგენი თუ რამეს მიზამენ, იმასაც ვნახავ. წვილე თუ რამეა სალაროში.

მოხუცი — მე ნაშალი მაქ მარტო.

ლადიკო — კაი! რაცხაა ისაა! წადი, ხომ უყურებ სახლს ანგრევენ. მე აგერ ტელეგრაზაც შევადგინე: „ჩამოდი. ტყის საქმეს ხიფათი მოელის“ და თვითონ წავიღებ სადგურზე. (მოხუცი უჭრიდან ორიოდ გროშს ამოიღებს, ჯიბეში ჩაიყრის და გადის. ლადიკო საჩქაროდ სალაროს გამოაცარიელებს, ბენზინკას მოუკიდებს, კუთხეში დადგმულ თუნუქს თავს მოხდის, ნავთს დაღვრის, შემდეგ თვითონაც გამოდის კანტორიდან.)

ერთი სვანი — (სხვა მუშას ეკითხება). სახლს რას ერჩით?

მუშა — რას ვერჩით და გაიგებენ მაინც პატრონები, რა დღეშიც ვართ, თვარა აქაური ხალხი ვერაფერს აკეთებს, ლადიკოს კი არ უჭერებენ, ასე თქვა თვითონ ლადიკომ.

ლადიკო — ფული არ იქნება, მოშორდით აქაურობას! (გადის.)

ყვირილი — მოვშორდებით კი არა, ღდინს გავაგდებინებთ.

— არ იქნება და — ძირს ეს კანტორა.

— ძირს! ძირს! (მეისევიან სახლს და უფსკრულში გა-
დაუძახებენ.)



ეპიზოდი 3

დუქანი სოფლის გზის პირას. დუქანს გვერდით ეზოში პაწია მაგი-
დას უსხედან ივანე გოლიაშვილი და ბოქაული იოსებ ნორაბიძე.
საუზმეს შეეპყვიან. მედუქნე ხშირ-ხშირად მოდის მათთან და
მოაქვს ხან სანოვავე და ხან ზედმეტი ჭურჭელი. შორი-ახლო
ჩაფრები დგანან.

ბოქაული — გადირია ხალხი. ამ ტყე-ლრეში კიდევ რა ეშმაკი
უნდათ?

ივანე — გაჭირვება, ჩემო იოსებ, გაჭირვება... ზოგჯერ ცდე-
ბიან და კარგ წამოწყებასაც ღუპავენ, აი ბათუმის ქარ-
ხნების არ იყოს, მაგრამ გასაგებია — გაბოროტებული
კაცი რას არ იზამს.

ბოქაული — ეჰ, თქვენი ბრალია, ბატონო ივანე, თქვენი —
ინტელიგენციის — ყველაფერი, „მუშა მუშაო“, იძახით
და აი, თქვენი მუშაც. ათ წელიწადში იქნება ერთი საქმე
როგორმე მოეწყოს და ისინი კი სწვავენ და აპარტა-
ხებენ.

ივანე — განათლება უნდა იქნეს შეტანილი, თავისუფლება სი-
ტყვის, რწმენის, თანასწორობა ეროვნების და მაშინ ეს
პატიოსანი მშრომელი, გონიერი მუშა არ წამოეგება
აუსრულებელ ოცნებათა ანკესზე.

ბოქაული — ფეხებზე არ ჰკიდიათ, ბატონო ივანე, თქვენს მუ-
შებს სიტყვის თავისუფლება და თანასწორობა. შორს არ
ვყოფილვარ, ბაქოს არ გავშორებივარ, მაგრამ მაგ თქვენ
სათაყვანებელ მუშებზე უფრო ზანტი, ანგარებით საე-
სე — მე არაფერი მინახავს. რა დააშავა სხვა ხელობის
ხალხმა?! რავა, მე ჭამა არ მინდა? ვინ თქვა, რომ მე არ
ვმუშაობ? თქვენის პატივისცემით წამოველ, თორემ ათა-
სი კაცი მიცდის — ყველას მოუსმინე, ყველას დაუწერე,
ყველას გაურჩიე საქმე. როგორ? ეს მუშაობა არ არის,
ეს ოხერი? დღეს ოთხმოცი ვერსტი უნდა გავიარო იქეთ

და აქეთ და ხვალ კი დღევანდელ ას მთხოვნელს ასი მოემატება.

ივანე — მაგიერთ შენ და შენი ცოლ-შვილი უზრუნველყოფილი ხართ და შენი მდგომარეობაც სრულიად არ არის სახარბიელო — შენ რომ ქართველი არ იყო, იქნებ ახლა მაზრის უფროსი ყოფილიყავ.

ბოქაული — თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ივანე! (სვამს).

ივანე — (ჭიქას აიღებს, მადლობას უხდის, შემდეგ თითქო რაღაც გაახსენდაო). დიდი ამბები დაიწყო და, ვინ იცის, რითი გათავდება...

ბოქაული — კაი მათრახი დროზე და ყველაფერი მოწესრიგდება, გარწმუნებთ...

ივანე — არა, მაგით საქმეს არა ეშველება რა. ხალხი უფრო გაბოროტდება... ჩვენი ახლანდელი საქმეც როგორმე მშვიდათ უნდა გავათავოთ... აი, ჩვენი გამგეც, თქვენი ბიძაშვილი ლადიკო, მიტომ არ წამოვიყვანე, რომ მის ჩასვლას ერთგვარი ცუდი შთაბეჭდილება არ დაეტოვებია მუშებზე... აკი აგვიხსნა, რომ მუშები, ცოტა არ იყოს, უნდობლად უცქეროდნენ. ახლა იმისთანა დროა, რომ ირგვლივ ცეცხლია დანთებული. იქ ასი ათასი მანეთის ხე-ტყე გვაქვს დაგროვილი. ერთიც ვნახოთ და ყველაფერს ცეცხლი წაუჟიდეს ან დაიტაცეს, როგორც უკვე მომხდარა გურიასი.

ბოქაული — და ყოველთვის თუ შერჩათ, უარესსაც იზამენ. მე მგონია, წყალი სათავეშივე უნდა დაიწმინდოს.

ივანე — არ გირჩევ, ჩემო ნიკო, არც შენ; თუ გლახობამ გამარჯვა, არც ერთ მკაცრ ნაბიჯს არ ვაპატიებენ და თუ ჭკვიანად ჩავივლით გზას, ბოქაული და ვეჭილი მაგათაც დასჭირდებათ.

ბოქაული — მერე! ამ ორმაგ ბუნხალტერიაში რომ გავეკვებო, როგორც გოჭი ღობეში? (იციინის.)

ივანე — შენი საქმე შენ უკეთ გეცოდინება, ხოლო აქ, ამ ჩვენს საქმეში, ეტყობა, დიდი არაფერი მომხდარა: მუშების დაკმაყოფილება შეიძლება. გზები ამდენ ხანსაც უნდა გაგვეჭრა, ფულიც იყო გადადებული, მაგრამ ეს ჩვენი

მოურავი, პატივცემული ლადიკო, ვერ მოქცეულა წინ-
დახედულათ. როგორც მითხრა, ფული სხვა საქმეებზე
დაუხარჯავს. რაც შეეხება იმ პატარა კანტორის გადაგ-
დებას, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს მისი ზევეითვე
ამოთრევა... ან ახალის აშენება.

ბოქაული — გუბერნატორი რას მეტყვის?

ივანე — გუბერნატორს მიეწერთ, პირველი ცნობა გაზვია-
დებული გამოდგა, მუშები თავის სამუშაოზე არიან-თქო
და მადლობასაც მიიღებთ ფრთხილი ზომების მიღები-
სათვის.

ბოქაული — არა, ერთ ორ მეთაურს ჩავეკიდებ ხელს, სხვას
ჯანი გავარდნია.

ივანე — თუ საპყრობილეები გავაგვსეთ, რაღა გამოვა?

ბოქაული — საპყრობილეში არ გავგზავნი, ოქმს შევუდგენ
მხოლოდ.

ივანე — სულ ერთია, შთაბეჭდილება მაინც ისეთივე დარჩება,
გამალიზიანებელი და მტრობის გამომწვევი. სჯობია ყვე-
ლაფერი ჩვენს ნოქარს ლადიკოს დავაბრალოთ და გა-
თავდა. მით უმეტეს, მართლაც დამნაშავე უნდა იყოს,
უკაცრავად კი ვარ, თქვენი ბიძაშვილია. მართლა! არჩი-
ლი რას შვრება, რას ამბობს?

ბოქაული — რა მოგახსენოთ, კარგა ხანია არ მინახავს... ისიც
მიწყრება — ბოქაულათ რათა ხარო... მომცეს ეპისკოპო-
სობა და დავდგები.

ეპიზოდი 4

სცენა მე-2 ეპიზოდისა.

გაიოზი, ოდანია და რამდენიმე მუშა

ოდანია — კაცო, უკვე მოვიდენ კიდევ და ახლა გვტოვებ?

1-ლი მუშა — ჰო, ახლა იმ ჩამოფხეკილის სანახავად წავიდენ.

მე-2 მუშა — ნუ წახვალ, გაიოზ, ნუ.

გაიოზი — რამდენჯერ გითხარით — არ წავიდოდი, საჭირო რომ
ვიყო. ამხანაგმა რომ თქვა, გაჭირვებაში დატოვებას არ

გვაპატიებენო, არა, მე გაჭირვებას არ ვეშალე, მაგრამ სჯობია მთავრობამ და კაპიტალისტებმა დაინახონ, რომ მე კი არ ვმოქმედებ აქ, არამედ თვითონ ხალხი... სალამ პარაკოთ მოხუცები გამოუშვით, მათ უფრო უჭერიან... თანაც დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი თითქმის არ გამოიწვევს შეხლა-შემოხლას, რადგან ის, რაზედაც თვით კაპიტალისტებიც დათანხმდებიან, შეადგენს მუშების მოთხოვნილებას... მეტი არ ინდომეთ ხომ და რა ვქნათ. აბა ახლა ნახვამდის, არ მინდა, რომ აქ მომისწრონ, მგონი მოდიან კიდევ. (საჩქაროდ გადის.)

ჭგუფში — რომელია, კაცო, ჩამოსული, რომელი?

— ინეინერიია, ინეინერი, ქართველია თურმე, გვარიც კი მითხრეს, კაი კაციაო ძალიან.

— ლადიკო თუ ჩამოყვა, ნეტავი?

— არაო, არა...

— აჰ, ლადიკოს რა უნდა, კაცო!

— ლადიკო არა, მარტო ბოქაული ჩამოვიდა და ჩაფრები.

— რა ვუყოთ შერე — თქვენც ბევრს ნუ ატანტალუბთ ენას და კი არ შეგვქამს...

(მეორე მხრიდან შემოდის ივანე, ბოქაული, მოხუცი თანამშრომელი, ჩაფრები, რამდენიმე მუშა. დანარჩენები დახვდება მოედანზე და გარს შემოეხვევა.)

ივანე — (მოხუც თანამშრომელს). ეტყობა, აქ არიან ყველანი.

მოხუცი — დიახ, ბატონო, ესენი გახლავან.

ივანე — (ცოტა უფრო მომალეებულ ადგილას დგება). მაშ ესე მეგობრებო, აქ ცოტა უსიამოვნება მოგსვლიათ. უეჭველია, ჩვენი დანაშაულიც ბევრია, მაგრამ საქმეს ნუ წაფხედნთ: ამ ტყემ თქვენც უნდა გაჭამოთ პური და ჩვენც გაუგებრობა მოხდა, როგორც გავიგე, თქვენი უკმაყოფილება გამოიწვეულია გზების შეუკეთებლობით, დროზე ფულის მიუღებლობით და იმით, რომ აქ ერთი დიდი უბედურება დატრიალებულა — ურემს ქვეშ მოჰყოლია მუშა. უნდა მოგახსენოთ, რომ გზებისათვის ფული გადაღებული იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, სხვა საქმეზე დაუხარჯავთ. ყოველ ღონეს ვიხმართ, რამდენადაც შეიძლება, გზები

გავაკეთოთ, ისე მაინც, რომ საშიშროებას არ წარმოადგენდეს.



ხმები — მეტს არც ჩვენ ვთხოვლობთ.

ივანე — წინათ თუ რამე ფულს იძლეოდენ, როცა სამუშაოს რულიად დამთავრებული იქნებოდა, — დღეიდან გადაჭრით გეუბნებით, რომ ყოველ ოც ჩამოტანილ ნამორზე მოგართმევთ — უბედურების მსხვერპლს კი, რაც ერგება ნამუშევარი, იმას გარდა კამპანიის სახელით დღესვე გაუგზავნით თხუთმეტ თუმანს და მის ბავშს ყოველ მხრივ ვეცდებით შემდეგშიც დავეხმაროთ.

ხმები — აგაშენათ ღმერთმა!

ივანე — აი, აქ არის მთავრობის წარმომადგენელი და მის წინაშე ვამბობ, რომ ყველაფერი, რაც ახლა დაგპირდით, ასრულებული იქნება, ხოლო ხით დაშავებულის გადასაცემათ მიიღეთ ეს ფული.

(ცოტა ხანს ხალხში არ იციან ვინ მივიდეს, მაგრამ შემდეგ ოდნობა გამოავლენენ წინ და ის ჩამოართმევს ივანეს პორტმანიდან ამოდებული ქაღალდის ფულს.)

ბოქაული — დიდად პატივცემული ბატონი ივანე ვასილის ძე ტკბილად გელაპარაკათ. იგი მთელს საქართველოში კი არა, მთელს რუსეთში, შეიძლება მთელს ქვეყანაშიაც კი ცნობილი კომერსანტია. იცით კი თქვენ რა არის კომერსანტი? ვინც ავითარებს მრეწველობას, აღებ-მიცემობას, იმას ჰქვია კომერსანტი. აი, რა იყო აქ? ტურა და მგელი, მაგრამ ბატონმა ივანემ შრომა და ფული არ დაზოგა და ამდენი ხალხი აქ მოგყარათ, საზრდო მოგცათ და სამუშაო, მაგრამ თქვენ თუ ნადირზე ცუდად მოიქეცით...

ხმები — რაო, ნადირიო!

— რას ლაპარაკობს?

ბოქაული — ისე დაგმალავთ, როგორც თავის ნებით მიიმალენ მხეცები, მათ არ უნდათ ქვეყნის განათლება, კარგი გზა და მუშაობა და მოგვშორდენ კიდევც...

(ხალხში დრტვინვა)

თქვენ კი ამ კეთილად წამოწყებულ საქმეს ხელს უშლით, იმის მაგიერ, რომ ყოველგვარათ დაეხმაროთ და ღმერთს ლოცულობდეთ. თუ არ გნებავთ მუშაობა, ძალას ვინ გა-

ტანთ, მიბრძანდით, თქვენს მაგიერ ათასობით მოვა ხალხი (დრტვინვა გრძელდება.) თაფლი იყოს, თვარა ბუზი ყოველ მხრიდან ჩნდება, მარა თქვენ ფული კი გინდათ, ხელის განძრევა კი გეზარებათ და დარბევას ჰკიდებთ ხელს.

ზმები — რის დარბევას, რას ამბობს?

— ჩვენ რასაც ვთხოულობთ, კანონიერად ვთხოულობთ!

ოდანია — ჩვენი მოთხოვნილება ბევრს არას შეადგენს, ჩვენ გვინდა: ხეირიანი გზები, რომ მარცხი აღარ ხდებოდეს, სადგომი, წამალი, ფერშალი, ფული ყოველ კვირაში (ამასობაში ივანე ბოქაულს რალაცაში არწმუნებს.)

ზმები — კმარა, შე კაცო, ზურგზე ხომ ვერ შევაჯდებით?

— რათ მინდა სადგომი, კი არ ვესახლები აქ?

ივანე — მე მგონია, ჩვენ შორის ყოველივე მოგვარებულია, რაც თქვენ დაასახელეთ, ყოველივე შეგისრულდებათ. გაძლევთ სიტყვას.

ბოქაული — (წინანდელზე ბევრად რბილათ). მაშ ასე, ხელიდან შეუდგებით ხომ მუშაობას? (ხალხში ყოყმანია.)

ივანე — შეთანხმებული ვართ, ხომ?

მოხუცები — კი, ბატონო, კი... რაც მოხდა მოხდა, დავივიწყოთ.

ივანე — ძალიან მშვენიერი, მაგრამ ცოტაოდენი დანაყრბაც ურიგო არ იქნება. ამ უცხო ჰაერზე მომშვივდა ჭეშმარიტად.

(ხალხის ჭგუფი იშლება, ცალ-ცალკე გაიფანტებიან.)

ჩაფარი — საუზმე მზად გახლავთ, ბატონო! მოველით თუ არა, მაშინვე თადარიგი დავიჭირე.

ივანე — ოოჰ, ყოჩალი ყოფილხარ, ყოჩალი, მაშ ძალიან კარგი ზოგიერთებს ვთხოვოთ. (მოხუცების ჭგუფს, რომლებიც ჯერ კიდევ მის ახლოს დგანან.) ყველას ვერ დავბატიყებთ, ნუ გვიწყენთ, მზადება არა გექონია.

მოხუცები — რათ იკადრებთ, რას ბრძანებთ! (ხალხი კიდევ უფრო გაიფანტება.)

ივანე — (მოხუც თანამშრომელს). არა, ერთი ორ-სამს დაუძახოთ მაინც. ვინ არის თავი კაცი, ყველაზე მოხუცი, დამიბატიყე. (მოხუცი თანამშრომელი ჩაერევა მუშებში და ეტყობა არჩევს მოსაწვევე სტუმრებს. მოსაწვევენი ზოგი უარზეა, ზოგი სიცილით თანხმდება. დანარჩენები კი

მოედნიდან გაიკრიფებიან. ამასობაში ივანე მიუჯდებოდა სუფრას და ჰორიზონტს გასცქერის. სხვებიც სხდებიან და შეექცევიან.) მშვენიერება კი არის ეს ჩვენი ქვეყანა! შეხედე, თუ ძმა ხარ, შეხედე! სად დატრიალობს ორბი? შუა ზამთარია, იქ ას ნაბიჯზე გაწოლილა თოვლის ზოლი, აქ კი მზე გვახურებს.

ბოქაული — ეჰ, ბუნება კარგია, ხალხი რომ არ ვიყოთ ცუდი. **ივანე** — რატომ? ძალიან კარგი ხალხი ვართ, ოღონდ შებოჭვილი, ისტორიიდან დაჩაგრული.

ერთი მოხუცი — აბა, დავლოცოთ, ბატონებო... ეს ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი თავი, ბატონო ინჟინერო, რომ ასე გაგვიგე და ასე მშვიდობიანათ გავგითავე საქმე. აი რას ნიშნავს გამოცდილი კაცი... იცოცხლე, იღლეგრძელე.

ხმები — გაცოცხლოს, ბატონო!

მოხუცი — აბა ერთი მრავალყამიერ, შენებურათ, ამირანა.
(მღერიან.)

ბოქაული — არა, ბატონო ივანე, არა! თუმცა მე არაფერი მესმის, მარა მაინც ვიტყვი, რა შუაშია ისტორია და სოციოლოგია?! აი, ჩემი ადგილი, ბოქაულის ადგილი — რა ისეთი სანატრელი ხვითოა, მაგრამ დღე ერთია და ათი დაბეზღება კი მიდის ჩემზე მაზრის უფროსს, გუბერნატორს, გუბერნიის მარშალს და, მგონი, თვით მთავარმმართველს!! და მერე იცით, ხშირად ისეთი კაცები და ქალები მამბეზღებენ, რომელთანაც არაფერი საქმე არა მქონია და ვერც ჩემ ადგილს მიიღებენ... ისე. წარმოიდგინეთ, ერთმა მოხუცმა სახლიკაცმაც კი დამამბეზლა და როცა გავიგე და შევეკითხე, რას მერჩოდით-თქო, გულახდილად მითხრა — მწყინს, რომ ჩვენი დიდიგვარის შვილი ბოქაულობას კადრულობსო. დიახ, დიახ, ბატონო ივანე! მან არჩია ქრთამობისთვის, სიგლახისთვის მისი გვარის კაცი გამოგდებული ყოფილიყო სამსახურიდან, ვიდრე პატიოსნად ემსახურა, თუნდაც მცირე ადგილზე.

ივანე — აკი გითხარი, დაღვლეჭილი ხალხი ვართ. გვინდა და ძალია არ შეგვწევს, ცოდნას ვერ ვიყენებთ. გზა დახშულია. წარსულთან არ არის დაკავშირებული ახლანდელი, და იმიტომ ვიქცევით, როგორც სულით ავადმყოფი. ზოგჯერ

რაინდულათ, დორბლმორეული ჩვენთვისვე მაგნე ვზიო.
ზოქაული — ეპ...
ხმები — აბა, ახლა ის დამიწყე ძველებური „დალიე და შევერ-
გება“.

(მღერიან, ფარდა.)

მოქმედება II

ეპიზოდი 5

წითელი რაზმის ბანაკი.

კინო:

რაზმელები ზოგი ცხენებს აურვებს, ზოგი თოფსა წმენდს, ზოგი სიძინდა ფშენის, ზოგი ცომს ზელს და ცეცხლზე კეცებს აფიცხებს, ზოგიც ყალიბს ეწევა და ჭგუფად შეკრებილა.

1-ლი რაზმელი — მეტი მოთმენა არ შეიძლება, ყმაწვილებო, რას გვაჩერებენ აქ ამდენ ხანს?

მე-2 რაზმელი — მუშა ხალხი ამდენი ხანია ამ ტყის პირას დაგვაბანაკეს და არც წინ მივდივართ და არც უკან.

1-ლი რაზმელი — ოდანია სად არის, ოდანია — იმას ეკითხოს ჩვენი ცოდვა. იმან გამოგვიტყუა აქეთ, სულ პირიდან ცეცხლებს ყრიდა: აი, ასე ვიზამთ და ისეო...

მე-2 რაზმელი — ქუთეისში ჩაუხტებით ლუბერნატორსო.

1-ლი რაზმელი — პო, აბა, ქუთეისს ორ დღეში ვევილებთო.

მე-3 რაზმელი — ასე რაგა შეიძლება, ყმაწვილებო, ლაპარაკი... ოდანიამ გამოგვიტყუაო, ოდანიამ კი არა, გაჭირვებამ წამოგვიყვანა, ბიძია, შენმა საჭიროებამ, შენმა მოთხოვნისებამ, და თუ აქ ცოტა ხანს გავგაჩერეს, რა უყოთ მერე. ჩვენმა მეთაურებმა უთუოდ იციან, რასაც აკეთებენ. უთუოდ ჭერ კიდევ დრო არ არის იერიშის მიტანისა.

1-ლი რაზმელი — არა, ასე არ შეიძლება, ამხანაგო, — მეთაური მეთაურია, მარა, ჩვენც უნდა გვკითხონ პეტერე...

მე-2 რაზმელი — არ ვიცი, ღმერთმანი!

1-ლი რაზმელი — ამდენი ხალხი რომ წამოგვიყვანეს, ოჯახი მიტოვებული გვყავს, რა ვიცით რა დღეში არიან, ჩვენ კიდევ ჭერ, ეტყობა, არსად არ მივდივართ... ან ბრძოლა

უნდა იყოს, ძმაო, ანდა დევიშალოთ და მივხედოთ ჩვენ
ოჯახს.

- მე-2 რაზმელი — აბა ასე ყურყუტი არ გამოგვადგება, არა!
- მე-3 რაზმელი — რა ამბავია, — რა ამბავია? ასე სულმოკლეები
რაფერ ხართ, თქვე უბედურებო! ქვეყნის საქმეს ვაკეთებ-
თო მგონია, და ასე უცბად, ერთი სულის შებერვით გინ-
დათ ყველაფერი მოხდეს?
- 1-ლი რაზმელი — აბა, იცი რა ვითხრა, ბიძია, ამ ჩვენ ყოყმანში
და ცდაში, ბიჭები ამბობენ, თავადებს თავისი რაზმი შე-
უდგენიათ და ჩვენ წინააღმდეგ მოდიანო.
- მე-3 რაზმელი — აბა, რავა ფიქრობდი, ძმაო, საჩხუბრად რომ
მოდიოდი და ნიკოლოზს ტახტიდან ჩამოგდებას რო უპი-
რობდი, რავა, თავზე ხელს მოგისვამდენ, თუ რავაა შენი
საქმე?..
- მე-2 რაზმელი — აჰ, არა, მაგი ტყუილი გაგიგონია შენ — თავა-
დებს ჩვენში არაფერი რაზმი არ შეუდგენია — ეგ, ამბო-
ბენ, იქ არისო, ქართლში.
- 1-ლი რაზმელი — ჰოდა, იქ რომ არი ქართლში, შორაპნის მახ-
რაში გადმოსულანო, უნობენ, და კორბოულის გზით აგერ
ქე მოგადგება ცხვირზე.
- ერთ ჯგუფში არსენას ლექსს ამღერებს სტვირზე რაჰველი. დროვა-
მოშეებით მოისმის ფრაზები სავმირო ადგილებიდან.
„ნას კაკოც, შიამახა, ვახლავარ ბიჭი არსენა!“
(სიცილი.)

სხვა ჯგუფი:

- 1-ლი — ჩავალწევთ თუ არა ქუთეისს, მე პირდაპირ ხაზინას მი-
ვარდები, ძმაო.
- მე-2 — ოო, ხაზინას, თვარა, ის არის, მაშინვე გაგიღებენ კა-
რებს.
- 1-ლი — კარებს კი არა, ასე არ დაგვარია მეათურმა: ქუთეისს
ჩავალთ თუ არა, მაშინვე ხაზინას და ფოჩტას უნდა დავე-
პატრონოთო.
- მე-3 — აგაშენოს ღმერთმა, — თუ ეს ყორიფელი ხელში ჩავიგ-
დეთ, სერი იქნება სწორედ!
- 1-ლი — რავა, შენ ექვი გაქ თუ? არ გახსოვს გაიოზმა და ოდა-

ნამ რომ გვითხრა — თუ ვინმეს ჩვენ საქმეში ეჭვი შე-
ეპარება, იმან ახლავე დაგვანებოს თავიო.

მე-3 — არა, ძმაო, ეჭვი არც მაქ, სარწმუნო წყაროებიდან ვიცი,
რომ გურია-სამეგრელო უკვე ფეხზეა დამდგარი. ქა-
თლში გლახობას ისეთი წითელი რაზმი ჰყავს თურმე, რომ
რა გინდა, რავარც კაი ჯარისკაცები, ისეა თურმე გამო-
წყობილი.

მე-2 — არა, მაგას ნუ იტყვი, გამოწყობილი არც ჩვენ ვართ
ცუდათ, ეს ოხერი ზოგი იარაღი გაფუჭებულია თვით.

1-ლი — იარაღი, იმ დღეს არ გვითხრეს, ფოთიდან მოგვივა მა-
ლე, სულ ზაგრანიჩნით. (რაზმელი მოიბრუნს.) ამხანაგე-
ბო, მეთაური მოვიდა, სპირიდონი გიბარებთ.

(ერთ-ერთი რაზმელი დაირაზე უკრავს და ბიჭები ცეკვავენ. აქ მოდი-
ლადიკო და ერთ-ერთ ცეკვაგათავებულს განზე გააყვანს.)

ლადიკო — ოჰ, ძლივს არ მოგძებნე, კაცო, — ერთი შენისთანა
ერთგული კაცი მინდოდა.

კირილე — მიბრძანე, ბატონო, რა იყო?

ლადიკო — რა და, ჩვენი საქმე ცუდათაა ძალიან.

კირილე — ნუ მეტყვი!

ლადიკო — ჩემო კირილე, კი! აა, ახლავე მოვა მეთაური და
მთელ ჩვენ რაზმს გამოაცხადებს დაშლილათ.

კირილე — ვაიმე! რა მოხდა, ბატონო, ამისთანა!...

ლადიკო — რაც მოხდა, მალე გვიგებ. მარა საქმე ისაა, რომ ჩვენ
წავაგეთ, ჩემო ძმაო, და ახლა თავს უნდა ვუშველოთ.

კირილე — აბა, დევილუბეთ, ბატონო?

ლადიკო — არა, შენ და შენისთანებს რა უჭირს, მარა მე უნდა
ვიკითხო და ამიტომ მოგმართე შენ.

კირილე — მითხარი, ბატონო, შენი გულისთვის...

ლადიკო — ჰო, ვიცი, აი რა: მე აქედან იოსებ ნორაბიძესთან,
ბიძაჩემთან წავალ, მარა იმას ძალიან სტუმრიანი ოჯახი აქ
და შეიძლება იქ ვერ მომიხდეს დარჩენა. მე კი ცოტა ხანს
უნდა ვიმალეობოდე.

კირილე — ასეა, ბატონო, საქმე?

ლადიკო — შენ ყური დამიგდე. შენ წახვალ ჩემი ნათლიდგა
რომ არის, ბიძაჩემის გვერდით რომ სახლობს, კესარიე
ხომ იცი?..

კირილე — კი, ბატონო, რაღა არ ვიცი.

ლალიკო — ჰოდა, ის გააფრთხილე, შეიძლება ამელამ იქ დევი-
მალე. შენც ქე დამიხვდი იქ. ცოტა ხანს შენც დაგვტო-
რდება დამალვა.

კირილე — ვაი ჩემი ცოდვა... საწყალ დედაჩემს რა ეშველება?

ლალიკო — მაგის ნუ გეფიქრება, ბიჭო, ცოტა ხანს, თვარა, მე-
რე მე გიშველი.

კირილე — შენ იცი, ლალიკო ბატონო. უპ, რა მითხარი ეს.

ლალიკო — ჰა, ახლა დაღონების დრო არ არის. წადი, რაც გი-
თხარი, ის გააკეთე.

რაწმელეები — (ერთიმეორეს). გეიგე, ბიჭო, ვილაცა რუსი გე-
ნერალი ალიხანოვი გადმოსულა შორაპანსა და ზესტა-
ფონში და წვავს და ანადგურებს იქაურობას სულ ერთი-
ანად?

— რას მეუბნები?

— ვერ გეიგონე, ეგერ სპირიდონი და გაიოზი რომ ამ-
ბობენ?

— ოპ, რას ამბობ!

— მოდი, კაცო, მოდი, მივიდეთ.
(ზოგი მიდის.)

— შენ გეიგონე? იარალი უნდა ჩავაბაროთო.

— აპ, არა, მაგას არ ეიზამ სწორეთ. ამისთანა არეულ
დროში იარალს დავანებებ ვინმეს!

— წამოდი, კაცო, ყური დაუგდოთ.

— ისინი არ გვეტყვიან, როგორც ჯობია?

ეპიზოდი 6

იოსებ ნორაბიძისას. იოსები და ლალიკო.

იოსები — აა, ლალიკო, მაშ ესეა შენი საქმე?

ლალიკო — ესეა, ბიძაჩემო, ესე და არ ვიცი, სწორედ, რა გვეშ-
ველება. გვირებიდან უკვე გამოვიდა ალიხანოვი. ცეცხლს
უკიდებს ყოველსავე. რევოლუციონერებს უკვე იჭერენ
კიდევ. თითო-ოროლა საზღვარგარეთ გარბის. გაიოზი იყო

ლაბარდავა და სადღაც გაქრა. დიდი მოხერხებული სპირიტონმა, ხომ გითხარი, მთელი რაზმი დაგვშალა იარაღიც ჩამოგვართვა.

იოსები — მე კი არ ვიცი კარგათ, ვინ არიან ეს გაიოზი და სპირიტონი. ძაან კი აქებენ ორივეს, კაევიით ხალხიო. სპირიტონს ვცნობ მგონი პირადათაც. მახსოვს სიყმაწვილეში იუნკრების სკოლაში სწავლობდა მგონი, იქიდან რაღაც ურჩობისათვის გამოაგდეს, შემდეგ უბრალო ჯარისკაცად იყო და ბოლო ხანებში რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშათ მსახურობდა.

ლადიკო — ნამდვილია, კარგათ გცოდნია, ბიძაჩემო.

იოსები — ის მეორე, იმის ამბავი მითხარი, შენ გაზრდას.

ლადიკო — გაიოზის? ოო, ნამდვილი რევოლუციონერია და საქმე ისაა, რომ არაფერი სწავლა კი არა აქვს მიღებული.

იოსები — ჰო, ჩემი შვილისაგან გამიგონია: ნამდვილი ხალხის შვილიაო.

ლადიკო — როგორ, არჩილი იცნობს?

იოსები — ჰო, იცნობს და ძალიან აქებდა. ბუნებითაა გაჩენილი რევოლუციონერთათ.

ლადიკო — მართალი უთქვამს. ან რა გასაკვირია. მისი წინაპარი ოდესღაც დადიანის ყმა ყოფილა. ამ ორმოციოდე წლის წინათ ვიღაც ამილახვარს დადიანის ქალი უთხოვია და პატარა გაიოზი და დედამისი თავისი ქალისთვის მზითვათ გამოუყოლებია.

იოსები — კაცო, ჩვენს დროში რომ ქალის მზითვათ გატანება აღარ შეიძლებოდა?

ლადიკო — მართალია, მაგრამ დადიანს ეს ძველი ჩვეულების ოდნავ ასასრულებლად გაუკეთებია. მოუძებნია სოფელში მეტად ღარიბი ქვრივი, გაიოზის დედა და თავის შვილს, უთუოდ თუ სამარადისოდ არა, დიდხანს მოსამსახურეთ და ახალი პატარძლის ელფერის მისაცემათ გაუტანებია.

იოსები — მერე და გაიოზი საიდან მოხვედრილა რკინიგზის მუშათ?

ლადიკო — ეს სულ ადვილად მოხერხებულა. პატარაობისას გაიოზს უნახავს სამჭედური და იქაური მუშაობის დანახვით აღტაცებულა. მჭედელსაც თავის შეგირდათ აუყვა-

ნია და აქედან იწყება გაიოზის და რკინის მტერ-მოყვრობა. მჭედლიდან გაიოზი ზეინკლად მოხვდა, ზეინკალმა რკინიგზის დეპოს გადასცა და აქ ერთი საამქროდან მტერ რეში გადასვლით იმდენი იარა, სანამ მთავარ დაზვას არ მიაღდა...

იოსები — კარგი, მაგრამ რევოლუციონერი როგორ გახდა მაინც... ამდენი ჭკუა და ენერგია საიდან შეიძინა.

ლადიკო — რკინიგზის მუშებში, ბიძაჩემო, ყოველთვის ტრიალებდა უკმაყოფილების სული... განა თქვენ შეიღს არჩილს არ უამბნია? მაგრამ (ფანჯრიდან დაინახავს.) ეს ვინ მოდის? ბინდბუნდია, კარგათ ვერ ვარჩევ, მაგრამ სპირიდონი უნდა იყოს.

იოსები — ოპ, რას ამბობ? სპირიდონს ჩემთან რა უნდა? აზნაურ კაცს ეწვევა ახლა წითელი რაზმის მეთაური?

ლადიკო — (უკვირდება). ნამდვილათ ისაა. უთუოდ რაღაც საჭირო საქმე აქვს. მე მომიტევე, ბიძია, და ახლა აქ ვერ დავრჩები.

იოსები — ვითომ რა? არ ხართ ერთმანეთში კარგათ?

ლადიკო — ჰო, ბევრ რამეში ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს. ნახვამდის, ბიძია, კიდევ გნახავ როგორმე.

იოსები — ბიჭო! მდევნიანო, არ თქვი? ლამის გასათევიათ მოდი, ახლა სად წახვალ.

ლადიკო — მართალია მდევნიან, მაგრამ ვიშოვნი ბინას. აქ ვეღარ დავრჩები, მაგას ვერ შევხვდები. უკაცრავად, ბიძია, აქეთ გავალ, უკანა კარებიდან.

იოსები — შენ იცი. კარგათ იყავი. არჩილის ამბავი თუ გეიგო, მომაწოდე.

ლადიკო — უთუოდ. (აჩქარებული გადის უკანა კარებით. იოსები ყალიონს გააჩაღებს. შემოდის შეფუთნული სპირიდონი. მოიხსნის ბაშლაყს და მიესალმება იოსებს.)

იოსები — აა, ბატონო სპირიდონ, ჩვენთვისაც მოიცალეთ?

სპირიდონი — არც თქვენთვისაა, ბატონო იოსებ, კარგი, რომ მოცლილი დავრჩით. ჩვენ რომ გაგვემარჯვნა, თქვენ პირადათ ბევრს არაფერს დაჰკარგავდით და თქვენს შეიღს ნიკოსაც პატარა მოხელეთ არ გადიყვანდენ ცხრა მთას იქით.

იოსები — მე თუ გამაძრობდით ტყავს, ჩემ შვილსაც არ გვეუბობოდა, მაგრამ მაინც როგორაა საქმე?

სპირიდონი — ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. ჩვენ გაჩვენებთ ქვეყანას, რომ ვისაც სიცოცხლე სურს, მუშათა კლასს უნდა აედევნოს, რომ მხოლოდ მუშათა კლასია ის ნაწილი, რომელიც შემდეგში უწინამძღვრებს განახლებულ ქვეყნიერებას და მხოლოდ იგი მოსპობს უსამართლობას.

იოსები — მეტი არაფერი?

სპირიდონი — ჩვენ არ ვფიქრობდით, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ახლავე ჩვენს ხელში ვადმოვა, რომ პირველივე ნაბიჯი დაავვირგვინებს საუკუნის მოთხოვნილებას. არა, ეს იყო გამომჟღავნება ჩვენი მიმართულების, სულისკვეთების. იმ ქვეყანაში, სადაც ფიქრობდენ, რომ მხოლოდ ხელმწიფეს გვირგვინია და კაზაკის მათრახი, გამოჩნდა ახალი ძალა, უფრო ძლიერი და ხალხისათვის უფრო სასარგებლო. მართო ბრმა დარჩება შემდეგში იმ რწმენით, რომ მას უზრუნველპყოფს დღევანდელი მთავრობა.

იოსები — შენ პირს შაქარი, მაგრამ...

სპირიდონი — არა, ხალხი, მოსახლეობა უეჭველია გადაიხრება ამ მოზარდ ძალისაკენ და საბოლოო გამარჯვება ხელს თუ ზეგ ჩვენია.

იოსები — მერე ამდენი მსხვერპლი, მომავალშიაც კიდევ უარესი, აი, ვილაც ალიხანოვი მოდის და სწვავსო.

სპირიდონი — ასეა ბრძოლა; რამდენჯერ ყოფილა ომი, თუნდაც ამ პატარა სოფლისათვის: ხან დადიანი მოდიოდა აქეთკენ, ხან აბაშიძე, ხან ოსმალთა და ვიგერიებდით...

იოსები — თუ ძმა ხარ, ჩემი შვილი არჩილი ერია თუ იცი?

სპირიდონი — არა, ჩვენს პარტიაში არ ყოფილა, მაგრამ თანაგრძნობით რომ ეპყრობა ამ მოძრაობას, ესეც უეჭველია.

იოსები — არაფერი საშიში მოელის?

სპირიდონი — ვერ გეტყვით... ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უნარს გამოიჩენს ჩვენი ხალხი. თუ ერთმანეთს მხარი დაუჭირეს, ძალიან ბევრი გადარჩება. ხალხს ბევრი შეუძლია, თუმცა ახლა, რა თქმა უნდა, აღიძვრება სურვილი სამავგიეროს გადახდისა.

იოსები — ის ალიხანოვი ლეკი ყოფილა და თურმე სამავგიეროს

უხლის საქართველოს: შამილის დროს რუსებმა თქვენი ხელით აიღეს დაღესტანი, თორემ ისე არაფერი გვექმნებოდა.

სპირიდონი — არა, მაგი მეტად საეჭვოა. გულში რა აქვს, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ რუსეთში ბევრი რუსი გენერალი დაერევა მუშა ხალხს და ქართველებშიც ბევრი არ იტყვის უარს ჯინჯილ-მედლები მიიღოს გურიაზე ან იმერეთზე გამოლაშქრებით.

იოსები — ეჰე-ჰე... რა დრო დგება!..

სპირიდონი — მშვენიერი, ბატონო იოსებ, მშვენიერი. ახლა გამომელაგნდება, ვის რა სული აქვს და მცირე ხნის შემდეგ კი გავიმარჯვებთ ისევ ჩვენ.

იოსები — ეს რაა, რომ ახლა ბატონობით ვემუსაიფებით ერთმანეთს და ორი დღის წინათ კი „ამხანაგო“ რომ არ გვეთქვა, ერთი აყალმაყალი შეიქნებოდა.

სპირიდონი — „ამხანაგი“ სჯობია, მაგრამ არ მიყვარს უმიზნო ჯიუტობა: როცა ვამჩნევ, რომ არ გადის, უკან ვიხევი.

იოსები — ჰო, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“.

სპირიდონი — დიახ, პირველ შესაძლებლობამდე... გულში ვინახავთ, რაც მოგვწონს და კეთილად მიგვაჩნია და ვაი იმას, ვინც ჩვენს ხასიათს ვერ შეიგნებს. თქვენთან, ბატონო იოსებ, დიდი საქმე მაქვს.

იოსები — რა ვნებავს?

სპირიდონი — აქ იარაღი გვაქვს, უნდა შეგვანახიოთ.

იოსები — (შეკრთება). უმ...

სპირიდონი — ეს იარაღი რუსების ხელში რომ ჩაგვაგდებინო, არც თქვენი სახელისათვის იქნება კარგი და არც არჩილი მოგიწონებთ.

იოსები — არჩილი რომ თქვენთან არ ყოფილა.

სპირიდონი — არა, მაგრამ ისიც რევოლუციონერია, ისიც ხალხის მომხრეა და მთავრობის მიერ ჩვენი სრული განიავება მასაც შეაწუხებს.

იოსები — კარგი, მაგრამ მე რა შემიძლია?

სპირიდონი — შენი ნალიის ქვეშ ჩავფლავთ იარაღს; შენ პი-

რობა მოგვეცი, რომ არც ნალიას აიღებ იქიდან და არც ფუჩეჩს გამოლევ შიგ.

იოსები — კარგი, თანახმა ვარ, როდის მოხვალთ?

სპირიდონი — გადადება რაღა საქიროა, რაკი თანახმა ხარ — ამაღამვე. მოვალთ მე და გაიოზი, მიწას გავთხრით ნალიას ქვეშ, ნავითთ გაქონილ ქალაქში გახვეულ იარაღს ჩვე-წყობთ, ორმოს ამოვავსებთ, მოვტყეპნით, ზედმეტ ამო-ღებულ მიწას წყვარამში გადავუშვებთ და ჩვენს ნაკვალევს სულ წავშლით, ასე რომ, ფიქრი არაფრის არის.

იოსები — კარგი, მოდით.

სპირიდონი — (ხელს ართმევს). პატიოსნად იქცევით, ჩვენც არ დაგვაფიწყდება.

ეპიზოდი 7

რკინიგზის ლიანდაგთან „ბუდკის“ ეზო. ეზოში სძინავს პარშენს. შორიახლო პაწია ანიკო და მოზრდილი შაქრო თამაშობენ.

შაქრო — (გაუბრბის ანიკოს). აბა, თუ დამეწევი?

ანიკო — (დაეწევა, ხალათის კალთაზე ჩამოეკიდება). აა, დაგი-ჭირე, დაგიჭირე! (შაქრო დაემორჩილება და განგებ ცალ ფეხზე წაიჩოქებს. ანიკო ეჭიდება, წააქცევს.) აბა, ხომ წაგაქციე!

შაქრო — მართალი ხარ, წამაქციე... აბა, ახლა გვეყოფა თამაშო. მე გაკვეთილები მაქვს დასამზადებელი.

ანიკო — არა, თუ გიყვარდე, შაქრო! ჩემო შაქრო — ერთი კენჭობა კიდე.

შაქრო — კიდევ არ დაგავიწყდა? ამხელა ქალი ხარ და კენჭობია როგორ გეკადრება.

ანიკო — ჰო, კარგი... ნუ მეხუმრები, მოდი, მოდი, ჩემო, ჩემო!

შაქრო — ამაღამ ისევე მატარებელს უნდა გავყვე. ხვალ ისევ სწავლა მეწყება და უნდა გადავიკითხო, ვერ მოვასწრებ.

ანიკო — (ჭუჭყუნებს). არ გრცხვენია! რა გიჭირს ახლა.

(მოისმის მატარებლის სტვენა. პარშენა ცალ თვალს გაახელს. ანიკო დაფაეურდება, გამოაქვს ნიშანი და მიდის ლიანდაგის მიმართულ ბისაკენ, სადაც გამოიჭიმება პასუხისმგებელ დარაჯივით და ნიშანს

აღმართავს. შაქრო იცინის. პარმენი წამოიწევს და ღიმილით შესცქერის. მოისმის მატარებელი როგორ ჩაივლის ქშენით და ჩხარუნით და ანიკოც სცილდება სადარაჯოს. ანიკო ბრუნდება და რომ დაინახოს ხაეს გამოღვიძებულს, მამასთან სახეგაბრწყინებული მიდის. ნიშანს ჩააბარებს.)

მ, მამა!

პარმენა — ჰო, შვილო, კარგია, კარგი! (მოეფერება, მოეხვევა.)

ანიკო — მამა, შენ რო არ გინახავს... რა გიჩვენო?

პარმენა — რა არის? რას მიჩვენებ?

ანიკო — (გაირბენს და მინდვრიდან აიღებს ჩხირებისაგან გაკეთებულ დედოფალას, მოიტანს). აი.

პარმენა — აი, დიდებულია! ვინ გაგიკეთა?

ანიკო — შაქრომ.

პარმენა — ყოჩაღ, შაქრო, კარგი, კარგი! აბა, ახლა შაქრო რომ წავა, აღარ მოგწყინდება?

ანიკო — წავა, მარა ხომ ჩამოვა ისევე?

პარმენა — ჰო, ჩამოვა, ყოველ კვირაობით მოგვაკითხავს — აი, როგორც წინეთ, მაგრამ შენ რომ არ გახსოვს.

შაქრო — ძაან კი მიჭირს, ბიძია, სიარული. ზოგჯერ მატარებელში ოხერი რევიზორები დადიან და.

პარმენა — მერე ჩვენი კონდუქტორები ვერ გეხმარებიან?

შაქრო — კი, ვებრალეები. ჩვენიანი შევირდიან და.

პარმენა — აგრე, ბიძიკო, აგრე. შენ მაინც ისწავლე, კაცი გამოადი, გამოადეკი ქვეყანას.

შაქრო — იცი, ბიძია, ჩვენმა მასწავლებელმა ძაან მომიწონა ჩემი ნამუშევარი. გახსოვს წრეულს ზაფხულს აქაური ზღაპრები ჩევიწერე და აქაური ძველი ნაშთებიც აღეწერე... ეს მისი დავალებით იყო. (ამასობაში ანიკო დედოფალას ეთამაშება.)

პარმენა — ძალიან კარგი, შენმა გაზრდამ. (გაიხედავს.) ეს ვინ არის? ბიჭოს, ნამდვილად ჭკუიდან შევიშლები. თუ კაცი ვარ, ეს გაიოზია. მე გამოვიგლოვე კიდევ. სადღაც გადავარდამო, მითხრეს.

გაიოზი — (შემოდის მხიარულათ). გამარჯვება ყონალოებს. ოჰ, ანიკო, გოგო რამხელა გაზრდილა. მიცანი? (ეფერება, ანიკო დარცხვენით თვალებს დახრის და მოფერებას არ

- უარობს.) რატომ არ მიპასუხებ? ისევ მუნჯი ხარ? ^{კმა}
 შერება ეს შენი გოგო? ლაპარაკი ვერ დღისწავლა?
 პარმენა — როგორ არა, ახლა ცოტათი ეღურტულეხს, მარა რა
 დაისწავლოს, ძმავ, სულ მარტოდმარტო ზის... შაქროს თუ
 ასე ხანდახან მოგვაკითხავს, თვარა ისე მე ვარ და ეგ. რო-
 ცა მოცლილი ვარ, მოვიკიდებ ზურგზე ამ ჩემ გოგონას
 და ისე დავათრევ ლიანდაგის აღმა-დაღმა.
- გაიოზი — არა, პარმენ, მაინც არ ვარგა ასე...
- პარმენა — რა ექნა, გაიოზ, არავინ მყავს მახლობელი, თვარა
 ჩევიყვანდი.
- გაიოზი — გაიოზს ნულარ მეძახი, პარმენ, ახლა ლავრენტი
 მქვია, ლავრენტი... დაიმახსოვრე ერთი.
- პარმენა — (ლიმილით). კაი, ლავრენტი იყოს; მაგრამ რათ გინდა
 ეს სახელის შეცვლა?
- გაიოზი — შე კაცო, რაღა ვერ მიხვდი? ვილაც გაიოზს ეძებენ.
- პარმენა — ჰო, ახლა არ ვთქვი. მე გამოგიგლოვე კიდევ, ძმავ.
 სადღაც გადავარდაო, ძებნიანო, შენზე ამბობდენ და...
- გაიოზი — არა, ძმავ, ახლა ისევე დაუბრუნდები რკინიგზის დე-
 პოში მთავარ დაზგას.
- პარმენა — მაშ ისევე ჩვენიანი, რკინიგზელი ხარ?
- გაიოზი — რალა თქმა უნდა, და ახლა ლავრენტი მქვია. ლავრენ-
 ტი ლაბარდავასთანა ღვთისმშობლისა და ხელმწიფის ერთ-
 გული კი მეორე არ ეგულებათ, მგონი, ამ ქვეყანას, ასე
 რომ დაიმახსოვრე: ლავრენტი ლაბარდავა.
- პარმენა — ე, დამენგრა, ძმავ, ანგარიში — ყველაფერი მავიწყ-
 დება, ეს ერთი ხანია!
- გაიოზი — შეირთე, კაცო, ცოლი.
- პარმენა — რას ამბობ? რა დროს ჩემი ცოლია, დავბერდი ყა-
 ზახი?! იცი რა გითხრა, გაი... ლავრენტი! ჩემი ცოლის ისე
 დალუბვა ვერ მომიწილებია.
- გაიოზი — წარმოდგენილი მაქვს. საწყალი ქალი... რა საშინე-
 ლებასაც გამოივლიდა.
- პარმენა — შენ ეგა თქვი და. როგორც ახლა ირკვევა, ჩემი შინ
 არ ყოფნის დროს... მე რალაცნაირად სწორედ იმ საღამოს
 საბარგო მატარებელს გავყევი სადგურამდე და განთი-
 დამდე არ დავბრუნებულვარ. ჰოდა, ახლა ირკვევა, რომ

ჯერ წითელრაზმელები შემოვარდნილან, თავის შეფარება უთხოვიათ, შემდეგში ჯარისკაცები შემოსევდნ და, ცხადია, მათ უხეშ ჩხრეკა-მუჯღუჯუნს ვეღარ გაუძლო საცოდავის გულმა.

გაიოზი — ბავშვს არაფერი არ ახსოვს?

პარმენა — რა, მაშინ ხეირიანად ვერც კი ლაპარაკობდა, რომ ეკითხებოდენ: „დედა მოჰკლეს“? — „ჰოო“, უპასუხებდა. „დედა თვითონ წაიქცა?“ — „ჰო“, „დედა არ იყო გახდილი?“ — „არა“. ამის მეტი ვერაფერი გავიგეთ.

გაიოზი — (თითქოს რალაცას იხსენებს). დიახ, მაშინ, მახსოვს, გაზეთებში ეწერა — „პარმენ მარგველაძის ცოლი მართა გააუპატიურეს და აწამა დამსჯელმა რაზმმაო“.

პარმენა — ერთი იმათ ჯავრში ამოვსულიყავი და მეტი არაფერი მინდოდა...

გაიოზი — აი, მაგისათვის მოვედი სწორედ...

პარმენა — რაო?

გაიოზი — აქ გვინდა მოვაწყოთ იარაღის საწყობი, ტიპოგრაფია და სხვა. კარგი ადგილია... წალებ-მოტანა ადვილია და ვერც ვერავინ მოიფიქრებს.

(კიდევ მატარებლის სტვენა. ანიკო კვლავ გაირბენს ნიშნით და გამოიქიმება.)

ეპიზოდი 8

ქანდარმერია. უფროსის კაბინეტი, პოლკოვნიკი, ებანოვი, ლადიკო ნორაბიძე.

პოლკოვნიკი — (ნერვიულობს). თქვენმა ცნობებმა ორჯერ სულელურ მდგომარეობაში ჩამაყენა და ამიტომ არა მჭერა თქვენი არაფერი...

ლადიკო — მე რა ვქნა... მე ცნობას რომ მოგაწვდით, თქვენ ატყობინებთ პოლიციას, ბრალმდებელს, მოდიხართ მთელი ამალით... ჩვენში ხუთ-ექვს კაცს ახლადჩამოსულს კი არა, გოჭს იცნობენ... დაგეჭვრებიან ჩემთვის, ახლა ტიპოგრაფიაც ხელში გექნებოდათ და მისი მომწყობლებიც.

პოლკოვნიკი — (დგება). ახლა თქვენი გულისათვის ხომ ვერ დავარღვევთ ყოველ კანონსა და წესს? (წასასვლელად ემზადება.)

ლადიკო — ისინი კანონს კი არ უყურებენ, არამედ საჭიროებას და სარგებლობას, და რა ჩემი ბრალია, რომ თქვენი კანონიერება ვერ სჯობნის და ვერ ეწევა.

პოლკოვნიკი — როტმისტრ ქბანოვ.

ქბანოვი — (წამოდგება). მიბრძანეთ, ბატონო პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკი — აი, ჩემო ალექსანდრე ვალერიანის ძე, მთელი ეს საქმე თქვენს თავზე მიიღეთ და ისე მოაგვარეთ, როგორც გინდოდეთ. ოღონდ ნუ აჩქარდებით. (მიდის კარებისკენ. ქბანოვი გვერდით მიყვება). ბევრს ნურაფერს დაუჭერებთ და თვალში ნუ მოხვდებით ქვეყანას საყაყანოდ, თორემ ხომ იცით, სათათბირო და ყველა ეს ჯანდაბა და უბედურება.

ქბანოვი — მესმის.

პოლკოვნიკი — თუ რამე იქნეს საჩქარო, შინ გამომიგზავნეთ. (გაღის.)

ქბანოვი — (ბრუნდება, ჯდება პოლკოვნიკის ალაგას. ლადიკოს). ახლა გულწრფელად მოვილაპარაკოთ... დავიწყოთ თავიდან: რა გნებავთ თქვენ? ყოყმანებთ? ნუ გეშინიათ, ამ ოთხ კედელში თქვენ სიტყვას კაცი ვერ მოკრავს ყურს და მე ხომ დაახლოებით კი არა, დაწვრილებითაც ყველაფერი ვიცი. მე მინდა მხოლოდ გავითვალისწინო მთელი გზა ჩვენის საქმიანობის, რომ დაგარწმუნოთ, თუ ყველაფერი რა ადგილი მოსარიგებელია. მაშ რა გნებავთ თქვენ?

ლადიკო — მე მინდა ჩემი საქმე ერთხელაც არის მოისპოს.

ქბანოვი — აი, ის, სისხლის სამართალში რომ ხართ მიცემული?

ლადიკო — დიახ.

ქბანოვი — აი ხომ ხედავთ, რაც ჩვენთან მოდით მას აქეთ ხელს არაეინ არ გაკარებთ.

ლადიკო — რა ვიცი! გამოჩნდება ვინმე მატრაკვეცა და ხომ დავიღუპე...

ქბანოვი — კიდევ რა გნებავთ? (ტაბაკერკით პაპიროსს მიაწოდებს.)

ლადიკო — ერთი ადგილი, ისეთი რომ შემეფერებოდეს.

ქბანოვი — რა ადგილია ისეთი? გიჟირთ თქმა? არა, ნამეტანსაც ნუ მოინდომებთ. ჩვენ ისეთს ვერაფერს მოვიმოქმედებთ, რომ თითოთ ნაჩვენებელი გავხდეთ — ეს არც თქვენთვის

იქნება კარგი. მე მიჩვევია თქვენთვის უბნის ბოქალ-
ბა მიიღოთ. ჩაჯდებით საღმე დაბაში და პირველი კაცი
იქნებით... იქვსაც ვერავენ მიიტანს, რომ ამ საქმეში ჩვენ
დაგეხმარეთ... მერმე წინ წაიწევთ, აქაც ხელს შეგიწყობთ.

ლადიკო — კარგი... ოღონდ...

უბანოვი — ჩვენ საქმის კაცები ვართ... თუმცა ბევრს გვაგინე-
ბენ, მაგრამ დაპირების ასრულება ვიცით, რადგან თუ
ჩვენ ნდობა არ გვექნა სრული, ისე ხომ ფეხსაც ვერ გა-
ვადგამთ. ახლა ჩემი პირობები მოისმინეთ. (გრაფინიდან
წყალს დაისხამს და ცოტას დალევს.) ჩვენ რომ ორჯერ ხა-
ხამშრალი დავრჩით, ეს თქვენი გაორების ბრალია.

ლადიკო — (მიაშტერდება, კარგად უნდა გაიგოს ნათქვამი).

უბანოვი — თქვენ გინდათ ჩვენი მფარველობა დაიმსახუროთ,
მაგრამ თან სხვა მოსაზრებაც გაქვთ; ხან გეშინიათ, ხან
გერიდებათ. დიახ, გაორების: ერთ საქმეში, მაგალითად,
ერთი ვილაც თქვენი ახლობელი, თქვენ ერიდებოდით მის
დაჭერას.

ლადიკო — (ნერვიულათ პაპიროსს გააბოლებს).

უბანოვი — მეორეში თქვენ შეშინდით, გეგონათ ყველაფერი
გამოაშვარავდებოდა... და ამიტომ მეტად სიფრთხილით
მოქმედებდით... ჩვენ იძულებული შევიქნით მიმყოლი,
გზის მაჩვენებელი სხვა გვეძებნა... ამგვარად, შიშმა, თავ-
მოყვარეობამ, ნათესაობამ, სისხლმა, როგორც გნებავთ
ისე დაუძახეთ, ჩვენ ხელი შეგვიშალა.

ლადიკო — (აღელვებულია). აბა გავპირუტყვდე მთლად და
ალაიაში გამოვიდე, ვიძახო ჯაშუში ვარ-თქო?!

უბანოვი — რათ ხმარობთ ასეთ სიტყვებს... თქვენ რომ იცოდეთ
ამ თქვენი ნათესაეების სულისკვეთება, მათი პროგრამა,
მოქმედება, ნათესავათ კი არა, მოსისხლე მტრათ ჩათვლი-
დით... თქვენ გგონიათ, მათ თუ ჩაუვარდათ ხელში ძალა-
უფლება, მარტო მე და ჩემისთანებს დაუწყებენ დევნას...
არა, ბატონო ჩემო, თქვენისთანა პატარა აზნაურებიც,
პატარა მემამულეებიც, პატარა მოხელეებიც ვერ აცდე-
ბით დევნასა და შეიძლება დაუმსახურებელ ჩაგვრას...

ლადიკო — ვითომ?

უბანოვი — თქვენ წარმოიდგინეთ ასეთი მდგომარეობა: ის უფ-

ლებები, რომელიც ჩვენ გადმერთებულ, მირონცხეულ
მეფეს ხელთ უპყრია, ვთქვათ, გადაეცა პროლეტარიატს.
ე. ი. ბოგანო მუშას, რომლის მსგავსი თვით რუსეთშიც
ას კაცზე ერთი მოდის, ხოლო თქვენში სანთლითაა საძე-
ბარი; და იცით, მოწყალეო ხელმწიფევე, რაა ეს პროლე-
ტარიატი, მისი რევოლუცია და სხვა, ესაა ის, რომ და-
ვრეტა სანატრელად გაუხდება რევოლუციის თქვენისთანა
დამხმარეს და მოხელეობა კი არა, საქმელი პური ხელ-
გაწვდილი ჩამოსათხოვარი გექნებათ... ჩემი ნათესაეიო!
ის თქვენი ნათესაეიც თუ გადარჩა, დამერწმუნეთ, ხელ-
საც არ გამოგიწვდით ჩამოსართმევით... როგორ მოვიტრა-
თაეი, ჯაშუშად როგორ ვეჩვენო ხალხსო?

ლადიკო — განა მართალი არ არის?

უბანოვი — ჯერ ერთი, იმ ხალხს, რომელშიაც თქვენ ცხოვ-
რობთ, არაფერი საერთო არა აქვს რევოლუციონერებთან
და არაფერი დარდი არა აქვთ მათი, თუ ძალას არ დაატა-
ნებენ, არ მოატყუებენ.

ლადიკო — კარგი და რომ გამიგონ?

უბანოვი — ვინ გაიგებს დარწმუნებით ასე ადვილად რა მოხდა?
მხოლოდ, თუ მართლა გაწყრა ღმერთი და გაიგეს, რუსე-
თი დიდია, ისეთ ადგილას მიგმალავთ, რომ აქაურმა ჩიტ-
მაც ვერ მოგაგნოთ და კიდევ უფრო დიდ ადგილს მოე-
ცემთ.

ლადიკო — რუსეთში?

უბანოვი — იქ დაწინაურდებით და აქ რომ ჩამოხვალთ, თქვენ-
ივე მტრები ფეხს მოგილოკავენ.

ლადიკო — (დგება, ეტყობა, რალაც გადაწყვეტილება მიიღო).
მაშ გულახდილად გეტყვით.

უბანოვი — მე სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ და-
მეგობრდებოდით...

ლადიკო — მე მგონია, რომ...

(ფარდა)



რკინიგზის სადგურის უფროსის კაბინეტი. სადგურის უფროსის მამაკაცი დასთან მუშაობს. თავს წამოადგება როტმისტრი ებანოვი და ფელდ-ფებელი ძალღებით...

ებანოვი — როტმისტრი...

სად. უფრ. — (უეცრად თავს აიღებს, მაშინვე ზეზე წამოდგება, გააწყვეტინებს), მიბრძანეთ!

ებანოვი — მე მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, განკარგულება გაგეცათ 15 ვერსზე ოდნავ შეაჩერონ მატარებელი, რომ ჩვენ გადმოხტომა მოვახერხოთ.

სად. უფრ. — ზიამოვნებით, რა თქმა უნდა, როგორც გნებავთ...

ებანოვი — მე ვერ გიბრძანებთ, ოღონდ თავაზიანობის მიხედვით.

სად. უფრ. — დიახ, დიახ, მესმის... ოღონდ რაიმე უსიამოვნება არ მოხდეს... ეს სასწრაფო მატარებელია, უეჭველია იქ ვინმე დიდი მოხელე მიემგზავრება და...

ებანოვი — თქვენ არ შეგიძლიათ, როგორმე მოგვიხერხოთ, ადგილზე მიგვიყვანოთ?

სად. უფრ. — როგორ არა, როგორ არა... (ძალღებს გადახედავს.) თქვენ სანადიროთ მიბრძანდებით, არა?

ებანოვი — დიახ.

სად. უფრ. — მაშ ამ მატარებელს გაჰყვება საბარგო მატარებელი და იმითი წაბრძანდით, იმის შეჩერებაც ადვილია.

ებანოვი — რამდენ ხანში იქნება ეს?

სად. უფრ. — სულ დიდი, სულ დიდი ერთი საათის დაგვიანებით თქვენ დანიშნულ ადგილზე მიხვალთ. ჯერ ადრეა... ცოტა მაინც თუ არ გარიყრავდა, ისე ნადირობას ვერ დაიწყებთ, იქ ისედაც დაბურული ტყე და ხრამებია.

ფელდფებელი — თქვენო აღმატებულებავ, თანაც აქ კარგი ბუფეტი გახლავთ.

ებანოვი — კარგი. მე აქ ბუფეტში ვიქნები და, როცა დრო დადგეს, შემატყობინე; ოღონდ გთხოვთ, რაც შეიძლება დააჩქაროთ.

სად. უფრ. — უსათუოდ, უსათუოდ. (გადის).



მანქანასთან. მემანქანე მანქანის მოაჯირზეა გადმოწოლილი და მუშათაგანი გამოივლის.

მუშა — (მემანქანეს გადაულაპარაკებს). მეთხუთმეტე ვერსთან სვლა შეამცირე, ისე რომ გადმოხტომა შეიძლებოდეს.

მემანქანე — კაცო, ისედაც იგვიანებს მატარებელი და შარი არ მომდგან.

მუშა — სპირიდონმა შემოგითვალა.

მემანქანე — კარგი, ერთს რომ დასტვენ, ე მაშინ გადმოხტეს, მეორე დასტვენაზე სვლას მოუმატებ.

მუშა — კარგი.

კინო:

რკინიგზის ლიანდაგთან ფერდობი. მატარებელი გაივლის, ცოტა შეაჩერებს მსვლელობას. შემდეგ ისევ საჩქაროდ გაიბრუნს. შეჩერების დროს მატარებლიდან გადმოხტება შაქრო და კისრისტეხით ფერდობზე ჩაიბრუნს.

(ფარდა)

ეპიზოდი 11

პარმენის ბუტკის შინაგანი ხედი. შაქრო შემორბის და მძინარე გაიოზს აღვიძებს.

შაქრო — გაილვიძე, ბიძია, ბიძია!

(შემოდის პარმენა.)

პარმენა — შაქრო, რა იყო, რა ამბავია, რამ მოგიყვანა?

შაქრო — სპირიდონმა შემოუთვალა ლავრენტის — მგონია, ქანდარმები მოდიანო და ვერ გავალვიძე.

(ხმაურზე გამოიღვიძებს ანიკოც, შეეშინდება და ტირილს მორთავს.)

პარმენა — (ანიკოს). გაჩუმდი, ბოშო! (ლავრენტის) შე ოჯახქორო, ქანდარმები მოდიან, არ გაილვიძებ?

გაიოზი — (გაილვიძებს. წამოდგება). რა იყო?

შაქრო — აგერ წერილი...

გაიოზი — (გადაიკითხავს). არაფერია, ყოველივეს მოვასწრებთ. სად არის ჩემოდანი, პატარა ხურჯინიც წამოიღე, შაქრო.

(თვითონ ჩემოდანს აიღებს, შაქრო ხურჭინს.) აბა გაგწიოთ. (პარმენს.) შენ ვითომ სრულიად არაფერი არ ხცი, არ დაიბნე. (საჩქაროთ გადიან ის და შაქრო.)
(ფარდა)

ეპიზოდი 12

რკინიგზის ხიდის ქვეშ გაიოზი და შაქრო შემოდიან. გაიოზი ჩემოდანს ხისქვეშ დასდებს და პატარა ხურჭინს ალაგებს.

გაიოზი — ესეც ესე. გადავრჩით!

შაქრო — მე ასე ვიცი, რომ ქანდარმებს მონადირე ძაღლი კი არ ახლავს, არამედ სამძებრო პოლიციის ადამიანზე დაგეშილი ძაღლი.

გაიოზი — არაფერია. ჩვენ ველარ მოგვაგნებენ. აკი ჩვენ სულ წყალში ვიარეთ, ნაკვალევს გვიანობამდე მაინც ვერ მიაგნებენ. (ქალამნებს იცვამს, გლეხურ ახალუხსა და ფარაჯას.) პარმენს უთხარი — თუ მოახერხოს სპირიდონს მიუტანოს ეს ჩემოდანი, თუ არადა ვასოს გააგებინე.

შაქრო — შენ სად წახვალ?

გაიოზი — (უკვე თითქმის ყოველივე ჩაალაგა). აბა, ახლა ეს ფული შენ.

შაქრო — აჰ, ფული რათ მინდა?

გაიოზი — ნუ სულელობ, ბიჭო, ეს ფული არც შენია და არც ჩემი, იმისია, ვისაც სჭირდება და შენ კი გჭირდება, რომ ჩვენი საქმისათვის ისწავლო ორი ანბანი. თანაც ბიძაშენი იქნებ დღეს-ხვალ გააგდონ სამსახურიდან და ორ დღეს ლუკმას სჭამს. აბა, ახლა მშვიდობით, წადი... პირდაპირ ქალაქში, სკოლაში. უკან ნუ დაბრუნდები.

შაქრო — შენ?

გაიოზი — მეც წავალ, მარა სხვა გზით.

შაქრო — ეს ადგილები მე უკეთ ვიცი, თხრილებით და საგორაკებით წაგიყვან.

გაიოზი — საშიშია, ბიჭო, ერთად რომ დაგვინახონ... იქნება კიდევ.

შაქრო — მე რა გლახა მნახე, რომ მიგატოვო? (გაიოზი ჯიბეებ-

ზე დაიხედავს. მეტათ გამობერილია. ერთ რევოლვერს
ამოიღებს, არ იცის სად შეინახოს.) ბიძია, არ გმტყვავთ
ბეში რევოლვერი!



გაიოზი — გინდა, ბიჭო, რევოლვერი?

შაქრო — (თავს დაღუნავს, ბუჩქს ფოთოლს წააწყვეტს, სრე-
სას დაუწყებს).

გაიოზი — რამდენი წლისა ხარ, შაქრო?

შაქრო — (ნაღვლიანად). თოთხმეტის.

გაიოზი — რომ მოგცე? (შაქროს გაუხარდება, ღვედს შემოიხს-
ნის, რევოლვერს მარჯუთეში გაუყრის, ბლუზისქვეშ შე-
მოიკრავს და ბლუზას ჩამოუშვებს.) მაგრამ ჭკუით! არავინ
გინახოს. ჯერ შეინახე, თუ გინდა, სპირიდონს მიაბარე.

შაქრო — ნუ გეშინია, ბიძია, ამას არავის ვაჩვენებ. შინ რომ
მივალ, გავქონავ და მიწაში შევეინახავ.

გაიოზი — განა მუშის საქმეა კაცს ესროლოს ან ვინმეს დაეცეს,
მაგრამ, როცა ძალღუბივით დაგვდევენ, რა ვქნათ? თუ სა-
ჭირო იქნა, შენც იცისრებ ასეთ დავალებას, მაგრამ შენ
უკეთესი დრო დაგიდგება. აბა ასე, ახლა ლაპარაკის დრო
არ არის — როგორც ვითხარი, ისე მოიქეცი.

(ფარდა)

მოკმელება III

ეპიზოდი 13

სპირიდონისას. გაიოზი და სპირიდონი.

გაიოზი — ჰოდა, ასეა. ეს მეორეჯერ გაგვცეს სრულიად მოუ-
ლოდნელად. ამ ორ-სამ წელიწადში რამდენი ჩვენი საქმე
ჩავარდა. ზოგიერთმა იცოდა ესა თუ ის საქმე, მაგრამ
ყველა ერთად იცოდა მხოლოდ ოთხმა. ერთი შე ვარ. სამ-
ში რომელია?

სპირიდონი — ისე ვატყობ, რომ შენ ლადიკო ნორაბიძეზე მი-
ვაქვს ეჭვი?

გაიოზი — მაშ რა ვქნა?.. კაცი დავიტანჯე, მოსვენება აღარა

მაქვს, ვითომ ხანდახან ვფიქრობ, პარმენს თუ გაუწყობა
ლმერთი? მობეზრდა ამდენი გაჭირვება და ეს ძმისწულიც
უმთავრესად მას აწევს ზურგზე.

სპირიდონი — ვინა, შაქრო? აკო, კაცო, აქ ივანე გოლიამვილ-
მა აიყვანა გადამწყობათო.

გაიოზი — ჰო, იქ არის, ამ ჩვენ ძველ ნაცნობთან. მაინც დაპი-
რებული იყო ხომ. მიამბნია შენთვის: ტყეში რომ შაქროს
მამა გარდაიცვალა, დაგვიბრდა შემდეგშიაც ამ ბავშვს
მოუვლითო და ბავშვიც მართლაც რომ კარგი დგება ძა-
ლიან, ასე რომ შაქროზე არც კი მინდა ვიფიქრო. თუ იმან
რამე ჩაიდინა, დაედუპულვართ.

სპირიდონი — არა, ეგ წარმოუდგენელია.

გაიოზი — მაშ პარმენი? სისამაგლეა ამის ფიქრი, შეუძლებე-
ლია. თვარა რამეში დაეტყობოდა... ტინტრაქა არ არონი-
ებდა მის პატარა გოგონას. ან თავის თავს როგორ ჩაიგ-
დებდა ამდენ ხანს საპატიმროში?

სპირიდონი — ეგეც შეუძლებელია!

გაიოზი — მაშ ვილაა, კაცო? ან შე ვარ, ან ლადიკო.

სპირიდონი — ასე ცარიელი ექვი არ კმარა.

გაიოზი — ხან ამასაც კი ვფიქრობ: ლადიკო როგორ უმტყუნებ-
და არჩილს, თავის ბიძამვილს — საფიცრათ ჰყავს. რამ-
დენჯერ სახიფათო საქმეში თვითონ გარეგია, კარგად დამ-
თავრებულა! აბა ვინაა?

სპირიდონი — ამას გამოკვლევა უნდა.

გაიოზი — მარა ვინც უნდა იყოს, ვფიცავ პატიოსნებას, ცო-
ცხალს არ გაუშვებ. ვიცო, ვიცო, მარა რაც არ უნდა დამი-
შალოთ, რაც არ უნდა ძნელი იქნეს...

სპირიდონი — გეუბნები, გამოკვლევა უნდა-მეთქი!

გაიოზი — თუ მე თვითონ როგორმე ან ძილში, ან გაუფრთხი-
ლებლობით მომივიდა რამე, რამაც გაგვცა, თუ სისხლი
მიდგია, თავს მოვიკლავ... არა, ჯერ რამე შესანიშნავს
ვიზამ და მერე.

სპირიდონი — ძალიან აღელვებული ხარ, ამხანაგო... ასე არ
შეიძლება.

გაიოზი — ვიცო. ეს სანტიმენტალობა მთლად საქაგელია.

სპირიდონი — ამ საქმეს კიდევ უფრო მეტი სიღინჯე უნდა. მა-

სალებს უნდა შეეკრება, გამოკვლევავ და, როდესაც ნამდვი-
ლი უტყუარი საბუთები ხელში გექნება, მაშინ... შევიკ-
რიბოთ ამხანაგები და ერთ სწორ გზას დავადგეთ.

გაიოზი — მართალი ხარ, სპირიდონ. ეგრე უნდა მოვიქცე, ცხა-
დია. მხოლოდ გული ვერ დამიმშვიდდება, ყოველგვარ
საქმიანობაზე გული ამივარდება, სანამ ნამდვილს არ გა-
ვიგებ, არ დავწყნარდები. (შემოდის შაქრო.)

სპირიდონი — ოჰ, შაქრო, შენა! მოდი, მოდი, ამხანაგო! ძა-
ლიან დაგვიძვირე შენი ნახვა. აბა, რას იტყვი კარგს? ეგ
რა წიგნია? (გამოართმევს.) სმაილსი? ბევრი არაფერი. ეს
რალაა, ქართული ალმანახი? რას წერენ, ბიძია, ჩვენი
მწერლები? არის ამაში რაიმე საყურადღებო?

შაქრო — არც აქ არის ბევრი რამ, მაგრამ სხვებს მაინც აი ეს
სჯობია.

სპირიდონი — აბა, რა არის. წაიკითხე, შენს გაზრდას.

შაქრო — (კითხულობს). „მიყვარს ჭექა-ქუხილი, როცა არ იცი
რას მიეკედლო, როცა დიდი ხე საშიშარია — მეხი არ
დაეცეს. მინდორ-ველში კი მარტოობით სული გეზუთე-
ბა; გრიგალი ქარი მოტაცებას გიპირებს და თვალში გაყ-
რის, რაც მიწას ვერ შესისხლხორცებია; ზვეიდან ბნელად
დაგყურებს შავი ღრუბლები, ქვევით კოჭებამდის გირ-
ტყამს ნიაღვარი.

ბრძოლა სიცოცხლისათვის, — სჩქევს სისხლი, გავი-
წყებს წვრილმან უსიამოვნებას, ცდილობ, როგორმე
სიკვდილს გადარჩე!

მიყვარს მოწმენდილი ცა, ნიავი ოდნავ ეკარება შუბლს:
ზურმუხტ ცას მზის შუქი ალიმებს; მწვანე ბიბინებს და-
მატკობებლად; ხეები ნაზად იხრებიან, ვით ჩამოვლის
დროს მოლეკურე მეგრელის ქალი. ჩიტები სხვადასხვა
პანგზე უმღერიან თავიანთ სატრფოთ; წყნარად მოღუღუ-
ნებს აცისკროვნებული მდინარე.

გიტაცებს სიამე ქვეყნისა, შენს გულს იმედს ჰვეროს
ბუნების მეჯლისი; გადახდილი მწუხარება ასწილ ნეტა-
რებით ითრგუნება, ქრება!

ოხ, ბედო, რათ მაგდებ მუდამ უღიმღამო ბუნებაში!
მოღრუბლულა, მხოლოდ აქა-იქ დარჩენილა მოწმენდი-

ლი ცის ნაჭერი; მოზოზინებს ღრუბელი და ოდნავ განათებულ მხარეს ისევ ყლაპავს თავის წყვილიაღში. ვარსკვლავთ გუნდს ვერ მოსძებნი; ძირს მიწაც მიჩუმებულა, თითქოს უცდის მოწყენილი, როდის მოვა განკითხვის დღე და ფიქრობს, როგორ მოვიქცეო; ამღვრეული მდინარე ვერ ბედავს ნაპირს დაეჯახოს, გვერდს უვლის ბუტბუტით საღს კლდეებს; იგი დროს ელის, ჭექასა და გრიგალს, კოკისპირულ წვიმას, რომ ცით დაიმედებულმა სალი კლდე ქვეშ გათელოს, გზა გაიხსნას.

კრულ იყოს ასეთი დრო მოლოდინისა, დრო ფერმკრთალი სიცოცხლისა!“.

სპირიდონი — ჰო, არა უშავს რა, მაგრამ, გაიოზ, მე ეს მაინტერესებს, რათ უმღერიან ბურჯუაზიის წარმომადგენლები ამ ქარიშხალსა და რევოლუციას? ნუთუ ვერ ამჩნევენ, რომ მათი აღსასრულის დღე რევოლუციასთან ერთად დადგება?

გაიოზი — (უფულოთ, თავის ფიქრში, მაგრამ მაინც პასუხს გასცემს). სწორედ ვერ ამჩნევენ, მათ ჰგონიათ, რომ რევოლუცია მათ გადასცემს ძალა-უფლებას.

სპირიდონი — საკვირველია, რომ მეცნიერთა, ხელოვანთა და პოლიტიკოსთა წრე ასეთი ბეცი ხდება.

გაიოზი — უცნაურია, მართალია. სხეა, შაქრო, როგორ მოეწყვე შენ მფარველთან, ბატონ გოლიაშვილთან? როგორ შეეთვისე?

შაქრო — არა უშავს, მეგობრებო, გართობის სახლში კაცი არ მოიწყენს. საღამოობით სტუმრები დადიან... უფრო ქართველობა, ზოგჯერ ჟანდარმის როტმისტრიც... გოლიაშვილის ქალს ტანიას ეარშიყება...

სპირიდონი — აჰა, კოალიცია ჟანდარმერიისა და პატრიოტების... რაო? პეტიციებზე მსჯელობენ?

შაქრო — ჰო, აგრე უნდა იყოს... მე კი ყველანი ოჯახში ტანიას რაინდს მეძახიან.

გაიოზი — (გაეღიმება). რაინდი კი არა... შე მაიმუნო, რა დროს შენი კავალრობაა.

შაქრო — რას მერჩით? აგერ 16 წლისა ვარ...

სპირიდონი — ოჰო-ჰო! დიდო ვაქვაცო, დიდო...

შაქრო — ვაჟკაცი ვარ, მაშ... ახლაც თქვენთან მოციქულად ვარ ბატონ ივანესაგან გამოგზავნილი.

გაიოზი — მოციქულად?

სპირიდონი — რაო, რა მინდაო?

შაქრო — ჩვენო აქაო ხუთშაბათს პატარა თათბირი გვექნება და შენ რაკი იცნობ მუშების შეთაურებს, მიმეგზავნე, დიდად მითხოვე, რომ უსათუოდ დაგვესწრონო, ისე მოახერხონ, რომ მუშების წარმომადგენლები იყვენ ამ თათბირზეო.

სპირიდონი — გესმის, გაიოზ? (შაქროს.) მაშ შენ მის თვალში დიდი ნდობით ჰყოფილხარ აღჭურვილი...

შაქრო — მაშ თქვენ ისევ პატარა შაქრო გგონივართ?

სპირიდონი — ახლა ვითომ ამით რა გინდა, გაიოზ, ა?.. გესმის? ძველ ლიბერალს უნდა ხიდი გასდოს ინტელიგენციასა და მუშებს შორის.

გაიოზი — (გამოცოცხლდება). წასვლა მაინც საჭირო იქნება.

სპირიდონი — შენ ფიქრობ?

გაიოზი — დიახ, მე ვერ წამოვალ... შენ იცი, რა საქმე დავიგა-
ლე თავზე. მე ჯერ ეს უნდა გამოვიკვლიო და შენ კი, ჩე-
მის ფიქრით, კარგი იქნება თუ მუშებს მიიყვან და მიხ-
ვალ.

სპირიდონი — რა იქნება მერე?.. ჩვენი შეთანხმება ხომ შეუძ-
ლებელია?!

გაიოზი — რასაკვირველია, მაგრამ ისიც კარგია, რომ ერთხელ
და სამუდამოთ სიმართლეს აგრძნობინებ.

სპირიდონი — ვფიქრობ. მაშ დიდ ამბავშია ჩვენი ინტელიგენ-
ცია. ფაფხურობს, ა? კიდევ ვინ დაიარება, შაქრო?

შაქრო — ყველას ვერ ვიცნობ, მხოლოდ ერთი... გიორგის ეძა-
ხიან, გვარი არ ვიცი, თავადია. იმას დიდათ ელოლიავე-
ბიან. რაღაც მეტად უცნაური კაცია. სულ ეჩხუბება ყვე-
ლას. თითქო მათი მოწინააღმდეგეა, მაგრამ მე კარგათ
ვერ გამოიკვევია რა უნდა... არჩილიც დადის ხანდახან.

სპირიდონი — არჩილ ნორაბიძე?

შაქრო — დიახ.

(გარედან ჭალის ხმა; სპირიდონ არა გცალია?)

სპირიდონი — რა... იყო?

ჭალის ხმა — ერთი მოდი აქ. (სპირიდონი დგება, მიდის.)

შაქრო — ლადიკოც დადის, ჩვენი ლადიკო.

სპირიდონი — (მიმავალი თავს მოიბრუნებს). ლადიკოცა (გაი-
დის.)

გაიოზი — (ლადიკოს ხსენებაზე შესამჩნევად შეკრთა). როდის
იყო ლადიკო უკანასკნელად?

შაქრო — თუ არ ვცდები, აგერ ერთი კვირის წინათ.

გაიოზი — აჰა. (პაუზა) შაქრო! მე რომ რევოლვერი მოგეცი —
მომიტანე, ძლიერ მჭირდება.

შაქრო — (დარცხვენით). რომ აღარა მაქვს. ბევრი ვმაღე, მაგ-
რამ ბოლოს ბიძიამ გააჰყიდა, ფული გვჭირდებოდა ნამე-
ტანი.

გაიოზი — ცუდი ამბავია.

შაქრო — (მოიფიქრებს). მე გიშოვი.

გაიოზი — როგორ, რანაირათ?

შაქრო — ივანე ვასილის ძეს აქვს. რათ უნდა, უგდია უჯრაში.

გაიოზი — (იამება). მას არაფერი უთხრა, თორემ იქნებ არ მოვ-
ცეს. წამოიღე და ის იქნება. (შაქროს უკვირს.) ეს ხომ
მოპარვა არ არის, ჩემდა სასიამოვნოთ კი არ მინდა, საქ-
მისთვის მჭირდება!

შაქრო — კარგი, აბა ხვალ მოგიტან.

(ფარდა)

ეპიზოდი 14

ივანე გოლიაშვილისას. სასტუმრო ოთახი. ივანე, ესტატე, დისახლი-
სი, სტუმრები, მათ შორის: არჩილი, გიორგი, ჯგუფ-ჯგუფად სხედან.
დასაწყისში მოსჩანს, კაბინეტში შაქრო როგორ ეძებს რევოლვერს,
იპოვის. ჩაიდებს ჯიბეში და შეუშინველათ გადის.

ივანე — (ესტატეს). მერე და, რა ზომებს ლებულობს თქვენი
ლიბერალი გამგე?

ესტატე — შეეცდი, სულ სხვა კაცი გამოდგა: ქართულ საქმეებს
აღმაცერად უყურებს.

ივანე — მაგ მხრით ყველა ერთია — შავრაზმელი და ლიბე-
რალი.

ესტატე — შენ წარმოიდგინე, იმდენათ უკულტურო აღმოჩნდა,
რომ ჩემს საუკეთესო მოწაფეს შენიშვნა მისცა, რათ

ჰეარგავდი დროს რაღაც ზღაპრების შეკრებაზე, ძველ
ნაშთებთა აღწერაზეო...

ივანე — ჰო, შენ ხომ ეს ჩვეულება გაქვს. გახსოვს, ახლა რომ
ჩემთან არის, პატარა შაქრო, ერთ დროს იმასაც ზღაპ-
რებს აგროვებინებდი და ნაშთების აღწერასაც ავა-
ლებდი?

ესტატე — როგორ არა, ხომ გამოდგა შაქრო — კმაყოფილი
ხარ?

ივანე — ოო, დიდათ, დიდათ, ნამდვილი ხალხის შვილია. წრფე-
ლი, პატიოსანი. მგონი მუშაობს კიდევ პარტიამი.

ესტატე — ოჰო, ესე ახალგაზრდა? თუმცა ახლანდელი ახალ-
გაზრდები პრაქტიკულად ძალიან მალე ვითარდებიან.

ივანე — ის კი არა, მომავალ ხუთშაბათის კრებისათვის მუშე-
ბთან მოციქულათ ეგ ყმაწვილი გავგზავნე.

ესტატე — შენ, ეტყობა, დიდათ აფასებ, ძალიან ენდობი.

ივანე — არა, ვიცი, რომ იქაც ენდობიან.

ესტატე — კარგია, თუ მოახერხა მუშების მოყვანა.

დიასახლისი — (მანდილოსნების ჯგუფს). აი სწორეთ ეგ არის
დამამტკიცებელი. არეული ოჯახი, სადაც მამა ქეიფისა
და გარყვნილებისათვის აფორიაქებდა ოჯახს; დედას კი,
რაღაც ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, ისე ჰქონდა შეძუ-
ლებული საკუთარი სახლი, რომ მზათ იყო ყველაფრისა-
თვის წაეკიდებია ცეცხლი.

მანდილოსანი — რას ამბობ, ქალო, ელზას გაგიყვებით უყვარდა
ქმარ-შვილი.

დიასახლისი — ვიცი. მე ვამბობ სძულდა-მეთქი საკუთარი
სახლი.

მანდილოსანი — ეს იმიტომ იყო, რომ მამამთილმა თურმე გაუ-
მწარა ცხოვრება.

დიასახლისი — ვინ იყო დამნაშავე, ამის გარჩევას არ ვკისრუ-
ლობ, ეს კი ვიცი, რომ სანამ სრულებით არ გადატაკდენ-
თითქოს განგებ, აქცევდენ ოჯახს ერთის მხრით ქმარი და
მეორეს მხრით ცოლი.

ესტატე — (ივანეს). ამგვარათ, გამგეს ჩემთანაც ლაპარაკე
ჰქონდა.

- ივანე** — აი ამიტომაც გეუბნები, კულტურული ავტონომია გვეყველის-მეთქი.
- ესტატე** — მაგის წინააღმდეგი როდის ვიყავი, ოღონდ ეგ არ გვეყოფოდა.
- ივანე** — ყოველ შემთხვევაში მე კარგათ ვიცნობ გზათა მინისტრის თანაშემწეს. აი, გაზაფხულზე პეტერბურგში მივდივარ და მოველაპარაკები ამ სასწავლებლის მდგომარეობაზედაც. მისი ცოლი ჩვენებურია, ივანე ნაკაშიძის მგონი რაღაც ნათესავი.
- ესტატე** — ეჰ, არ ღირს. ასე უკანა კარებით არ გვეკადრება მოქმედება. მე მინდა, წერილი დავწერო სასწავლებლებში ქართველობის მდგომარეობის შესახებ; თუ რომელიმე გავლენიან გაზეთში დააბეჭდვინებ — ეს უკეთესი იქნება.
- ივანე** — ეს კიდევ უფრო გაუკეთებს საქმეს თქვენ გამგეს. ახლა ისეთი სულიერი განწყობილებაა პეტერბურგში, რომ საერთო რეფორმის იმედი ტყუილია და „ტუზემცების“ დენისათვის საეჭვოა, რომ ვინმეს შენიშვნა მისცენ. (წამოდგება და მიდის ქალების ჯგუფისკენ, ესტატეც გადაინაცვლებს არჩილის ჯგუფისაკენ.)
- მანდილოხანი** — (დიასახლისს). შენ ყოველთვის ასე უსამართლო ხარ ქართველი თავადების ოჯახებისადმი.
- დიასახლისი** — ეჰ, აბა რა სათქმელია, ელზა და მისი ქმარი სისულელით თუ ოჯახს აქცევენ, თავადაზნაურობა რა შეუშია? ისინიც, წარმოიდგინე, არ არიან დამნაშავენი. ესენი იყვენ პირდაპირ პათოლოგიური ტიპები. განსაკუთრებით ჩემს განცვიფრებას იწვევს ელზა, აი, როგორც შენ თქვი, ქმარ-შვილი გაგიყვებით უყვარდა, მაგრამ ბავშურათ ახარებდა ოჯახის ყოველი დანაკლისი. ჩვენ ერთი სოფლიდანა ვართ — და ხშირად ვყოფილვარ მათ ოჯახში. მინახავს როგორ გახარებული კარკაცობდა, როცა ძველებურ ჭიქასაინს ამსხვრევდენ გადამთვრალი სტუმრები, ანდა მობალახე სანოგრო ძროხას ნიშანში რომ ამოიღებდა რომელიმე თავმომწონე მსროლელი.
- ინტელიგენტი** — საუბედუროთ, ამას ჩვენში ბევრი ქეიფს უძახდა.

ივანე — არა, ბატონო, ყველაფერს საზღვარი აქვს. ხხევაგან ეს ხდება, როგორც გამონაკლისი, აქ კი იყო ერთგვარობის ტემა, ერთგვარი წაქეზება.

მანდილოსანი — (დიასახლისს). და მერე შენ ამას ხსნი ოჯახის სიძულელით?

დიასახლისი — მე მგონია, ამით უნდოდა მამამთილისათვის დამეტკიცებინა, რომ მისი სიმდიდრე არაფრათ შიანია, რომ უიმისოდაც გასძლებს და იცხოვრებს. უხდიდა იმ უსიამო დღეებისათვის, რომელიც გაატარა, როცა მამამთილისაგან დაწუნებული, გაჭირვებას განიცდიდა და ამ შეტყობის სიხარულში ვერ ამჩნევდა, რომ მამამთილის ოჯახი მისი საკუთარი ოჯახი იქნება ოდესმე. მართლაც, მამამთილი გარდაიცვალა, მგონი ცოტა უბიძგეს კიდევ და ელზას შერჩა გაძვალტყავებული ეზო და ცარიელი სახლი. დამარხვასაც, რომ ქვეყნისათვის მოყვარულ შეილებათ ეჩვენებინათ თავი, უკანასკნელი ვერცხლეული გადააყოლეს.

არჩილი — (სხვა ჯგუფში უფრო ახალგაზრდობაა, ქალ-ვაჟი, აქვე გიორგი, შემდეგ ესტატეც), განსაზღვრულ მომენტში ადამიანს, ცხოველს ეკარგება ბუნებასთან შეგუების უნარი. ამის შესახებ მეჩნიკოვს აქვს ერთი მშვენიერი მაგალითი. ზღვის ცხოველი, რომელიც უწყლოდ ვერ ცხოვრობს, განსაზღვრულ დროს გამოდის ნაპირზე და კვდება...

ინტელიგენტი — ეს ხომ თვითმკვლელობაა?

არჩილი — დიახ, თვითმკვლელობაა, მაგრამ არა ინდივიდუალური, არამედ ბუნებრივი, მთელი ჯგუფისათვის კანონად დადებული.

ესტატე — ვინ მეცნიერი დაასახელეთ?

არჩილი — მეჩნიკოვი.

ესტატე — ოო, დიდი მეცნიერია. მე ვიცნობ მის მხოლოდ ორ წიგნს; „Этюды оптимизма“ და „Этюды о природе человека“. მეტად საყურადღებო აზრებია გამოთქმული, ჩვენთვის, არასპეციალისტებისათვის, ადვილად გასაგები.

ინტელიგენტი — მეც ვიცნობ მაგ წიგნებს ცოტაოდენ. წიგნი

პოპულარულად არის დაწერილი, მაგრამ მაინც სჯობდა,
ჯერ მოხსენება წაეკითხა ვისმე.

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

ახალ. ქალები — ბატონი არჩილი წაგვიკითხავს.

— წაგვიკითხეთ, ბატონო არჩილ.

არჩილი — (ლიმილით). ვერაფერი ბიოლოგი ვარ, თუმცა უნდა
მართალი მოგახსენოთ, რომ მრავალი კითხვა სადაოთ მეჩ-
ვენა. წარმოიდგინეთ, ამ ერთ თვეში იმედი მაქვს დავამ-
თავრო დაწყებული მიმოხილვა „გლებთა განთავისუფლე-
ბის“ შესახებ და მაშინვე მაგას ჩაუუჯდები.

ახალგაზრდა — ოო, ეს შორეული ამბავია!

ხმები — მეტად საინტერესო საკითხია!

— თქვენ შეგეძლოთ მანამდეც!

ივანე — აგერ ბატონ ვიორგის ვთხოვოთ. თუ არ ეცდები, სპე-
ციალისტი ბიოლოგი ბრძანდება.

ვიორგი — თქვენს მრევლში დიაკვნათ არ ვივარგებ.

ესტატე — ეს ხომ პოლიტიკური კითხვა არაა, ბატონო ვიორგი.

ვიორგი — განა თქვენ არ ეთანხმებით ჩვენ სოციალ-დემოკრა-
ტებს, რომ სულსთქმაც კი არ შეიძლება ისე, თუ შიგ
კლასიური რამ არ არის?

ახალგაზრდა — მაშინ ვიკამათებთ და ეს კიდევ უკეთესი იქნება.

ვიორგი — ასეთი კამათი მხოლოდ ნერვებს შლის და ნაყოფი კი
არაფერი მოაქვს. ამას გარდა... სამწუხაროთ, ქართულიც
რომ არ ვიცი საკმაოთ. აქ ხომ სულ ტერმინები იქნება
საჭირო...

ინტელიგენტი — მაშ როგორ გინდათ, იშოვოთ მომხრე, თანა-
მოაზრე?

ვიორგი — მე სრულიადაც არ ვეძებ მომხრესა და თანამოაზ-
რეს. მე ძალიან კარგათ ვიცი, არც ერთის შოვნა ისეთი
სიმრავლით, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდეს, არ შეიძ-
ლება. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მე თვითონ
ვარ დიალექტიკური მატერიალიზმის მომხრე — „მდგომა-
რეობა ჰქმნის შეგნებას“ და ახლა სწორედ ისეთი მდგომა-
რეობა არის, რომ მე ორი, სამი კაცის მეტი არ გამომყვებ-
ბა — ეს ორი, სამი ჩემსავით უნიადაგო და გამოუდევარი
გახდებიან ცხოვრებისათვის... ისევ სჯობია, შემცდარმა

აზრმა ამოქმედოს... მოქმედება ყოველთვის უმოქმედობაზე.

ინტელიგენტი — თქვენ რალა გიშლით მიატოვრთ „მშველთა ალტქმა“ და ახალზე გადახვიდეთ, თუ კი ამჩნევთ, რომ უკანასკნელი უფრო მიზანშეწონილია?

გიორგი — მე ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ აღვიარებ, რომ უკანასკნელისაკენ მოერეკება ხალხს დღევანდელი მდგომარეობა... ეს იქნება ერთხანს — შეიცვლება მდგომარეობა, შეიცვლება იდეალებიც, მისწრაფებანიც, სწორედ ისე, როგორც ქრისტიანობისაკენ მიაქანებდა ხალხს განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება; დღეს ხომ ბევრი აღარ ფიქრობს, რომ ქრისტიანობისათვის ელინურ-რომაული კულტურის სრულებით შეწირვა მართებული ყოფილიყოს. ჯვარი წინ ველარ უძღვის კაცობრიობას. ეს ევროპამ, თუ უფრო ადრე არა, მეთექვსმეტე საუკუნეში მაინც ნათლად შეიგნო; ჩვენ კი მეოცე საუკუნეს მივადექით ერთხელვე შეთვისებულ ცნებით. ქართველების ჩვეულებაა მალე შეთვისება და დიდხანს დაყრდნობა ერთსა და იმავეზე.

ივანე — თუ მალე შეთვისება და მალე გადავიწყება?

ესტატე — და თქვენ ფიქრობთ, რომ სოციალიზმი შრომის გამანთავისუფლებელი მოძრაობაა? ეს ყოველივე ერთგვარი მოარული სენია, რომლის წინააღმდეგ თუმცა ბრძოლა არ შეიძლება, მაგრამ მაინც სენია და ოდესმე თავისთავად გადივლის.

გიორგი — როგორი სოციალიზმი და როგორი თავისუფლება. ის, რასაც უყურებ, კარგს არაფერს გვიქადის.

ივანე — თქვენ, ბატონო გიორგი, მართლაც მუშათა კლასის პრინციპული მტერი ყოფილხართ.

გიორგი — გარწმუნებთ, რომ ცდებით. მე მხოლოდ სხვა გზით მგონია მათი საბოლოო იდეალების მიღწევა შესაძლებლათ.

არჩილი — მაშ გამომამედვენეთ ეს თქვენი გზები, გვითხარით, გვაჩვენეთ.

გიორგი — ერთი რომ ვინ მოგცემს ამის საშუალებას? თანაც უმრავლესობას სწორედ ის გზა აქვს შეუგნებლათ სასი-

რულოთ ამორჩეული, რომელსაც თქვენ უმარტავთ
ლოდ...



არჩილი — (ლიმილით). ამირან გულში მდებროდაო, თქვენზე
ნათქვამი. (საერთო სიცილი. ამ დროს სასადილოდან გა-
მოდინან ახალგაზრდობა და ტანია.)

ერთი ახალგაზრდა — ბატონებო, ბატონებო! უკაცრავათ, რომ
ცოტა ხნით საუბარს შეგაწყვეტინებთ, მაგრამ მგონი წი-
ნააღმდეგი არ იქნებით ცოტა ხნით მუსიკაც მოვისმინ-
ნოთ...

ხმები — ოო, მშვენიერია!
— ძალიან კარგია!

იგივე ახალგაზრდა — ჩვენ უკვე ვთხოვეთ ქალბატონ ტანიას,
რომ დაგვატკბოს მისი მშვენიერი დაკვრით.

ხმები — ჩვენც ვთხოვთ!
— ვთხოვთ, ვთხოვთ!

(ტანია თანხმდება და უკრავს. ისმენენ. შემდეგ საუბარი ისევ განახლ-
დება თითქმის ყველა ჯგუფში.)

გიორგი — (ერთ ახალგაზრდას). მე თქვენთვის მინდოდა მეკი-
თხნა, რა გაქვთ ამ უკანასკნელ ხანებში წაკითხული, ან
თუ რაიმე მოგისმენიათ ლექციებზე რომელიმე ლექტო-
რისაგან „მასალის დაღლილობაზე“.

ახალგაზრდა — ძლიერ ცოტა. თქვენ ხომ არა ბრძანებთ „მასა-
ლის გაცვეთაზე“, „მასალის წინააღმდეგობის უნარიანო-
ბაზე“.

გიორგი — არა, არა. მე სწორეთ „მასალის დაღლილობაზე“ მო-
გახსენებთ, „он усталости материалов“. თქვენ, მგონი,
ინჟინერი ბრძანდებით, არა?

ახალგაზრდა — დიახ.

გიორგი — ჰოდა, აი თქვენ, როგორც სპეციალისტმა, იცით,
რომ ზოგჯერ ღერძი ან ბორბალი, ან სხვა რკინის, ლითონ-
ის ნაწილი უეცრად ტყდება, იშლება, იგრიხება და გა-
სინჯვის დროს შეუძლებელია, რაიმე ნიშანი ჰპოვოთ ან
გაცვეთის ან დაავადმყოფებისა — ტყდება და მიზეზი კი
მხოლოდ კრისტალების რაღაც ცვლილება უნდა იყოს.

ახალგაზრდა — მართალია, ეს ხდება.

(ტანიას ჯგუფში ტაში, რადგან ტანიამ გაათავა დაკვრა. სხვები ტაშს
სუსტად უერთდებიან.)

მანდილოსანი — (არჩილს). მეტად საინტერესო პიროვნებაა ეს
უნდა იყოს ეს თავადი გიორგი...

ესტატე — წინააღმდეგობათა მორგეობა და სხვა არსებობს.

არჩილი — წინააღმდეგობათა მორგეობა?! დიას, მშვენიერათ
ბრძანეთ. თუ არადა, მართლაც, ვინ არის ეს გიორგი? დი-
დი მოხელე, თავადი და... მთავრობის წინააღმდეგი; გლე-
ხების მომხრე; პოლიტიკური მოღვაწე XX საუკუნეში,
რომელიც ერიდება საკუთარი იდეების გავრცელებას და
არა შიშით. ტყუილია, მხდალი არ არის.

დიასახლისი — (სასადილოდან). აბა, ბატონებო, ვთხოვთ, ჩი-
ხე მობრძანდეთ. (წამოიშლებიან. ხრიალი.)

— ეს მშვენიერათ ბრძანეთ!

— მუსიკა, მართლაც, მეტად აღმაფრთოვანებელი იყო.

— იშვიათად უკრავს ქალბატონი ტანია.

— საოცარი კაცი კია, მართლაც, ეს კნიაზი გიორგი.

(გაღიან. ამავე დროს მორიდებით შემოდის შაქრო და მიემართება კუ-
ბინეტისაკენ. წინ შეხედება ივანე.)

ივანე — რათ დაიგვიანე?

შაქრო — მე უკვე ვიყავი, მაგრამ წავედი...

ივანე — გადამიწერე, რაც მოგეცი?

შაქრო — იქა ძევს, მაგიდის უჯრაში.

ივანე — მუშებთან იყავ, სთხოვე?

შაქრო — დიას.

ივანე — მერე?

შაქრო — არ ვიცი... შეიძლება მოვიდენ...

ივანე — (შეამჩნევს ალელვებს). რა დაგემართა? რა მოხდა?

შაქრო — არაფერი... ისე...

ივანე — როგორ თუ არაფერი, ფერი წავსვლია, ძლიერ სუნ-
თქავე.

შაქრო — მე... აღარ მინდა თქვენთან სამსახური. ე... ვერ ვი-
ლი თქვენთან.

ივანე — რატომ? გაწყენინა ვინმემ?

შაქრო — არა.

ივანე — ვერაფერი გამიგია.

შაქრო — მე რევოლვერი მოგპარეთ.

ივანე — (შეკრთება). ცუდი ამბავია. რევოლვერს უსათუოდ

რაიმე საქმისათვის წაიღებდი, ვინმე დაგავალებდა. (ჩაფიქრდება.) რევოლვერი არაფერია, ოღონდ, ოღონდ... იცი, რომ მეც გამაბამენ ამ საქმეში და რას მერჩოდ... მე ხომ არა ვარ ისე გასამეტებელი კაცი... კარგის მეტი რა მიმიძღვის თქვენსა და თქვენებისადმი...

შაქრო — არა, ეგ არ მოხდება... თქვენ არაფერი შეგეხებათ... მე ვეტყვი...

ივანე — (უკვე გაჯავრებული). რას ეტყვი? რევოლვერი წელის დასამშვენებლათ შეინახეთ და შაურიანს ესროლეთ ნიშანშიო?

შაქრო — ძალიან ძნელია, რაც ჩავიდინე, მაგრამ მეტი გზა არა მქონდა... თქვენ კი, დამიჯერეთ, არაფერი არ შეგხვდებათ.

ივანე — (იქით-აქეთ დადის). იცი რა! ეს მაინც დამავალე, ახლავე წადი და სთხოვე, ვისაც გადაეცი, ამოქლიბოს ნომერი.

შაქრო — (ეშურება წასვლას). ოჰ, ეგ... სიხარულით.

ივანე — ოღონდ, ვინც არ უნდა იყოს, არ ენდო, შენ თვითონ უყურე ამოქლიბვას და მოდი და მითხარი მაშინვე; რა დროც არ უნდა იყოს... (შაქრო გაექანება.) მოიცა, მოიცა, (უჯრიდან ტყვიებს ამოიღებს, თან სასადილოსაკენ იხედება) ესენიც გაიყოლიე, მაშ არ დაგავიწყდეს, შენ თვითონ უყურე, სანამ ამოქლიბავდენ.

(შაქრო ტყვიებს ჩამოართმევს და გადის, ივანე ერთი კიდეც გაივლ-გამოივლის ოთახში).

დასწყევლის ეშმაკი! ეს რა ხათაბალაა!

(ფ ა რ დ ა)

მოკმელება IV

ეპიზოდი 15

ქუჩა. გაიოზ და არჩილ ერთიმეორეს შეხვდებიან.

არჩილი — (შეაჩერებს). დაიცადეთ! თქვენ გაიოზი არა ხართ?

გაიოზი — ახლა გაიოზს აღარ მეძახიან, ლავრენტი ვარ, მაგრამ თქვენ როგორ არ გენდობით, არჩილ ნორაბიძეს... სეირნობთ?

არჩილი — დიახ. ცოტა თავი მტკივა... თქვენ კი ამ ჩვენ კუთხეში რამ ჩამოგავდოთ?

გაიოზი — ძლიერ მინდოდა თქვენი ნახვა, ვაპირებდი თქვენთან შემოსვლას, აქამდისაც მოვახერხებდი ამას, მაგრამ გადმომცეს, რომ ჩემზე უკმაყოფილო იყავით და...

არჩილი — უკმაყოფილო? თქვენზე? მე?

გაიოზი — დიახ, მას მერმე, რაც მამათქვენი დაიჭირეს.

არჩილი — ეჰ, შე კაცო, მას მერმე დრო გავიდა.

გაიოზი — კი, მაგრამ მე შწყინდა, რომ ჩვენ დაგვაბრალეთ.

არჩილი — თავისდღეშიც არ დამიბრალებია, მხოლოდ მწყინდა ასეთი გაუფრთხილებლობა მოხუცის მიმართ.

გაიოზი — გარწმუნებთ, რომ ჩემსა და სპირიდონს გარდა არვის სცოდნია, არც წამოგვეცდენია, ნამდვილათ შეგვიძლია თქმა, რადგან ყოველივე მუშაობას დაშორებული ვეყავით, თანაც თქვენ უსათუოდ იცით, რომ ჩვენ შორისაც ხდება ერთგვარი ბრძოლა: ზოგი მოქმედების დროებით შეწყვეტის მომხრეა, ზოგს ტერორის გაგრძელება სურს და ძნელი გასაგებია, ვინ რა გზას დაადგება. ჩვენც, რომ ჩვენის სურვილის წინააღმდეგ არავის ესარგებლა იარაღით, სასტიკ კონსპირაციას ვიცავდით. ბევრი ვიმტვრიეთ თავი, მაგრამ ჯერ ვერაფერი მივაკვლიეთ, თუ ვის უნდა გაეცა. შესაძლებელია, შემთხვევით წააწყდენ, როცა სხვა მიზნით ჩხრეკას აწარმოებდენ.

არჩილი — არა, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ქანდაკებები პარდაპირ ნაღის ქვეშ შევიდენ, ფუჩეჩი გადასწიეს და იარაღი ამოიღეს.

გაიოზი — საკვირველია! მამათქვენს რამდენი კაცი არ გაუგზავნეთ დაწვრილებით ეამზნა, მხოლოდ გვითვლიდა: თავიდან მომშორდენო.

არჩილი — მართლა შეურაცხყოფა მიაყენა მამაჩემმა სპირიდონს?

გაიოზი — დიდი! ციხეში შეხვედრია და მისალმების მაგიერ ყველასთვის გასაგონად გარკვევით უთქვამს: „ღმერთმა შენც შეგარცხინა და შენი კაცობაცო“. მერმე რამდენი კაცი არ მიუგზავნა, რამდენი არ ვეხვეწეთ, ერთი კრინტიც არ დასძრა, არავითარი ახსნა-განმარტების არც მიღება

ისურვა და არც მოცემა და, სხვათა შორის, სწორედ ამიტომაც მინდოდა თქვენი ნაზვა, რომ მამათქვენს გადასცეთ, დაარწმუნოთ, რომ ჩვენ გაუფრთხილებლობითაც კი არა ვართ დამნაშავე... შემდეგ ყოველი ღოხე ვიღონეთ, მაგრამ ვერავეითარი ეჭვიც კი ვერ მივიტანეთ... მამათქვენიც კარგს იზამდა გაეხსენებია, იქნებ მან უთხრა ვისმე.

არჩილი — არა მგონია... მეც ხომ მხოლოდ სიკვდილს მიმდგარამა მითხრა. შემდეგ ნანობდა კიდევ.

გაიოზი — (გაოცდება). როგორ? რაო? თქვენ იცოდით?

არჩილი — (ნერვიულად). დიახ, ვიცოდი. (პაუზა.) მამა ძლიერ ავად გახდა... დამიბარეს, მთხოვა, ან თქვენ ან სპირიდონი მიმეყვანა მასთან; სპირიდონი დაჭერილი აღმოჩნდა, თქვენ ვერსად გიპოვეთ. მამა აზიარეს კიდევ. ზიარების შემდეგ ყოველივე მიაშბო და მთხოვა, თუ მოკვდებოდა, ნალიისთვის ხელი არ მეხლო.

გაიოზი — მერმე? მერმე თქვენ არავისთვის გადაგიციათ?

არჩილი — დიდი ხნის შემდეგ, ჩემი ბიძაშვილი ლადიკო...

გაიოზი — (კინალამ დაიყვირებს). ლადიკო?

არჩილი — ჰო, ლადიკო შემოვიდა. მან იცოდა, რომ მამასთან უკმაყოფილოთა ვარ და არ მომერიდა, ლაპარაკში თქვა, თითქოს მამაჩემი კონტრრევოლუციონერი იყო და სიამოვნებით ჩამოახრჩობდა ყოველ კონტრრევოლუციონერს. მე მამას დაცვა დაუწყე და, სხვათა შორის, ისიც უთხარი, რა სახიფათო საიდუმლოს გინახავდათ თქვენ... ენა მოვიკვნიტე, მაგრამ სიტყვა ნათქვამი იყო, თანაც თქვენ ისეთის ნდობით ეპყრობოდით ლადიკოს, რომ...

გაიოზი — საუბედუროთ!

არჩილი — როგორ?

გაიოზი — სწორედ მისი გაცემული ვართ.

არჩილი — ვერ დავიჯერებ, შეუძლებელია!

გაიოზი — არა ერთხელ და ორჯერ მე უკვე მაქვს ამის დასამტკიცებელი საბუთები...

არჩილი — (დიდად აღელვებულია, ხველა აუტყდება). მაშ მე გამიცია მამაჩემი? ისიც მაშინ, როცა ჩვენ ერთმანეთზე მეტად უკმაყოფილო ვიყავით და მე უნდა გაუსწორდე.

გაიოზი — არა, ბატონო არჩილ. ვასწორებით მე გაუწვწვორდები. მამათქვენის საქმე ერთი მრავალთაგანია და პასუხიც უნდა გამცეს. მხოლოდ ჩემი ამხანაგების კიდეც უფრო დასაჯერებლად ჯერ-ჯერობით ერთ საქმეში კიდეც უნდა ვსცადო... ნახვამდის!

არჩილი — მოითმინეთ, იქნებ არ არის დამნაშავე? იქნებ ვინმემ მეც დამნაშავედ ჩამთვალოს და გამორკვევა უნდა...

გაიოზი — არა. თუმცა ჩვენ ყველანი თქვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ვართ, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ასეთს საქმეში არამც თუ არ გაერევი, ვერც გაერევი. მშვიდობით!

არჩილი — (ხელს ართმევს, შეაჩერებს). ლადიკოს მისამართი მაინც მითხარით.

გაიოზი — აღარ არის თქვენთვის საჭირო. მშვიდობით! ვთხოვთ, მხოლოდ ყველაფერი განუმარტოთ მამათქვენს — სრულიად არ გვინდა, რომ ჩვენ უპირო კაცებად გვთვლიდნენ. (გაიყრებიან. გაიოზი ცოტაზე გაიარს და შემდეგ თითქმის მოსხლეთილი ქუჩაზე სკამზე ჩამოჯდება დიდ ფიქრში. ამ დროს ჩამოივლის სპირიდონი და პატარა ანიკო).

სპირიდონი — (ანიკოს). აბა, შორს არსა წახვიდე. აქვე სადმე ითამაშე შენი სერსო... (ანიკო თავს დაუქნევს და გარბის. სპირიდონი გვერდით ამოუჯდება გაიოზს. ხუმრობით) რა ამბავია? რას ჩაღრმავებინხარ ასე მწარეთ?

გაიოზი — (გამოფხიზლდება). აჰ, სპირიდონ! ახლა ხომ ცხადია, რაზედაც გელაპარაკებოდი, სპირიდონ.

სპირიდონი — (მიიხედ-მოიხედავს). შენ კიდეც ლადიკოზე ფიქრობ? ხომ ხედავ, რომ ამხანაგებიც თანახმანი არ არიან. ისედაც ეგ საქმე ხეირს არ დაგაყრის არც შენ და... არც ჩვენ.

გაიოზი — ვერა, სპირიდონ, ვერა — ვერ მოვეშვები იმ კაცს, რომელიც მავნეთ მიმანია.

სპირიდონი — აკი გითხარი, რომ ცალ-ცალკე საუბრით და გამოკითხვით კი არა, არამედ ერთ დღეს შევეკრიბოთ ჩვენი ამხანაგები და თუ მართლა რაიმე თვალსაჩინო საბუთო გეჭნება, ამხანაგები გეტყვიან თავის უკანასკნელ სიტყვას.

გაიოზი — მეტი თვალსაჩინო საბუთი რაღათ მინდა, რაც სწორედ ამ ერთი წუთის წინ გავიგე, მაგრამ მაინც კიდევ უფრო რომ დავრწმუნდე და თქვენც დავარწმუნოთ, ერთ საქმეში კიდევ გამოვცდი ლადიკოს და შემდეგ ვნახოთ რას იტყვიოთ...

(თავზე წამოადგებათ ლადიკო.)

ლადიკო — აჰა, სად მოუკალათნია ორ გულითად მეგობარს... მიეცით ნება მესამე მეგობარსაც შემოგიერთდეთ და გაიზიაროს თქვენი ჭირი და ღვინი (მათთან ჩამოჯდება.) ჰაერზე გამოსულხართ?

გაიოზი — ძალი ხსენებაზე.

ლადიკო — რას ილანძლები, ჩემო ძმაო! შენ რომ არა გგავს... როგორღაც უგუნებოთა ხარ.

სპირიდონი — როგორ მოგვეფარე თვალთავან, ლადიკო.

ლადიკო — რა ვქნა, ძამია, გაჭირდა ცხოვრება, ლუკმა პურისათვის წანწალმა მომკლა. (ანიკო შემოდის.)

ანიკო — ბიძია, სადა ხარ?

სპირიდონი — ჰო, ანიკო! მაშ ახლა გეყოფა თამაში — წავიდეთ, ნახვამდის. (მიჰყავს გოგო და გადის.)

ლადიკო — ნახვამდის, სპირიდონ! ასე, ძამია, ხან სად დავეხეტებით და ხან სად, და სულ ჩამოგრჩით, სულ აღარ ვიცი რა კეთდება, რას აკეთებთ, ახლა რა გუნებაზე ხართ — რას აპირებთ?

გაიოზი — მართლა, ლადიკო, დიდი საქმე გვაქ გასაკეთებელი და შენ უნდა გავგიყეთო.

ლადიკო — მაი რაცხა კაი საქმე არ იქნება, ლავრენტი.

გაიოზი — არა, არ გეხუმრები.

ლადიკო — (მოიხედ-მოიხედავს). კაცო, აღარ მომასვენებთ, სანამ კატორღაში არ ამომაყოფინებთ თავს?

გაიოზი — შენს მეტი არავინ გეყავს შესაფერი. ვინმე მუშას რომ მივანდო, თვალში მოხვდებათ, ამიტომ შენ უნდა იკისრო — სულ ადვილი საქმეა. ხვალ სალამოს სწრაფი მატარებლით პეტერბურგიდან ჩამოვა ერთი კაცი. უნდა იცოდე, რომ თუ იმას რამე შეემთხვევა, ჩვენ ჩვენის ხელით უნდა გამოვიჭრაოთ ყელი. ის ჩამოხტება ავჭალაში, ან თბილისში, და ან ნავთლულში. ხელში ეჭირება საშუა-

ლო ზომის შავი ჩემოდანი და თავზე ეხურება კაზიროკი-
ანი ქუდი, აი ისეთი, როგორც მუშებს ახურავთ... ტანთს
დაბალია, მაგრამ სქელი, მეეტლეს ვაჭრობას გაუმართავს
და ხშირათ გაიმეორებს — „ПОЛТИННИК, ПОЛТИННИК“,
ხომ დაიხსომებ, „პოლტინიკ“.

ლადიკო — რა შემქამე, შე კაცო, ამ შენი პოლტინიკით? ერთ
სიტყვას რავე ვერ დევისწავლი ამდენ ხანს...

გაიოზი — ჰო, კარგი! თუ ფაიტონში ჩაჯდეს, შენც ფაიტონით
გამოსწიე, და თუ ტრამვაიში ჩაჯდეს, როგორც გერჩივ-
ნოს, გინდა ფაიტონით წამოდი, გინდა შენც ტრამვაიში
ჩაჯექი. ოღონდ თუ მან სადმე შეუხვიოს ან ვორონცოვის
ძეგლს გაშორდეს, შენ ნუ გაჰყვები, არამედ ძეგლისაკენ
წამოდი და იქ რომ ჩაივლი, ძალიან გადმოიზნიქე ფაიტო-
ნიდან იქნება თუ ტრამვაიდან — ეს იქნება ნიშანი, რომ
ნავთლულით მოვიდა და თუ შენ უდარდელათ ჩაჯდები და
აქეთ-იქით არ დაიწყებ ვისიმე ძებნას — ეს იქნება ნიშა-
ნი, რომ შენ არ გინახავს, შენი გზით არ მოსულა... გაიგე?

ლადიკო — ბიჭო, რა გაგება უნდა ამას: ეტლით წავალ, თუ და-
ვინახე — გადმოვიხრები და თუ ვერ დავინახე, გავნაბე
სულს... მარა რომ დამიკვირონ, ბიჭო, ამ ნავთლულში რა
გინდოდაო?

გაიოზი — ნუ სულელობ ერთი, მთელი თბილისი რომ დაიჭი-
რონ, შენ მაინც რა გიჭირს? რამდენი კაცი მიღის ნავ-
თლულში, ყველას ხომ არ იჭერენ.

ლადიკო — მე თბილისის სადგურზე გამგზავნე.

გაიოზი — იქ სხვაა უკვე დანიშნული.

ლადიკო — ვინაა?

გაიოზი — აი წელიწადი ჩვენთან ხარ და არ იცი, რა არის კონ-
სპირაცია?

ლადიკო — ფული არა მაქვს, კაცო! ნავთლულში ის წავიდეს,
ვისაც ფული აქვს, თბილისის სადგურზე ქვეითადაც წავ-
ბრძანდები, და თანაც თბილისის სადგური უფრო არ არის
საშიშარი... მართალი გითხრა, ეს რევოლუციონერების
მოვალეობა გვარიანათ მომბეზრდა... თქვენ, ძმაო, თქვენი
პარტიისათვის მუშაობთ და მე ვისი ტიკიტომარა ვარ.

გაიოზი — ა, ხუთი მანეთი გეყოფა ეტლისთვის და მეტი არ გა-
მაგონო უარი. (გადის.)
ლადიკო — სად მიდიხარ, კაცო, ცოტა ხანს ვილაპარაკოთ
კიდევ.
გაიოზი — ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. უნდა წავიდე.

ეპიზოდი 16

სპირიდონისას. მუშების კონსპირაციული კრება.

გაიოზი — (უკვე დგას და ლაპარაკობს). გთხოვთ, ყოველ ჩემ
სიტყვას დაუკვირდეთ, ასწონ-დასწონოთ, და თუ რამე
იჭვი დაგებადებათ ან ახსნა-განმარტება დაგვირდებათ,
გულახდილათ მითხარით. თქვენ იცით, რომ საქმე შეეხე-
ბა ერთ-ერთ გამცემს... ამის შესახებ ზოგიერთ ამხანაგებს
წინათაც გაუზიარე ჩემი დაეჭვება, მაგრამ ახლა, როდეს-
საც უტყუარი საბუთი ხელთა მაქვს, არა მგონია, რომ
თქვენც შეყოყმანდეთ. ახლა გულახდილად გეუბნებით,
ამხანაგებო, რომ მე გადავწყვიტე ჯაშუშ ლადიკო ნორაბი-
ძის მოკვლა, რათაც არ უნდა დამიჯღეს და ვინც არ უნდა
დამიშალოს. ასეთი გადაწყვეტილება მე მივიღე, სხვათა
შორის, იმიტომაც, რომ არ დამრჩენია არავინ, ჩემი თა-
ვიც კი, რომ იჭვი არ მიმეტანოს... ახლა კი, როდესაც
დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შორის ლადიკოა გამცემი
და სხვა არავინ, მე გადაწყვეტილი მაქვს მისი მოკვლა.

მუშები — არა, მასე არ შეიძლება,

— შეიძლება ჯაშუშიც იყოს, მაგრამ...

— მისი თავიდან მოშორება უსათუოდ საჭიროა.

— მაგას რა ბევრი ლაპარაკი უნდა.

— კი, მაგრამ შეიძლება პარტიამ სასურველად ვერ
სცნოს დღეს ამ სურვილის სისრულეში მოყვანა.

— მიზანშეწონილი არ იქნება.

— მე მგონია, ამხანაგებო...

სპირიდონი — ამხანაგებო, პრინციპიალური სჯა-ბაასი მერმის-
თვის გადავდოთ, იმდენი არც დრო არის. იქნებ უკამათოდ
იქნეს საქმე გადაწყვეტილი ან შევნიშნავთ, რომ არ არის

საკმაოთ დასაბუთებელი ჯაშუსობა. სჯობია, ჯერ გვიამ-
ბოს ლავრენტიმ ყოველივე დაწვრილებით.

საქართველოს
საბჭოთაო მთავრობის

მუშები — სთქვი, ამხანაგო, სთქვი!

გაიოზი — აი ერთი მაგალითი: ვის უნდა სცოდნოდა, რომ საა-
ვადმყოფოში უსათუოდ 17 ოთახში, უსათუოდ ლებში
იქნებოდა შენახული ლიტერატურა და არა სადმე სხვაგან.
ეს ვიცოდით მხოლოდ სამმა. არც მოსამსახურეებს, არც
ავადმყოფებს, არც სხვა ამხანაგებს ეს არ სცოდნია. მატა-
რებლიდან ჩამოვიტანე მე, საავადმყოფოში შაქრომ ჩააბა-
რა თვითონ ლადიკოს. ის კი არა მე, შაქრო და ლადიკო
შემდეგ ერთად ვიგონებდით ხომ არავისთან წამოგვეცდე-
ნია-თქო. მეორე: ტასოს დაჭერა! მისი მისამართი ვიცო-
დით მხოლოდ ოთხმა. ახლა იმოდენა სახლში, სართულიც,
ბინაც, ოთახიც, ლოგინიც კი როგორ მონახა როტმისტრ
ეზანოვმა, თითქოს იქიდან ნახევარი საათის წინ წასული-
ყოს. შესამე: რკინიგზის ბუდეკაში ჩვენი სტამბის აღმოჩე-
ნა და პარმენის დაჭერა — ესეც ხომ მხოლოდ ოთხმა ვი-
ცოდით და, მათ შორის, ლადიკომ.

მუშები — ეგ არ კმარა.

— ეგ მხოლოდ მაინც ეჭვებია.

— არა კმარა, არა.

გაიოზი — რა თქმა უნდა, არ კმარა, მაგრამ მე მინდა თქვენ ჯერ
დაადასტუროთ, რომ ამ სამივე საქმის „ჩაგარდნა“ იმგვა-
რათ, როგორც ეს ხდებოდა, ყოველად შეუძლებელი იყო,
თუ ოთხში ერთ-ერთი არ ყოფილიყოს გამცემი. მამ ვის
უნდა სცოდნოდა, რომ უსათუოდ იოსებ ნორაბიძის ნა-
ლიის ქვეშ ჩვენ შენახული გვექონდა წითელრანმელების
იარაღი.

სპირიდონი — მერე და იქ ლადიკო სად იყო? ვიყავით შენ, მე
და სახლის პატრონი — იოსებ ნორაბიძე.

გაიოზი — აი გითხრა: მართალია, ეგ მხოლოდ ჩვენ სამმა ვი-
ცოდით, მაგრამ როდესაც იოსები ავად გამხდარა, ისე
რომ სიკვდილზე მიწურულა, დაუბარებია თავისი შვილი
არჩილი. ხომ იცით, ვიზედაც ვამბობ?

მუშები — როგორ არა?

— არჩილი ვის არ გაუგონია!



— ვიცი, ვიცი!

გაიოზი — ჰოდა, არჩილისათვის გაუნდვია მამას საიდუმლო, არჩილსაც ლადიკოსთვის საუბრის დროს როგორღაც გამოუმჟღავნებია ეს ამბავი.

სპირიდონი — ეგ შენ საიდან იცი?

გაიოზი — სწორედ ამ დღეებში მიაშობო არჩილმა. (სიჩუმე.) არც ახლა გკერათ?

მუშები — ჰო, ეს ძალიან მძიმე საბუთია.

— აშკარაა.

— მერე რათ გაუმჟღავნა არჩილმა?

— ისიც ისე ენდობოდა უთუოდ ლადიკოს, როგორც ყველა ჩვენ...

გაიოზი — მაგრამ აი კიდევ უფრო ცოცხალი და ახალი ამბავი: როცა იჭვი მივიტანე, ვიფიქრე, ისეთ საქმეში გავრეე, რომელიც ჩვენ მართო ორმა ვიცოდეთ-მეთქი. შევხვდი ლადიკოს და დავავალე, რომ ნავთლულში წადი, ერთ-ერთ რევოლუციონერს მოველით პეტერბურგიდან და, თუ ნავთლულში ჩამოხტეს, ეთრონცოვის ძეგლთან ნიშანი მომეცი-მეთქი. რევოლუციონერი კი ან ნავთლულის სადგურზე ჩამოხტება, ან თბილისის, ან ავჭალის-მეთქი და შენ ნავთლულში უნდა დაუდარაჯო. მეც დანიშნულ დღეს ყარაიაზში წავედი სანადიროთ. როცა ყარაიაზის სადგურზე მივედი, ვნახე როტმისტრი ყბანოვი და რამდენიმე კიდევ სხვა უცხო პირი. მე თვალთვლება დამიწყეს. ავედი ზედა ლოგინზე და მოვეწყვე. მაგრამ აი, ბედათ კოსტამ გამოიარა. ვთხოვე, ნავთლულში ჩასულიყო და ენახა, თუ რა ხდებოდა იქ. ახლა შენ თქვი, კოსტა, რა ნახე იქ.

კოსტა — ორი ქანდარმი ენახე, აი, პირველ მაისობას რომ დეპოს კარებთან დაძვრებოდენ, სწორედ ისინი.

გაიოზი — თბილისის სადგურზე რა ამბავი იყო?

კოსტა — თბილისის სადგურზე ბევრი იყო ქანდარმები, ფოლერებიც და პოლიციელებიც. სადგურთან იდგა სამი ცხენოსანი ქანდარმი. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მე შევნიშნე ფაიტონთან მდგომი ქანდარმი უსათუოდ იმ მიზნით, რომ საჭიროების დროს დადევნებოდენ...

სპირიდონი — დაიჭირეს ვინმე?

გაიოზი — შემდეგში სადგურის მორიგმა დარაჯმა მითხრა, რომ დაიპირეს ვილაც კაცი, ხელში ჩემოდანი ეჭირა და თავზე ბეწვიანი ქუდი ეხურა, მაგრამ საჩქაროთ გაუშვიათ, რადგან როტმისტრის პირადი ნაცნობი ბეთაღლი გამომდგარა. რაც მოხდა ვორონცოვის ძეგლთან, ეს იცის მაქრომ.

შაქრო — ვორონცოვის ძეგლთან რამდენჯერმე დაიპირეს ვილაცები უცნობმა პირებმა, ფოლერები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისევ გაუშვეს; ისე კი რალაც უხერხული იყო გავლა, ყველა ისე გაჩერდებოდა თვალში. მე რამდენჯერმე ტრამვაითაც ჩავიარ-ჩამოვიარე, ლადიკოც ვნახე, სრულიად ამდგარი იყო ტრამვაიში და აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს ვისმეს ეძებსო.

გაიოზი — მე კი ნადირობიდან დაბრუნებული...

სპირიდონი — საკმარისია, ამხანაგებო, მე მგონი გამორკვეულია ლადიკოს ვინაობა. მეტი დაწვრილებით მოყოლა აღარ გვჭირდება.

მუშები — ჩემთვის ნათქვამიც საკმაოა.

— მე აღარა მაქვს ეჭვი, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ლადიკოს რალაც საზიზღარი ჩაუდენია, მაგრამ მოკვლა ახლა, ამ პირობებში, ყოვლად დაუშვებელია.

— მართალს ამბობს ამხანაგი: ჩვენ ახლა გვაქვს, ასე ვთქვათ, დასვენების პერიოდი; თითო-ოროლა ტერორისტული აქტი ასეთ უმნიშვნელო პიროვნების წინააღმდეგ, როგორიც არის ლადიკო. ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

— რალა თქმა უნდა! სწორია! მართალია!

— საქმე ის არის, რომ ესეთი აქტი დაარღვევს მთლიან მოქმედების ხაზს, შეიტანს დეზორგანიზაციას, შეაშინებს და აამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ მოქალაქეებს, დაგვიკარგავს რამდენიმეს თუ არა ერთ-ორ ამხანაგს მაინც და ახლა ჩვენთვის არა თუ გამოცდილი ამხანაგი, ნამდვილი რევოლუციონერი, სუსტი თანამგრძნობიც ძვირფასია.

— რას ამბობ, ძმაო?! რაც მის მოკვლას ენერგია და მსხვერპლი დასჭირდება, იმ მსხვერპლითა და ენერგიით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, თუნდაც იმავე ტიპოგრა-

ფიის მოწყობისათვის, რომელიც ახლა უკვე მეტად, შეტად საკიროა.

— რა სალაპარაკოა! რაც შეეხება ლადიკოს, როგორც სულიერათ არის დღეის იქით ჩვენთვის მკვდარი, ისე იყოს სხეულითაც, ვითომც აღარ არსებობს.

— მოვა დრო და მაშინ მიუზღავთ თავისას.

გაიოზი — ეს ხომ დამტკიცებულია, რომ ვლადიმერ ნორაბიძე ნამდვილი ჯაშუშია, რომელმაც არა ერთხელ გაგვცა.

მუშები — ეს დამტკიცებულია.

— ეგ ნამდვილია, ძმაო!

სპირიდონი — რასაკვირველია! თუ წინანდელი მისი ჯაშუშობა ოდნავ საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში ეს ორი უკანასკნელი ფაქტი: არჩილიდან იარაღის საწყობის გაგება და შენი საიდუმლოს ეანდარმერიაში სიტყვა-სიტყვით მიტანა, ჩემთვის სრულიად უეჭველია... მხოლოდ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანოთ.

გაიოზი — (ცოტა გაბრაზდება). აბა ვინ გაგვცა სამჯერ? ის თუ არ არის დამნაშავე, მაშ ან მე ვარ, ან შაქრო, ან პარმენი, ან შენ!

კოსტა — მართალი ხარ, ლავრენტი, ლადიკო უსათუოდ ჯაშუშია. ამის ეჭვი აღარავის გვაქვს, შენ ეს მშვენიერათ დაამტკიცე, მხოლოდ ჩვენის აზრით, სხვა არაფერი დაგვრჩენია, მოვიშორეთ თავიდან არა მოკვლით, არამედ ისე, ჩამოვშორდეთ. აწი ველარაფერს გვავენებს და ბევრი ვერც წინათ მოგვიხერხა, რალაც ბეღია.

შაქრო — მეტს რალას იზამდა, ბიძია პარმენი არ კმარა?

გაიოზი — მაშ თქვენ ყველა იმ აზრისა ხართ, რომ იგი ჯაშუშია. მაგრამ ხელუხლებელი უნდა დარჩეს?

სპირიდონი — სწორეთ.

მუშები — აბა, რატომ ხელუხლებელი?

— ერთი რომ ჩვენ შეუთვლით — მისი ოინები უკვე ვიცით და მას არაფერში აღარ ვენდობით...

— ერთს კარგადაც დავეყვავთ, არც ის იქნება ცუდი...

— მოკვლა არ შეიძლება, არა.

გაიოზი — (გაგულისხმებულია). გავლახოთ რა, ბავშვია და მისი გამოსწორება მინდა თუ! მე იმ აზრისა ვარ, რომ ის ჯაშუ-

შია და რაც გაგვიფუჭდა, მისი ჯაშუშობით მოგვევიდა. ას
უსათუოდ უნდა იქნეს მოკლული.

სპირიდონი — ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთ.

გაიოზი — მე მაინც ვიზამ. იმას ერთიც ვეყოფი.

სპირიდონი — შენ დაარღვევ დისციპლინას და, ხომ იცი, დის-
ციპლინის დარღვევა ლალატს უდრის.

გაიოზი — მეტად ცუდი შეფარდებაა. თუ დისციპლინას ვარ-
ღვევ რაიმე პირადის ანგარიშით — კი, მაგრამ როცა
რწმენა და გონება მეუბნება, რომ მე მართალი ვარ, მაშინ
სულ სხვაა.

სპირიდონი — მაშინ ყველა ასე იტყვის.

გაიოზი — მე კი იმას გეუბნებით, რომ თუ ლადიკოსავეით ჩვენ-
თან დაახლოებულ პირთა შორის გამცემლობა დაიწყო,
რალა მუშაობის წარმოება შეიძლება? სხვას დაეხსენი,
რალა ამხანაგობა, ნდობა შეიძლება? ყველამ უნდა იცო-
დეს, რომ ვინც ასე მჭიდროდ დაგვიახლოვდება, ის ერთ-
გვარ მოვალეობასაც კისრულობს... არ იყოს გამყიდველი,
გამცემი, ჯაშუში.

სპირიდონი — რასაც ამბობ, ყველაფერი მართალია, მაგრამ
მაინც არ შეიძლება, ჩვენი მოსაზრებები ვითხარით და
ხომ ხედავ, ყველა წინააღმდეგია.

გაიოზი — მე მირჩევნია, დისციპლინა დავარღვიო, ვიდრე ჩემს
რწმენას ვუღალატო.

სპირიდონი — მაშინ ჩვენ პარტიაში ვერ დარჩები.

გაიოზი — ძალიან მძიმეა ჩემთვის დავტოვო პარტია, მაგრამ...

მუშები — კაცო, რა წერას აუტანისხარ!

— რამდენი ოხერი ჯაშუშია ქვეყანაზე, შენ უნდა
მოკლა?

— ძალით მაცხონე სწორედ ეს არის!

— პარტიისათვის გინდა ეს მოიმოქმედო, პირად შერს
ხომ არ იძიებ?

კოსტა — პარტია გეუბნება, ნუ შვრები, არ გვინდა, ჩვენთვის
ეს მავნებელია და შენ კი ჯიუტობ!!!

სპირიდონი — ვერ გამოვიდა, რა დაგემაართა, რა მავალითს აძლევ
შენ ახალგაზრდა ამხანაგებს?

(გაიოზი ვარინდული ზის.)

— მაშ შენი უკანასკნელი პასუხი?

(პაუზა. ყველა მიაჩერდება გაიოზს. შოლოდინის წუთი.)

გაიოზი — კიდევ მოვიფიქრებ.

(ფარდა)

მოკმელება V

ეპიზოდი 17

გოლიაშვილისას. თათბირი. ივანე, თაყაძე, გიორგი, არჩილ, შემდეგ სპირიდონი და მუშები.

ხმები — მგონი ყველანი შევიკრიბეთ, დავიწყეთ...

— ნამდვილი რაჭველი პატარძლის მდგომარეობაში ვართ, თუ რამეს აპირებენ, დეიწყონ.

— გვიანდება ძალზე!

ივანე — ახლავე, ბატონებო, ახლავე, აი მუშების წარმომადგენლებიც მოვლენ საცაა.

(შემოდინან სპირიდონი და მუშები)

სპირიდონი — ჩვენ ცოტა დავიგვიანეთ, მგონი, მაგრამ ტრამვაი სწორეთ შუა გზაზე შეგვიჩერდა.

ივანე — არა, არა, სხვებიც მხოლოდ 2—3 წამია, რაც მობრძანდენ. (ზოგი ჯდება, ზოგი ეძებს ალაგს. პაუზა.) რადგან, როგორც ვატყობ, ყველა ჩემგან, როგორც მასპინძლიდან, მოელის პირველ სიტყვას, ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ზოგიერთი თქვენგანის სურვილის თანახმად, მე მოვიწვიე საზოგადო მოღვაწენი და პარტიის წარმომადგენელი, რომ გამოვარკვიოთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ საქართველოში შემოღებულ იქნეს ერობა. გთხოვთ, ამოიჩიოთ თავმჯდომარე.

ხმები — რა საჭიროა თავმჯდომარე?

ივანე — თუ გნებავთ ხელმძღვანელი უწოდეთ, ოღონდ საჭიროა, ერთგვარი წესი იქნეს დაცული, რომ ჩვენმა თათბირმა რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

ხმები — თქვენვე ბრძანდებოდეთ ხელმძღვანელათ.

— გასაყოფი ჯერ, მგონი, არაფერი გვაქვს...

— გაზავება არ დაგვირდებათ!

— თქვენ, თქვენ!



ივანე — ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ უმთავრესად გვინტერესებს მუშა წარმომადგენლების აზრი და გვინდა, რომ ამ ერობის შემოღების საკითხში მაინც მათთან ერთად ვიმოქმედოთ.

სპირიდონი — უკაცრავათ, სწორეთ აქ არის მთელი სიყალბეც: ჩვენ როგორ შეგვიძლია, თქვენთან ერთად ვიმოქმედოთ. ან რაიმე თქვენ დაგიჭეროთ, როცა თქვენ ყოველდღე ეფიცებით იმპერატორს უქვეშევრდომილეს გრძნობებს და ეროვნება მხოლოდ მაშინ გაგახსენდებათ, როცა ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრებთ.

ხმები — როდის იყო?

— ვინა სთქვა ეგა?

— ვინ მოჰორა?

— გიორგი მართალია.

თაყაძე — თქვენ მაგათ უჭერთ მხარს?

სპირიდონი — პატივცემულ გიორგის დადასტურება საქმათა — ასეთი საქმეები მან უკეთ იცის, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ არა იმ მოსაზრებით ვართ თქვენი წინააღმდეგი, როგორითაც ბატონი გიორგი. ყოველ შემთხვევაში, რასაც თქვენ თხოულობთ, იმას ჩვენ მოვითხოვთ, რაც თქვენ უპირველეს საგნად მიგაჩნიათ, ჩვენთვის თავისთავად საგულისხმებელია და ჩვენთან ერთად სიარული ყოველდღე შეუძლებელია. ერთად-ერთი შეიძლება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელსაც თქვენ მიიღებთ, მხარი დაგვიჭიროთ ჩვენ.

ივანე — და თქვენ კი ვერ დაგვიჭერთ მხარს, როცა სარგებლობა ყველასათვის უეჭველია?

სპირიდონი — ვერ დაგვიჭერთ მხარს — იმ მიზეზით, რომელიც უკვე მოგახსენეთ: უბრალო მაგალითი აიღეთ: თქვენს თხოვნას რომ მხარი დაუჭიროთ, ეს იქნება თხოვნათა და პეტციკათა სისტემის საერთოდ დადასტურება. ჩვენ კი

ვამტკიცებთ, რომ თხოვნა კი არ უნდა — ბრძოლაა საქმი-
რო. თხოვნა გაპონების საქმეა.

თაყაძე — ასეთი ჯიუტობით, ბოიკოტით და გაფიცვებით ჩვენ
ჯერ არაფერი მიგვიღია. ბათუმის ქარხნები ზომ დაიკეტა
და მგონი გადაიტანეს ალექსანდრიაში.

სპირიდონი — იქაც მუშები დახვდებიან.

თაყაძე — ჩვენი მუშები კი დაიმშენ.

სპირიდონი — თუ კი საჭიროა საბოლოო გამარჯვებისათვის!

არჩილი — ჩვენ სრულიადაც უარს არ ვამბობთ საკაცობრიო
მუშაობაზე, მაგრამ...

ივანე — უკაცრავად — ასეთ განყენებულ კითხვებს თუ გავყე-
ვით, ჩვენ მიზანს მეტად დაეშორდებით.

არჩილი — კარგი, თქვენი ნებაა.

თაყაძე — როგორც ეტყობა, აქ განცხადებული მოსაზრებანი
მუშების მცირე ნაწილის უნდა იყოს...

სპირიდონი — არა მცირე, არამედ ვინც ნამდვილი მუშაა. აქ
არიან რკინიგზის, ტრამვაის და თამბაქოს მუშათა წარმო-
მადგენელი.

თაყაძე — მთელს ევროპას ვიცნობთ, მაგრამ ეროვნული საქმე
რომ ასე აბუჩად ჰქონდეთ აგდებული, არსად გვინახავს.

სპირიდონი — თქვენ იცნობთ ევროპას მუშების გამონაკლისით.

ხმები — ჩვენ ჩვენი მოვიმოქმედოთ.

— გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია.

— მართალია, მართალი.

— თუ ვინმე მეტს მოახერხებს, მადლობის მეტი რა
გვეთქმის.

ივანე — დღევანდელ კრებიდან და წინანდელ მოლაპარაკები-
დან, ჩემის აზრით, შემდეგი დასკვნები უნდა გამოვიტა-
ნოთ: პირველი, ერობის შემოღება სასურველად და მიზან-
შეწონილად არის აღიარებული თითქმის ერთხმად... მხედ-
ველობაში არ ვღებულობ უკიდურესთა განცხადებას, მით
უმეტეს, რომ ისინიც არ არიან ერობის წინააღმდეგი,
მხოლოდ ჩვენი ტაქტიკა არ მოსწონთ. მეორე: ასეთი შუ-
აფდგომლობა უნდა აღძრას თბილისის ქალაქის თვით-
მმართველობამ და თბილისის სათავადაზნაურო დეპუ-
ტატთა საკრებულომ, რომელთაც, უეჭველია, მხარს და-

უჭერენ საქართველოს დანარჩენი ქალაქები და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა დებუტატების საკრებულო. ზოგიერთ მათგანს ასეთი შუამდგომლობა წინათაც ჰქონდა და აღძრული და ახლა მხოლოდ განიმეორებენ სხვებთან შეთანხმებულათ. მესამე: საჭიროა, ჩვენ, ასე ვთქვათ, საინიციატივო ჯგუფმა მიიღოს ყოველივე ზომა—აახმაუროს მწერლობა, საზოგადოებაში პირად ნაცნობობით, თუ გავლენით, საკმაო თანაგრძნობა მოუპოვოს წამოწყებას. და თუ რამე დაერთო ამ საქმეს, საჭირო იქნება ჩვენი ხელმეორეთ შეკრება. ამას მივანდობთ თავად გიორგის და მე.

ხმები — საჭირო იქნებოდა, ჩემის აზრით, ერობის პროექტის შედგენა.

— რასაკვირველია, საჭიროა!

— აუცილებელია!

— უპროექტოთ როგორ იქნება?

თაყაიძე — არ გირჩევდით, ბატონებო, ეს გამოიწვევს კამათს, ჩვენს შორისავე დაბადებს უთანხმოებას. სჯობს, მთავრობა დავაჯეროთ ერობის მიღების პრინციპში. დანარჩენი ბევრად უფრო ადვილი მოსახერხებელი იქნება.

ივანე — მართალი მოსაზრებაა: როცა ყველას ეცოდინება, რომ მთავრობა დათანხმდა ერობის შემოღებას, მაშინ უფრო ადვილად შეუთანხმდებით პრაქტიკულ მოთხოვნების ზეგავლენით.

ხმები — მე ვეთანხმები ბატონ ესტატეს აზრს.

— მეც, მეც.

— თანახმანი ვართ.

ივანე — ამგვარათ, მგონი, ბატონ ესტატეს აზრს უმრავლესობა იზიარებს. პროტესტი არავის განუცხადებია. მაშ, ბატონებო, გავკადნიერდები და ჩემს თავს თქვენის ნებართვით საინიციატივო ჯგუფის ბიუროს წევრათ გამოვაცხადებ. თუ რამე საჭიროებამ მოითხოვა, თქვენვე მოგმართავთ... იქნება არის კიდევ რაიმე კითხვა?

ხმები — არაფერი, ჯერ არაფერი.

გიორგი — (ხუმრობით საეკლესიო კილოთი). კრებას დახურულათ ვაცხადებ. (ყველანი წამოიშლებიან, ყველაზე წინ

მუშები თავის დაკვრით ეთხოვებიან ყველას, რომელთაც ივანე გააცილებს დერეფნამდე. სხვები შეჭვავდებიან. ზოგი მიდის, ზოგიც სასტუმრო ოთახში გადის.)

არჩილი — (წასასვლელად ემზადება). როგორ მოგწონს?

გიორგი — არ მომწონს არც ისინი და არც ესენი.

არჩილი — (გაეცინება). შეიძლება არც მე მოგწონეარ? მე კი, წარმოიდგინე, ისინიც მომწონან და ესენიც. ყველა გამოსადეგია ჩვენი საქმისათვის, რომელსაც შენ ემსახურები, ოღონდ გზის ჩვენებაა საჭირო. დრო უნდა, დრო — ჩვენ გადავეჩვიეთ პოლიტიკურ აზროვნებას.

გიორგი — არაფერი გზის ჩვენება მაგათ არ სჭირდებათ. ჩვენზე უფრო იციან და გარკვეული გზით მიდიან. იმათ ეროვნული საქმე მეორე კი არა, მეათასეხარისხოვან საგნად მიაჩნიათ, ამათ კი, გარდა საკუთარი სერთუკისა, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, და თუ იკრიბებიან და ორიოდ გროშს იმეტებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მდგომარეობა აიძულებთ — დასანახათ უნდათ და არა საგულდაგულოთ.

არჩილი — და ამას ამბობ შენ?

გიორგი — შენ მაინც ნუ აპყვები სხვებს! დავიყინიათ გიორგი ბურჯუაზის მომხრეა, თავადაზნაურობას ეკედლებათ... როდის იყო, რომ თანამედროვე ან აზნაურობა ვაქე, ან ბურჯუაზია. პირიქით, მე ვამბობ, რომ იგი ჩვენში ან სრულიად არ არის, და, რაც არის, უსუსურია. ეროვნულ საქმიანობას მოკლებული, უიდეალო; მაგრამ ამ ელემენტებიდან უნდა წარმოიშვას ეროვნული სულის მხსნელი — ეს თაობა არ ვარგა — შემდეგი თაობა გამოსყიდის შეცდომებს. ამის მაგალითს გვაძლევს ის თითო-თოროლა კაცი, რომელიც მოქმედებს. ვინ იყო მაინც ჩვენი საქმის მკეთებელი? ეს ორიოდ კაცი.

არჩილი — შემცდარი ხარ, შემცდარი! ერთი კლასი მეორეს უთმობს ისტორიულ ასპარეზს — აი ის უხეშათ მოლაპარაკე მუშებია, რომ ქართულ საქმეს გააკეთებენ, თორემ ვიცეგუბერნატორის მუნდირზე მეოცნებე სვიმონი და კომერციის სოვეტნიკობით გაბედნიერებული დავითი ჩვენ ერს ვერაფერს შეძენენ. (ხველა აუტყდება. მიდის.)

გიორგი — (აცილებს). მუშების როლს მე სრულიადაც არ უარ-

ვეოფ, მაგრამ, შენი ჭირიშე, გაჩუმდი... მალე ჩაიცი შენი პალტო და კალოშები, თორემ გარეთ ნამიანი, გრძელვარსა და ლამოა და არ გაწყინოს. (გადიან დერეფანში. ცხატანგის შემდეგ ივანეს შემოპყავს გიორგი და კიდევ რამდენიმე სხვა.)

ივანე — ჯერ კიდევ აღრეა — როგორ შეიძლება, ყმაწვილებო?! არჩილს კი ვერ დავაკავებდი, ავადმყოფი კაცია. ვეახლოთ დიასახლისს. (მიდიან სასადილოსკენ, შემოდის მსახური).

მსახური — (ივანეს). როტმისტრი ჟბანოვი გეახლათ.

გიორგი — ჟანდარმი?

ივანე — (შეწუხებული) დიახ. ზოგჯერ დაიარება ჩემსა (მსახურს) სთხოვე. (მსახური გადის.)
(როტმისტრი შემოდის.)

ივანე — ვერ იცნობთ, გთხოვთ, გაიცნოთ. თავადი გიორგი.

ჟბანოვი — (ივანეს და გიორგის მიესალმება). ბოდიშს ვიხდი, შეიძლება უდროოდ დროს მოველ, მაგრამ მინდოდა, რომ გამგზავრების წინ უკანასკნელი საღამო თქვენს პატივცემულ ოჯახსა და საზოგადოებაში გამეტარებია.

ივანე — გთხოვთ, მობრძანდით, დაბრძანდით. (ჩამორიგდებიან.) როგორ თუ გამგზავრების, საით?

ჟბანოვი — შიდა რუსეთში, უფრო დიდ ადგილზე გადავყავართ.

ივანე — აჰა.

(სასადილოდან გამოდიან სტუმრები: ჭორიკანა მოხუცი ქალები, ვაჟრის ცოლი, ერთი გასათხოვარი მომწიფებული ქალი, ვახტანგი, კიდევ რამდენიმე, დიასახლისი და ტანია.)

ვახტანგი — მოგკვდი, ტანია, ამ ცხელი წყლის სმით... მეტი აღარ ვარ კაცი.

ელენე — კარგი, შე ცუდლუტო... ვახშამსაც მოესწრები. თამაღობას ხომ არ აგაცდენ.

ვახტანგი — აჰ, არა, ჩემო ბატონო, არა, თამაღა არა და ისე კი მოგილხენ, რაც შეიძლება.

ელენე — ოჰ, ალექსანდრე ვალერიანის ძე, სასიამოვნოა თქვენი ნახვა (როტმისტრი ხელზე ჰკოცნის მას და ტანიას, სხვებს ზოგს ეცნობა, ზოგს ხელს ართმევს, ზოგს შორიდან თავს უკრავს; ვახტანგი მიდის გიორგისთან და ეტყობა რაღაცას გაუხუმრებს. ტანიას გვერდით მიუჭდება

როტმისტრი. დიასახლისი ცალკე ჭკუფში ჯდება. ჭორიკა-
ნა დედაკაცები ერთად დასხდებიან და ეტყობა ჰკილავენ
სტუმრებს. ვაჭრის ცოლი მიდის ივანესთან.)

ვაჭ. ცოლი — (ივანეს). სად დაიკარგეთ, ბატონო ივანე, აქამ-
დის? რაღაც დიდი სხდომა გქონდათ.

ივანე — (ყველას გასაგონათ). საქმეს ვაკეთებდით, ქალბატონო,
დიდ საქმეს — გვინდა როგორმე შეჩერებული ტყის ექს-
პლოატაცია დავიწყოთ.

ვაჭ. ცოლი — და ჩემი ოსიკო არ მიიპატიეთ?

ივანე — არა თუ მოვიპატიებთ, მისი იმედი გვაქვს უმთავრე-
სად, მაგრამ თქვენი მეუღლე შეტად ფრთხილია სავაჭრო
საქმეებში და სრულიად წაგვიხდენდა გეგმას. აი, ჩვენ
შევიმუშავებთ ისეთ პროექტს, რომ თვით ურწმუნო თო-
მამაც სათქმელი ველარაფერი იპოვოს და მაშინ თქვენ
იქნებოდით ჩვენი კომპანიონი.

ვაჭ. ცოლი — (ლიმილით). მე ყოველთვის თქვენი კომპანიონი
ვარ.

ივანე — რაც ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ათასი პას
შემძენ ამხანაგის პოვნა. (სიცილი.)

უბანოვი — (ტანიას). პოლიტიკის სუნი მცემს.

ტანია — (გულუბრყვილოთ). არ შესმის რაზე ბრძანებთ?

უბანოვი — ბოდიშს ვიხდი, მე ჯერ უფლება არა მაქვს, მაგრამ
თქვენ იცით, რაგვართ მაინტერესებს ყველაფერი, რაც
თქვენ შეგეხებათ და მიხდოდა, თქვენთვის შეთქვა. თქვენ
მამას უყვარხართ და თან პატივსა სცემს თქვენს განათ-
ლებასა და გონიერებას. მამათქვენი ერევა პოლიტიკაში...
მე რომ მკითხოთ, მისი პოლიტიკა ისეთი უვნებელია, რომ
დახმარებასაც გაუწევდი: ნახევრად ოცნებაა საქართვე-
ლოს ეროვნული აღორძინება: ასე ვთქვათ, ლიბერალუ-
რი მისწრაფება კი სრულიად უნიადაგოა ჩვენს სინამდვი-
ლეში. რუსეთში იბრძვიან ისეთი მედგარი და შეურიგე-
ბელი ძალები, როგორცაა პროლეტარიატი და თვით-
მპყრობელობა. ამ ბრძოლის დროს ლიბერალობა ისე გაი-
ქვყება შუაში, რომ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოი-
ტანს და არაფრის საფეხურათაც არ გამოდგება. რუსეთი

ან იქნება თვითმპყრობელობის ან პროლეტარიატის ხელში... საშუალო გზა რუსეთს არ უწერია.

ტანია — (შეშფოთებული). მერე? მამას რაიმე საშიშროება ელის?

უბანოვი — საშიშროება არა, მაგრამ უსიამოვნება კი ბევრი. მისი პოლიტიკა ჩვენთვის არ არის საშიშარი, კბილის მატლივით შემაწუხებელი კი არის.

ტანია — მე მგონია, მამა არავითარ პოლიტიკაში, არალეგალურ პოლიტიკაში არ ერევა და ისე, კანონის ფარგლებში კი ხომ...

უბანოვი — არა. მე ვიცი... მამათქვენის ლიბერალობა არაფერია, მაგრამ მას კარგი განწყობილება აქვს აქაურ, ზოგიერთ რკინიგზის მუშებთან. თავად გიორგისთან.

ტანია — თქვენის აზრით, ისინი საშიშარნი არიან?

უბანოვი — თავადი გიორგი საშიშარი შეიძლება შეიქნეს, თუ მას აყვა თუნდაც მცირე წრე, ხოლო... რკინიგზის მუშებთან დამოკიდებულება... ეს მუშები ხომ სწორედ ისეთი პარტიის წევრები არიან, რომელიც იზრდება დღითი დღე.

1-ლი ჭორიკ. — შეხე, შეხე — როგორ ეკუთრება როტმისტრი ტანიას.

მე-2 ჭორიკ. — იი, თვალიც კი გამოსჭყლეტია, უკეთესი ვერავინ მონახა?

მე-3 ჭორიკ. — ნუთუ დავიჯერო, ტანია ახლა მაგ ეანდარმს წაყვეს?

მე-4 ჭორიკ. — შენ ეგა თქვი და... ივანე გოლიაშვილის, ამ პატრიოტის და ლიბერალის ქალი?!

1-ლი ჭორიკ. — ვინც გინდა, ოღონდ ეანდარმი კი არა.

მე-2 ჭორიკ. — ოცდასამ წელს რომ მიაბჯენს ქალი, მერე საქმროს კბილს არ უსინჯავს.

მე-3 ჭორიკ. — იიპ, გენაცვათ! არ ერჩიათ, აქ რომ მშვენიერი ყმაწვილი კაცი იყო — არჩილი, იმისთვის მიეცათ?

მე-4 ჭორიკ. — უპ, შე ქალო, ის ხომ ჭლექით არის ავით.

1-ლი ჭორიკ. — მიყავდა კი, რომ ასე ლაპარაკობ?

მე-2 ჭორიკ. — ივანე არ უნდა იყოს მაინცდამაინც კმაყოფილი!

მე-3 ჭორიკ. — ვახტანგ, ვახტანგ, მოდი აქ.

ვახტანგი — რა იყო? კიდევ ახალი ამბავი გექნებათ რამე.

მე-4 კორიკ. — რაღა ახალი ამბავი, ვერ ხედავ, ჟანდარმი ჟბანოვი ჩვენ ტანიას თხოულობს?

ვახტანგი — ეჰ, არა, რა სათქმელია!

1-ლი კორიკ. — განა ვერა ხედავ? ნამდვილია.

ვახტანგი — თქვენი შეთხზული კორია... დამეთხოვეთ ერთი...

ჟბანოვი — (ტანიას). თქვენ უსათუოდ შეამჩნიეთ, რომ დღეს მეტად ადრე მოვედი.

ტანია — (თითქო უკვირს). ვითომ?

ჟბანოვი — ამას გარდა, უთუოდ ისიც შეამჩნიეთ, რომ რამდენჯერმე მინდოდა თქვენთვის რაღაც მეტქვა, მაგრამ ზოგჯერ ვერ ვებედავდი და ზოგჯერ შეგვიშალეს ხელი... მე აქამდინაც მინდოდა გამომემქლავნებინა თქვენთვის ჩემი გულის ნადები, მაგრამ ხელს მიშლიდა შიში და თავმოყვარეობა. ჩვენ, ჟანდარმებს, ყველა აღმაცერად გვიყურებს; ჩვენ რაღაც განდევნილი ვართ საზოგადოებიდან, წარმოიდგინეთ, ჯარის ნაწილებიდანაც კი... ჩემი პოლკის ყოფილი ამხანაგები გვერდს მივლიან. რათა? მხოლოდ იმიტომ, რომ ჟანდარმობა ვარჩიე. თუ ვმსახურობ, ბარემ ვიმსახურო იქ, სადაც შრომაც მეტია, პასუხისმგებლობაც და ამათ შედეგად ჯილდოც. თუ კი შეიძლება მწერლობით და ვაჭრობით არსებული წესწყობილების გამაგრება, რატომ არ შეიძლება ამავე წესწყობილების გამაგრება სახლის გაჩხრეკით და პოლიტიკური ბოროტგამზრახველის დევნით, შეპყრობით? დღევანდელი საზოგადოება სხვაგვარათ სჯის: რევოლუციონერებს შეუძლიათ სადმე ჩასაფრდენ, ან ყუმბარა ესროლონ გუბერნატორს, ხელმწიფეს — ეს დიდებული საქციელია, ხოლო მე თუ მათ ხელიდან გამოვტაცე ყუმბარები და სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დაპატიმრებულს — მაშინ მე საზიზღარი კაცი ვარ; ხოლო მოსამართლე, სიკვდილის მიმსჯელი — ჩვეულებრივი, კეთილი ინტელიგენტი.

ტანია — თქვენ მართლა ჩამაფიქრეთ: რათ უნდა ეპატიოს ერთს ის, რაც მეორესთვის მომაკვდინებელი ცოდვია.

ჟბანოვი — აი იმიტომ არის, ქალბატონო ტანია, რომ მინდა გითხრათ და თან მეშინია. მაგრამ დღეს უნდა ვთქვა, რაც იქნება — იქნეს. მე შემაძლიეს დიდი ადგილი შიდა რუსეთ-

ში, ხვალ უნდა გავსცე პასუხი. თუ თქვენგან მოვიღე სასურველი პასუხი, მაშინ მე დავთანხმდები და გადავალ ამ ადგილზე, თუ არა და...

ტანია — (ეშმაკურათ). თუ არა, მაშინ?

უბანოვი — მაშინ უარს ვიტყვი. დავრჩები. ვეცდები, ოდესმე მაინც მივიღო თქვენგან თანხმობა.

ტანია — და თავის დღეში რომ არ დაგეთანხმობ?

უბანოვი — ეს შეუძლებელია. თქვენ არ დააფასოთ ჩემი... არ ვიხმარ გაცვეთილ სიტყვას... ჩემი მუღმივი პატივისცემა.

ტანია — და რომ გთხოვოთ, დასტოვოთ სამსახური?

უბანოვი — გაძლევთ პატიოსან სიტყვას, იმავე დღეს, სიტყვის შეუბრუნებლივ და უდარდელათ, რადგან მე სრულიად არ ვარ სამსახურით გატაცებული. საერთოდ გატაცებული მე იშვიათად... არა, არასოდეს არ ვყოფილვარ. ვმსახურობ მხოლოდ ნამუსიანად, როგორც მსახურობენ ზოგიერთები საპარიკმახეროში, ან ბანკში. და თუ თქვენც დარწმუნდებით, რომ თქვენთვის უანდარმის ხელობა საზიზღარია, მე თქვენი თხოვნაც არ დამჭირდება, მე თვით მივატოვებ... ოღონდ ერთს გთხოვთ, ორი-სამი თვე თვითონ თქვენ დაუკვირდით ჩემს საქმეს, ჩემს მუშაობას... ნუ მიწყენთ, თქვენ ჯერ ცხოვრების არაფერი იცით და მე ვეცდები თქვენ გაჩვენოთ ეს ცხოვრება. თქვენ განსჯით მაშინ, თუ რათ და რა არის სამარცხვინო. ახალი იდეების მიმდევარნი ამბობენ, რომ მათ ესმით ცოლ-ქმრობა, როგორც კავშირი ორი ერთმანეთის ხელშემწყობ ადამიანისა. და მე, თუმცა რეაქციის ბურჯათ ვითვლები, სწორედ ამავე წარმოდგენისა ვარ ოჯახზე. კიდევ ვიმეორებ, თქვენი თხოვნა არ დამჭირდება, თუ კი შევამჩნიე, რომ ჩემი უანდარმობა გაწუხებთ, ოდნავ საჩოთიროთ მიგაჩნიათ, მე შევძლებ, გამოვცვალო ჩემი საერთო მდგომარეობა.

(შემოდის ლადიკო, ატყდება ხრიალი.)

— აა, ლადიკო, ლადიკო!

— პატივცემულო ვლადიმერ!

— აბა, ვახტანგ, ახლა კი გაგიჩნდათ კონკურენტი — უკეთესი თამადა მოვიდა.

ვახტანგი — (ხუმრობით). რას ამბობთ, რას! ნორაბიძეებმა რომ

თამაღობაში და ღვინის სმაში მაჯობონ, თავს მოვიკლავ.
ლადიკო — (მიესალმება მასპინძლებს და სტუმრებს, დარბაზის
სელ ქალებს ხელზე კოცნის, ვახტანგს) შენი შეჯიბრება
თუ ვიკადრე, მაშინ ბრძანე სათქმელი. (სიცილი, ხრიალი.)
უბანოვი — (ტანიას). მაშ ჩემი ბედი გადაწყვეტილია?
ტანია — (სერიოზული სახე აქვს). წავალ და მამას ვეტყვი.
უბანოვი — ეგ ყველაფერს აჯობებს.
(ტანია მიდის ივანესთან, რომელიც ლაპარაკშია გართული.)

ტანია — მამა, ერთს წუთს.

ივანე — რა გინდა, ჩემო კარგო?

ტანია — იცი, მამა?

ივანე — ჯერ არაფერი გითქვამს და...

ტანია — მამა, უბანოვმა ხელი მთხოვა.

ივანე — (ეტყობა თითქო მეხი დაეცა, სავარძელში ჩაჯდება, მაგრამ უნდა აღელვება არ შეიმჩნიოს და შემდეგ თითქო მხიარულად)

შენ რა პასუხი მიეცი?

ტანია — (ცოტა დარცხვენილი), დავეთანხმე.

ივანე — ჰოდა... შენი ნებაა, შეილო! ჩაუფიქრდი ხომ? ხომ არაფერმა გაიძულა?

ტანია — არა, მამა, რა მაიძულებდა. ეს კია, რომ, მართალია, უანდარმია, მაგრამ რით არის სხვაზე უარესი? ან მე — რას უნდა გაუჩერდე? ჩემი ამხანაგები ბევრი გათხოვილია კიდევ, ზოგს შვილიც ჰყავს. ეგ კი ჭკვიანი კაცია, თვალადიცი.

ივანე — (ღიმილით). იყავი, შეილო ბედნიერი.

ტანია — მამა, მაშ დავუძახებ ალექსანდრეს.

ივანე — ასე მალე ალექსანდრეთ გახდა? მოვიდეს.

ტანია — (დაუძახებს უბანოვს). ალექსანდრ ვალერიანოვიჩ, ერთს წუთას.

უბანოვი — (მოდის და მხედრული წესით ივანეს წინ გასწორდება).

ივანე — (უჭირს თქმა). ტანიამ მიამბო ყოველივე... იმედი მაქვს მოუვლით ჩემს ერთადერთს...

უბანოვი — (დაბლა თავს დახრის და ხელს ჩამოართმევს). რაც შემეძლება...



- მე-2 ჭორიკ. — უი ქა, არც ახლა გჭერთა?
- მე-3 ჭორიკ. — რა?
- მე-2 ჭორიკ. — აი შეხედე, ივანემაც ხელი ჩამოართვა... პრედლოჟენია გაუკეთა, ამას წინ რაღა უდგა.
- მე-3 ჭორიკ. — შენ მაგას დამიხედე და!
- 1-ლი ჭორიკ. — ესეც შენი ივანე გოლიაშვილი.
- მე-4 ჭორიკ. — ეგ არ არი?! მაგისტვის რომ გვეკითხა, სამშობლოსთვის წამებულათ მოჰქონდა თავი.
- 1-ლი ჭორიკ. — ისეა, არც აქეთ, არც იქით.
- მე-2 ჭორიკ. — ახლა არ გამოაცხადებენ ამალამვე დანიშვნას?
- მე-3 ჭორიკ. — გამოაცხადებენ, მა რა გგონია.
- მე-2 ჭორიკ. — ვახტანგ, ვახტანგ, მოდი აქ ერთ წუთას, გეთაყვა.
- ვახტანგი — რა თქვენი მცხელა ახლა — საცაა ვახშმად გაგვიწვევენ.
- ტანია — (მამას. ებანოვი ცოტა მოშორებით დგას, კმაყოფილი და ბედნიერია, ეტყობა). გამოაცხადებ, მამა?
- ივანე — არა, ახლა, დღეს ასე ნაუცბადევით უხერხულია. ამ დღეებში პატარა ნადიმს გადავიხდით და — უთხარი დედას.
- დიასახლისი — (კარებში აცხადებს). აბა, ბატონებო, გთხოვთ, მცირე საუზმეზე დაგვეწვიოთ.
(ყველანი ხრილით მიდიან სასადილოში).

ეპიზოდი 18

- სასადილო, სტუმრები უკვე სუფრას უსხედან
- ხმები — არა, ლადიკო უნდა იყოს, ლადიკო.
— ჩვენ ვთქვით ვახტანგი, ლადიკო მაინც უარზეა.
— ვახტანგმა, ყმაწვილებო, მეტი ხმები მიიღო.
- დიასახლისი — ჩვენ ყველასთვის საყვარელ ვახტანგს ვთხოვთ, გაუწიოს ამ ჩვენ მცირე სუფრას თავისებური მხიარული ხელმძღვანელობა.
- ხმები — ოო, ახლა კი გადაწყვეტილია.
— ვახტანგი, ვახტანგი!
— თვითონ დიასახლისმა სთხოვა.

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს!
- ვახტანგ, იცოცხლე!
- მოგვილოცავს, მოგვილოცავს!

ვახტანგი — კარგი, დავთანხმდები ტოლუმბაშობას, თუ შეუზღუდველ უფლებებს მომცემთ და ჩემს საქმეში არ ჩაერევი.

ხმები — დიახაც, რა თქმა უნდა!
— ტოლუმბაში თვითმპყრობელია!

ხანში შესული ჭორიკანა — მაგისმა მზემ... ამ... კმ, უფლებები მიეცით, ვინ იცის რას, მოითხოვს...

ვახტანგი — (ქალს — შემღერებით) „შენ მანდ შენთვის ჩუმად იყავ“... ბატონებო! ქართული სუფრის ჩვეულების წინააღმდეგ, პირველი სმურით მე სიამოვნებით ვსვამ დიასახლისის სადღეგრძელოს, იმ ადამიანის, რომელიც ახერხებს, როგორც უნდა იყოს გარემო, მაინც შექმნას მშვიდი, ლამაზი და მხიარული კუთხე. ყოველ მეგობარს, შრომით იქნება ის დაღლილი თუ მწუხარებით შებოჭვილი, აქ ელის მოსიყვარულე გული, თანაგრძნობა. ვანოს ბევრი ჰყავს მეტოქე სხვადასხვა ასპარეზზე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, ჩემდა საუბედუროთ, ჩემდა გულის დასანელებლათ ქალბატონის წინაშე არავითარი მეტოქეობა არ გადის — ყველას მჯობნი რჩება მაინც ივანე... რა ვქნათ? ვადღეგრძელოთ, რომ იქნებ რაიმე ცვლილება გამოიწვიოს... (სიცილი, ხრიალი, ბევრი დგება და უნდათ პატარა ჭიქებით მიმართონ დიასახლისს.) არა, ბატონებო, პატარა ჭიქით არ იქნება: აქ დგას ჩაის ჭიქები, ყოველი თქვენგანი მობრძანდეს და მიიღოს თვით ქალბატონის ხელიდან. (ასრულებენ.) ამას უნდა ერთი კარგი სიმღერა. მომღერალთა სარდლათ შენ დამინიშნებარ, სანდრო.

(სიმღერა: „ჩიტი გრიტი მოგოგავდა, მე შროშანი მეგონა“)

ვახტანგი — ბატონებო, დიასახლისის მიერ მცირე საუზმეთ წოდებული მეფური სუფრა დამშვენებულია ბროლის ვაზებში გამჟღავნებულ ყურძნის მტევნებით და ლოყებაწითლებული ატმით. გვათრობს ყვავილთა სურნელება და ვტკბებით საუცხოო ღვინის წვეთებით, მაგრამ რა არის, რაც ყველას, ყველაფერს სხივს აძლევს, მთელს არსებას

სიხარულით ავსებს და ნეტარებას გვპირდება? ყოველი...
ხმა — ქალი, რა თქმა უნდა!

ვახტანგი — არა, არა მარტო ქალი.

ხანში შესული ჭორიკანა — არა, შენმა მზემ, — კაცი, ისევე
თვალი კი დაგიდგება.

ვახტანგი — არა, ბატონებო, — მარტო ერთი რომელიმე კი არა,
არამედ ქალი ვაეისათვის და ვაეი ქალისათვის. ამიტომ
ბრძანებას ვიძლევი გამოამეღავნონ ეს საიდუმლო ყვე-
ლამ. ქალებმა მოითხოვეს ვაეების სადღეგრძელო პატარა
ჭიქით, მაგრამ დასცალონ უსათუოდ, და ვაეებმა ჩაის
ჭიქით.

ხმა — მოგვკლა ჩაის ჭიქებმა.

— ნამეტანია, შენ ნუ მომიკვდე.

ხანში შესული ჭორიკანა — ვაეების სადღეგრძელო დავცალო?
მეტი არ აუდგება გვერდები.

ვახტანგი — ეს უკანასკნელი ჩაის ჭიქაა. შემდეგ როგორც გე-
ნებოთ.

ხმები — ამას ცეკვა შეეფერება.

— ქალბატონო ლიზეტ, უნდა დაგვეხმაროთ, გავვა-
ვიფროთ თქვენი უზუნდარით.

— უზუნდარა, უზუნდარა!

— ქალბატონო ლიზეტ.

(ცოტა განაზების შემდეგ ლიზეტ ცეკვავს უზუნდარას. საერთო მი-
წონება, ხრილი.)

— თამადა, თამადა!

— ბატონი ლადიკო სიტყვას თხოულობს...

— ლადიკოს მოუსმინოთ, ლადიკოს!..

ვახტანგი — ბრძანეთ, ბატონო ლადიკო, ბრძანეთ, თქვენ უარს
როგორ გეტყვით.

ლადიკო — შეიძლება, ალექსანდრე ვალერიანის ძე არ დამეთან-
ხმოს, მაგრამ მე მაინც მსურს, დავლიო ჩემი სამშობლოს,
პატარა საქართველოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის.

უბანოვი — შემცდარი აზრია, ბატონო ვლადიმერ! მეც აღტაცე-
ბით დავლევ ჩემი მეორე სამშობლოს სადღეგრძელოსა-
თვის, თუმცა ეს ბედნიერება მე სხვაგვარად მაქვს წარ-
მოდგენილი. მე აქა ვარ დაბადებული.

ვახტანგი — მაშ მით უკეთესი, განაგრძეთ, ბატონო ლადიკო.

(შეუმჩნევლათ შემოვიდა გაიოზი).

გაიოზი — ლადიკო ვეღარაფერს ვეღარ განაგრძობს. (სწრაფად
რევოლვერს დაუმიზნებს და ესვრის.)

(საერთო არეულობაა: ზოგი დაიბნევა, ზოგი გაიოზისკენ მიდის, ზოგი
გარბის შეშინებული. ქალების წივილ-კივილი, გაიოზი არ იძვრის,
მასთან მიდის უბანოვი.)

უბანოვი — თქვენ ვინა ხართ?

გაიოზი — გაიოზ ლაბარდავა.

(სურათი)

(ფ ა რ დ ა)

[1928 წ. შემდეგ]

დაუმთავრებელი თხზულებები



დავით აღმაშენებელი

(ისტორიული ტეტრალოგიის ესკიზი)

აჯამეთის განთქმული მგლები ზამთრის სუსხიან ლამეებში მეფის ეზოს ჯარჯიან მესერსაც უღმუოდენ; ტყე იწყებოდა იქ, სადაც ეხლა თეთრი ხიდია — შემდეგ ხშირდებოდა, და მალე დაბურულ ტევრში ფეხს ვერ გადაადგამდა კაცი, რადგან მაკრატელასა, ეკლნარსა და სუროთი გადახლართულ ხეებს შორის ჩიტსაც კი ვერ გაევილო; შემდეგ იწყებოდა საზღაპრო, სიჩუმით შიშის მომგვრელი უკაცური რიონის პირები... მთები, გორაკები ჩაბურული... თვალუწვდენელი მუხა, წაბლი, რცხილა, ძელქვა, ურთხმელა და აქა-იქ, ალბათ, ვახტანგ გორგასლანის ან, ფარნავაზ მეფის დროის ბაღებისა და მოსახლეობის ნაშთი — გაველურებული ლეღვი, მადლარი ვენახი, ვაშლი, პანტა, მსხალი, კორკიმელი, ქლიაფი...

ტყეში შესვლა არ იყო საჭირო — ტყე თითქოს ძღვნად უგზავნიდა მონადირეებს ტყის პირზე ყოველი ნადირის რამოდენიმე ცალს და ისარი ისე ძვირი იყო, შუბი ისე იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა, რომ მაინცდამაინც მისი ტყეში დაკარგვა არაფრად ახარებდა ხალხს.

შორს გზაზე მიმავალნი, სანამ დაადგებოდნ ბალახით გაზრდილს, კვალდაკარგულ იშვიათ საცალფეხო გზებს, დიდხანს ემზადებოდნ; ნადირნი, ყაჩალი და ტყისკაცი — ყველაფერი იყო საშიშარი.

მართალია, გარეული ტახები არ ეცემოდნ ხალხს, მაგრამ



სოფლის ორღობებში ჩამწყრივებულ ნაგაზებივით ღრუბლები
 ნობდენ იქვე... უეცრად შეჩერებულ შველს მისდევდენ და-
 ჭერის იმედით პატარა ბავშვები... საიდანღაც ისმოდა ჟინ-ატე-
 ხილი ირმის ბღაველი... გრძელყურა კურდღლები მიმორბო-
 დენ, ფეხქვეშ ევლებოდენ... გარეული კატა ისე ხშირად
 გადაჭრიდა ბილიკს, რომ მგზავრებს ეკარგებოდათ მომავალი
 ფათერაკის შიში...

ყაჩაღები იმდენად არ იყვენ საშიშარნი: დიდ ქარავენებს,
 ვინმე დიდებულის ოჯახს ვერ უბედავდენ შებრძოლებას, რად-
 გან თითქმის სრულიად უიარაღონი იყვენ, ლატაკები ხომ მათ-
 თვისაც არ იყო საყურადღებო... მხოლოდ საშუალო, მცირე-
 რიცხოვანი ჯგუფები ხდებოდენ მათი მსხვერპლი... მაგრამ რა
 მსხვერპლი: წაართმევდენ ორიოდე პურს, ქათამს, კვერცხს...
 ეს უფრო თავისებური საბაჟო იყო და მათი არც არავის ეშინ-
 ნოდა...



— ძიძა! ძიძა! — მისძახოდა ზურგზე მშვილდ გადაკიდე-
 ბული ბავში და მორბოდა — რომ დამპირდი, მყინვარის ამბავს
 გეტყვიო, აბა მითხარი... იცი, ძიძა, გიორგი დამეჩემა ისარს
 ვერ მოართყამ ვაცსო, დაუმიზნე, ვესროლე და შიგ რქებ შუა
 გავარტყი... საწყალმა იმდენი აქნია თავი, თოთქოს ბუზებს
 იგერიებსო...

— შენ კი გენაცვალე!

— აი დამაცა, ცოტას კიდევ გავიწაფები და ჩიტსაც კი
 მოვკლავ... ძნელია, ძიძა, ყვავის მოკვლა?

— ახლო არ მიგიშვებს, შვილო.

— არაფერი, დამაცადოს კიდევ პატარა... მარა შენ ჯერ
 ზღაპარი მიამბე...

— ...იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
 იყო ერთი ბერი...

— როდის იყო?

— კარგი ახლა, ნუ ცმუტავ და კითხვას ნუ დამიწყებ.

— მითხარი ჩემო! — შეეხვეწა ბავში.

— ბიჭო, აბა საიდან ვიცი, — ეს ხომ ზღაპარია...

— სად იყო, ის მაინც მითხარი.

— აქი გუბნები — ზღაპარია, რა ვიცი, სად იყო, ალბათ, საქართველოში იქნებოდა.

...იყო-მეთქი ერთი წმინდა ბერი... დაყუდებული. ყოველ ალდგომას სიონში მიდიოდა და ლოცულობდა.

— მხოლოდ ერთხელ წელიწადში?

— ჰო, მხოლოდ ერთხელ.

— და წელიწადში ერთი ლოცვა ჰყოფნიდა...

— სხვა დროს უსათუოდ მთაში თავის სენაკში ლოცულობდა... ბიჭო, თუ ყოველ წამში შემაწყვეტინებ, თავის დღეში ვერ გაგათავებ.

...ერთხელ მივიდა, მტერს დაეკავებინა სიონი...

— ვინ იყო მტერი?

— სულ ერთი არ არის, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ურჯულო იქნებოდა ვინმე... გაჩუმდი, თორემ აღარაფერს გეტყვი.

...არ გუგუნებდა ზარები, არ ისმოდა გალობა, ვერ დაინახა ლიტანია და დამწუხრებული წამოვიდა უკან... მივიდა მთაში... დადგა ჩვეულებრივ ლოცვად... ილოცა ქვეყნისთვის, მეფისთვის, მოყვასთათვის, და როცა მტერთა მოხსენებასთან მივიდა, ველარ მოითმინა, აღაპყრო ხელნი და შეჰღალადა უფალს: ვინც დაადუმა მგალობელნი, აღკრძალა ლიტანიად სვლა, შემუსრა წმინდა მამები და აღკვეთა ზარების რეკა — ანათემა!.. იგრილა ცამ... მტერი დაიღუპა მოზღვავებულ მდინარეთა შორის, ხოლო ბერი, თვით ბერიც გაიყინა, გაიყინა ხელებ-აწვდილი — იმ ადგილს ჩვენი ხალხი მყინვარს უწოდებს...

— მერე, მერე, ძიძა...

— როცა სიონი ისევ შეიმოსება სახელით, ხალხი შემოივლის ლიტანიას, მაშინ მყინვარი გადნება, მოიშლება მყინვარი, მდლეოთი და ტყეებით მოიფინება. და მკვდრეთით აღსდგება ის ბერიც...

— მართალია, ძიძა, ეს ამბავი?

— თქმულებაა, შვილო, ხალხს ეგრე სჯერა...

— ძიძა, მე ვიზამ ამას... ავხსნი სალტეებს...

— ჰო, შვილო, შენი იმედი გვაქვს. შენთვის ლოცულობს მთელი ერი, შენი ჭირი კი შემეყარა.



მოხუცმა ერთად-ერთი კარი გააღო და ყმაწვილის თანხლებით შევიდა განიერ ფარდულში.

- კერას ირგვლივ მოსხდომოდა ორმოციოდე კაცი.
- გამარჯობა თქვენნი! — მიესალმა დამხდურთ მოსული.
- ღმერთმა გავგიმარჯოს.

მოხუცთან ერთად შემოსულმა ყმაწვილმა ნაბდის ქული მოიხადა და უხერხულად უკრავდა თავს იქაურებს...

- კალატოზები აქ ცხოვრობენ?
- კალატოზები რა მოგახსენოთ, და ტალახის მშელელნი ჩვენ გახლავართ! — იოხუნჯა ვიღამაც.
- ოხუნჯობა უმრავლესობას არ მოეწონა და საჩქაროდ გაისმა:
- დიახ, დიახ! მობრძანდით!..

- მუშები მიიწ-მოიწიენ და მამაშვილს ადგილი დაუთმეს.
- საიდან მობრძანდებით? — სიჩუმის შემდეგ დაეკითხენ მოხუცს.

- ქართლიდან! — უპასუხა მოხუცმა.
- ეს დალოცვილი მეფე, მგონი, ვარსკვლავებიდანაც კი ჩამოიყვანს მუშას, ოღონდ მალე დაამთავროს ტაძარი.

— რა ენაღვლება, იგი ბრძანებს და ჩვენ უნდა ვაკეთოთ... ვინ იცის, იქნებ ჩვენი ცოლშვილი ახლა მშიერ-მწყურვალთა.

— ამდენი შენებაც რომ არ გაუგონია კაცს!.. თითქოს ნიძლავი ჰქონდეს დადებული ყოველ უდაბნოში მონასტერი და ყოველ გორაზე ეკლესია აიგოს.

— თითონაც ბევრს მუშაობს, გამიგონია, — ჩაერია საერთო მუსაიფში მოსული.

— რას მუშაობს, ერთ-ორს შემოუვლის ხარაჩოებს და სადღაც გარბის... ჩემს სურვილზე და ნებაზე რომ მამუშავებდენ. ვინ იცის, შეიძლება მეტიც ვიმუშაო.

— ცოტაა, შე კაცო, თავის ნებაზე რომ არის მიშვებული? ჩვენსავით და სხვასავით მთელ დღეს ჩხირის თლას ხომ არ ანდომებს?

— მართალი ხარ, მართალი, — წყრომით გამოეხმაურა ვისაც სიმონას უძახდენ, — მაგისტანა ლაყობას ჩხირის თლასჯობია... თათრებს აქვთ თავისი სამლოცველო, ურიებს და ჩვენ ქრისტიანებმა რა დავაშავეთ?! მერე ჩვენი მეფის საყვე-

დური, როგორ ენას არა გწვავთ? მაგი არ იყო ურჯულოთაგან
გაგვანთავისუფლა, მაგი არ არის დღე-ღამე ჩვენთვის მოსვენ-
ნება არ აქვს... ეჰ, უმადური ხართ, უმადური!..

მკვახე სიტყვამ სიჩუმე ჩამოაგდო.

— ეს პატარა ბიჭიც ჩვენთან იმუშავენს? — ღიმილით დაე-
კითხა ერთი დამხდურთაგანი.

— არ მომშორდა, ნაბოლარი გახლავთ და განებვირებული
მყავს. — მამამ სიყვარულით თავზე ხელი გადაუსვა შეილს. —
თანაც ეზო ამივსო ქვებით... ყველგან აშენებს... სახლს, ეკლე-
სიას, სალორეს და ისეთის გულმოდგინებით, გეგონებათ, მარ-
თლა ესახლებაო... ვიფიქრე, თვალთ ნახოს მაინც, თუ როგორ
უნდა შენება-მეთქი.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ! გასწავლით მაშ... მარა შენც
მუყაითი უნდა იყო.

— ღმერთთან სწორი სჯობს, ხელობაში ეხლაც მჯობნის
და აწი თქვენ იცით.

— იმე! ეს თითისოდენა ბიჭი ოსტატია?

მუსაიფი აღარ გაება.

თვლემამ ჰაერი დაამძიმა. ვიღამაც დაამთქნარა.

მუშები ადგენ და მოსასვენებლად დაიწყეს მზადება.

— მეთაური ვინ არის აქ? — დაეკითხა მოსული მეზობელს.

— აი სიმონი!

— ბატონო სიმონ, მიგვიჩინე მე და ჩემს ბიჭს კუთხე.

— აი აქ, ჩემთან მოისვენეთ, ადგილიც არის და ბავშვისათ-
ვისაც უფრო კარგია ცეცხლის ახლო.

პატარა ბიჭმა მიმოიხედა. ფარდული უფრო მოეწონა, ვიდრე
საკუთარი მიწური... მოღობილი, ტალახით შელესილი კედლე-
ბი უფრო მაღალი იყო, სახურავი, ჯოკებით დამაგრებული,
ისლს დაეფარა, მიწის იატაკზე ქვიშა ეყარა, კედლების ქვევით
გაგებულ ნამორებზე გადაფარებული იყო ფუჩიჩით დაფენილი
ჩელტები, რომელზედაც წვებოდენ მუშები.

მოხუცმა პირჯვარი გადაისახა და ის იყო დაწოლას აპირებ-
და, რომ შეილს შეეკითხა:

— გშია, გოგი?

— არა, მამა.

— უკაცრავათ, — მოიბოდიშა სიმონმა, — ჩვენ უკვე ნა-
ვანში ვიყავით და არ შეგთავაზეთ...

— არაფერია, ბატონო სიმონ, ჩვენ სამხარი გვიან ვიახვ-
ლით და ვახშამი საჭიროც არ არის...

სიმონა მაინც მივიღა კუთხეში, სადაც საოსტატო-იარა-
ღები ეწყო, კალათას ახსნა თავი და გოგის ქაღი მიაწოდა.

— ქართლელო, აბა ჯერ ეს გასინჯე, მერე თლათ გაგაიმერ-
ლებთ.

— არ მინდა, არ მშია, — დაირცხვინა ბავშმა.

— წაიღე, გაშინჯე, — და ქაღი საწოლზე დაუდვა.

სამივე მიწვა.

— რამდენი წლისა ხარ? — დაეკითხა ბავშს სიმონი.

— თორმეტის...

— ასე შორს რომ წამოსულხარ არ გეშინია?

— მამასთან რისი უნდა მეშინოდეს?

— თქვენში განა არ ამბობენ, მეფე პატარა ბავშებს აჭუ-
რიანებსო.

— კი ამბობენ...

— მერე?

ბავშმა პასუხი ვერ გასცა... ძლიერ უნდოდა ეთქვა, რომ
სწორეთ ამ მეფის შეხვედრაც უნდა, რომ რაც გაუგონია, თან
აკვირვებს და თან აშინებს, რომ შიში მეფისა უფრო უძლურია,
ვიდრე სურვილი ახალ შენობის ნახვისა, მაგრამ შერცხვა, ვერ
მოახერხა გამოთქმა და გაყუჩდა..

— ნუ, ნუ დაიჯერებ!.. პირიქით, მეფე ძლიერ მოწყალეა
და განსაკუთრებით მუყაითი ბავშები უყვარს, ასაჩუქრებს,
ასწავლის...

— მართლა ძლიერია მეფე? — უეცრად წამოსცდა კითხვა
ბავშს.

— კი, ძლიერია, მარა არც ისე, რომ ამბობენ...

— რაო, ერთის ხელით კლდეებსა თხრისო? — დაეკითხა
ახლა მოხუცი.

— კი, ესეც მართალია, ოთხი-ხუთი კაცის ოდენა ძალა აქვს,
მაგრამ უფრო გამჭრიახობით, მოხერხებით, ცოდნით გა-
აქვს თავისი... აი, ერთს ამბავს გეტყვი... ბალავერი რო ამო-
ვიყვანეთ, დიდ-დიდი ქვები იყო საჭირო საძირკვლათ. ჩვენ
მუშებმა გამოენახეთ ერთი კლდე, მთელი დღე ვიმუშავეთ,
მაგრამ ველარ მოვზომეთ მოქნეული, და მშვენიერი ქვა ხრამში

გადაგვივარდა... ამოღების იმედი დავწმინდეთ... მობრძანდი პირნათლიანი მეფე... ჩავიდა ხრამში; აქედან შეხედა, იქედან გაზომა და თვითონ დაიწყო მუშაობა. ჯერ გამთავიპიტა, გათალა, გააშალაშინა... რა თქმა უნდა, ქვამ სიმძიმე დაჰკარგა, მაგრამ საკმაოდ მძიმე მაინც იყო; მაშინ გვიბრძანა სწორი და რგვალი სარების ბლომით გატანა; დაუყარა ქვას წინ... დიდის ვაივაგლახით შევაცურეთ ქვა სარებზე, მოვაბით თოკი... თოკები ჭახრაკებით ზევიდან დაექაჩეთ და როცა გულით ყველა შივაწევით ქვას, წარმოიდგინე, აღმართშიაც კი გასრიალდა... მერე არავის არ გაწყრომია, არავის... მე ვიყავი ყველაზე მეტი დამნაშავე, მაგრამ სიტყვა აღარ უთქვამს... აი იმ ქვას სულ ძირში ნახავ...

— ლმობიერია მეფე? — დაეკითხა ძილის ბურუსში გახვეული მოხუცი.

— შესახედავთ მკაცრია, მაგრამ რომ იცოდენ, რომ იცოდენ, რა გულმოწყალეა... — და სიმონმა ღრმად ამოიოხრა. მოხუცს ყურადღება არ მიუქცევია ამ ამოოხრისათვის, გოგის კი გაუკვირდა, გულს მოხვდა რაღაც საიდუმლო.

— კედლები დახატულია? — კიდევ იკითხა სიმონის ენაწყლიანობით გათამამებულმა ბავშვმა.

— ჯერ არა! — მოკლეთ მოსჭრა პასუხი სიმონმა. ეტყობოდა, რაღაც ფიქრებმა წაიღეს იგი.

მოხუცს ეძიხა უკვე, სიმონმაც მიატოვა ბაასი. ისმოდა ხერანვა, ღრმა სულისთქმა. ცეცხლი სრულიად მიიფერფლა და სადგომი უკუნეთმა ბნელმა მოიცვა.

ბევრი იოცნება, ბევრი იფიქრა, ბევრი ეცადა წარმოედგინა მძლეთამძლე მეფე და საკვირველი შენობა, მაგრამ ბოლოს დაღალვამ თავისი გაიტანა და გიორგისაც ჩათვლიმა... და როცა თვალი აახილა, ჩუმათ წამოდგა და კარში გამოვიდა.

ჯერ კიდევ ღამე იყო, დილის მოახლოვებით ფერწასული. შორს გორაკზე გოგიმ უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა ჯერ დაუმთავრებელი შენობა.

საჩქაროთ წავიდა მისკენ. ხშირად მოუხდა გზის შეცვლა, გადახვევ-გადმოხვევა, უკან დაბრუნება, გადახტომა, სილატალახში ამოსვრა...

ხარაჩოებში გოგიმ ვერც კი გაარჩია ტანი შენობისა და

დიდხანს განცვიფრებით შესცქეროდა თვალუწვდენელ, სიმაღ-
ლეში მიმავალ კიბეებს, ბოძებზე საშიშარ ხიდეებად გავდებულ
ჩნდა ბამბასავით თეთრი თლილი ქვა, მტევნებად ჩამოწოლილი
ჩუქურთმები... ბავში გაძვრა ჩამოწოლილ ჩელტის ქვეშ და
ხელი შეახო... დატკბობისაგან გაშემდა, ხელები გაშალა, შემოე-
ხვია და თავი მიადვა ცივს, თალის ჩამოსულ სვეტს.

— დედა იყოს ნეტავი აქ! რა მშვენიერებაა! ღმერთო, ერ-
თხელ, ოდესმე, მეც გამაკეთებინე ასეთი რამ! — ფიქრობდა
ბავში და გამოუთქმელმა გაუმჟღავნებელმა განცხრომამ თვა-
ლები აუწყლიანა...

ბავშმა უკან დაიხია, ჩაჯდა და ისევ და ისევ უცქეროდა
ლავეგარდანის სრბოლას, სარკმელის ირგვლივ კაევიბივით შემო-
ხვეულ ქვის თმას... და ყოველ ხაზს, ყოველ ქვას უკვირდებოდა
და წუნი ვერ ენახა.

— მაშ ასე, ამ კვირაში ერთ წყებას კიდევ შემოავლებთ
და მერე გუმბათზე ვიზრუნოთ... კირი გეყოფათ?

— კი, ბატონო-მეფე!..

„აი, ეს არის, ეს“, — აუფანცქალდა გული ბავშს.

— აი, ეს ქვა, აი, ეს ქვა, რათ დაგიდგამს აქ... ხომ გითხარით
კილი აქვს-მეთქი, მაგი იატაკად ივარგებს, აქ კი წვიმა დააფო-
როჯებს... — ეს იყო ხმა მკაცრი და სასტიკი.

— უჩემოთ ჩაუყენებიათ, მეფე ბატონო, მე თვით გამოვ-
ცვლი...

მეფემ, თითქოს თავის სიმკაცრის მოერიდაო, უეცრად შე-
ცვალა ხმა:

— არ დაგავიწყდეს!.. — და მეფე დინჯის ნაბიჯით ქვეით
წავიდა... ეტყობოდა ერთი საქმე უკვე მოეღია და ახლა მეო-
რისთვის დაეწყო ფიქრი... მას მიჰყვებოდა ერთი ტანმორჩილი
და მეორე, მეფესავით მალალი, მაგრამ ხშელი კაცი.

„მეორე მხრიდან ავიდენ, — გაიფიქრა გოგიმ, — თუ როგორ
გამომეპარნენ... ნუთუ ჩემზე აღრე მოვიდენ?“

— ამ პატარა ბიჭს რაღა უნდა ამ ალიონზე აქ? — შეეკითხა
უეცრად მეფე ტანმომცრო კაცს, როცა მიწაზე ფეხი დაადგეს
და მეფემ განშორების წინ ისურვა შეეხედა სიყვარული ქმნი-
ლებისათვის.

— არ ვიცი, ბატონო მეფე, — უპასუხა მხლებელმა და წაიწია ყმაწვილისაკენ, რომ გამოეკითხნა ვინაობა, მაგრამ მეფემ მოასწრო და თვით ჰკითხა:

— ვინ ხარ, ბიჭო, შენ?

— გოგი... — და ბავშმა სირცხვილ-შიშისაგან მკლავით პირი დაიმალა.

— ვინ გოგი, ბიჭო? — გაელიმა მეფეს.

— ჩემი შვილი გახლავთ, შენი კვნესა მე! — უპასუხა მოხუცმა, რომელიც ბავშვის საძებრად გამოსულიყო.

— შენც, შვილო, ვერ იძლევი ჭკუიან პასუხს... — ბძანა მეფემ და ბავშს თავზე ხელი დაადვა. — საიდან ხართ, მოხუცო?

— ქართლელი გახლავართ, კალატოზი, მანდარი...

— და ამას რაღა უნდა აქ?

— მაგიც დამეხმარება, დიდო მეფეო...

— კალატოზია?

— დიახ, დიდო მეფე, ჩემზე უკეთესი...

გოგის ხელი უკვე ქვევით ჩამოეშვა და მეფეს შეშტერებოდა.

— მართლა, ბიჭო? — დაეკითხა ზედმეტი დამცინავი სიღინჯით მეფე გოგის. — მამაშენზე უკეთესი ოსტატი ხარ?

— კი! — წამოსცდა ბავშს და, როცა პასუხის უხერხულობა შეამჩნია, თვალეზზე ცრემლი მოადგა.

— ნუ გცხვენია, თუ მართალი ხარ; და თუ წამოგცდა, შეეცადე დაამტკიცო მუყაითის შრომით! — სთქვა მეფემ.

მეფეს მოეწონა სილამაზე ბავშვის, გამომეტყველება თვალების... და ფართო უბიდან ვეებერთელა წიგნი ამოიღო. ტან-მორჩილმა მხლებელმა ბატის კალამი მიართვა და წელიდან გახსნილი მელნით საესე ყანწი გაუწოდა.

— ასე პატარა, თუ კარგი კალატოზი ხარ, სკოლაში ისწავლე და იქნებ გამოჩენილი ხუროთ-მოძღვარი გამოხვიდე...

მეფე ამ სიტყვებს ლაპარაკობდა და თან უბის წიგნაკში რალაცას სწერდა.

— შენ ბიჭს სკოლაში წაიყვანებენ, — მიუბრუნდა მეფე მანდარს.

— გაკუროთხოს უფალმა!.. განანათლოს სამეფო შენი მაცხო-

ვარმა! — აღაპყრო ხელი მოხუცმა და უნდოდა მეფისათვის/კალთაზე ეკოცნა, მაგრამ მეფე უკვე ჩქარის ორადღიანი ნაბიჯით განშორდა მათ... უკან მისდევდა ძუგძუგით ტან-მორჩილი მხლებელი... მხოლოდ ესლა შეამჩნია მამა-შვილმა ერთი ჯორი და ერთი ცხენი, რომელნიც მეჭინიბეს შორი-ახლოს ეკავა...

— დაუჩქარე, დაუჩქარე, წირვის დაწყებამდე ქუთაისს უნდა ვიქნეთ... სამართალს ელიან, — იყო უკანასკნელი სიტყვები მეფისა.

მშრომელთა ბანაკი დგებოდა და თვალის ფშვენტით პირის დასაბანად წყაროსკენ მიდიოდა.

— არაფერია, შვილო, უარესი დროც ყოფილა, მაგრამ დღემდე მოვატანეთ.

— ამაზე უარესი დრო, ბატონო, შეუძლებელია. ვერც ფიცხელ ბრძოლაში გამარჯვებით დაეტკბით და ვერც დამონების უღელმა აგვაკვნესა — თქვენ ცხოვრობდით მაინც, თქვენ ბედზე ეკიდეთ და ხან გადარჩენას მადლობდით უფალს, ხან უფსკრულში გადაჩეხილნი კვნესოდით.

— გეშურება განა ბიძაშენის უდროოთ სიკვდილი და ჩემი მრავალი წლის ტყვეობა?

— დიდაც! აი ბავშვები რვა-ცხრა წლის გამიხდენ და ჭიშკარზე ვერ გადამიშვია, — არავინ მომპაროს, არავინ მომიწამლოს-თქო.

— დამშვიდდი, დამშვიდდი. პაერში რალაც სუნი სდგას და შენც ნახავ, მგონი, პირის-პირ გაჭირვებასაც და ნეტარებასაც... თქვენ რა გინდათ, — მიუბრუნდა მოხუცი კარებში მდგომ ორკაცს.

— შიკრიკი გახლავთ, ბატონო.

— მოვიდეს აქ...

უცნობმა კაცმა თავი ღრმად დახარა და მრგვლად შეხვეული წერილი დიდის თაყვანისცემით მიაართვა.

მოხუცმა წერილი დაკვირვებით შეატრიალ-შემოატრიალა, ბეჭედი გატეხა და წერილი თავის ვაჟს გადასცა. მან ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„ქ. ბაგრატოვანი დავით უძღვნის მდაბალ სალამს და

უფლისა ჩვენისა ლოცვა კურთხევას იწვევს რაჭის დიდი ბატონისადმი. სხვა თქვენს მაღალ გონებასა და გამჭრიახობას არ გამოეპარებოდა ზაფხულისა სიმკაცრე და წაბლისა მრავალნაყოფიერება, რაიცა ნიშანია ღვთისაგან ბოძებულნი, რომ ზამთარი სუსხიანი იქნება და გრძელგამწევი...“

— მოიცადე, — შეაჩერა მოხუცმა მკითხველი, — წაიყვანე შიკრიკი, — უბრძანა თავის შინა კაცს და, როცა ისინი გავიდნენ, შვილს უთხრა:

— კარები ნახე, ხომ არავეინ გვისმენს, ეს უბრალო წერილი არ არის.

ვაჟმა ბრძანება აასრულა და განაგრძო კითხვა.

— ნელის ხმით, — დაუმატა მოხუცმა.

...„ამიტომ გთხოვთ, თქვენ ნუმც უზრუნველყოფილი იყოთ, გასცეთ ბრძანება სამფლობელოსა თქვენსა, რათა დამარაგებულ იქმნას სანოვაგე და სურსათი ყოველი. მონადირეთა თქვენთა უბრძანეთ, მოინადირონ ტყეველნი, სანადირონი დაკვამლონ, დაშაშხონ და დაამარინლონ ხორცი და თევზი, სასურველია, აგრეთვე რათა ურმის ხელეები, ზედ სადგომნი ისე იყოს გამონაკეთული, რომ ღერძიდან აღების შემდეგ მარხილათ იხმარებოდეს. რაოდენსა გაჭირვების დროს ხელს შემეწყოთ, ასეულად გადაგიხდი და ათასეულად გიზღავს მფარველი ქრისტიანობისა და საქართველოსა, — დედაღვთისა: თქვენმა დისწულმა, ჩემმა მეუღლემ მოწიწებით სალამი მოგახსენა, ჩემი ვაჟი გულს გკოცნის. ბრძანდებოდეთ ნებითა ღვთისათა ბედნიერ და მრავალყამიერ.

ბაგრატოვანი დავით“

— დიდი ფრთხილი კაცია ბატონი მეფე. ვფიქრობ, რაღაც დიდი განუზრახავს და ემზადება. წერილში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ თუ მტრის ხელში ჩავარდა, ისიც ეშმაკია, — მიხვდება, რომ რაღაცისათვის სამზადისი აქვს... დასწვი ეს წერილი.

ვაჟმა თაროდან ჩამოიღო აკიდებული თაფლის სანთელი და წაუკიდა წერილს. ნახევარი უკვე დამწვარი იყო, რომ ყმაწვილმა ღონიერად გააქნია და ცეცხლი გააქრო.



— ბატონო მამა, აქ კიდევ წვრილად რამოდენიმე სიტყვა სწერია.

— წაიკითხე, წაიკითხე.

„ელოდეთ დიდ ამბებს, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან-სა და საბედისწეროს. ყოველივე მოიმოქმედეთ ისე, ვით შეპფერის თქვენს გამჭრიახობასა და გონებას, თავი-სუფლებსა და მთლიანობისაკენ მიმართულს. ლაშქარი რაოდენ შესაძლებელი იქნეს მოამზადეთ და გასწვრთე-ნით ისე, რომ შეუძმჩნეველი დარჩეს ვით შინაურ, ისევე გარეულ მტერს“.

— ჩემთან წერილშიაც კი არ ამქლავნებს ბატონი მეფე გულის ნადებს. მაგრამ ჩვენ ნაბრძანები უნდა ავასრულოთ. ეს საქმე შეხთვის მომინდვია, ოღონდ ფრთხილად, არავინ შეგა-ტყოს, თუ ვისთვის და რისთვის ემზადები. სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ხმა უნდა დაჰყარო. ნადირობისას, რომ ქვე-ყანა მხეცთა აიკლეს. ჭირნახულის მოწვევის დროს, რომ ვაძი-რებთ ნათელას, რომელსაც დაესწრება მთელი ქვეყანა და სასა-ხელოდ ავაგებთ ტაძარს.

— მესმის, მესმის, მამა ბატონო, მაგრამ რა უნდა სურდეს თვით მეფეს?

— არც მე ვიცი, შვილო, დანამდვილებით.

— ოსეთისაკენ და სვანეთისაკენ ზამთარში ბრძოლა შეუ-ძლებელია, მაშ რისთვისღა უნდა მარხილები... თუ დედა-ქალაქის აღებას აპირებს და აქედან წაგვალეზინებს სურსათს? საეჭვოა.

— ყოველთვის საეჭვოს კიდებს ხელს და უმართლდება. აი აქ არის ღვთისაგან მინიჭებული მადლი.

— ღმერთმაც ჰქმნას.

— ოღონდ ჩვენი შეცდომებით მისი განზრახვანი უდროოდ არ გავამქლავნოთ.

— ვეცდები, ბატონო, შევასრულო მეფის ბრძანება და თქვენი დარიგება.

— წელანდელი ჩვენი საუბარი როგორც სჩანს, უკმი არ ყოფილა, აწი შენ იცი, ვინძლო შენი თავიც ისახელო და ჩვენც გვასახელო. ეხლა შიკრიკს მივხედოთ, მეფის მოგზავნილია და

მისი პატივისცემა თვით ბატონი მეფის პატივისცემას ნიშნავს.../

დანარჩენზე მერე ვითათბიროთ.

მამა-შვილი აივანზე გამოვიდენ.

— აქ რომელია შიკრიკი?

— მე გახლავარ, ბატონო.

— ვისი გამოგზავნილი ხარ?

— დავით მეფის, ბატონო.

— ოსია, წაიყვანე ჩემს სადგომში...

და შუახნის კოპწია კაცი საგლეხო სასტუმროდან გამოვიდა და ბატონებთან შევიდა.

— ძალიან ბლანტი კი არის შენი ცხენი...

— რას უწუნებ?...

— ამდენი გზა გამოვიარეთ და ერთი არ მინახავს შეფუცხუებული...

— ჩემსავით დინჯია, ლელოსაც ჩემსავით გაიტანს...

— უკაცრავათ, ქარაგმით თუ მეუბნები და ჩემს ცხენს ადარებ, ნამეტანია!

— დამერწმუნე, ბევრად უკეთესია... ჯერ გზის მესამედი არ გაგვივლია და ხომ ატყობ, უკვე მოიქანცა; ჩემი ცხენი კი თავიდანვე არ ჩამოგრჩენია, არც ეხლა უკლებს ნაბიჯს...

— შეხედე ამ ძუა-ფაფარს, მოღერებულ კისერს, ამ მკერდს... — და ახალგაზრდა მხედარმა ქუსლი ჰკრა და ტლაპოს, რომელიც გზას სჭრიდა, გადააბტუნა.

რევაზის ცხენმა დაყნოსა თხრილი და გადააბიჯა.

— სააშიკოთ, სალალობოდ, ფიცხელი ომისათვის კარგია, მაგრამ ხანგრძლივ ჯაფისათვის არ გამოდგება!

— აბა ყოველთვის ჩაფიქრებული როგორ იაროს კაცმა, — ჩაერია მუსაიფში მესამე.

გალავანს რომ მიადგენ, მგზავრთა შორის მეგობრული ქცევა-ლაპარაკი უეცრად შეიცვალა. გალავანთან მხლებლები ჩამოხტნენ. ციხის ჭიშკართან ბეგლარმა თავისი ცხენი უკან მომდევარს მხლებელს გადასცა... მარტო რევაზი შევიდა... მაგრამ მანაც მალე მოუხვია მარჯვნივ, ხეებზე მიკეთებულ ბოგასთან ჩამიხტა და ტანსაცმელი გაისწორა.



— მობრძანდით! — მიეგება ერთი ფარეშთაგანი, — სასტუმრო აქვე გახლავთ.

სასტუმროს კარებთან სახლთუხუცესი შეხვდა და ღრმა თაყვანი სცა.

— ბატონები როგორ ბრძანდებიან?

— გმადლობ, კეთილად; დღეს მცირე ნადიმი აქვთ და, თუ დალლილი არ ბრძანდებით, გთხოვთ.

ბეგლარმა სახლთუხუცესს გადახედა.

— წავიდეთ!

— ვინ არის? — დაეკითხა სახლთუხუცესი და, როცა გაიგო, უეცრად სრულიად გამოიცვალა, ხელების ფშვნეტით გაიქცა და სუფრაზე მსხდომთ მოახსენა:

— ბატონიშვილი რევაზი!

— მობრძანდეს! — მიუგო საყელო გაღეღილმა სეხნიამ, რომელიც ტუჩზე სავსე თასის მიდგმას აპირებდა.

— მობრძანდეს! როგორ, შენი ქვისლი ხომ არ გგონია... მიეგებე.

სეხნიას, ცოტა არ იყოს, ეხამუშა მამის სიტყვები. მაგრამ თასი მერიქიფეს მსწრაფლ გადასცა და სტუმარს მიეგება.

სტუმარი უკვე კარებში შემოდისოდა.

— ღეთის წყალობა და გამარჯვება პატიოსან ილარიონის ოჯახს.

— ღმერთმა გაუმარჯოს ილოსის მთავარს! — უბასუხა მოხუცმა მასპინძელმა. — მობრძანდი, აი, აქ, სათავეში...

— ეხლავ სიამოვნებით... მხოლოდ ჯერ თქვენს მეუღლეს, ოჯახის ქალბატონს ვეახლები.

— აი, ბატონო, ეს დედაჩემი გახლავთ და ესეც ჩემი უფროსი ძმის მეუღლე, — გააცნო ახალგაზრდამ ოჯახის უმთავრესი წევრები.

რევაზმა ორივე ხელი ერთმანეთზე დააწყო. ქალებმა, ჯერ ერთმა და მერე მეორემ თავისი ხელი ზედ დაადგეს. რევაზი ღრმად ისრებოდა, თითქოს ერიდებოდა ხელის მაღლა აწევით მანდილოსნები არ შევაწუხოვო; ეამბორა; ქალებმაც თავზე აკოცეს...

ყველა ფეხზე იდგა... მხოლოდ ვინც კედელზე მიდგმულ

გრძელ მთელი კედლის გასწვრივ ტახტზე იჯდა, იგი ნახევრად
გადმოხრილი იყო უხერხულობის გამო.

მერიქიფემ ღვინო ხელმეორედ ჩამოარიგა.

— აბა, მომღერალნო, ეხლა გმართებთ...

— დამითმე, ბატონო, ორი სიტყვა მოგახსენო.

— ბრძანე!

— პირველად ვარ ჩემი ქვეყნის დიდებულთა შორის.
ღმერთს ვთხოვ, თქვენ მომპყრობოდეთ, როგორც ჩემს გვარსა
და შეძლებას შეეფერება, და მოგეთხოვოთ, რის მოქმედებაც
კი შემიძლია... ღვთისმშობელი შეეწიოს ამ ოჯახს მეფის ერთ-
გულებაში, ღვთის მსახურებაში, სამშობლოს დაცვაში და ყო-
ველ კეთილ განზრახვაში.

— ამინ! — მიაძახეს აქეთ-იქეთ.

— დაადგა ნათელი მამიშენის საფლავს.

— ბიჭო, თავის დამღუპველს როგორ იხსენიებს.

— თვალთმაქცია!..

— თავს გვიჭონავს...

— გვასულელებს... — სისინებდენ ზოგნი.

— აბა, დამკვრელნო!

გაჩაღდა სმა.

— აბა, ეხლა იწყება ქეიფი, — გადასძახა ხელმეორედ მო-
ხუცმა მამასახლისმა ცალკე სუფრაზე მჯდომ მომღერლებსა და
დამკვრელებს, — ჩვენი ქვეყნის თვალის ჩინი გვესტუმრა.

გაჩაღდა ქეიფი.

გაჩაღდა ბაასიც.

სტუმრის თავმდაბლობა მოხუცთ მოსწონდათ; თავაზიან-
ობა, ენაწყლიანობა და კრძალვა — მანდილოსანთ; ვაჟკაცური
ძიხვრა-მოხვრა, თავისუფლად დიდი სასმისების დაცლა — ყმა-
წვილებს და უხვი მოსაკითხი და საჩუქრები — მსახურთ და მომ-
ღერალ-დამკვრელთ.

მოხიბლული იყო მთელი სასახლე.

— ზოგმა იქნებ არ იცოდეთ, — მიმართა მასპინძელმა, —
ჩვენი სტუმარი დიდი ზურაბის შვილია, ხუთი წლის დარჩა
მამას, თორმეტი წელია, — მოხუცმა გადახედა სტუმარს.

— დიახ, ბატონო, თორმეტი გახლავთ.

— ...ჩერკეზებში ჰყავს დედამისს გადახიზნული, — განა-

გრძო მოხუცმა, — როცა ოჯახის ცხოვრება აერია, წინდახედულმა ქალბატონმა დედულეთს ვაგზავნა, ბებია თქვენი დიდი ცნობილი და ბრძენი თემურყობეგის შვილი ბრძანდებოდა.

— დიახ, ბატონო!

— ...და აი ახლა მობრძანდა... არ შევალ განხილვაში, — ბატონი მეფე უქეიფოთაა და თქვენ თვალწინ მიდგეხართ, უხერხულია, მაგრამ ჩემს ჭალარას დაუჯერეთ, ბევრი მიფიქრია და მგონი, არც ერთი არ არის დამნაშავე, — სხვაგვარად არცერთს არ შეეძლო ემოქმედნა... თვით შენ არ გამომიცდიხარ ომში, არ ვიცი შენი გულის თვისება, მაგრამ ღმერთმა ჰქნას ისეთი შემკული ყოფილიყო ყოველის მხრით, როგორც პირველ ნახვაზე კაცს ეჩვენები!

რევაზი თავიდანვე ფეხზე იდგა. ეხლა ყველანი ადგენ და დალოცეს.

მრავალყამიერით გუგუნებდა მთელი დარბაზი. პატივსაცემლად ქალებიც ღებულობდენ მონაწილეობას.

მრავალყამიერს მადლობელი მოჰყვა და მაშინ რევაზმაც მაღალი და თან ტკბილი, თავისუფალი ხმით შემოსძახა.

დიასახლისს გაუკვირდა.

— ჩერქეზებიც ჩვენებურად იმღერიან?

— არა, ქალბატონო, მაგრამ დედამ გალობის მასწავლებელი და სავარჯიშოთ კიდევ ოთხი კაცი გამომიგზავნა.

— მერე მოეწონათ ჩერქეზებს?

— ძლიერ, ქალბატონო, ბევრმა ისწავლა კიდევ!

საქალეთი შეიძრა და აჩოჩქოლდა. ყმაწვილი გულში ვერ ჩაიტყეს და პირზე ეკერათ.

— რა მშვენიერი ხმა აქვს!

— რა ულვაშები!

— შენ ვიყურებდა...

— რა ახალგაზრდაა! პირველი ყმაწვილია საქართველოში...

— შენთვისაა მოფრენილი, ნეტავი შენ!

მხოლოდ პირუთენელი დედისერთა რუსუდან ჩუმათ ბუტბუტებდა: ან მაგი, ან არავინ... მამას ვთხოვ, ყოველივე მოიმოჭმელოს... მეც ხომ გოგოთ ვითვლები...

— შენ რას შვრები, მანდ შე გომბიო! — მიმართა დეიდან პატარა გოგონას, რომელიც თვალდახუჭული ცდილობდა მაჩვენ-

ნებელი თითები ერთმანეთისათვის ჩქარ-ჩქარა მიერთყა და ფუჩუნებდა:

— ჩემია? არა? ჩემია? არაა?

შეკითხვაზე დეიდას ვერ უპასუხა, თვალი გაახილა, შემობრუნდა, დარცხვენილი გაჩერდა და თავში კი ელვასავით გაურბინა: — „გომბიო კი არა, ძლიერ კოხტა ქალი ვარ!“ — და მეტისმეტად გაწითლდა.

— უი, თვალები კი დამიდგა, ეს მაიმუნიც კი ჩვენს სტუმარზე ფიქრობს... — უფრო მოზრდილმა ქალებმა კისკისი დაიწყეს.

— მაგანაც თუ საქმრო წაგვართვა, დავრჩენილვართ სამუდამოდ...

პატარა გომბიო კი რაღაც ყნოსვით გრძნობდა, რომ მისი ბედი ცის კაბადონზე გამოჩნდა და ყოველგვარი მანქვა-გრეხა სხვას ველარ უშველიდა და გული საამოდ უტოკავდა...

ოდნავ შეზარხოშებული ვაჟი და მხიარულნი ქალნი აიყარენ.

ღვინო არაგის-ეტყობოდა.

მხოლოდ მეტი იყო ღიმილი, სიცილი, ოხუნჯობა და პაექრობა.

ვინც კიდევ ვერ შორდებოდა ღვინოს, იგი შეუერთდა სამზარეულოს წინ მსახურთა და ფარეშთათვის გაშლილ გრძელ სუფრას, სადაც ისეთივე გულუხვობა, სიმღერა და დაკვრა იყო, როგორც ბატონთა სუფრაზე, მხოლოდ ძაღლების ხროვა ერეოდა თავისი ჭყავ-ჭყავით...

მოხუცმა დიასახლისმა რევაზის თხოვნით დაუკრა ჩონგური და დაამღერა ტკბილი „მზევ შინ შემოდო“. ახალგაზრდა თავადის ქალმა იცეკვა რევაზთან ერთად.

სადღაც კუთხეში ისმოდა კამათლის ჩხარუნნი...

და ხის ძირში სინჯავდენ ერთი შემორტყმით ტყავის გაჭრას; ისრით ხრიკის გახვრეტას.

ყოველივე ნელ-ნელა ბნელდებოდა. — საღამომ მოაწია; ზოგს უჩინარმა მთქნარებამ გადურბინა სახეზე.

ქართული
ლიტერატურა

— შენ რა გინდა, მორჩილო, ჩემს დარბაზში დაუკითხავად? — მიმართა მოხუცმა მამასახლისმა ახლად შემოსულს უცნობს, რომელიც ხატისაკენ იყურებოდა და პირჯვარს იწერდა.

— მომიტევე, ბატონო, კათალიკოსმა გამომგზავნა, გწყალობდეთ დედაღვთისა!

— რას მიბრძანებს ყოვლად უწმინდესი?

— გაცნობებთ, მეფე დიდი მწყალობელი, ქვრივ-ოხერთა გამკითხავი და მოჭირნახულე ერისა, ფრიად ავად ბრძანდებო...

ყველა შეკრთა... წამოდგენ... მიუახლოვდენ... ისმოდა: „ვაი ჩვენი ბრალი“... „ასისინდენ მტრები“... „ვის გადურჩეთ“...

— კათალიკოსმა მოგახსენათ, — ხვალვე, თუ შესაძლებელი იქნეს, შეკრიბოთ თქვენი საბატონო დიდი და პატარა და პარაკლისი გაღიხადოთ... ცის ქვეშ, რათა აღაღადდეს მთელი ქვეყანა ჩვენი...

— საწყალობელი დედოფალი, — ვაი მისი ბრალი, სხვას რა უჭირს, — ბრძანა დიასახლისმა.

— კეთილი!

— გწყალობდეთ უფალი.

— მოიცა, ღამე გაათენე!..

— გწყალობდეთ სული წმინდა... მე კიდევ უნდა ვიარო წირვამდის, სადაც კი მივასწრებ...

საერთო შეშფოთება შიშით ლოდოდ დაეშვა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდნენ: ღმერთმა დაგვიფაროს, არ გავგწირავს ღმერთი, ჯერ კიდევ ყმაწვილია...

— ბეგლარ, ჩვენ წავიდეთ.

— მოითმინეთ.

— არა, ბატონო, გზა დიდია და ორი წუთითაც ადრე მისვლა კარგია.

— წვიმას აპირებს, ბატონო.

— სანამ შევძლებთ, ვივლით.

— რათ ნებულობთ, ბატონო, — შეეპატიყენ რევაზს მასპინძლები, — ეს ღამე გაათენეთ მაინც.

— ძლიერ მეჩქარება, თორემ უკეთეს ადგილს სად ვიპოვიდი?!

— ხუ გვაყოვნებთ უნდა წავედეთ, — დაადასტურა ბეგ-
ლარმა...

— გაგიმართლდა ხომ წინათგრძნობა, — უთხრა ბეგლარმა
რევაზს...

— ეჰ, ღმერთმა ნუ ქნას!

— ამინ!

მსახურთ სადილი ვახშამზე უნდოდათ გადაეტანათ, მაგრამ
ცუდმა ამბავმა შეკრა ყველანი.

მათ სუფრას შუახნის კაცი შემოესწრო. მისალმება არ აცა-
ლეს.

— რა ამბავია?

— ცუდი ამბავი, მეფე ძლიერ ცუდათაა.

— მართალია? ბატონებიც ძლიერ ფაცა-ფუცუში არიან...

— დიახ... გუშინ თვით დოსტაქარს უთქვამს — უიმედო-
თააო.

— უი, ჩვენს უბედურებას, — აწუწუნდენ მდაბიონი, —
ისევ დაიწყება თარეში...

— ზევეითაც სტირიან!

— მაგათ რა უჭირთ, ჩვენ ვიკითხოთ...

*

ბერმა დაამთავრა დიდიხნის ნაშრომი, დასწერა უკანასკნე-
ლი სამი წერტილი, ზე აიხედა და უნებურად, მადლობის ნიშნად
ალაპურო ხელი, მაგრამ საჩქაროდ წამოდგა, ხატის წინ დაიჩოქა
და სასოებით წარმოსთქვა:

— ღმერთო, განკურნე მწყალობელი და გზის მაჩვენებელი
ჩემი, მეფე საქართველოსა, — დავითი. ღმერთო მომბადლე,
რათა ესე ნაშრომი ჩემი მცირე, ნიშნად ღრმა პატივისცემისა
მიიღოს და კადნიერებანი ჩემნი მაპატიოს...

ისევ ადგა და ოღნავ განათებულ სენაკში დაიწყო სიარული.

— რა მივაწერო ქვევით? — ფიქრობდა იგი. — ხოტბა? არა,
არ უყვარს ხელმწიფეს პირში ქება, — პირმოთნეობად ჩამო-
მართმევს. შესაფერი ფსალმუნი დავითისა? არა! იგი ვერ გამოს-
თქვამს ჩემს გრძნობას. დაეწერო ის, თუ როგორ შევიწინა
ცოდვანი ჩემნი? არა! არა! წიგნს სხვაც წაიკითხავს, და რად

უნდა იცოდეს უცხო პირმა თუ როგორ მომეპყრო, როგორ
მიხსნა ბოროტისაგან ... მოკლედ მივაწერ: **დავით მეფეს — მორჩილი
ჩილი ბერი.**

— გაგვიღეთ კარი, წმინდა მამებო! — მოისმა ამ დროს
გალაგნიდან.

— უი, საცოდავნი, ამ ქარბუქში სად დარჩენილან?

ცალკე მდგომ სენაკიდან უკვე გამოხტა ერთი მორჩილი,
რომელსაც თავზე ფოთლებიდან გადაბწნილი რალაც ჩაბალა-
ხისებური ეხურა, და კარებისაკენ გაიქცა.

სენაკში რევაზი და ბეგლარი შემოვიდნენ.

— მდინარე ისე აზვირთდა, ისეთი ხეები მოაქვს, რომ ვერ
გავედით... თან ამ კოკისპირულმა წვიმამ თქვენი მყუდროება
დაგვარღვევინა, — ბოდიშით სთქვა რევაზმა.

— რად ბოდიშობთ... მე მოხარული ვარ, რომ ჩემი სენაკი
ვისმე გამოადგა...

— მე ჩემ თავთან ვბოდიშობ, წმინდა მამაო, ისეთი საქმე
მქონდა, რომ არ უნდა შეეჩერებულიყავი, მაგრამ ბეგლარმა არ
გამიშვა...

— დიალ, მამაო, კინალამ წამოღებული ნამორის მსხვერპლი
არ გახდა...

— აბა რა მექნა! იქნებ, ვერც კი ჩაუსწრო...

— დიალ, მამაო, ჩვენ მივეშურებით მეფესთან... ამბობენ
ძლიერ, ძლიერ ავად არისო...

— უტყუარია ეგ თქვენი ცნობა?

— ყოვლად უწმინდეს კათალიკოსს შიკრიკები დაუგზავნია,
საერთო პარაკლისი გადინადონ...

ბერს ოდნავ ხელეები აუთრთოლდა, მკრთალმა სახემ სრუ-
ლიად დაჰკარგა ფერი, ნელა დაესვენა საეარძელზე და უნებ-
ლიეთ წაიბუტბუტა:

„ნუ იქმ, უფალო, ნუ იქმ, უფალო!..“ მერე გაახსენდა, რომ
თვითონ იჯდა და სტუმრები თავზე ადგენ და დარცხვენით
წამოიწია:

— დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით.

სტუმრები დასხდნენ.

— მიკვირს თქვენ რათ არ გეახლათ? — იკითხა რევაზმა.

— მე მაინც ვლოცულობ ყოველ დღეს... ან იქნებ დაიგვი-
ანა...

მერე თითქოს თანაგრძნობას სთხოვსო, ბერმა სტუმართ მამართა:

— შეუძლებელია, შეუძლებელია დავითის სიკვდილზე აღმაშენებელია საქართველოსი... ჯერ მას არ დაუმთავრებია თავისი ღვაწლი უფლისა და სოფლის წინაშე, მამ ვინლა დარჩეს, თუ იგი მოკვდეს, იგი — უკვდავი. — და ბერს ცრემლები ვადმოსცვივდა.

— რა დაგემართათ, მამაო?

ბერი შეკრთა, შერცხვა მხურვალე ცრემლების, მოერიდა განუწყვეტელი ლოცვის და თან სიცრუის თქმაც ეზარებოდა...

— დიდხანს ვაკეთებდი საჩუქრად ერთ წიგნაკს... ჯერ კიდევ როცა ხუროთ-მოძღვრად ვახლდი, მეფემ ბრძანა, ნეტავი დავითნი მუდამ მქონდეს ჯიბეშიო. მაშინ ძნელად მეჩვენა ასეთი შრომის გაწევა, არც მეგონა თუ მოხერხდებოდა... აქ კი მოგვიდევ ხელი. ორი წელი ვსწავლობდი და ვიწვრთნებოდი წვრილ წერაში და აი მივალწიე. შემდეგ ერთ წელში დავამზადე. მობრძანდით, გაჩვენოთ.

ბერი ჩქარის ნაბიჯით შევიდა სენაკში და გამოიტანა ჭახრაკში ჩადებული პატარა წიგნაკი.

— საუცხოვოა, საუცხოვოა, ოღონდ ნაწერი როგორია, ვერ ვხედავ...

ბერმა ვერ მოითმინა, თავისი ნამოქმედარი რომ არ ეჩვენებინა, ეს მცირე სიამაყე არ გამოეჩინა და ჭახრაკს მოხსნა დაუწყო.

— ნუ ინებებთ, ნუ ინებებთ.

— არაფერია, ერთი წუთი, გადახედავთ და ისევ შევკრავ.

— მშვენიერი ნაწერია, მართლაც... ასე წვრილი და თან ასე გარკვეული, საკვირველია!

— რომ ველირსებოდე, — მეფე ჯიბეში ჩაიდებდეს...

— გისმენს უფალი!

ბერმა ისევ ჭახრაკში ჩადგა წიგნი და ისევ რევაზს და ბეგლარს მიუბრუნდა:

— გეტყობათ, საშინელ ავდარში გზამ მეტად დაგქანცათ, სიმშვიდევ და მოსვენება გსურთ, ალბათ. ოღონდ მოგვიტევეთ დვითის მსახურთ თუ საკმარისად ვერ მოგასვენოთ.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, მამაო, მიჩვეული ვართ,

არაფერი გვჭირდება, — მიუგო რევაზმა, ორივემ პირველი
გადაისახეს და ნაბდები დაიგეს...

ბერი კი ხატის წინ დახოქილი კიდევ დიდხანს ლოცუ-
ლობდა...

დაღლილ-დაქანცულთ უსარკმლო ოთახში ვერ შეაძინეს
გათენება.

რეკამ გამოაღვიძათ. წამოხტენ.

ბერსა და მორჩილს დილის ლოცვა უკვე გაეთავებინათ და
დიდის მზრუნველობით მოვლილ პატარა ეზოში ფუსფუსებ-
დენ...

რაც კი რამ ხელს შეეძლო, არ დაკლებოდა ბუნებით ნოყიერ
ამ ორიოდღე დღიურ მიწას. კლდიდან ჩამოვარდნილ პაწია ნაკა-
დულს, ყინვასავით ცივს და ბროლსავით გამჭვირვალეს, აებრუ-
ნებინა წისქვილი და აელაპარაკებინა საცეხველი. მათ ახლო
იდგა საკვირველად მოვლილი, ფეხებზე დამდგარი კოდები
სკით... ბალახობდა მეწველი თხა და ხბოიანი ძროხა... იქვე
რამდენიმე ბატი დაბაჯბაჯებდა. „ბატები კალმისათვის ეყოლება
ბერსო“, — გაიფიქრა რევაზმა.

კვალებში მოსჩანდა აჩრდილისებური სუსტი კამა, თავშე-
ხვეული პრასი და ხახვი; ოხრახუშის კვალს შეპაროდა კვახის
ღერო, მაგრამ უკუქცეული უერთდებოდა ბიჭგებზე ასულს
კიტრისა და ნესვის ბარდებს... ვაზები შემოხვეოდენ ხურმისა
და ბეოლის ტოტებს, ვით სურო რცხილასა და მუხას... ლოყა-
შეწითლებული ატმები, ტუჩ-გაპობილი ლეღვი... გაცლილი ხე
ქლიავისა და მსხლისა... მოშორებით ნაპურალი, და ირგვლივ
ვით დარაჯნი სულისა, ბუნების კელაპტრები, — ნაძვები და
კვიპაროსები.

— მართალი ბრძანებულხართ. უკვე იყო წმინდა მამის შიკ-
რიკი, დიდი ზარი ავალაპარაკე... იქნებ, ამ უდაბნოშიც იყოს
ვინმე ქრისტიანი, — მისი ლოცვა არ დაეკარგოს მეფეს.

ბეგლარმა ცხენები მოიყვანა.

— მოითმინეთ, მეც თქვენთან წამოვალ!

— თქვენ ჩემთან ვერ ივლით, მამაო, ჯერ პარაკლისი უნდა
გადიხადოთ და თან ჩვენ სულ ქენებით ვივლით.

— გმადლობთ, მამაო!

— გზა კეთილი!

- დაგვლოცე, მამაო.
- დაგლოცოს უფალმა!

ბეგლარი და რევაზი გაპყვენ პატარა ბილიქს, რომელიც დაეტოვებინა ბუნებას მონასტრის ეზოსათვის ქვეყნიერებასთან შესაერთებლად და რომლის თავზე კოშკი მოსჩანდა. ამ კოშკში წინდახედულ ბერებს მოეწყობოთ წყლის ასადულებელი ქვაბები, დაეწყობოთ ხმელი თივა მტრისათვის ცეცხლის სასროლად და აეზიდნათ ლოდები.

მონასტრის პატარა ეზო მზისკენ ციცაბო ნაპრალით თავდებოდა, უკან თვალუწვდენელ გატიტვლებულ საღ კლდეებს ეკვროდა; მათ შორის შხუოდა გიჟმაყი მდინარე, რომლის წინ ყოველი შემთხვევისათვის ორი კაცის სიმაღლე ჭვრიტიმაღლებიანი ქვითკირი იყო გავლებული.

რევაზმა გადაავლო იქაურობას თვალი და გამოცდილმა მეომარმა შენიშნა, რომ აქ ოთხი-ხუთი კაცი ადვილად გაუმარდებოდა მომხვედურ ას-ორას კაცს...



რევაზმა და ბეგლარმა ცხენები თითქმის გააჭენეს.

აქა-იქ ხვდებოდნენ თითო-ოროლა კაცს, ჩქარის ნაბიჯით ეკლესიისაკენ მიმავალს... ერთ ადგილას ნახეს მრავალი ასეული ძუძუმწოვარა ბაეშით დაჩოქილნი — ღმერთის მავედრებელნი; მზეც ძლიერ ანათებდა, თითქოს მართლაც ბრწყინვალე ღმერთი, ხალხის ერთსულოვნებით განცვიფრებული და გახარებული, უსმენდა ქვეყნის ღალადს...

ბორანს მრავალი ხალხი მისწყდომოდა.

რევაზი შედგა.

— ჯერ სხვები არიან, ბატონო, გადასაყვანი, — გაახსენა მებორნემ.

— გახსენი ბორანი, ვაიარე!

— მეფე კიდევ ცოცხალია, რას მიბღვერ, — შეუტია მებორნემ.

— დაეთხოვე, აქ ასეთი წესია, — ჩაერია ბეგლარი. ძმაო, — მიუბრუნდა ბეგლარი მებორნეს, — ჩვენ მეფეს უნდა ჩაუ-

სწროთ, ვინ იცის, რა მოხდება, დიდი საქმე გვაქვს, — ამ ხალხსაც არ ეწყინება...

— არა, ბატონო, მიბრძანდი, — დაუთმო გზა ერთმა მოხუცმა. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს.

— ჰო, მეფესთან თუ მიგეჩქარებათ, სხვა! ასე რად არ იტყვი?

ხალხი ბეგლარს და რევაზს მიესია.

— იცი, ბატონო, რამე ამბავი? არ გაგვწირავს ღმერთი?

— არ ვიცი, ძმაო, მითხრეს კი ცუდად არისო და მივექანებით.

— ვაი ჩვენი ბრალი... უკვე კბილს კრეკს არაბი, — ყველა მოელის სიხარულით, როდის ჩამოიქცევა ჩვენი კედელი და საფარი... და შინაურობაშიც შეიქმნება თარეში და გატაცება, ძარცვა...

— ვაი ჩვენი ბრალი... ძლივს მოვესწარით სულის ამოთქმას და ნუთუ ისევ ტყე-ღრეში უნდა შევაფაროთ თავი?!

— საქართველოს მზე ბნელდება! — დაცინვით და დაბალის ხმით ჩაუჩურჩულა ერთმა დიდებულმა მის გვერდით მდგომს.

—...და შენც ასისინდი, გველის წიწილო! — ზიზღით უპასუხა ჭარმაგმა კაცმა და დარბაზის კარები შეაღო.

— გრიგოლ, შენ?

— მე გახლავარ, ბატონო, შენი ყმა. სათხოვარიცა მაქვს...

— არაფერი უთხრათ თქვენი ჭირი, — შეეხვეწა შოთა, — თვითონაც გრძნობს, რომ ძლიერ ცუდათ არის და ნუ გაუტეხთ გულს, იქნებ ღმერთმა შეგვიბრალოს...

— რა დაგიჩქარებია თხოვნა, ნუ თუ მატყობ, ცუდათა ვარ?

— არა, მეფეო, დღეგრძელს გამყოფებს ღმერთი, მაგრამ აქ ზურაბის შვილია და კარისკაცები არ უშვებენ...

— რატომ?

— მეფეო, რა უნდა ახლა, — ჩაერია საუბარში შოთა.

მეფემ თვალი დახუჭა და ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა:

— იგი მოვალეობას მოუყვანია, თორემ წყალობას, უეჭველია, ჩემი მემკვიდრიდან მეტს მოელის, რადგან მისი მირონი და უფრო ახლობელი ნათესავია. შემოუშვი...

მეფე კარებს მიაჩერდა. მას თვალში მოხვდა ახალგაზრდა ყმაწვილი, რაღაც არაჩვეულებრივი სინაზისა და თვალბუნებულობის მქონე, რომელმაც თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და წინ წარსდგა.

— სალამი მიბოძე, დიდო მეფეო.

— ა, ა, — ცოტა არ იყოს შეკრთა მეფე, — მოხვედი მაუწყო, რომ აღსასრულის წუთი მოახლოვდა?

— დიად, მეფეო, ჩემი გვარი დარჩა მარადის ერთგული მოვალეობისა და აღთქმისა.

— უკანასკნელად მაყვედრი, რომ ვერ აღვასრულე პატრონის დანიშნულება და მფარველობის მაგიერ დავაუძღურე ოჯახი შენი?

— სალამს ველი, მეფეო! — შეეცადა ახლადმოსული ლაპარაკი შეეცვალა.

— ღმერთმა გაკურთხოს, დღეგრძელი მოგცეს...

— ასეთი არ არის ჩვეულება მეფის ჩვენდამი მისალმებისა. ნება შენია, მეფეო, არ მაძლევ, რაც მეკუთვნის, მაგრამ ჩემგან მიიღე.

ახალგაზრდა კაცმა ორი ნაბიჯი წინ წარსდგა, გულზე ორივე ხელი დაიკრიფა — ღრმად თავი დაუკრა და ნელის ხმით მოახსენა:

— მეფეო, დგება უამი აღსასრულისა. რას გვიბრძანებ?

— ნება ჩემი ანდერძთა შინა არსს. დანარჩენი ყოველთა თქვენთათვის სხვადასხვა დროს მითქვამს. ემორჩილეთ მეფესა, ნუ დააგდებთ სჯულსა, გახსოვდეთ, რომ ყოვლისა მხრით მტერი არს მოზღვავებული და ერთმბრძანებლობა ხამს საქართველოსა, მეფე ერთი და არა ოცი მოუვლის ჯარსა და ქვეყანასა...

— შემოძლია, წავიდე, მეფეო?

— არა, დარჩი ჩემთან კიდევ ერთხანს. ახლა მე უკვე მეფე აღარა ვარ, თუ გინდა არც აღამიანი ვარ. მე შუა ვარ ცისა და ქვეყნისა. და ხომ უწყვი, რაოდენითა სიყვარულითა მიყვარდა პირადად მე მამა-შენი, ბიძა-შენი, რომელთანაც ბაასი იყო ჭეშმარიტად სიბრძნის წყარო, მათს ვაუკაცობას, სიუხვეს, შორსმჭვრეტელობას აღტაცებაში მოყავდა ბავში და მოწინააღმდეგეობით ვიგონებ ეხლა. ხომ უწყვი, რაოდენ მიყვარხარ შენც,

მსურს სიკვდილის ეამს, ჩემს ოჯახთა წევრთა შორის, უახლო-
ბელესი კეთილი ქმნილებანი ამა ყოფილისა ჩემისა, ქვეყნისა
ვიხილო.

— არა, მეფეო, გამიშვი. რა სულგრძელიც არ უნდა ვიყო,
ვერ დავივიწყებ ჩემი ოჯახის დაძაბუნებას, დაჩაგვრას. პირ-
ველნი უკანასკნელთა შორის ვფოფხავართ...

— მიუტევე ადამიანს, რაც მოიმოქმედა მეფემ!..

— და მთავარი მაშინ მდაბიოთ უნდა იქცეს?..

„ვერ გამიგო“, — გაუელვა თავში დავითს...

— მიბრძანებ გამოსათხოვარს?..

— შენ რომ გსურს, ისეთს ვერა... მაგრამ გულწრფელად კი
გისურვებ გზას მშვიდობისას, უფლის მიერ დალოცვას...

ახლადმოსულმა კიდევ ორი ნაბიჯი წარსდგა წინ, ქული
მოიხადა, მწოლარე დავითს დააცქერდა და გრძნობით სთქვა:

— დაგადგეს ნათელი სასუფეველსა შინა უფლისა! უკვდავ
იყოს სახელი შენი ქვეყანასა ზედა! იყავნ მეოხედ ღვთისმშო-
ბლისა წინაშე! — რევაზმა დაიჩოქა, მოწიწებით, ხელზე
ემთხვია, თითიდან ბეჭედი მოხსნა და ადგა...

ყველა ტირილს იკავებდა. რევაზმა ბეჭედი მუხლმოდრეკით
დედოფალს გადასცა. დედოფალმა ერთი შეჭკივლა და ძლივს
წარმოსთქვა სავალდებულო სიტყვები:

— ეს არის ბეჭედი მეუღლისა ჩემისა, მეფისა დავითისა...

ქვითინი გაისმა. ვაყებმა ქულები მოიხადეს; ქალებს თავ-
საწყო ჩამოართვეს მსახურებმა; დედოფალს ორი ქალი ამოუ-
დგა გვერდში.

— რა მხეცური ჩვეულებაა! — გაიფიქრა შოთამ. — მაგრამ
არა, — დაუმატა გონებამ. — ამას დიდი, დიდი მნიშვნელობა
აქვს...

რევაზს ვასვლა უნდოდა.

— ახლა მაინც მოიცადე! — უკვე სხვა ხმით ბრძანა მეფემ.

რევაზი შემობრუნდა... ეტყობოდა, რალაც ვერ მოეთმინა და
ამიტომ ჩქარის გამოთქმით, თითქოს დიდხანს პირში დაჭერილი
სიტყვები ვერ შეიკავაო, სთქვა:

— არა, მეფეო, ამდენი სულგრძელობაც არა მაქვს... კარ-
გად ვერ შემვიგნია, მაგრამ თაყვანსა გცემ შენის შრომისა, თავ-
დაუზოგველობისა და სიბრძნისათვის და არ მინდა გრძნობამ

მკლიოს და შენს წმინდა ლოცვებში გაერიოს ჩემი შური და სიძულელი. — და რევაზი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

— პატიოსანი კაცი, ღირსეულ მშობელთა ნაშვილი!

წყნარად წარმოსთქვა მეფემ.

ღუმელი ჩამოვარდა.

— კათალიკოსი წაბრძანდა? — იკითხა დავითმა.

— დიად, ბატონო, ლოცვაზე...

— არ შეაწუხოთ. ორი დღეა სრულიად არ უძინია.

— მეც ვთხოვე, მეფეო, ლოცვის შემდეგ მოისვენოს...

თქვენ რომ მოისვენეთ, ვიფიქრე უკეთ ბრძანდება-თქო.

— კარგი გინებებია, მაგრამ მე ცუდად ვგრძნობ თავს.

— აქი გეძინათ?

— არა, დედოფალო, მე ვფიქრობდი. კიდევ ვერ დავივიწყე მიწიერი. ვგრძნობ, რომ ვკვდები და აღვასრულე მოვალეობა ჩემი? არ დამიმარბავს, ვით ზარმაც მონას, ტალანტი. უბედურ დღეს დაბადებული, ნანგრევთა შორის აღზრდილი-ვიყავ მკაცრი, თქვენ იყავით ლმობიერნი, მე ვსჯიდი, თქვენ გულკეთილობით მოინადირეთ მტერნი. მე ვაშენებდი — თქვენ მოაწყვეთ, იცხოვრეთ მყუდროდ. დედოფალო, თქვენ ნუ აპყვებით ჩვეულებასა და ჩემი სიკვდილის შემდეგ ნუ აღიკვეცებით მონოზნად. ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით და გული რომ ვერ დაემორჩილოს მონასტრის კედლებს, თუნდაც გაიმარჯვოთ, არ არის საამო ქრისტესა ჩვენისათვის. სამ წელს ბრძანდებოდეთ სასახლეში. მიმოიხედეთ, იქნებ ისურვოთ და აღირჩიოთ მეუღლე... არა არს ესე სააუგო, მხოლოდ გთხოვთ, უცხოთა და მტერთა ქვეყნისასა საქართველოსისასა ნუ ინებებთ, ვინაიდან მრავალ იცით საიდუმლო ამა ქვეყნისა და მეუღლესა თქვენსა თუ დაუმალეთ, არ იქნებით მეუღლე და თუ გაუმჟღავნებთ, ავნებთ სამშობლოსა ჩვენსა. მრავალ არიან მთავარნი და დიდებულნი, ყოვლით შემკულნი და მათ შორის დარჩეს თვალნი თქვენნი. ოც წელს იყავით მეგობარი ჩემი; იცით მდგომარეობა ქვეყნისა და იყავით მრჩეველი და დამრიგებელი გამოუცდელის მეფისა. გმადლობთ უღლის კეთილად, პატიოსნად და უდრტვინვად გაწევისათვის. შემინდე გულგრილობა ჩემი. ახლა მსურს გეამბორო, მაგრამ მსმენია, მომაკვდავის ამბორი მავნეაო — ისევ შენ ამბორმყავ.

ქალმა აიწია. დავითმა მარცხენა ხელი პირზე დაიფარა,
მარჯვენა ქალს ყელზე მოხვია.

ქალმა მარცხენა ხელზე აკოცა და ჩაჯდა.

— ახლა წადით. მამაო, თქვენი ჯერი დადგა, მომამზადე,
რათა წარვსდგე უფლისა წინაშე, წამიკითხე ფსალმუნი.

სულისთქმა უძნელდებოდა. გონება კვლავ ნათელი რჩე-
ბოდა.

დააღეს ფანჯრები.

— ჯერ აღრეა, — გაიფიქრა დავითმა.

ეზოში ძალი აღმუვლდა.

დავითს უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ სიტყვის მაგივრად
აზროტინდა.

დიაკონმა დიდის მოწიწებით სასთუმალი გამოუღო თავი-
დან.

დავითს ეწყინა — კადნიერებად ჩასთვალა.

აზრები დაებნა.

რაღაც დაავიწყდა.

უნდოდა მოეგონებინა, მაგრამ გრძნობები მიჩლუნგდნ.

ტანს ველარ გრძნობდა.

ვერაფერს ხედავდა.

ვარსკვლავები წარმოუდგა და...

ესმოდა კი მოურიდებელი სიარული, დიაკონის ლოცვები...

მგრძნობელობანი გაჰქრენ...

გაიჭიმა და გაქვევდა...

დიაკონმა ხელები გულზე დაუკრიფა; თვალები გაუსწორა
და ზედ თვლებით მოქედილი ვერცხლის ჯვარი დაადო.

შიგნითა კარები გაიღო.

— ნუ მობრძანდებით, დედოფალო! — მიეგება დიაკონი.

— არა, მაცალე! ახლა მაინც მივიდე თავისუფლად ჩემს
ქმართან.

დიაკონი განზე გადგა.

— ჯერ ნუ გახვალ!

იგი აღარ იყო დედოფალი. ის იყო საწყალი ქვრივი, მეტის
მწუხარებისაგან განაზებული და საბრალო.

იქვე დაჯდა, სადაც წინათ იჯდა. მაგრამ იგი აღარ იყო დედო-
ფალი, არამედ მწუხარებისაგან სახედამანჭული დედაკაცი.

მთელი სიყვარული მას ვერ გამოეთქვა თავის დღეში, მუდამ საქმეებში გართულ ქმრისათვის; აკლდა ალერსი, მაგრამ იცოდა, თუ რა პატივისცემა, ნდობა და სიყვარული ჰქონდა მეფეს მისდამი და ამიტომ აპატივებდა, რომ აკლდა დიდ მეფეში მამაკაცი.

მოკიდა ხელი.

— ჯერ კიდევ თბილია, — გაიფიქრა ქალმა. — ერთი ცრემლი მაინც წამოვიდოდეს; ხალხი ფიქრობს, რომ ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარდა... იფიქროს!.. ხომ იცოდა, რომ მე სხვა ქმარს არ ვინდომებ, მაგის მერე ვინ უნდა ვინდომო?! — მაგრამ ყველაფერი მოაწყო, ყველა დაგვარიგა, — ფიქრობდა ქალი და ხმამაღლა დაუმატა:

— დიდი იყავ, დიდი.

— უკაცრავად, ქალბატონო, მალე კათალიკოსი მობრძანდება. გამირისხდება, აქ რომ დაგინახავთ.

ქალი მორჩილად ადგა. დიაკვანი მიცვალებულის გარშემო ფუსფუსს განაგრძობდა, კათალიკოსი რომ შემოვიდა.

— მრავალ უამს ბრწყინავს მზე და ჩაესვენება. მრავალ წელს ნაყოფიერ იმეფა და განისვენა მონამან ღვთისამან დავით. გარნა სიბნელით მოცულნი ვიმედოვნებთ, რომ კვლავ ამოვა მზე და განანათლებს ქვეყანას, ხოლო ვინ წაგვიძღვება ბრძოლის ველზე, ვინ?... ჩაესვენა მზე საქართველოისა, სტიროდეთ!..

ატყდა ქვითინი. საკათალიკოსო ეკლესიიდან მოისმა გლოვის ზარი.

დაღონდა გული თვით პირად მტერთა.

*

სასახლეში ტირილის დღეს ისევ შეხვდენ ერთმანეთს ბეგლარი და რევაზი. ბეგლარი, როგორც ნათლული და რევაზი, როგორც სპასპეტის შვილი, სასახლიდან უნდა გაყოლოდენ ცხელდარს...

— როგორ მოგეწონა შენი ქვეყანა, ბატონიშვილო?

— ახალი ჩემთვის არაფერი ყოფილა, ნამალევეად სამჭერ ვიყავი... ერთხელ აკი შენც გნახე...

— კი, მაგრამ სხვაა, როცა სტუმრად მოინახულებ სახლს და როცა ბატონ-პატრონად დაივლი მამულს...

— მართალია... ბევრი დაკარგულა, ბევრი გაუტაცნიათ. ეს არაფერია, მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს — განსვენებულნი მეფის ამბავი.

— როგორ?

— შენ ხომ იცი, რა უყო დავითმა ჩვენს ოჯახს. მამა თუ პირდაპირ არ მოუტყვევინებია, მისი ჯავრით გარდაიცვალა, მაგრამ დედისაგან ერთი არ გამიგია სააუგო მეფისა, პირიქით, აღიდებს.

— ბატონიშვილო, მაპატიე, ახლობელი ნათესავია...

— არა, აჰ!.. ნათესაობა ველარ გასჭრის, როცა ქმრისა და შვილის წინააღმდეგ არის ვინმე, აქ უფრო სხვა გრძნობაა, უქვევლია. აიღე თუ გინდ ბაბუაჩემი. მასაც ხომ ნახევარი სამფლობელო წაართვა, დანარჩენი აუოხრა, მაგრამ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მსმენია მეფის ძაგება, გინება, წყევლა. პირიქით, აღიდებს, თაყვანს სცემს; როცა მთავართა და მეფეთა შესახებ დაიწყებს ბაასს, თავის ტოლთა და დიდებულთა შორის, განსვენებული მეფე მაგალითად მოჰყავს. ბაბუაჩემი ამაგრებს საზღვრებს, ყოველ მეომარს შვილივით უვლის და თავისკენ იზიდავს, წვრთნის ლაშქარს, ემზადება ჯავრი ამოიყაროს და ხალსაყრელ დროს ეძებს, მაგრამ მეფე, გარწმუნებ, უყვარს.

— დიდება და ძლიერება განსვენებულის ბუნებისა ხიბლავს და იმონებს...

— ჰეშმარიტად, ბეგლარ, ეგაა მთავარი მიზეზი. ყველა უნებურად ჰგრძნობს, რომ დავითი კი არ მტრობდა, არამედ ასრულებდა მირონცხებულის მოვალეობას.

— მაგრამ, ნუთუ მთელ ხალხს შეუძლია შეგნება-შეგრძნობა სიდიადისა, ბევრია ხმას აყოლილნიც, კბილებს რომ კრეკენ; შენ, ბატონიშვილო, რად გიყვარს მეფე?

— განა ბევრმა იცის, რომ მეფე მიყვარს?..

— არა, ზოგს შენი მოქმედება — ხერხად და ოსტატობად მიაჩნია, მაგრამ მე ვიცი, რომ გიყვარს და მსურს ვიცოდე, რატომ გიყვარს. შენი მოხიბლვა ხომ არ უნდა იყოს აღვილი. შენ იცნობ მატთანეს და სიდიადე დავითისა ვერ დაჩრდილავდა დიდ გვამთა სიდიადეს...

— მე? მე მიყვარს იმიტომ, რომ მსურს ვიხილო საქარ-

თველო დიდებული, ვით ბიზანტია და რომი, ვით სპარსეთი და არაბეთი... და თუ საჭიროა, დეე, დავილუპო...

— შენ ან წმინდანი ხარ, ან გიყი...

— შეიძლება ორივე იყოს!.. — და რევაზს გაელიმა.



ეკლესია უძახდა ეკლესიას; სოფელი სოფელს; სტიროდა ზარი, ბლაოდა ბუკი და სამგლოვიარო ცნობა დილის მზის სხივებთან ერთად სერავდა საქართველოს გულმკერდს...

რაც კი რამ იყო საქართველოში მშვენიერი, მდიდარი, ძლიერი, სახელოვანი — ყველაფერი მოდიოდა.

მოდიოდა თვალმარგალიტი აღურაცხველი; ცხენი და კუბონი აკედილნი; ფარჩა და სტავრა, ვაჟკაცი უებრონი; სასიმღერო ქალნი; ბრძენნი და მოშიარენი; მხატვარნი და მესტვირენი.

მოდიოდნენ თვით ალაგმულნი, ერთხელ სახელგანთქმული ავაზაკნი. ზოგი მოდიოდა და სტიროდა — ჩუმად თავისთვის. ველი და ტყენი ხედავდენ ყველგან მორთულ დიდებულებს: რევაზი ოქრო-ვერცხლში ჩამჭდარი ამალით... სვანეთის დედოფალი ასი მხეველით...

ბევრი თხილამურით გამოვიდა უვალ ნაპრალებს, სადაც ჩასტოვა თანმხლებელნი.

წინ მოასვენებდენ ბზის კუბოს...

სამ უღელ უნიშნო თეთრ ხარს ძლივს მიჰქონდა მუხის პატარა ურემი.

გვერდს მისდევდენ მეუზანგენი, მეაბჯრენი და კურძალნი... შემდეგ ახლობელი ჭირისუფალნი.

დინჯად, დუმილით და მწუხარებით მოდიოდნენ, თუმცა მექნარე უკრავდა ხანგამოშვებით და მგალობელნი ჰგალობდენ. ჭიშკარში მიეგება კათალიკოსი მღვდელ მსახურითურთ.

— მობრძანდი, მეფეო, სვანესა უფლისასა! — ბრძანა კათალიკოსმა და დადგა კუბოს უკან.

— მეფეო, აჰა ლაშქარი შენი... გვიბრძანე, — მოკლედ
სთქვა სპასალარმა და გადგა გვერდს.

მას მიჰყვა სახლთუხუცესი: „ველი განკარგულებას მეფეო!
გულშემზარავი იყო მოძღვარი და მწიგნობართუხუცესი.
ერთს ხელში ეჭირა დიდ ეტრატზე ნახატი გეგმა:

— მეფეო, აგვიხსენი, სურვილი შენი.

დედოფალმაც მოახერხა ჩვეულება აესრულებია:

— ბატონო მეფე — მეუღლეც, აქ დგანან დიდებულთა
ასულნი და მეუღლენი — ელიან სალამს...

მეფე ეკლესიაში შეასვენეს. გელათის მონასტერი და მისი
გალავანი უმთავრესი საზოგადოებით, დიდებულებითა და სა-
მღვდელოებით იყო გაჭედილი.

წირვა გადაუხადეს, წესი აუგეს, სამარეში ჩაასვენეს და აქ
საჩქაროდ შეიცივალა სურათი.

სენაკებში შეიცივალა ფარჩები შავითა და ძაძით. იხსნიდენ
სამკაულს და იხდიდენ ძვირფას ტანსაცმელს; რასაც ვერ იშო-
რებდენ, ფარავდენ შავით: შავს ფისს აწებებდენ ბრჭყვიალა
ბრილიანტს, იძრობდენ ბეჭედებს. რახტების მაგიერ ცხენებს
უბალნო ფეხებილა დარჩათ...

ახლა დაიწყო ტირილი. იცრემლებოდა მთელი ერი. ეთხო-
ვებოდენ სიმშვიდეს, სიწყნარეს, კაცთ გაკითხვას, მომავალ
ბედნიერებას, აღდგომას ქვეყნისას.

საქართველოს ცა სტიროდა, დედამიწა გოდებდა.

ხალხი ძაძით იმოსებოდა.

იმედი ჯერ არავის ჩასახოდა, რომ სადღაც ბუნების წიაღში
ქანდაკდებოდა სულმნათი თამარ.

1912—1919 წ.

ა ბ რ ა ვ ი

მატარებელი მიჰქროდა.

ვაგონის ტახტებზე ორი მგზავრი ერთმანეთის წინ იწვა.

ერთს ბოხობი ეხურა, მეორეს ყაბალახით კოხტათ ჰქონდა თავი წაქრული.

ორივე ნაბადში გახვეულიყო: სახეც კი არ უჩანდათ.

თითქოს გაქვავებულნი იყვნენ: არც ხმას იღებდენ და არც ინძრეოდენ.

ბოლოს ერთმა მათგანმა ჩაახველა და ოდნავ შეიშმუშნა.

მეორემ ნაბდის ჰვრიტიმალიდან ცალის თვალით გადმოიხედა, უნდოდა თვალი ისევ დაეხუჭა, რომ მოესმა გარკვეულა ფუჩუნით ნათქვამი სიტყვები:

— რევოლვერს უყურებ, მგონი... კრინტი არ დასძრა და ხელი არ გააფაცურო... შენც მიცნობ, მეც გიცნობ... ოდნავ თუ გადასცდი ჩემს სიტყვას — გაგათავებ, ბოჭაული კი არა, ღმერთი ვერ გიშველის... ეხლა ხელები წინ გამოყავი და ნაბადა ისე დაიჭირე... ჰო ასე, ნუ ნაზობ: შენ თითონ თუ არ იტყვი — კაცი ვერ გაიგებს... ანდა რა ვაეკაცობა უნდა გამოიჩინოს კაცმა, როცა მტერი თავს დაგადგება ჩახმახ-აყენებული რევოლვერით ხელში?! არხეინათ ადექი და კარებში გაბძანდი...

— როცა იქნება გადაგიხდი...

— რა თქმა უნდა, გადამიხდი, მაგრამ ეხლა სხვებს ნურაფერს შეამჩნევინებ: არც შენთვისაა სასარგებლო და არც ჩემთვის.

ამ უცნაური მუსაიფით ორივე გავიდა კარში; არც ერთს არ ეტყობოდა აღელვება, სახიფათო დამოკიდებულება მათ შორის; არავის დაუნახავს უკან მიმავალის ხელში რევოლვერი.

ერთხანს ბაქანზე იდგენ.



ვილაც გამვლელ ქალს, რომელსაც დროზე გზა ვერ დაუ-
თმო უკან მდგომმა, ბოდიშიც კი უთხრა.

როცა მატარებელი აღმართს შეუდგა და სიარულს უკლო,
უკან მდგომმა ნაბადი გზაზე გადააგდო, ვაგონის კიბის უკანასკ-
ნელ საფეხურზე დადგა და ღიმილით უთხრა:

— შენი საქმეა დამიჭირო, ჩემი საქმეა, გაგექცე; ოღონდ
ტყუილა-უბრალოთ თავს ერთმანეთს ნუ შეეკვლავთ... ა, ა, ა,
ჯერ იარაღისკენ ხელი არ წაიღო, — და რევოლვერი ისევ ღიმი-
ლით დაუმიზნა, თანაც ისეთის დამშვიდებით გადახტა, თითქოს
გაჩერებული ეტლიდან ქვაფენილზე გადადისო.

ვაგონში დარჩენილმა ერთხელ კიდევ გაიფიქრა, რევოლვე-
რისთვის ეტაცნა ხელი, მაგრამ მატარებელი ჩქარა შორდება
იმ ადგილს, სადაც დოინჯ-შემოყრილი ამაყათ იდგა გადა-
მხტარი ყმაწვილი; სიო ურხევდა ყაბალახის ყურსა და მთვარე
ნახათ აშუქებდა.

მოვიგონოთ ამ ახალგაზრდის შორეული წარსული.

მთელი ეზო განათებულია პირბადრი მთვარით. ყოველივე
ნათლად მოსჩანს:

ისლით დახურული ვეებერთელა სადგომი სახლი.

საბძელი.

მარანი.

ნალია.

ბელელი.

ხულა.

სალორე.

გადაკავებული ქართა, რომელშიაც ათიოდე სული ხარი,
ძროხა, მოზვერი და უშობელი ნაცობრობს.

პირუტყვს ქართა-სათხებოში, ფრინველებს საქათმეში და
ხეზე დაბუღრებულ ქათმებს ეტყობა მოუსვენრობა.

— გათენდა, კაცო, გათენდა! აღარ გაეტყვიოთ, — მოისმის
მოხუცის შეძახება.

— ჩალა დააფინე! ღერძები დაუსაბნე! ხარები ამოი-
ყვანე! — ბრძანებლობს მეორე ხმა.

— აბა შენ იცი, ჩემო ანტონ, ამ ბიჭის საქმე არ დაგაეიწყ-

დეს — რომ იძინებდა, მაშინაც კი შემეხვეწა, ბაბაიას უთხარა მასწავლებელი მიშოვოსო.

— კაია ახლა, დედაკაცო, გითხარი, მოვიკითხავ-თქო და თამასუქს ხომ არ დაგიწერ.

— ფარდაგი, დედა, ერთი მაღირსე, ღმერთი დაგიმადლებს... — აბარებს მეორე ქალის ხმა.

— კი, დედა, კი, თუ ეს ღვინო კარგათ გავყიდე, ერთი ლეჩაქიც შენი ფეშქაში იყოს.

— გაყიდი, შვილო, აბა რა იქნება! ამბობენ: ბაზარში ყველაფერს ოქროს ფასი აქვსო.



ანტონი დატვირთული ურმეებით უახლოვდებოდა დაბას, რომ წამოეწია სტეფანე.

— თქვენც, ბატონო ანტონ? — შეეკითხა სტეფანე.

— რა ვქნა, ძმაო, ფული ვერ მოვიმკე და ვერ მოვტეხე ყანაში და ისევ ბაზარში გასვლა ვარჩიე.

— კარგია, კაი დაგემართოს, თუ გასაყიდი რამე გაქვს, მარა ამ ორი ჩემი ჭურჭელით ამოდენა გზის გადავლა წვალეების მეტი არაფერია... მარა გამიჭირდა — ერთი მანეთი ერთ შვილათ მიღირს.

— რა დაგემართა, სტეფანე, ასეთი?

— ჩემს დედაკაცს გაუგია — ქუთაისში ვილაც ღვთისნიერს ერთი პატარა გოგო სჭირდება ხელზე მოსამსახურედ, — ყველაფერს ასწავლის, ქალათ გამოიყვანსო, და შემიკიდა ცეცხლი და გენია... კვირას უნდა წავიყვანო... სირცხვილია.

— კაი საქმეა — დაუდასტურა ანტონმა — ამ ტყეში ნადირათ იზრდება ხალხი, და იქნებ ქალაქში პატარა გააშალაშინონ... მეც მინდა ჩემი ბიჭი წავიყვანო... მარა შემოდგომას უცდი იქნებ ცოტა ხელი მოვითბო და ბავშიც გამოვაწყო.

— შენთან რა ჩემი საქმეა ფეხი წამოვყო: შენ კლასში შეიყვან შენ არჩილას, მე კი გოგოთ მიმყავს ჩემი ოლიკო — მეცოდება კი საწყალი, სხვის ოჯახში, ვინ იცის, როგორ მოეპყრობიან...

— მაგიერათ გაიზდება, ჭრა-კერვას, წერა-კითხვას ისწავლის და, რომ გაგიჭირდეს, ბარათს მაინც დაგიწერს...

— ჰოდა მაგისტრის მინდა, მარა რათ მინდა ჭრა-კერვა და წერა-კითხვა, ცოტათი მაინც თუ არ დაგვეხმარა ჩვენს გაჭირვებაში...

— ჯამაგირსაც ქე მისცემს უსათუოდ...

— მაგია, ბატონო, პირველი საქმე: აბა, საიდან გავამზოვებ, თუ თითონვე არ შეიმზადა ხორავი, ცოტა მაინც ხელის ჭუჭყი.

— უი, ამ ქალაქელების სინსილა გაწყდა — ბუტბუტებდა ანტონი — ხმა დაყარეს, საპალნე ღვინო ოცდაერთ მანეთათ არისო და ეხლა ჩვიდმეტსაც არვინ იძლევა. ვაი ჩემი ბრალი! შალამაური თუთხმეტ მანეთათ! მაგათ მოწამლული, სპირტნარევი მწვანე უნდა ჩამოუტანო, რომ თვალები გადმოგდებინოს.

ბრაზმორეული ანტონი გაჯიუტდა და წინათ თუ ცოტას მაინც უკლებდა დათქმეულ ფასს, ეხლა მუშტარს მტრულათ მიიძახებდა: ოცდაერთი მანეთი — არც მეტი და არც ნაკლები.

თან სვამდა, სხვებსაც ასმევდა.

მთელმა ბაზარმა მისი ურმების ირგვლივ შემოიკრიბა თავი.

ზოგმა ხურჯინიდან საგზალი ამოიღო, ვიღამაც დუქნიდან წვადი მოატანინა.

და ანტონი დორბლიანი სტუმართმოყვარეობით უმასპინძლებოდა გამვლელთა და გამომვლელთ: გაშინჯე, თქვენი ჭირიმე, ბუნებრივი ღვინოა ორი წლის; ეს ლაზლანდარები თუთხმეტი მანეთის მეტს არ იმეტებენ... ბევრი ასეთი გამომიცლია და ახლაც დაეცალოთ... პატივი დამდეთ, ერთი ჭიქის დალევაზე უარს ნუ მეტყვი!

ანტონის ღვინომ მთელი ბაზარი შეაზარხოშა.

დაცარიელებულ ურმებს ველარავინ მიერეკებოდა.

თვით ანტონს ცხენზე გვარიანათ ეძინა.

გონიერი პირუტყვები გზას არ ცდებოდენ და ზანტათ შინსკენ მიდიოდნენ.

სტეფანეს მოესწრო გოგოსთვის საკაბე ჩითის და წულეების ყიდვა, მაგრამ ისიც დამთვრალიყო და ურემზე ხვრინავდა.

როცა ანტონს გამოეღვიძებოდა და გადახედავდა თავის დაცარიელებულ ურმებს, იწყებდა ბუტბუტს:
— ჩემი ბიჭი არჩილა სხვა არ გეგონოსთ! ბოქაული ბიჭები და თქვენს ჯავრს კი ამომყარის, თქვე ლაწირაკებო, თქვენ! საპალნე თუთხმეტი მანეთი — წყალია თუ?!



ქალაქის ძაღლებს არ მოეწონათ პატარა ხარებით გაბმული დიდი ურემი, თუ მათ ძლიერ აღუძრა მადა სანოვავის სუნმა, ათას ხმაზე მორთეს ყუფა განაკიდა უბნის ორღობეებში.

— კაცო, რა ხალხია? რუსის „პერესელენცები“ არიან, თუ პატარძალი მიჰყავთ? — სიცილით შეეკითხა ერთი პატარა ბიჭი მეორეს.

— არა, დავით და კონსტანტინეს მოსალოცავად უნდა მიდიოდნენ! — ოხუნჯობითვე უპასუხა მეორემ.

— ეს თოფი რაღათ უნდა?

— უსათუოდ თავის მეუღლეს თავს აწონებს...

— ერთი არსენა ყაჩაღი გამოხტებოდეს, რავა დაუნგრეეს თავ-ტვინს.

ქუჩის სალახანების გასაგონად მეხრეს, ქალაზნიან სტეფანეს აფრთხილებდა ანტონი: ა, ა, არ შემოარტყა ძაღლს, უარესია, არ მოგშორდება.

ანტონს ესმოდა ზოგი რამ ამ ლაზლანდარობიდან, მაგრამ თავს როგორ გაუყადრებდა ბავშებს, და დინჯათ მიჰყვებოდა ურემს, რომელიც, მართლაც, ნოეს კიდობანივით იყო დატვირთული.

ჩალით დაგებულ ურმის წინ, ხარების კუდთანვე, სოლებზე გახლართულ ბაწარზე იჯდა პატარა არჩილა... ბავშს თავი ნიდაყვზე დაეყრდნო და სახლების სიმაღლით, მათის აღნაგობით, ფარნებით, გამვლელთა სიმრავლით განცვიფრებული ყურს უგდებდა შორით მოსულს სასულე ორკესტრის, ზურნის, არღნის ყრიაშულს, რომელიც უფრო მეტს არაამქვეყნიურს უქადდა მომავალში.

მის უკან იჯდა დედა... სოფლის კეთილშობილება რომ არ შეერცხვინა, მასპინძელთან მიახლოვების წინ იგი წამდაწამ

ისწორებდა თავსაფარს, თმას, კაბას და, ცოტა არ იყოს, მინა-
ზებულის ხმით ეკითხებოდა:

— დაიღალე, შვილო, — რაზედაც თავმოებეზრებული ოცნე-
ბიდან ამოვლევჯილი ბავშვი ზოგჯერ უკმეხად უპასუხებდა:

— არა, ბეჩა, არა!

მათ უკან ეწყო ქვეშაგები, ხურჯინები ყველითა, ღვინით,
პურით, ხაჭაპურებით, ტომრები ფქვილითა და ღომით, დაქ-
ლული და დაუკლავი ქათმები, გოჭი და ლოგინი, რომლითაც
განსაკუთრებით ამაყობდა შვილზე მზრუნველი დედა.

მთელ ურემს ფარავდა ქოკებზე გამაგრებული, ეხლა აყე-
ცილი ნოხი.

— ეხლა ქე გააჩერე, სტეფანე ჩემო.

ურმიდან გადმომხტარმა ბავშმა რაღაც უცნაური იგრძნო —
თითქოს ჰაერში ყოფილიყოს, ფეხებს მიწაზე არ აბიჯებდეს,
სრულიად მარტო დარჩენილიყოს და ვერც მამისკენ გაიწია და
ვერც დედისკენ, რომელსაც კიდევ ერთხელ მოესწრო მოკოპ-
წიავება და ელაპარაკებოდა ხანში შესულ ქალს — დიასახლისს.

— ა, მოგიყვანე ჩემი ბიჭი და აწი შენმა ქალობამ და ნა-
მუსმა იცის, — მისვლისთანავე სთქვა და დაათავა თავისი ჩა-
ბარება ანტონმა, რომ ფუჩუნნი, პუტუნნი და მოლაპარაკება ქა-
ლებისთვის დაეთმო.

სამოვრიან სუფრას შემოუსხდენ.

— ი, რა მშვენიერი ყოფილა, ბატონო ანტონ, თქვენი ბი-
ჭი, — მიუალერსა ბავშს დიასახლისმა; — ხომ კაი მაგარი გაქ,
რომ გაგარტყას მასწავლებელმა და არ გეტყინოს, — გაეხუმრა
ბავშს და ხუმრობით რბილ ადგილზე შემოკრა.

ბავშს გაეცინა, თვალი მოაშორა სამოვარს, რომელიც მხო-
ლოდ ერთხელ ენახა თავად დავითისას, შეხედა სურათს და
იკითხა:

— ეს რაა?

— ეს გლახა კაცები არიან... ხელმწიფე იჭერს და ციმბირში
აგზავნის.

— რატომ გლახა?! აი ჩვენი საწყალი მიხაც გაგზავნეს... მე
რომ მკითხო, არაფერი გასაგზავნი არ იყო, — აბა რა ექნა, და
მოსტაცეს, ოჯახი გაუბახეს, და თვალები დაეკოცნა?!

— მე წავალ... გვიანაა და იქნებ ქე დაწვენი... ღამით უნდა

წავიდე და ძლახვ ველარ ვნახავ, — შეაწყვეტინა ლაპარაკი
სტეფანიაში.

— წადი, ძმაო, წადი, ოღონდ რომ დაბრუნდები, გამაგებინე.

— კი, ბატონო, ოღონდ იმას გთხოვ — ხარ-ურემს მიმიხედო. ბარგი ყველაფერი აივანზე ამოვიტანე.

— აგაშენა ღმერთმა! თუ ჩვენები ნახო, უთხარი, ხვალ არადა ზეგის წინ უსიკვდილოთ ჩამოვალ-თქო, — დააბარა ანტონის ცოლმა — ეფროსინემ.

— კაია, ბატონო.

*

ქალაქის დაშორებით, ეზოში ისხდა ოთხი ყმაწვილი. ეზო მთაზე იყო წყლის პირად. საღამოს ერეკებოდა ჟამი.

— მამიდა! — დაიძახა ერთმა მათგანმა.

— ა, შვილო, — უპასუხა სახლიდან ქალმა.

— გვაქვს რამე, მამიდა, დღეს საჭმელი?

— ყველია, შვილო! გამეციხვეთ ჭადი და ჭამეთ. სხვა ვერაფერი მოვასწარი. ჩემ არჩილასაც ნუ დამიმშვევთ, დედაშვილობას.

— კი, მამიდა, კი, თუ რამე გვექნა...

— ბიჭო, ახლა თუ კეცების გახურება დავიწყეთ, ხვალ შუადღემდი ვერ ავდგებით. დილას კი, თუ არ გავიმეორე ცოტათი მაინც, ისე ამერია ყველაფერი თავში, რომ ერთს სიტყვას ვერ ვიტყვი საზრიანათ.

— საჭაგლათ მშია, მართალი გითხრა, ფიზიკა ნამდვილი მადის აღმძვრელი წამალი ყოფილა.

— მეც მშია, მარა რა ვქნათ? ახლა სწორედ ცრის და მოზელის თავი არ მაქ.

— ბიჭო, რა ვქნათ იცი: გადავხტეთ აგერ ყანაში, მოვტეხოთ ერთი ათი ტარო სიმინდი, მივაფიცხოთ ცეცხლზე და გათავდა.

— კაი აზრია! ერთი ბოთლი ღვინოც დარჩა, მგონი, მამიდას...

— აბა, რას უცდით?!

მთვარიან ღამეში ოთხი ყმაწვილი მარდათ გადახტა ღობეზე და შეერია მაღალ დატაროვებულ ყანაში.

— რა გიქნიათ, ბოვშებო, ეს, — მიიძახა მოხუცებულმა ქალმა ყმაწვილებს, როცა ისინი ტაროებით შევიდნენ სახლში.

— აბა შიმშილით დავიხოცებოდით!..

— აკი დაგიძახეთ, ყველი მაქვს-მეთქი!

— მარტო ერთი წველა ყველი ვის გააძღვებს?

— ჭადის გამოცხობა კი ხელებს გაგიფუჭებდათ, თქვენმა მზემ!

— შენ გამოგეცხო, შე ქალო...

— თქვე უღმერთოებო, სული შემიწუხებთ ერთი კვირეა — ბლუხები და ნიფხავ-პერანგი დაგვირეცხეთ და ეხლა ამას მემართლებით? დილიდან წელში გავწყდი რეცხვით და კერვით. — უი, დედა, რავა სამტროთ დაგიფხრეწიათ ყველაფერი! — და ეხლა ამ შუალამეზე კიდო მე უნდა გაგიკეთოთ ვახშამი?!

— ჩვენ ხომ არაფერი გვითქვამს, — დარცხვენით უპასუხეს ყმაწვილებმა.

— წავედით, დავამტვრიეთ სიმინდი; მოვხარშავთ ეჭამთ... შენც ჭამე... და არც ჩვენ შევწუხდებით და არც შენ.

— ქურდობა დეიწყეთ, თქვე საწყლებო, ესაა თქვენი განათლება?!

— დაძიწყებ ერთ ქადაგებას! რა ქურდობაა ათ ქცევა ყანაში ათი ტარო სიმინდის გამოტეხა? დეიქცევა ახლა მისი პატრონი!

ყმაწვილებმა საჩქაროთ ნაქაზე კარდალათი წყალი ჩამოკიდეს, ცეცხლი შეუთეს, სიმინდი გაარჩიეს და კარდალაში ჩაპყარეს. სიმინდი იხარშებოდა. ყმაწვილებმა თაროდან მარალი გამოიღეს და მამიდასთან ღვინის შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკება გამართეს.

— მამიდა, რომ იცოდე, რა სიმინდია!

— კაი იქნება რა? მიწა კაია, მის პატრონს მარგვლა არ დაუკლია და მეორე თოხი? მზე მთელი დღე დაჰყურებს... ყანას დაგვიანებულსაც რა უჭირს?

— მამიდა, შენც დაგვეწვევი ხომ?

— არა, შვილო, ჩემი ხნის ქალი და ნაქურდალი ვერაფერი მოწყობილია. თქვენ კიდე მოასწრებთ ცოდვების მონანიებას.

— წმინდა ბერი წმინდათ წაწყდაო, სწორედ არაკისებურად გემართება... მარა, თუ ცოდვების მონანიებას აპირებ, ერთი ბოთლი ღვინო რომ გაქვს, ის მოგვეცი.

— დღეს დათვრეთ, ხვალ რაღას იტყვიოთ იმ პერევეგზამენია არის, თუ რაცხა ჯანდაბა!

— რა დაგვათრობს, რას ამბობ! ოთხი ჩვენ ვართ, ერთი შენ — ეს ხუთი. ხუთ კაცზე ერთი ბოთლიდან ორ-ორი ჭიქაც არ გვერგება, არჩილსაც უზიარებთ...

— ა, შეთაფლეთ მაგიც. ერთცახე კი დამალევიეთ, თუ კაცი ხარ...

— ვაშა შამიდას, ვაშა, ვაშა! რა ქალია, შენი ჭირიმე! — ყვიროდენ ყმაწვილები.

— სოფიოა ნამდვილი, ხოლო ქალების მაგიერ ქალიშვილები ვყავართ: პისტი, ელპიდე და ალაპისი.

— აბა, ახლა კარდალაც გადმოვდგათ.

ზოგი წაიწია კარდალას ჩამოსადგამათ, ზოგმაც მომლოდინე ტანის მდგომარეობა მიიღო.

— გამარჯობა, ყმაწვილებო! — გაისმა ამ დროს ღია კარებში.

— მამა!

— ა, ბატონ ანტონს ვახლავარ.

— გაუმარჯოს ანტონს!

— თქვენი სახლია, მობრძანდი, — მიიწვია დიასახლისმა.

— აქეთ მობრძანდით, ზევით ოთახში... ბავშებმა დაიჩემეს სიმინდი უნდა მოვიხარშოთო და აქ ჩამოვიდენ სამზარეულოში.

— დევისვით ღარი, ბიჭო, მამაშენის ჯორს ერთი უშველებელი ხურჩინი ჰკილია, ისე რავა გაუნამუსდებოდა, რომ ერთი-ორი ხაჭაპური არ ჩამოეტანა.

— რავა ბრძანდებით ოჯახით, ჯალაბობით, ბატონო?

— გმადლობ, ჩემო თეო, ქე ვართ ღვთის წყლობით? თქვენ რავა ვიკითხოთ?

— გვიდგია თქვენის შემწეობით სული.

— შეგაწუხეს ყმაწვილებმა.

— უი, დამიწყეს ახლა დარბაზობა, — ჩაულაპარაკა ერთმა

ყმაწვილმა მეორეს, — ჩემი მუცლისათვის კი არაფერს კითხულობენ დალოცვილები...

— არჩილა, მოახერხე რამეფრათ — მამაშენს ხურჯინი გაახსენეინო.

— ახლავე! ბაბა, დედას არ გამოუგზავნია წინდები? — დარცხვენით იკითხა ყველაზე პატარა შეგირდმა.

— კი, შვილო, ხურჯინშია... წადი ამოიღე. სხვა კიდეც რაცხა-რაცხეებია... ამოიღე, შვილო, და თეოს მიაართვი.

— ახლავე, ბაბა...

ხურჯინი საჩქაროდ ოთახში შემოიტანეს.

რა არ აღმოჩნდა შიგ? ორი მოხარშული ქათამი, სულგუნები, ხაჭაპურები, მსხალი და, რაც ყველაფერზე უფრო ძვირფასი იყო, დიდი დოჭით ღვინო.

— რას იხარჯებოდით, ბატონო, რას იხარჯებოდით! — ფუსფუსებდა თეო.

— ფჭვილს და ქათამს, როგორც დაპირება იყო, გამოგიგზავნი. ეს ისე, დედაკაცმა გამომატანა არჩილასთან. ხომ მოგეხსენებათ, მაგის მეტი არაფერი გვეყავს და საწყალი ქალი ერთ ლუკმას რომ პირში ჩაიდებს, მეორე აქეთ უნდა გამოგზავნოს... ეს უგზოობა დასწყევლა ღმერთმა, თვარა ხშირად მოგიკითხავდით ცოტა რამითაც.

ყმაწვილებმა შეუმჩნევლათ გააწყვეს სუფრა. ყველა დაჭდა და არხეინათ დაიწყეს ვახშობა. რაც უფრო ჭამას უკლებდენ, სმას უმატებდენ.

— ტრიფონა, ბიჭო, ხვალ განმეორებითი გამოცდა გვაქვს, არ დეივიწყო...

— მერე რა?

— სმას თუ შეეყვეით, ხვალ რალას მოვისაზრებთ?

— ახლა შენ დაიწყე ქადაგება. ღვინო ადამიანის გონებას ამახვილებს, ლენჩო!

— რაეაც გინდა, ძმაო.

— ახლა კი მშვიდობით! — ანტონი ფეხზე წამოდგა, უფრო ჩვეულების ასასრულებლათ, ვიდრე ნამდვილად წასასვლელად.

— ბატონო ანტონ! ჯერ საყოვლად წმინდაო არ დაგვილევია.

— შენი ნება იყოს, მაგაზედაც არ გეტყვი უარს. ყოვლად

წმინდა შეეწიოს, თეო, თქვენს ოჯახს, შენს დედობრივ ზრუნვას ამ ყმაწვილებზე! ყმაწვილებო თქვენც ღმერთი დაგეხმაროსთ, კარგი კაცები გამოგიყვანოსთ, დედ-მამის სასიხარულოთ, ქვეყნის სასარგებლოთ, ერთმანეთში ძმობა და ერთობა არ დაგეკარგოსთ.

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! გმადლობთ! — გაისმა აქედან და იქიდან.

ანტონმა ქუდს მოკიდა ხელი.

— რას ბძანებ, ბატონო, მოითმინე, მოისვენე, ხვალ ჩაიმიირთვი ყმაწვილებთან და მერმე სადაც გნებავს — წაბძანდები.

— ადგილი არ გაქვთ! შეგაწუხებთ! ხვალ კი ეფისკოპოზს უნდა ვეახლო... საქმე მაქვს, ხალხმა დამავალა, ხომ იცით, — ამაყათ წარმოსთქვა ანტონმა.

— მით უმეტეს, ბატონო! თუ ეფისკოპოზის ნახვა გნებავს, სწორეთ ამ ჩვენ მთაზე უნდა დარჩეთ, აქვეა... ხვალ, ამ სიცხეში ზევით ამოსვლა ძლიერ შეგაწუხებსთ. თქვენს ჯორს მოვუვლით, აგერ შევედენით ეკლესიის გალავანში და ისე ადრე გადმოვიყვანთ, რომ დილის ანგელოზმაც ვერ შეამჩნიოს.

— შეგაწუხებთ.

— რას ბრძანებ, ოთხი კაცი ვწვევართ ამ ოთახში, ოციც რომ დააწვინო, იატაკი მაინც არ ჩავარდება — დალოცვილი პირდაპირ მიწაზეა გაფენილი. ფანჯრები და კარები დაღებულნი გვაქვს. პაერი ისეთი ღვას, რომ სოფელშიაც ვერ იშოვი.

— თქვენი ნებაა.

თეო თავის პატარა ოთახში შევიდა. ანტონი ტახტზე დააწვინეს. ყმაწვილებმა ჯორი წაიყვანეს. ჭიშკარში მათ შეხვდა თეო.

— აბაზი არავის გაქვთ? — დაეკითხა დედაკაცი.

— არა, ღმერთმანი!

— არა!

— არც მე მაქვს; მე რვა კაბიკი მაქვს.

— ნუ შემარცხვენთ უცხო კაცთან! ხვალ ჩაი უნდა დაეაღვიო და არც შაქარი მაქვს და არც ჩაი.

— არაფერია, მამიდა, არც სახლშია მამაჩემი ჩაის დაჩვეული...

— ეს შენი საქმე არ არის! — გააწყვეტინა უფროსმა ნაგმა სიტყვა არჩილას — თეო თავს ვერ შეირცხვენს. რამე უნდა მოვახერხოთ. რამდენი გაქ შენ, თეო?

— შაური.

— რვა კაპიკი ტრიფონას აქვს — ესეც ცამეტი. რამდენი საჭირო სულ?

— სამი კაპიკის ჩაი და თოთხმეტი კაპიკის შაქარი, — გააფფეს ღვთის მადლით შაქარი, თვარა ცეცხლი ეკიდებოდა.

— არა, ჩვენ კი არ შეგვიძინებია არც გაფფება და არც გაძვირება, — იოხუნჯა ერთმა.

— მაშ ოთხი კაპიკია კიდევ საჭირო. ნუ გეშინიან, აქა ვართ. შენ ის შაური მოგვეცი და ოთხ კაპიკს გვენდობა მეღუქნე.

— ა, თქვენ კი გენაცვალეთ, არ მომპრათ თავი ქვეყანაში.

— გქონდეს იმედი, ვითარცა ჯოჯოხეთისა.

ყმაწვილებმა თავისი სიტყვა პატიოსნად დასრულეს. მეორე ღლეს ანტონს და სხვებსაც ჩაი ჰქონდათ.

*

ყოველთვის, როცა გულს ბოღმა მოაწვებოდა, პატარა არჩილა გადადიოდა თავის მეზობელ გოგოსთან; და იქ, ხის ძირში ჩამოძვდარნი, თითო-ოროლა სიტყვით გაუზიარებდნენ ერთმანეთს მწუხარებასა და სიხარულს; და ორივე გრძნობდა ნატებს თავიანთ კარმიდამოსას — მიტოვებულ ეკლესიას, საბალახოებს, ჯარას, ხილით დაყურსულ ხეებს.

და ეხლაც არჩილა მოვიდა ოლიკოსთან.

— რა დაგემართა, რათ მოგიწყენია?

— მამა მოუკლავთ!

— მიდიხარ?

— არა, ახლა აღარ წამიყვანებენ, დაუსაფლავებით კიდევ დედამ შემომითვალა — წლის თავზე წაგიყვანო.

— ეინ მოკლა?

— მიხო ალაბაძემ.

— რატომ?

— არ ვიცი... მგონია, ბაბას აბრალებს მის კატორღაში გაგზავნას, შარშან რომ ჩამოიპარა, ბაბა ამბობდა: რას მერჩის, არაფერ შუაში ვარო.

ორივე ისხდა ჩუმათ. გოგოს ვერაფერი მოეგონებია სანუ-
ბეშო.

— იცი... — დაარღვია სიჩუმე არჩილამ, — მე მოვკლავ მი-
ხოს.

— რას ამბობ?! — სიტყვით კი სთქვა ოლიკომ, მაგრამ თვა-
ლი გაუბრწყინდა და ალტაცებით, კმაყოფილებით ჩააჩერდა
ბავშს. — შენ პატარა ხარ, — დაუმატა ოლიკომ.

— არაფერია, გავიზღვები.

ისევ თავის ფიქრებს მიეცენ... ოლიკო ფიქრობდა, თუ რა
კარგი ბიჭია არჩილა და რა კარგი იქნებოდა, რომ ისინი დაძმა
ყოფილიყვნენ...

— ბატონო კლასის დამრიგებელო, გამანთავისუფლეთ სწავ-
ლის ფულისაგან.

— ეს რატომო?! ცუდათ რომ დაიწყე სწავლა, იმიტომ?!
— მე არ ვსწავლობ ცუდათ...

— ეს მე უკეთ ვიცი, ბევრს ნუ ლაპარაკობ...

ბავშვი შეჩერდა, მაგრამ არ შორდებოდა კათედრას.

— არ გესმის, რა ვითხარი?

— მე ობოლი ვარ...

— ვიცი, რამდენი ხანია, რომ მოჰკლეს და აქ სასიქადულო
არაფერია... თვით უპირებდა უეჭველად მოკვლას...

— არა, ტყუილია.

— აი შე ყაჩაღო! ვის უბედავ ასეთ სიტყვებს... უეჭველია,
მამაშენიც შენისთანა ყაჩაღი იყო. გაეთრიე ახლავე ადგილზე.
ამხანაგებმაც მიიძახეს: „დაჯექი, ბიჭო, დაჯექი, თორემ და-
ლუბები“.

არჩილა დაჯდა.

ტირილი აუვარდა.

დაადგა თავი ხელებს და ქვეთინებდა.

— ნუ ღრიალებ-მეთქი!

ჩუმათ, მაგრამ მაინც ტიროდა.

გაბრაზებული მასწავლებელი მივიდა, სკამიდან ძალით ასწია
და უჭიკავა.

უეცრათ სილა გაართყა და გავიდა.



ანინისაგან მიღებული ფულით სტეფანე ცოტათი მაინც ფეხზე დადგა. ვალები აღარ აწუხებდა. შეებენ სანატრი მოზერები ურემში... ნახევარი ქცევა გადაბრუნებული მიწა ამწვანდა ნამყენი ვენახით და ეფროსინე ჩააცივდა ქმარს:

- მევიყვანოთ, კაცო, ი გოგო.
- მეიცა, ქალო, სული ამომათქმევინე...
- საწყალი კაცის პირობაზე აღარაფერი გვიჭირს.
- მეიცა, ქალო, მევეწყოთ პატარა.
- კაცო, ქალი გასათხოვარია... რომ რაცხა უბედურება დაემართოს, რაღას ეტყვი ან ღმერთს, ან კაცს.

— ნუ აყანტალებ მაგ ენას ყვავივით, — გაწყრა სტეფანე, მაგრამ ნათქვამი შავ წერტილათ ჩაუჯდა თავში.

— ი გოგო მევიყვანოთ შინ, გავათხოვოთ, მაგიერთ ბიჭი ვააქირავე, და ჩვენ ორი ქე მევითმენთ კიდო ერთ-ორ წელიწადს.

- კაი, კაი! დამეხსენი ერთი!
- რავე კაი, კაცო!.. არ იცი, რა დაემართა ეგნატას?
- რა, რა დაემართა?
- რა და ქე მევიდა მისი მაიკო გაბერილი მუცელით!..
- უი საწყალი!

— ჰო-და ჩვენზედაც ნუ აძახებ ხალხს: „საწყალი, საწყალიო“!

— დალახვრა ღმერთმა, წავალ პარასკევს და მევიყვან, მევიყვან.

- ბარელამ ქმარიც აურჩიოთ.
- ვინ გნებაეს — დასციინა ქმარმა — თავადი, თუ აზნაურსაც დაჯერდები.

— ორივე წყალს წაუღია, — დინჯათ შენიშნა ქალმა, — ერთ ოთხ თუმანს ქე გამოატანს მისი ქალბატონი, ისე რავე წეიწყმენდს სულს. აგერ ერთი წელიწადია კაპეიკი არ მოუცია; კაბები და ჭინჭიც ექნება; ორი ხელი ქვეშაგები გამოწყობილი

მაქ... ორ თუმანს შენც თუ უშოვნი — გავათხოვოთ და ამოვიღეთ მაგის საცოდაობიდან.

— ორი თუმანი?! — გაიკვირვა სტეფანემ. — რატომ იკადრე ასე ცოტა, გეთქვა ერთი ოცი-ორმოცი, რამდენი თვლაც კი იცი!.. გადირიე თუ გადიშალე, დედაკაცო, სად მაქ ახლა ორი თუმანი?!

— არა, — გაასწორა თავის სიტყვა ეფროსინემ, — ორი თუ არ იქნება, ერთიც იკმარებს...

— ...და ვინ გითხრა, რომ ოლიკოს ოთხ თუმანს მისცემენ.

— მე ასე ვფიქრობ და!..

მოიყვანეს ოლიკო შინ.

ორი-სამი დღე კარგი იყო.

— უი, თვალი კი დამიდგა, რავა დაქალებულა, რა მშვენიერი გამხდარა! — იძახოდნენ დედაკაცები.

გოგოები მაღალყელიან წაღებს და ქოლგას შეშჩერებოდნენ, ბიჭები — ოღნავ ყელამოჭრილ და მოკლესახელოიან ზედაწელს.

უთვალთვალეზდნენ შორიდან... მაგრამ მალე ხელები სიმინდის ფშენეტამ დააკორძა, დილას ადრე ადგომამ ფერის სინაზე დააკარგვინა, ცეხვამ დალაღა, ხოლო წყაროდან საესე ჩაფის ამოტანას ვერ შეეჩვია.

ქმარი არსად იყო... გამოტანებული ორი თუმანი ოჯახს შემოველო...

და დასვენების დროს ოლიკო ეძლეოდა ოცნებას... შედარებას ვერ უძლებდა სოფლის ვერც სახლი, ვერც მოწყობილობა, ვერც ნაცნობები...

„ჭაგლაგობენ, ვითომ ვცეკვავთო!.. თუ იცეკვებს კაცი, ისე უნდა იცეკვოს, როგორც ის სტუდენტი. რა აცვიათ — ქალბატონმა ანინიმ რომ დაინახოს, სიცილით მოკვდება და რა გვართ ლაპარაკობენ, თითქოს დროგი ხრიგინობდეს“.

ასაკი მოითხოვდა ალერსს.

და იგონებდა ათასს... იწვევდა...

მოვიდა შემოდგომის მიწურული, სიზანტის და განცხრომის დრო.

თხოვდებოდნენ.

თხოულობდენ.

იგი კი მარტოა!

შაბათია.

ჯარში არ წასულა.

დარჩა ფიქრებთან, ზმანებებთან ერთად!

ის და არჩილა... ხელს კოცნის, ეალერსება... ჩემი იყოს...

კარგი... პაწია უღვაშები...

შემობინდდა.

ხელი თავს ზევით აქვს გადაგდებული. ვილაცამ ჰკითხა:

— რას შვები აქ მარტო?

პასუხი არ გაუცია.

ხელებზე იგრძნო ვილასიც ხელი.

არ შენძრეულა.

ხელზე გრძნობით ხელი მოუჭირა.

უპასუხა იმგვარათვე.

კოცნა.

მხურვალე ალერსი.

•

— წადი, წადი გამშორდი! — დარცხვენით და გაბრაზებული ამბობს.

იგი მიდის.

— რა დაგემაართა, რა ღმერთი გაგიწყრა, და მერე ვინ? ყველაზე უარესი! ვაი ჩემს უბედურებას, სირცხვილი, ვისლა დავენახო?

•

მაგრამ გადის რამდენიმე დღე და ისევ მასთან. ეხლა უფრო თამამად და თან უფრო მალულათ.

გულში კი თავს იწყველის, დასცინის ამ თავმსხვილა, თამაშვებით გაბურღულს, უშნოს და უგნურს... მაგრამ კარგია, ვერვინ იფიქრებს, იჭვსაც ვერვინ მიიტანს იმდენათ შეუფერებელია...

— ეს რა ამბავია, დედაკაცო, — ეკითხება ბრაზისაგან თვა-
ლებგადმოგდებული სტეფანია თავის ცოლს, როცა დარწმუნ-
დება, რომ მისი ოლიკო ფეხმძიმედ არის.

— ჩემი თვალის დაფსება და სიკვდილი.

— აქამდის მომკვდარიყავი, თვალი მაინც გქონდა დაფა-
სებული!.. მოვკლავ მაგ უნამუსოს...

— ა, ა... გვიშველეთ! — ყვირის დედა. საიდანღაც გაჩნ-
დება არჩილა და გადაარჩენს.

სტეფანე დაშოშმინდება.

უყურებ ჩემს დაქცევას?!

— ?!

— შენ საიდანღა გაჩნდი?

— დღეს ჩამოვედი და ოლიკოს ნახვა მომინდა.

— კაი სანახავია სწორეთ, მაგ წყეული!

— ვინ დამიღუბა მაინც?!

— არ ამბობს... ქალაქიდან უნდა იყოს.

— რას ბოდავ, დედაკაცო, ქალაქიდან ერთ წელიწადზე
მეტია, რაც დაბრუნდა.

— რამდენი ხანია აღარ ყოფილხარ, არჩილა?

— მართალია, ერთი წელიწადი იქნება.

— თქვი, თვარა მოგკლავ! — მიუბრუნდა ოლიკოს სტე-
ფანე.

ქალი ტირის.

— თქვი, შე ძაღლის შვილო!

ტირის.

— არ იტყვი? — ერთი მიართყა.

— ვერ ვიტყვი, ვერა. — ქალს რცხვენია, როგორ გაამხი-
ლოს... სოფელში სასაცილოდ აღებული ხასობა მთლად ქვეს-
კნელში ჩააგდებს.

— მოგკლავ!

არჩილა ხელმეორეთ აშორებს.

მიუყვანეს დედაბერი.

მოუგდევ მაგ ოხერს მუცელი.

დედაბერი შინჯავს და გადაჭრით ამბობს:

— რაღა დროს მუცლის მოშლაა, დღეს-ხვალ შევიღებო
უნდა ელოდე, — უნებურის დაცინვით უპასუხებს დედაბერი
ეფროსინეს.

მშვენიერი ბავში დაიბადა.

უნდოდით მოკვლა.

ვერ გაბედეს — ღმერთის და კანონის შეეშინდათ.

არჩილაც ჩაერია.

გააძიძავეს.

ხუთ-ექვსიოდე თვის შემდეგ მოხდა რაღაც მოულოდნელი,
სასწაულისებრივი: შორეული სოფლიდან მოვიდა კარგადნო-
ბილი, ოდნავ ხანში შესული, მაგრამ შეძლებული და პატიო-
სანი გლეხი და სტეფანეს ქალი სთხოვა. სტეფანე გაოცდა.

— მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ თუ ქალი დაძპირდება, რომ
პატიოსნათ იცხოვრებს და ჩემს მოხუცებას არ დაერიდება,
ბავშსაც მე წავიყვან, ჩემს სახელზე ჩავწერ და მაგასაც ვაე-
პატიოსნებ...

— არა, არა, — დაიბნა სრულიად სტეფანე, — როგორ გაბე-
დავს... ასეთი ბედი... ღირსი არაა... ამაშენე... დამასახლე.

დედაკაცმა ქვითინიც კი მორთო:

— შენ ყოფილხარ ჩემი ოჯახის წმინდა ანგელოზი.

— არა, თვითონ ქალმა მომცეს სიტყვა... თქვენ ხმა დაა-
დეთ, რომ ბავში მართლა ჩემია, რომ წინათ არ მინდოდა,
გავეჩუტდი, დიდ მზითევს ვთხოულობდი და ახლა კი დაეთან-
ხმდი.

ქალი გამოიყვანეს, ჰკითხეს...

რას იტყოდა? თავის მოჭრის ასეთს დაბოლოვებას ვერც
დაისიზმებდა.

დათანხმდა.

— ა, ექვსი თუმანი... ქალი გამოაწყვეთ, ვითომ თქვენივე
ხარჯით... მე ამ კვირის დამლევს ჯვარს დავიწერ.

— ღმერთო ჩემო, მეორე მოსვლის ნიშნებია, — დაბეჭდვით სთქვა დედაკაცმა და სტეფანეც დაეთანხმა. ოლიგოგაჰყვა პირუტყვივით, რომელმაც იცის, რომ კარგათ ატყვევებენ, ასმევენ და შვილს არ წაართმევენ.

იყო მარად პატიოსანი.

დედ-მამის ოლღაია, ანინის ოლიგო, ქმარ-შვილში ოლღათ გადაიქცა.

*

ცნობილ კომბინატორ დავითისთვის მრავალმხრივ საჭირო იყო ინტიმიური საღამოს გამართვა; ჩვეულებრივ ასეთ საღამოებს იგი მართავდა სხვის სახლში, სხვისი პასუხისმგებლობით. ზღვა შამპანური, ბალჩა ყვავილებისა, განსაკუთრებულათ შეზავებული სიამოვნება ყველასთვის ნათლად ხდიდენ, თუ ვინ იყო ნამდვილი მასპინძელი, და საკუთარ სახლში რომ არ მართავდა ნადიმს, ეს კიდევ უფრო ფასს სდებდა, — რა იქნება როცა იქ, სასახლეში, მოგვიხდება ყოფნაო. დღეს ვახშამი ანინისთან იყო.

სტუმრებათ იყვნენ: ვიცე-გუბერნატორი, სახაზინო პალატის უფროსი, გიმნაზიის ინსპექტორი, ცნობილი კორესპონდენტი ტფილისის და სატახტო გაზეთების, მაზრის უფროსი, ორი-სამი მცირე მოხელე, არტისტი ქალი № და გუბერნატორის ვაჟი, სტუდენტი, აგრეთვე მოარტისტე „კოსტია“. შეზარხოშდენ.

ნადიმი მოთავდა.

დაშლა ენანებოდათ.

შეეჭეოდენ მასლაათით და ვნებიანი ცქერით. ვიღამაც დაუკრა პიანინოზე. თავადმა ლექსი წაიკითხა. არტისტი ქალი № რამდენჯერმე ამღერეს. სტუდენტთან №-ის კეკ-უოკმა ნერწყვი აუშალა ვიცე-გუბერნატორს.

— ბატონებო! ჩვენ შეგვეძლო სცენისმოყვარეთა წრე შეგვედგინა, — შენიშნა პალატის უფროსმა.

— რუსულ ენაზე, სამწუხაროთ, ძალებს ვერ ვიშოვით, — დამოძღვრის კილოთი შენიშნა ინსპექტორმა.

— რატომ? მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობა — თავადმა სტუდენტს გადახედა — აქ არის, მასწავლებლობა, მოხელეები.

— კომედიებს, ოპერეტებს, თუ № მიიღებს მონაწილეობას, — თავაზიანათ შენიშნა ინსპექტორმა, — რა თქმა უნდა, მოვერევით. მე ერთ ოფიცერს ვიცნობ, უეჭველი ტალანტი... ოღონდ ოფიცერს არ აქვს ნება სცენაზე გამოვიდეს.

— ამას ჩვენ მოვაწყობთ, — ჩაერია ლაპარაკში ვიცე-გუბერნატორი, რომელსაც № გვერდში უჭდა და მალულათ უკვე ზომავდა მხარბუქის სიგანიერეს, — ოღონდ ქალბატონი № ნუ გაგვექცევა ცივ პეტერბურგში.

— კი, მაგრამ ღრამა? — ვერ მოითმინა მაზრის უფროსმა.

— ო, თქვენ არ იცით, რა ნიჭი აქვს ქ. ანინის! — წამოიძახა თავადმა. — ჰო, ჰო! ნამდვილი ბარბაროსები ჩვენა ვართ!..

— ერთი, ერთი მონოლოგი, ერთი სცენა!..

— არ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს!.. და ასე უეცრათ!..

— მოითმინეთ, მოითმინეთ! ბატონო ინსპექტორო, — მიმართა დავითმა, რომ იგი ვადმოებირებია თავის მხარეზე, — ეხლა მოდაშია გასამართლებანი... თქვენ უკეთ გეცოდინებათ...

— როგორ არა! როგორ არა! ძლიერ, ძლიერ საინტერესოა, მაგრამ...

— უკაცრავათ, — შეაწყვეტინა დავითმა, რომ მისი სურვილისათვის წინააღმდეგობა არ შექმნილიყო საზოგადოებაში, — ქალბატონი ანინი კიდევაც სწერს... მე მგონია, ვინც სწერს და მსახიობიც არის, ყველაზე უფრო თავის ნიჭს, თუ გნებავთ ორმაგს, — თავადს გაელიმა, — იმპროვიზაციაში გამოიჩენს.

— მშვენიერებაა, მშვენიერება!

— მაშ თემა, თემა!

— თემა თქვენვე აირჩიეთ, ქალბატონო!

— ქალბატონი ანინი მოგვატყუებს: ექნება რამე ვაზები-რებული და გვეტყვის, — ოდნავის ბოროტებით იოხუნჯა სტუდენტმა, რომელიც ნაწყენი იყო, რადგან ანინი ამ საღამოს უპირატესობას ინსპექტორს ანიჭებდა, რომ სუსტი შვილისთვის ძლიერი მფარველი ეშოვნა.

— საძაგელი! თავხედი ბალდი! — ბავშურის ენინანობით მიაძახა ქალმა.

— ჩვენ ხომ ინტელიგენტები ვართ. ჩვენ ვიცით მონოლოგები, — სთქვა ინსპექტორმა ანინის დაცვისათვის.

— მაშინ ძველ ნაწერს წაგვიკითხავს.



— არც ამას წავეციტხავ და არც იმას.

ამ მუსაიფის ღროს თავადი ჩაფიქრებული დადიოდა და ვაპროსს ეწეოდა. უეცრათ იგი შემობრუნდა და იკითხა:

— მოიგონეთ რამე?

— არა, ისევ თქვენ, თავადო.

— სწორეთ გუშინ, თუ გუშინწინ სადღაც ქრონიკაში წავიკითხე: ასამართლებდნენ ქალს, რომელსაც თავისი გაზრდილი პატარა ძმა შეუცდენია.

— უ, ეს ძლიერ ძნელია!

— მაგიერათ, თუ ამ საქმეში თავი გაიმარჯვა, მე ჩემ თავზე ვლებულობ არა თუ მოყვარეთა დასის შედგენას, სუბსიდიასაც კი, — წამოტარტლა ვიცე-გუბერნატორმა; მას ძლიერ უნდოდა განმარტოებით Ne-თან დარჩენილიყო და ყველაფერს იკისრებდა.

— ძმათ აი ჩვენი სტუდენტი იქნება.

სტუდენტსაც გაუხარდა.

— ანინი, გთხოვთ, გთხოვთ!

ანინი განაზღა, თან რაღასაც ფიქრობდა, მერე უეცრათ აღგა.

— ცოტათი გადვიცვამ. თქვენ აქ მოაწყვეთ. — და გავიდა. საჩქაროთ დადგეს სტოლი.

ზედ ქალღლები, წიგნები დაპყარეს. ბრალდებულებისთვის დაშორებით ორი სკამი დადგეს და ჯებირათ წინ გრძელი სავარძელი ჩამოუფარეს. მსაჯულებათ აირჩიეს თავადი, ინსპექტორი და მაზრის უფროსი, პროკურორათ, დამცველათ და ბოქაულათ ვიღაც მოხელეები.

ანინიმ ოთახიდან სტუდენტს დაუძახა:

— შემოდით! ბლუზას მოგცემთ, რომ უფრო ბალღათ გამოჩნდეთ. მსაჯულებიც სხვა ოთახში გავიდნენ.

ვიცე-გუბერნატორი ახალგაზრდა მოხელეებს აღარ ერიდებოდა და სულში უძერებოდა Ne-ს.

— რა მადლიერი ვარ თავადის, რომ თქვენთან გაცნობის საშუალება მომცა.

— ნუ, ნუ! — და კეკლუცობით ხელს ართმევდა, მაგრამ იგი უფრო იზიდავდა.

— დამპირდებით?

— თქვენზეა დამოკიდებული, — არც აიმედინებდა და არც უქარწყლებდა იმედს №.

ბრალდებულები შემოვიდნენ. დასხდნენ.

ორივე გამოცვლილიყო:

ბლუზას სტუდენტი 14—15 წლის მოწაფეთ გარდაექნა.

ანინის კი საშინაო უკეთი ჩაეცვა, საყურეები მოეხსნა, ბეწვის ქუდი დაეხურა — ნამდვილ მასწავლებელ ან კანტორაში მომუშავე 28-29 წლის ქალათ გამხდარიყო.

— სასამართლო მოდის! — დაიძახა ბოქაულმა.

აღგნ.

— დასხედით! — გაისმა ისევ ბოქაულის ხმა.

თავადმა მიწი-მოწია ქალაღდები, თითო-ოროლა სიტყვა უთხრა გვერდში მჯდომ ამხანაგებს და წარმოსთქვა:

— რადგან ამ საქმის არც ერთი მოწმე არა გვეყავს, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ბრალდებულთა განცხადებას; ისინი არ უარყოფენ, რომ მათ წარსული თვის 25, ლამის 12 საათზე ჩაიდინეს საქციელი, რომელსაც სჯის, გარდა კანონის უწყებული სისხლის სამართლის მუხლისა, საზოგადოებრივი აზრი და რომლის გამოთქმა სასამართლოს დარბაზშიაც არ არის სასიამოვნო.

— ყველაზე გამოცდილი და კარგი არტისტი თავადია! — შენიშნა №.

— ვნახოთ, ვნახოთ! — უპასუხა ვიცე-გუბერნატორმა.

— ბატონო ბრალმდებელო, პირველი სიტყვა თქვენ გვეუთვნით.

— ბრალდებულთა საქციელი ისეთი საზიზღარია, ისე აღშფოთებულია საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის, როცა ასეთ საგანზე შეიქნება ლაპარაკი, რომ მე ზედმეტად მიმაჩნია ლაპარაკი და ვთხოვ მხოლოდ სამსჯავროს, სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელი მიუსაჯოს, მით უმეტეს, რომ ორივე, ფუმცა ფაქტს ბოროტმოქმედებისას არ უარყოფენ, დამნაშავედ თავის თავს არ სთვლიან, არ ინანიებენ და პატიებას არ თხოულობენ. მე გავათავე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: სიტყვა ეკუთვნის დამცველს.

დამცველი: ბატონო მსაჯულნო, ამ საქმის გამო ჩემს გულში იბრძვის მოქალაქისა და დამცველი-ვექილის გრძობა. როგორც მოქალაქეს მე არ მსურდა ამ საქმეში მიმეღო მონაწილეობა,

მაგრამ დანიშნით მე უნდა გამოვიდე დამცველათ, როგორც ვეჭილი. მე მხოლოდ მოვითხოვდი ბავშის განთავისუფლებას, რადგან იგი უნებური მსხვერპლია უფრო ძლიერი პიროვნების, საზოგადოებრივი ზნეობის საშიშ დამრღვევის, რომლის შესახებ რა მეთქმის მეტი, თუ არ მოგმართოთ თხოვნით — იქონიეთ სულგრძელობა საზოგადოების ამ გამხრწნელისადმიდაც!

თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე: უკანასკნელი სიტყვის უფლება ეძლევა ბრალდებულს.

— ნეტარების ერთი წამისთვის დასჯას მიპირებთ; ამიტომ გრძლათ უნდა ავიწეროთ გაჭირვების და მწუხარების წლები.

დედაჩემს მივასვენებდით; მთვრალი მამა სადღაც მიიკარგა; მეშინოდა სახლში მართო დარჩენილ ბავშს არაფერი მოეწია, ავიყვანე და კუბოს ახლო, დროგზე დავსვი. პაწია არც კი შემკრთალა; მე თვალზე ცრემლს ვერ ვიკავებდი; ის დახურულ კუბოს მოკლე თითებს ურტყამდა და გამგელ-გამომგელთ ყურადღებას იპყრობდა თავის ქნევითა და სიხარულისგან გამოწვეულის ღიმილით.

სასაფლაოდან ჩვენ არვინ გამოგვყოლია. მთელი უკეცი გზა სახლამდე გულზე ახუტებული მომყავდა.

ამ დღიდან, როგორც დედა ვურწევდი აკვანს და ქალწულებრივ უმწეო ძუძუს პირში ვუჭრიდი.

ჩვენს პატარა, მყუდრო ოთახში მხოლოდ ალერსი, სიყვარული მეფობდა, უსიამოვნებისთვის ადგილიც კი არ გვქონდა: ხმაძაღლა ვერ ვლაპარაკობდით, რადგან მდგმურები აგვიქაქანდებოდნენ და ერთმანეთს რომ გაებუტებოდით, სად დავეტეოდით ერთ ციდა ოთახში... მოენათლე, ლადო დავარქვი...

— საქმეს დაუახლოვდით, — შენიშნა თავმჯდომარემ.

— და-ძმურათ ხელგადახვევით დაგვიოდით ჩვენ სასიერნოთ და როგორც მიჯნურნი ვეალერსებოდით, ვკოცნიდით, ვსჭვრეტდით ერთმანეთს.

— საქმეს დაუახლოვდით, — ხელმეორეთ შენიშნა თავმჯდომარემ.

— ყველიერი იყო.

ლადო წავიდა, ბალში ვარ დაპატიყებულაო.

დავწევი.

ძილი გამეფრთხო.

ვფიქრობდი ბალზე: რამდენი სიამოვნება იქნებოდა იქ. რამდენს ექნებოდა პაემანი დანიშნული. რამდენი დასტკებოდა დღეს სატრფოს სიახლოვით, ტკბილი სიტყვებით, ალერსით, ამბორით, ცეკვით.

მე კი არაფერი მერგება ჩემს ცხოვრებაში.

თავი მეცოდებოდა და თან თავს ვინუგეშებდი, რომ ლადო მაინც ბედნიერათ გაატარებდა დროს; რაც მე დამაკლდა, ვიმედოვნებდი, იგი შეივსებს, მას ერგება წილად.

მთელს ტანს რაღაც ქრუანტელი უვლიდა. რაღაცა მსურდა. ხანდახან ტირილი მინდოდა. ცრემლი იგი ტკბილი იქნებოდა.

ხშირათ მომსვლია აგრე. ხშირათ რაღაც სინაზეს დაუვლია მთელს ტანში, ხშირათ უფრო რბილათ, მსუბუქათ მიგრძენია თავი, მომდომია, რომ ვისმე დავეკუმშე, დავემტვრიე, შევეზოქე, შევეყარ. და ასეთ წამში თუ ცრემლი, ჩუმი ცრემლი გადმომსვლია, ყოველთვის განმიცდია სიამოვნება.

უეცრათ ის დაბრუნდა.

გამიკვირდა.

— ასე მალე?

— მომწყინდა და დაგებრუნდი, — მიპასუხა მან.

სახე ჩაფეთქილი ჰქონდა. ქუდი შუბლზე დაკვროდა. ხმა უთრთოდა.

— მართალს რათ არ მეტყვი. შენ ნაწყენი ხარ...

— ელენემ მაწყენია.

ელენე იმ ოჯახის ქალი იყო, სადაც დღეს ბალში იყო ჩემი ბიჭი.

— რითი? როგორ?

— ჩემთან არ ინდომა ცეკვა.

— რატომ?

— უსათუოდ რადგან თეთრი ხელთათმანები არ მქონდა.

პიპეცკის ვაჟს კი ყვავილი ჰქონდა გულზე, ნაზის სურნელებით იყო ნაპკურები, ლაიკის წალები ეცვა და თეთრი ბამბასავეით, ნაზი ხელთათმანი.

— მერე რათ არ გამომართვი ფული, ხომ იცი, ცოტა კიდევ მაქვს.

— ეჰ, თუ სურვებოდა, ჭინჭებში არ გამცვლიდა.

ცრემლები მოერია.

— სხვას უკეთესს ნახავ. ცხოვრებას ეხლა იწყებ. მაგისტანა გომბიოსთვის კი არ უნდა შეიწუხო თავი, — ვამშვიდებდამე.

ჩემი დასამშვიდებელი სიტყვები უფრო აღელვებდა მგონია.

— ეხლა კი ლამე მშვიდობისო, — მითხრა. მოვიდა, ჩვეულებისამებრ მაკოცა, და თავის ლოგინზე დაჯდა.

გაიხადა სერთუკი, გაიხსნა გახამებული საყელო და სახელო. დასაწოლად ემზადებოდა. მე მეორე მხარეს გადავბრუნდი, რომ თავი მძინარეთ მეჩვენებინა. ისიც დაიძინებს და დამშვიდება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ისევ წამოდგა. სიარული უნდოდა. უსათუოდ ჩემი მოერიდა, ძილი არ შეუკრთოვო: წაღები გაიხადა და ჩემს ფოსტლებში გაჰყო ფეხი. პატარა ოთახში სიარული უხერხულათ ეჩვენა და სუფრას მიუჯდა. რალაც წიგნი აიღო. გადაშალა. ვამჩნევდი — არ კითხულობდა.

მკლავით სუფრაზე დაეყრდნო. თავი ხელს დაადვა. თეთრი გრძელი თითები გამოკრთოდა შავათ ბრჭყვინავ თმებში.

ჩაის ყვავილის ერთ ფოთოლს ჰგავდა პატარა ყური.

რძე და ღვინის ფერი ჰქონდა კისერი.

შევცქეროდი და ვფიქრობდი: სწორეთ ლენჩი უნდა იყოს ქალი, რომ ამ განხორციელებულს სიყმაწვილეს, მშვენიერებას არჩიოს ლაიკის წაღები, ხელთათმანები, ყვავილი და სურნელებანი. რა მშვენიერია! ჩემს ძმათ არ არის დასასახი. რაც კი შემეძლო ყველაფერი უარგყავ მაგისტვის: დედა, ძიძა, გამდელი, მამა, მასწავლებელი, მეგობრები... უნდა ვიქნე საყვარელიც...

ამ აზრმა უეცრათ გამიელვა თავში. სირცხვილით ისევ გადავბრუნდი მეორე მხარეს, გადავიხურე საბანი. ამით ვფიქრობდი ეს ცუდი, არაბუნებრივი აზრი სადღაც შორს გადამე-მარხა, ჩამეჩქმალა, გამექარწყლებია.

ამაოდ.

უნებლიეთ შემომებრუნებია თავი და უცქეროდი თეთრ პერანგს.

რა უცხო ტანი ექნება ამ თეთრ პერანგს ქვეშ. რა ხავერდით ნაზი იქნება კანი, როცა ხელს დაუსვამ და რა კაევიით მაგარი, როცა პირდაპირ დააჭერ თითს. აი, მკლავებთან თეთრი პერანგი აწეულია. იქ კუნთებია — იმათ ნესტარიც ვერ

გაპყვეთს. თეთრი პერანგი მიზიდავდა თავისკენ, ვით ჩიტს ზველის თვალეები.

— დააქრე ლამპა, — ჩუმათ ჩაველაპარაკე, რომ ხმის ცვლებაზე არაფერი შემჩნეოდა.

მას არაფერი გაუგონია.

რომ დაექრო ლამპა, მე გადარჩენილი ვიყავი.

მეორეთ აღარ გამიმეორებია. რაღაცა მომაწვა გულზე.

ეს თეთრი პერანგი, როგორც ჭადო ისე მიზიდავდა, მიძახდა ადამიანის სიტყვით: მოდი, მოდი.

წამოვდექი, ნელა მივეპარე. მაგრამ შემეშინდა. ერთი ხელის შეხების შემდეგ ვიცოდი, ყველაფერი გათავდებოდა, ყოველივე უკან დაბრუნების ძალა წამერთმეოდა.

თავზე ვადექი. თვალეები დახუჭული ჰქონდა. თვლემდა. წამწამების ჩრდილი ლოყამდის წვდებოდა. ტუჩები, ყაყაჩოსავით წითელი, გახსნოდა. თეთრი კბილები ბასრ დანებოვით ჰკიანთებდენ.

— რომ დამცინოს, ხელი მკრას, შემიძულოს, მაშინ რაღაცქნა, — გამიელვა თავში. თოფნაკრავივით გამოეტრიალდი. დავწვევი ისევ. გადავიბურე ისევ საბანი. ის ყმაწვილია. სულ თუთხმეტი წლის. მე კი, დამიწუნებს, ხელს არ მომკიდებს. ანღარათ. გადავაგდე საბანი. დავიხედე ხელებზე, მკლავებზე, გულმკერდზე. არა, არ დამიწუნებს, ვერ დამიწუნებს. არსად არ სჩანს ნაოჭი, სპეტაკია და ნაზი აბრეშუმის ხავერდივით ჩემი ტანი. მკერდი კუკურივით სდგას. ერთი ბანალი არ მაქვს, ფეხები პატარა, არც ერთი თითი არ მაქვს მოღუნული, კორძიანი. თვით ქუსლები ისეთისვე გამჭვირვალე კანით არის, რომ ოჯნავ მოცისფრო ძარღვები გამოსჩანს.

წამოვდექი და სარკეში ჩავიხედე.

თვალეებში რაღაც სისოვლე ჩამდგომოდა, და თვით თვალეები, თითქოს ტბაში შავი მტრედები დასცურავენო. ტუჩები წითელი, ვით ახლად გაკვეთილი ცოცხალი ხორცი, თრთოდენ; აღერილ კისერს, მოღუნულ ცხვირს, ყურებს, თეთრს მრგვალ ნიკაპს ვერ შეამჩნევდი სად იწყებოდა და სად თავდებოდა, ისე მწყობრად გადადიოდა ერთი ასო მეორეში. და შავი თმა ჰბურავდა თავს.

გავიშალე თმა. მოუფიქრებლად ამოვიღე საუკეთესო, თხე-

ლი, კრუევეებით გაწყობილი, გულამოჭრილი, უსახელო პერან-
გი და გამოვიცვალე. დუხის მთელი ფლაკონი გადავისხი, გადა-
ვასხი აგრეთვე ლოგინს. ისევ დავწვევი.

გაძლევთ სიტყვას, მოსამართლენო, რომ ყველა ეს შემდეგ
მოვიგონე სატუსალოში, მაშინ კი ვმოქმედებდი, თითქოს ძილ-
ში... რომ გეკითხათ, რათ ჩავდიოდი ამას, უსათუოდ ტირილს
დავიწყებდი, ავთრთოლდებოდი, შემცხვებოდა, მაგრამ ვერ
გეტყვოდი, რადგან მე თვით არ ვიცოდი ჩემი მიზანი.

დავწვევი. უსათუოდ დიდხანს უყურებდი. ეტკებოდი და
ვერ ვძლებოდი.

ღიაგახალის მოსხებილი შალვარი ნათლად აჩენდა განგებ
ჩაძოსხმულ ქვედა ტანს. ფოსტლებზე ცერებით დაბჯენილი
პატარა ფეხები ზორცისფერ წინდებში სალოკავ შაქრის ყინუ-
ლათ მეჩვენებოდა. თითქოს გვრძნობდი მათ ნელ-ნელა დნობას
პირში, და ვყლაპავდი ნერწყვს.

— კიდეც არ გძინავს? — დავეკითხე.

არ გაუგონია.

— რა მოგივიდა, შენ გენაცვალე? — უფრო ხმამაღლა და-
ვეუძახე.

— ა, — გამოირკვა ბურუსიდან ლადო, — არაფერი, რალაც
არ მეძინება.

— შენ რალასაც სწუხარ. მოდი მითხარი ყველაფერი, იქ-
ნებ ისეთი სამწუხარო არ იყოს ჩა.

— არაფერია, არაფერი, ეხლავე დავწვები.

— მეც კი მიმაღავ. აღარ გყვარებდივარ ძველებურათ. მაშ
დაიძინე, — ვუთხარი მე.

ჩემს ხმაში ტირილი გამოისმოდა უსათუოდ.

— შენ რალა გატირებს. მე ვარ უბედური და არა შენ.

— შენ უბედური იყო და მე ბედნიერება შემიძლია?

— არა, არა, არც მე ვარ უბედური, ოღონდ შენ დამწვიდ-
დი.

იგი მოვიდა ჩემდა დასამწვიდებლად, თავზე ხელი გადა-
მისო და შუბლზე მაკოცა.

— დაჯექი, მიაშვებ ყველაფერი, შენ კი შემოგველოს შენი,
არ ვიცი, რა დაუფახო ჩემს თავს...

იგი მარჯვენა ფეხით ჩამოჯდა ლოგინზე, მარჯვენა მუ-
ხლი მოიკეცა და ხელი ბალიშზე დაადვა.



მის მარჯვენა მკლავს მე თავი დავადევი.

— იცი, მე შენი მასწავლებელი ვიყავი. შენ ყოველთვის მეუბნებოდი შენს მწუხარებას, მეკითხებოდი, თუ რამე შენთვის გაუგებარი იყო.

მე ნელ-ნელა ვიწეოდი ზევით ბალიშისაკენ, სადაც იგი იჯდა.

— მე აი, ასე ხელში ახუტებული დამყავდი.

მე შემოვხვიე მარცხენა ხელი ყელზე.

გადაგილიწინდი გულს.

მე გაეუხსენი პერანგის შუა ფოლაქი.

და როცა შენ ტირილს იწყებდი, როგორც ძიძა პირში მოგცემდი ჩემს უმანკო, ურძეო ძუძუს. შენც სძიძგინდი.

მე უსვამდი მის ტუჩებს ძუძუებს.

ეხლა კი ვილაც ელენესთვის —

მე ავიწიე მთლად ზევით. მის ლოგინზე მორთხმულ მუხლს დავაწევი ერთის ფეხით —

გსურს დამტანჯო, შემაწუხო, თავს უბედურს უძახი და მაშ მე რა ცეცხლში ვიწვი, არ იცი.

— მაკოცე! მაკოცე, აი ასე, როგორც მე გკოცნი.

ერთი და ორი ვაკოცე, ცეცხლით, შვეებით, ნეტარებით.

— შემხედე, განა მე უარესი ვარ, ვიდრე სხვა.

პერანგის უკანასკნელი ფოლაქი გაეუხსენი.

— ჩვენთვის სხვა არავინაა ქვეყნათ. ჩვენ ორი ერთმანეთის ბედნიერებისათვის ვართ გაჩენილი.

და მის მკერდის ქვეშ დავეწაფე კოცნით, თითქოს, როგორც ფუტკარს, მოსდომოდეს ყვავილისაგან მთელი სიტკბოების ამოწურვანა.

— შენ მიკლავდი დედის, დის, მოწაფის, მეგობრის ყინს, ეხლა შენ იქნები ჩემი სატრფო.

— მაკოცე! მომხვიე ხელი! შემეწეპე, ჩვენ ერთმანეთის ვართ სისხლით, სულით და ხორციით!

და მე ვკოცნიდი ტუჩებში, თვალში, ყურზე.

გაშტერებული, განცვიფრებული ანგარიშმიუცემლათ ისიც მხურვალეთ მკოცნიდა.

— ჩემს სხეულს ვერ სიოც არ მოხვედრია სიყვარულისა, როგორც შენსას. დავწვათ ერთმანეთი — მე ამდენი ხნის შენა-

ხელ წმინდა ცეცხლით, შენ სიყმაწვილის ელვასებრ აფეთ-
ქებით. ვნახოთ, რომელი უფრო ძლიერია.

გულზე დამადვა მარცხენა ხელი, გადამწია ბალიშზე და
ჩემს ტუჩებს არ გაჰშორებია...

მე განგებ დაწვრილებით, გრძლათ მოგიყვევით ამ წუთების
ნეტარების აღწერა.

იგი ისე ტკბილია, ისე უსაზღვროა, რომ თვით მოგონება
ჩემი ბევრათ უფრო მეტს ნეტარებას მაგრძნობინებს, ბევრათ
უფრო ბედნიერათ მხდის, ვიდრე შიში დასჯის წინაშე. გარ-
ყვნილებათ! განა შეიძლება გარყვნილება იქ, სადაც ორი სული
შეერთებულა მიწიერ სიამოვნებისთვის?! ნასყიდი და გაყი-
დული, ნაანგარიშევი სქესობრივი განწყობილებაა გარყვნი-
ლება, თორემ როცა გული იძახის, იქ გარყვნილების მორვევიც
იწმინდება...

იმ წამებით მე ისეთი მდიდარი ვარ, რომ შემინდვია მამიჩე-
მისთვის მისი ჯაშუშობა, შემინდვია ქვეყნიერებისთვის მისი
ჩემდამი უღმობლობა, შემინდვია თქვენთვის ის სასჯელი, რო-
მელსაც მე მომანიჭებთ, უეჭველია. ლაღო წმიდაა, ვით ელვა-
ცისა, მე ნამწვი ვარ კელაპტარისა.

ქალი გაჩუმდა. დაჯდა.

— არაფერს აგვიხსნით მამითქვენის მკვლელობის შესახებ? —
შეეკითხა ბრალდებულს სასამართლოს თავმჯდომარე.

ქალი ისევ წამოდგა.

— ყოველ თქვენგანს ჰყვარებია უსათუოდ. მაგრამ თქვენი
სიყვარული ისე არ ჰგავდა ჩვენს უსაზღვრო ტრფობას, რო-
გორც ლეში, აჩრდილი უსაგნო. ყოველ შეხებაში წლების
უღიმდამო ცხოვრება ჰქრებოდა, ყოველი აღერსით მთელი სი-
ცოცხლის ტანჯვა-ვაება იყო გამოყიდული.

უეცრათ საიდგანაც მთვრალი მამა წამოგვადგა თავს.

დაიწყო ყვირილი. სტაცა ხელი დიდ ჯოხს და უნდოდა
ამისთვის დაერთყმია.

ის კი კუთხეში ატუზულიყო და ვერ ინძრეოდა.

როგორ მიეუშვებდი მასთან მამას. ფუტკარი თავს შეაკ-
ლავს და თავის საფუტკრკს, თავის თაფლს არაფის დაანებებს.
ჩემთვის კი იგი ყველაფერი იყო.

წინ გადაველობე, ერთი ორი დამკრა. ვეცი. ჯოხის წართმე-

ვას უპირებდი, მან კი კარი გააღო და დაიყვირა: „ბოლიცაა“
ტუჩზე ხელი დავაფარე, კარებიდგან გამოვსწიე, მაგრამ ვერა-
ფერი მოვუხერხე. იგი კარებში გაეარდნას აპირებდა და ვე-
როდა, როგორც კი მოახერხებდა. ვატყობდი ძალა მჭირლე-
ბოდა. ეს უღმერთო კი არ დაგვინდობდა. სუფრაზე დავინახე
პურის დანა, ვსტაცე ხელი და სადღაც ჩავკარი. მამა წაიჭყა.
მე გული წამივიდა. მამა მაშინვე არ მომკვდარა, ჩვენების მიცე-
მა კიდეც მოასწრო. შეიძლება არც ჭრილობით მომკვდარიყოს.
ლოთობამ, ათასჯერ ცემამ, ურიგო ცხოვრებამ მოუსპო, შეი-
ძლება, სიცოცხლე, მაგრამ ეს სულერთია.

ქალი დაჯდა. გვერდში მყოფ მეორე დამნაშავეს ჩაუფუ-
ჩუნა.

— შენ არაფერი სთქვა. ორივეს დასჯას მე დავისაჯო მარ-
ტო.

— არ შემიძლია.

— შენ ჩემი ხარ და ჩემს მუდარას, ბრძანებას ვერ გადა-
ხვალ. ჩემთვის მეტი ბედნიერება შეუძლებელია, ვიდრე შენ
ვნახო ბედნიერი. მე გავათავე ცხოვრება — შენ იწყებ. თანაც
დანაშაულის გაზიარება შესამჩნევათ არ შემიღვათებს სას-
ჯელს.

აქ მოხდა საშიშარი, საკვირველი და საზიზღარი.

ორივე ერთმანეთს ჩაეკონენ. ყველანი გაშტერდნენ. მხოლოდ
ერთმა მოსამართლეთაგანმა მოახერხა ეთქვა:

— არაფერს არ გავს — გააშორეთ!

დავით კომბინატორი ადგა.

ბოჭაული: ადექით! სასამართლო სათათბიროთ მიდის.

Ni-მა ტაში დაუკრა.

— მე რატომ არ მომცა სიტყვა! — საყვედურობდა სტუ-
დენტი.

— არა, ეს დაარღვევდა შთაბეჭდილებას.

— თუნდაც არ გაგამართლონ, ქალბატონო, დასის შეკრება
და სუფსიდია ჩემს თავზე იყოს.

დიდებული მსახიობიც ყოფილხართ და იმპროვიზატორიც.
სასამართლო გამოვიდა, ეხლა უკვე სადათ და დავითმა განა-
ცხადა:

— რადგან სასამართლო ერთ დასკვნამდე ვერ მივიდა, ამი-

ტომ თათბირი გაგრძელებული იქნება ქალაქგარეთ, წყლის პირათ, სანამ მოგვიმზადებდენ მწვადსა და ღვინოს.

— ძნელი როლი იყო, მაგრამ ჭეშმარიტათ სძლიეთ, ეუბნებოდა ინსპექტორი ანინის.

ნამდვილათ კი ყველაფერი დავით კომბინატორის მოხერხების, და თუ გნებავთ, არტისტიული ნიჭის ნაყოფი იყო: მთელი საღამო მას წინდაწინვე გამოანგარიშებული, შედგენილი ჰქონდა, და არავინ მას წინასწარ მოლაპარაკებით არ დახმარებია.

გააღეს ქუჩიდან შემოსასვლელი კარი და უნდოდათ გამოსვლა, რომ დაინახეს ორი შეიარაღებული ყმაწვილი, რომელთაც ზრდილობიანათ, მაგრამ გადაჭრით ბრძანეს:

— უკანვე შებრძანდით...

— რა გნებავთ? — გულმოსული შეეკითხა მათ დავით კომბინატორი.

— შებრძანდით და გაიგებთ...

— აქ ვიცე-გუბერნატორია.

— რომ გვცოდნოდა, მართალი მოვახსენოთ, არ მოვიდოდით — ჩვენ უფრო თქვენს მეგობრებს, ვაჭრებსა და ფულიან ხალხს ვუცდიდით, მაგრამ ახლა გვიანდაა... გვიბოძეთ, ვისაც რა გაქვთ.

ამოიღეს საათები, პორტმანები, ბეჭდები.

ქალებს გაუჭირდათ საყურეების ამოღება, მაგრამ არჩილმა უთხრა მათ: დატოვეთ, ძვირფასი არ უნდა იყოს მაინცდამაინც.

ქალები, როცა მათ მოიგონებდენ, ხშირათ დაუმატებდენ: „ა ვსიო ტაკი ონ დუშკა, ი დუშკა“. ასეთი თავხედი თავდასხმა არ იყო გუბერნატორისათვის ხელსაყრელი, და ამიტომ თუმცა ბრძანება იყო გაცემული, როგორმე დაეჭირათ ყაჩაღები, მაგრამ გახმაურებას, გაზეთების ორომტრიალს მაინც მოერიდენ და ინსპექტორის ღუმილი ყველასათვის სასიამო გამოდგა.

დიდხანს ვერც კი გაიგეს, ვინ იყო ეს ორი ყმაწვილი, შუაქალაქში თვით ვიცე-გუბერნატორს რომ აართვა, რაც რამ თან ჰქონდა.

[1925]

უპურეთის არისტოკრატია

ასეთი იყო დაბა უყურეთი.

თითქო მთელ მხარეს შელახული ჰქონდა მეტყველების უნარი — სოფლებისათვის სხვა სახელი მოენახათ — და ჩასცივებოდნენ ისევ ამ საცოდავ უყურეთს.

იყო აქ „დიდი უყურეთი“, „გოჩა უყურეთი“, „გალმა უყურეთი“, „გამოღმა უყურეთი“, „ზემო უყურეთი“ და „ქვემო უყურეთი“.

„დიდ უყურეთსა“ და „გოჩა უყურეთს“ რაღაც ნიშნები ჰქონდათ, რომ ერთმანერთში არ აერია კაცს ერთი ღორის უკუდო გოკებივით: დიდ უყურეთში იყო პატარა ხის ეკლესია, რომლის ყაერიან სახურავში ბუდობდა ყოველი ფრინველი, რომელსაც ვერც საკმეველის სუნი და ვერც ზარის რეკა ვერ აშინებდა. გალმანს მიდგმული ჰქონდა სენაკიდან გადაკეთებული რაღაც სკოლისებური დაწესებულება, რომელშიაც წვერებცანცარა მღვდელი სწავლას იწყებდა, ან, ბან, გან, დონთ და „მამაო ჩვენოს“ გაზეპირებით ამთავრებდა. დიდი იყო, მართლაც, „დიდი უყურეთი“ დანარჩენებთან შედარებით.

მის პირდაპირ მდებარე „გოჩა უყურეთს“ არ ჰქონდა ეკლესია და სახელგანთქმული იყო მხოლოდ მოშორებით მდებარე სასაფლაოთი, სადაც არც ერთს კუბოს არ მიუღწევია მთლიანად: ამოღესილი ღობიოთ ძალზე გამძლარი და ჭახრაკში გავლილი ღვინით გაღეშილი მოტირალნი ისეთის სისწრაფით მიარბენინებდნენ მიცვალებულს, რომ ჩამორჩენილი ჭირისუფლების მოთქმა-წამოძახილი: „სად მირბიხარ, შვილო, მე თუ არ გებრალები, წვრილ ცოლ-შვილს როგორ ტოვებ ასე უგულოთ“ მწუხარების მაგიერ სიცილს იწვევდნენ... კუბოში ერთხელვე შებმული ოთხი კაცი კი ერთმანეთს აქეზებდნენ: „გეიარე, კაცო, ხომ უყურებ, ყველამ თავს უშველა... არ ჩამოგვაგლიჯა მხრები

ამ ოხერმა!“ სანამ რომელიმე მათგანი არ წაიფორჩილებდა, და დაზიანებული კუბოდან მიცვალებული თუ არ გადმოკოტრი-
ლდებოდა, გასწორება-შეკეთებას მაინც მოითხოვდა.

კუბო ასე თუ ისე მაინც მიაგნებდა საფლავს, მაგრამ მზიდველთაგან ერთი ორი ვერ მიაღგებოდა სახლს, რადგან ღვინით გაღეშილი თავი და სიმძიმით მოსერილი მუხლები იქვე მიედებოდნენ მწვანეზე, მეორე დღეს ერთი მათგანი მაინც (თუ ორივე არა) ტრაბახობდა:

— წუხელი, ი საწყალი რომ დავასაფლავეთ, მიეწევი... ვხე-
დავ, შუალამეზე მაჯლაჭუნა დამწოლია გულზე და ეს-ეს არის წამახრჩოს, მოგვიდე ხელი და გადვისროლე წვეარამში.

— რავალი იყო, თუ კაცი ხარ?

— ღამე იყო, ვერ დევიანახე. ქეც მეშინოდა, ღმერთთან სწორი სჯობს, —თავდაბლა ამბობდა მობაასე.

— მაინც?

— ა, მაიმუნი ხომ გაგიგონია, სწორეთ იმისთანა... — და რადგან იმ კუთხეში მაიმუნი არაეის ენახა, მაჯლაჭუნა წარმო-
ედგინათ ლეკვისოდენა არსებათ, რომელსაც პატარა რქები აქვს, ბასრი ბრჭყალები, მოკლე კუდი და ეკალასავით მჩხვლე-
ტავი ბალანი.

— მთვრალი იქნებოდი და მოგეჩვენებოდა... — შენიშ-
ნავდა ურწმუნო მეზობელი.

— ისე ძალღი და ღორი ჩააკვდება იორდანა-ბოცორის (ეს იყო სახელი და მეტსახელი წინა დღით გასვენებულის უფროსი ვაჟისა) მკვდარსა და ცოცხალს, ჩვენ იმან კაი ღვინო დაგვალევი... დაუთვერი კი არა, კუჭი მეწეებოდა შიმშილით.

ყველა ამ „ზედა“, „ქვედა“, „გალმა“ და „გამოლმა“ უყურე-
თების გარჩევა კი თვით მკვიდრ პატრიოტებსაც არ შეეძლოთ, რადგან ასიოდენ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ „ზემო“ „ქვემოთ“
ხდებოდა და „გალმა“ იცვლებოდა „გამოლმა“.

მაგრამ პატრიოტები მაინც ამაყათ ამბობდნენ:

— მე ქვემო უყურეთელი ვარ.

— ახლა გამოლმა უყურეთს ხომ ვერ შეადარებ... — უპა-
სუხებდა მეორე.

— კაი მოგცესთ ღმერთმა, კაი ქვეყნის შვილები თქვენ ყოფილხართ, — დაცინვით შეუტევდა ზემო უყურეთელი და

ადიდგულებდა ან ერთს, ან მეორეს, რათ დასცინოდა მათ შუ-
სამე, გაუგებარი იყო, როგორც მამალი ინდოურის მუდმივი
ფაფხური. მაგრამ რაც აერთიანებდა ყველა ამ ექვს სოფელს,
ეს იყო განუწყვეტელი, მუდმივი წყველა-კრულვა და დაცინვა
საკუთარ მდინარის — ამასაც უყურელა ერქვა.

როდესაც სიმინდით დატვირთული ურმები ჭრიალით გაემ-
გზავრებოდა შორს, სხვა მდინარეზე მდგომ წისქვილში, ხან
ერთი და ხან მეორე მეურმე, თითქოს ურმის ჭრიალის ხმას
აყოლებსო, დაიწყებდა:

— აბა, თუ ძმა ხარ, გაგიგონია ასეთი რამე? სევანეთში ეყო-
ფილვარ, პატარ-პატარა ჩქერებია, ზედ ყოველ მოსახლეს მიუ-
დგამს პატარა წისქვილი და ფქვავს, რამდენიც დასჭირდება
ოჯახს. ფოთში რიონი ზღვასა ჰგავს, ერთი ნაპირიდან მეორე
ნაპირს ვერ მიაწვდენ თვალს — იქაც არის წისქვილი, უფრო
დიდი, უფრო კარგი; მარა წისქვილია... ისე ხომ ყოველ მდი-
ნარეზეა წისქვილი და ხალხი ოც-ოცი ვერსტობით არ მიდის,
ერთი წლის სარჩო რომ დაფქვას, ჩეიტანს დედაკაცი ერთ-ორ
ჯამს და გათავდა. თუ დასჭირდა, მეორე დღეს კიდევ ჩავა —
ფეხი არ გაუსივდება...

— წყეულია, ძმაო, წყეული ეს ჩვენი უყურელა.

მართლაც, ეს მდინარე, თითქოს ბოროტი სულიაო, ყველა
ექვსი უყურეთის შესაწუხებლად და გასაწამებლად იყო გაჩე-
ნილი. სწორეთ იმ დროს, როცა პაპანაქება დადგებოდა და
მოწყურებული საქონელი მისკენ მისცემდა თავს, როცა უჭრ-
ჩამოყრილ ბალახს მდინარიდან ჩამოჭრილი სიგრილვე კი გა-
ახარებდა, როცა ფოთლებშეკეცილი ტირიფი მსუნაგათ ექე-
ბდა ფესვებითა და დახრილი შტოებით წყლის ცვარს — უყუ-
რელა სადღაც ჯანდაბაში დაიკარგებოდა, და თითქოს განგებ
მოიტანაო, გახურებული რიყის ქვა ლაპლაპებდა მზეზე. გაზა-
ფხულზე კი მოედებოდა ისედაც ჭაობიან ნაპირებს და მხენელს
მანამდი არ გაავდებინებდა ხელიდან თესლს, სანამ სასოება არ
დაეკარგებოდათ, რომ სიმინდი მოასწრებს ამოსვლას, გაზრ-
დას და დამწიფებას. თუ ვინმე თავზეხელაღებული ტივით
მოინდომებდა მთელი ზამთარში ხელების გაყინვით, ფილტვ-
ბის ანთებით მოჭრილ ხე-ტყის გატანას, ჯერ ისე მიზოზინობდა,

რომ მოთმინების ყოველ მარაგს გამოლევდა, მერმე სრულიად მოულოდნელ ადგილსა და დროს დაიწყებდა ციბრუტივით ტრიალს და, ბოლოს, იხმარდა უფრო მზაკვრულ ხერხს — მიასილავდა ისეთის სისწრაფით, რომ სირბილით წასული მეტივეები, როცა უკან დაბრუნდებოდნენ ხარ-ურმით, ვეღარ მიაგნებდნენ ადგილს, ვეღარ პოულობდნენ ხე-ტყეს. შემოდგომაზე, როგორც კი ოდნავ გაიმართავდა წელს, უსათუოდ მიაღებოდა ისედაც ტალახიან, ოღრო-ჩოღრო ვზას, აანგრევდა ბოგირებს, აავსებდა ქაობებს, რომ გატეხილ ყანებში ველარაფერი ეშოვა საბალახოთ გადენილ საქონელს. მხოლოდ შუა ზამთარში ოდნავ დაემგვანებოდა მდინარეს: დაიწმინდებოდა, ჩადგებოდა კალაპოტში, ბუტბუტებდა მდინარისათვის შესაფერ რალაც პანგს, მაგრამ რა? ამ დროს წყალს ისედაც არავინ ეტანებოდა... მაგრამ აქაც ადამიანისთვის ურგები იყო, რალაც სუნი დაჰყვებოდა, და სიმლაშე მოსწონდათ მხოლოდ პირუტყვებს, ადამიანი კი ვერ მოიკლავდა წყურვილს. მოკლეთ, უყურელა უფრო ბალღამი იყო, ვიდრე ბალღასინი.

უყურელას პირად ცხოვრობდნენ გლეხები: საეკლესიო, სამონასტრო, სახელმწიფო, დროებით ვალდებულნი და თავისუფალნი. მიწა მათი იყო უფრო ნოყიერი, მათ ზევით ხაზი დაეკავებიათ აზნაურებს, რიცხვით, მგონი, გლეხების ოდენა იყვნენ; და სულ ზევით, კორტოხებზე, ცხოვრობდა ოთხიოდე მოთავადო რალაც ოჯახი. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იყო, რომ, როცა ვისიმე მოტყუება და თავის შებრალება უნდებოდათ, გლეხები ამბობდნენ:

— ჩვენ, ბატონო, რა... ბნელი ხალხი ვართ, თქვენსავით კი ვერ...

აზნაურები ამბობდნენ:

— ხომ იცი, ბატონო, სოფლის აზნაურის ამბავი... სახელია მარტო ერთი, კეთილშობილს გვიძახიან, თვარა...

თავადები სოფელში არც კი აცხადებდნენ თავადობას, ატყობდნენ, რომ თავადობის გასაწევად წელი არ შესწევდათ, თუ ჭარში, დღეობაზე, რომელიმე მათგანს ჩხუბი არ მოუვიდოდა, მაშინ ყველა ერთმანეთს მხარს დაუჭერდა, მაგრამ ასე იქცეოდნენ გლეხებიც და აზნაურებიც.

აქაური თავადი მხოლოდ, როცა ნათხოვარი ცხენით დაბა

ყუყურეთს გასცილდებოდა და ქალაქში ჩავიდოდა, მაშინ დაი-
კიდებდა ქარქაშგაცვეთილ ლეკურს, ვაქსით გააწმენდინებდა
დიასახლისს მალაყელიან წალას და გავიდოდა „გულვარდში“
სასეირნოთ — აქ არ ჩამორჩებოდა სხვას, მათ შორის ყველაზე
თვალსაჩინო იყო თავადი მიხეილი (მეტსახელად „ფორხილა“),
მაგრამ თავადობით თითქმის არავინ მიმართავდა, და ეს იყო,
რომ გულს უსერავდა.

— როგორ გიკითხო, მიხაკო, ოჯახით, ჯალაბით, — მიესა-
ლმებოდა ქალაქში ვინმე ნაცნობი.

— ვახლავართ თქვენგან მოძულეებული, — ოღნავ ჩაიფორ-
ხილვებდა მიხეილი. მომკლა ამ მაზოლებმა, დაუმატებდა იგი.
მაზოლი თავადობის ერთ ნიშნათ მიაჩნდა. ლოლიკური საბუ-
თიც მოენახა ამ მოსაზრებისათვის, ვისაც მაზოლი აქვს, უამუ-
ლია, ახალ წალას ატარებს, და ვინც წალას ატარებს, იმას აქვს
მაზოლი და არა იმას, ვინც ფეხშიშველა დატლიკინობსო.

— მინდოდა, შენ ნუ მომიკვდე, მოსვლა, ჩემი დაიყო მენა-
ხა, მარა შორსა ხართ, გზა არ არის.

— შეგვატყობინეთ ერთი, და ისეთ ბედაურებს გამოგი-
ზაენით, რომ სულ თოხარიკით მოგაფრენდენ ჩემთან — წელ-
შიაც არ გაინძრეოდი... ერთი ბაჩა გამოვიდა, მაინც შენთვისაა
სწორეთ გამოჭრილი.

— უნდა მევიდე ერთი, უნდა მევიდე, ჩემი მეუღლეც
ძალიან მეხვეწება.

— აბა თქვენ იცით, ვნახოთ, აასრულებ დაბირებას თუ არა.

საბედნიეროთ, სიტყვას არავინ ასრულებდა, და ნაოცნე-
ბევი რაშები უნდოდა გაჩნდებოდა და უნდოდა გააქრებოდა
მიხეილის თავში და ენაზე.

ბალიდან მიხეილს სადილზე წაიყვანდა მობაასე და იქაც
ასეთი მუსაიფი გრძელდებოდა.

— თქვენ, ქალბატონო, ჩემი მეუღლის ცხენს მოგართმევ
„ანგლიკი სედლოც“, ბედათ, ახლა ვიყიდეთ — იაფათ შეგ-
ხვდა და ვერ უთხარი უარი თქვენს რძალს. მოგეხსენებათ,
სრულის მცხოვრები ცხენოხნობას ვერ მორჩები...

— რა თქმა უნდა...

— ვენახები რას გიშვება?

— წრეულს დაიკლო... წარმოიდგინე, სულ ორმოცი სა-
საპალნე ჩავასხი... მარა ვაი ქეა, ლეთის წინაშე...

თუ ნაცნობი არსად შეხვდებოდა, მიხაკო შეძვრებოდა დი-
სახლისის დაბალჭერიან ოთახში, მიუჯდებოდა თავის მუღმივ
სატრფოს — ეკას.

— აი შე დაუბერებელი ვაყა, შენ! თუ ასე გიყვარვარ,
რათ არ ჩამოდიხარ ხშირად?! — ეკეკლუცებოდა ორმოცდაათი
წლის დედაბერი და აწოდებდა ამოლესილ ლობიოს და ლუდს,
რომელიც აგრეთვე დიდ არისტოკრატიულ სასმელად იყო მიჩ-
ნეული ამ წრეში.

და სალამოს ისევ დასეირნობდა უყურეთელი თავადი „გულ-
ვარდში“ და გულმოდგინეთ ჰკრეფდა ცნობებს გუბერნატორზე.
მარშალზე, ყოველად სამღვდლოებაზე და ბანკის თავმჯდომა-
რზე, თითქოს მათთან რაიმე საქმე ჰქონდეს.

მაგრამ კეკლუცი ეკა ორ დღეში გამოუღევდა მიხაკოს მანა-
თიანებსა და აბაზიანებს და განთიადზე, როცა ქალაქში ყველას
სძინავს, მიხეილი მიხევეულ-მოხვეულ შესახვევებით, რომ არა-
ვის დაენახა, მიიპარებოდა სოფლისაკენ; განსაკუთრებით და-
სკამალავი იყო უნაგირზე შემოკრული ვეებერთელა ხურჯინი,
მხოლოდ ნახევრად ავსებული, ორი გირვანქა ფარგით, ხუთიოდე
ტარანით, ორი შეკვრა ასანთით, მარილით, ნავთით და რამდენი-
მე ადლი ჩითით. ეკას უკანასკნელი ალერსი და დანჯღრეული
ნაღის „მწყობრი რაწყუნი“, თვლემას ჰგვრიდა მხედარს და ქა-
ლაქური ცხოვრების მშვენიერებაზე ოცნებას უძრავდა.

მაგრამ მოხდა ამბავი საკვირველი, იშვიათი და გამაბედნიე-
რებელი.

მიხეილის სახლის უკან ეზოს ნიადაგი უეცრად მალღდე-
ბოდა და ზევით ბუჩქნარი, ტყე, გვიმრა და ანწლი ერთმანეთში
ირეოდა. ყოველწლიურად აქ სჭრიდენ შეშას, ხარდანს, წკნელს,
და ჩეხდენ, სხეპავდენ და თლიდენ სწორედ კიდეზე, რომ
დამზადებული მასალა აქვე გადმოეყარათ, ხოლო ფოთოლი,
ნაფოტი და ათასი ბალახბულახი იქვე რჩებოდა კორტონის
ნაპირზე. ქალბატონმა მაკრინემ მოისაზრა, რომ ამდენი წლის
დანაღობ ფოთლებსა და ბალახში ნესვი გაიხარებდა, მით
უმეტეს, რომ აქ მუდამ ეონავდა რაღაც წყალი, სასმელათ
უვარგისი, მაგრამ ღორების ნამდვილი კლუბი და საქონელის
ზოგჯერ გულის მომბრუნებელი.



მაკრინეს მოსაზრება გამართლდა. ნესვი მოედდა ბას და სუნი მოეფინა ექვსივე უყურეთს.

მაკრინე უცდიდა მიხეილს, რომელსაც, უეჭველია, მკამშვენიერება არ უშვებდა ქალაქიდან და ერთგული ცოლი კმაყოფილდებოდა საუკეთესო ნესვების სურნელებით და საშუალო ნესვების გემოთი. მაგრამ ღორებმა სხვაგვარად გასაჯეს. (ანარხისტები იყვნენ, ალბათ) — თუ მიხაკო-ფორხილა ეკას ბურჯგნის, ჩვენ ნესვები გადავბურჯგნოთო, ვინაიდან, მართალია, ჩვენ არ ვაგვიზრდია ნესვები, მაგრამ არც ეკა არის მისი გამოფუჩქვნილიო.

როგორც ყოველთვის, ახალგაზრდობამ იღვა თავზე საქმის დაწყება — ოთხიოდე გოჭი მიაღვა ბაღის ღობეს; შეუარეს, შემოუარეს და ერთი გოჭი გაეკვება, თითქოს შემთხვევით, ღობეში. მორთო საშინელი ჭყვილი, მაგრამ უკან დახევის მაგიერ, სულ წინ მიიწევა. ჭყვირილი საერთო ალყის შემორტყმისა და იერიშების მიტანის ნიშნად გადაიქცა და ექვსივე უყურეთიდან დაიძრა ნიჩქვწაწვეტილი, გამხმარი ღორთა სამეფოს ლაშქარი, რომელსაც ისიც კი არ მოსწონდა, რომ გასაგრილებელი კლუბი წაართვეს და ასეთ დაცინვას ხომ მაინც ვერ მოითმენდა, რომ ნესვის სურნელებით აღიზიანებდნენ და მათ შვილებს ასე უგულოთ, უდიერათ ქანჩს უჭერდნენ.

ღობე წამში აღებულ იქნა. პირველმა რიგებმა იგემეს ნამდვილი, მწიფე, სურნელოვანი ნესვი, შემდეგებს დარჩა უმწიფარი, დაგვიანებული, ხოლო ზოგიერთს ერგო მხოლოდ ნესვის ფოთოლი და ძირები. როცა ტახები შევიდნენ, იქ დახვდათ მხოლოდ აჩიქნილი მიწა და ნესვის ორიოდე კაკალი. სუნი მაინც იფრქვეოდა. ნეზები და გოჭები ტრახახობდნენ, თუ რა ნეტარება განიცადეს; ტახებმა მოინდომეს მიწიდან ამოეგლიჯათ ეს ნეტარება. ქვესკნელიდან ამოეთხარათ ამ სუნისა და გემოს მიზეზი და აგორებდნენ ბელტებს, ათიოდე წლის წინათ აქ დარჩენილ ხის კუნძებს, ფესვებს და, ბოლოს, წააწყდნენ ქვას. ქვას წაესია ყველა, თითქოს ამ ქვის ქვევით ყოფილიყოს მთელი სანესვეთი მომწყვდეული. ქვაც გაკაჟდა, არ ნებდებოდა, მაგრამ ოციოდე დრუნჩის ცოცხალმა ბერკეტმა დასძლია ქვას და გადააყირავა... და იფეთქა წყალმა, წყარომ; წყართც არ ეკადრებოდა, არამედ ღელე და ისიც მოდიდო ღელე.

მეორე დღეს აქ მოსული მაკრინე ერთი შეხტა და შეკვირვნილდა, ერთი გაიფოფრა და იკივლა, მაგრამ მასთან მოსულ გადიას უკვე მიმოველო იქაურობა, დაენახა დღე და დღეცა:

— რას ბრძანებ, ქალბატონო, ღმერთს მადლობა უთხარი — თქვენ თავზე ბედნიერებაა.

— რავა, რას მეუბნები, დავიღუპე ქალო... რა მივართვა ახლა ჩემს მიხეილს, მისი ქირიმე...

— რა გენესვება, გადირიე თუ?! აქ წისქვილზეა საქმე, მთელი ოჯახის ბედნიერებაზე... საშვილიშვილო ამბავია, ნუკი ხუმრობ. ორი ბარი რომ დაარტყას კაცმა, მთელი ეს წყალი სახლის უკან ჩამოგვივარდება.

ახლა მაკრინემაც დაინახა... უცბად მიხვდა, რა ამბავიც მომხდარიყო, მაგრამ ენა რომ გამოეწმინდა და სხვებისათვის არ შეემჩნევიანებინა, მაინც წაიქაჩანა ერთი-ორი...

აქედან დაიწყო მთელი ოჯახის გარდაქმნა, ბედი და უბედურება.

ერთთვალისანი წისქვილი მართლაც მოეწყო, და ოც საქვენზე ჩამოვარდნილი წყალი მეორე თვალსაც ეყოფოდა...

მიხეილს უეცრად გამოეცვალა ლაპარაკის კილო, ხასიათი.


— ჩემო ელიზბარა, ამდენი პატივი გეცით, რომ წისქვილი ცხვირის წინ გაგიკეთეთ და მეათედის მოცემასზედაც უარს ამბობთ?! ბესოია — „თავდიდა“ ხომ არა ვარ, რომ ორი ბათმანისათვის დაგიჯდე აქ მთელი დღე.

ერთხანს თვითონ მეწისქვილეობდა, მაგრამ მალე იუკადრისა და საბედნიეროთ იშოვა ყრუ-მუნჯი, ცოტათი ჭკუაზედაც თხელი პეტრიკელა, რომელსაც იმდენი ჭკუა მაინც დარჩენოდა, რომ, რაც არ უნდა წინააღმდეგობა გაეწია საფქვავის მომტანს, ყოველ ათ ხვიმირაში გადარწყულ ბათმანზე ერთ ბათმანს სამინდესი ჰყრიდა და ჯამაგირად კი წელიწადში თხოულობდა ორ ქალამანს, სამოც ბათმანს სიმინდს და ერთ ფუთ ნავთს. პეტრიკელა ბედნიერად სთვლიდა თავს, რადგან დღე არ გავიდოდა, რომ ვინმეს ან ყველი, ან ქიქა ღვინო არ ეძღვნა მისთვის დაფქვის დასაჩქარებლად; და ათასამდი კომლი, რამდენს არ იგინებოდა ჩვეულებრივი ნაოცალის მაგიერ მინდათ ნაათალი მიეცა, მაინც ყოველი შექმული ათი ლუკმის

შემდეგ, ერთი ლუკმა მიხეილის ოჯახში ჰქონდა მიტანილი ყოველ ათ ჯამ ქატოზე უყურეთის საქონელს, წიწილს ერთი ჯამი მიხეილის საქონლისათვის დაეთმო... მხოლოდ ფრინველები და ცხენები იყვნენ ამ გადასახადს თავდახწეულნი... მაგიერათ გემო გაეხსნა მიხეილს. იგი დამშვიდებით ვერ უყურებდა, რომ ღომი და ჭადის-ჭადი გადარჩენილია ხარკს და წისქვილის ქვემოთ, წისქვილიდან ჩამოდენილი წყალით მოაწყოს საცეხველი, რომელმაც ქალები გაანთავისუფლა ილაჭგამწყვეტ კაკვის ბრაგუნიდან, მაგიერათ პურეულის უკანასკნელი წარმომადგენელიც ღალის ქვეშ მოაქცია.

პირველმა ორმა წითელმა თუმნიანმა, რომელიც მინდში ხელში ჩაუგდო მიხეილს, მთელი ოჯახი შეანძრია და უხერხულობაც კი დაბადა; ესენიც, როგორც წინანდელი მანეთიანები და სამშაურიანები, ეკას ყოველთვის კეკლუც, ახლა უკვე ათრთოლებულ ხელში გადავიდა. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი... წითელ თუმნიანებმა დიდი ზღვარი დასდევს გამდიდრებულ თავად მიხეილსა და ეკას შორის... ეკას ადგილი ვილაც პაშამ, წითელთმიანმა მკერავმა ცუგრუმელამ დაიჭირა.

**კუბლისისტური
ნერილები**



მგოსანი მხოლოდ ერთის მისწრაფების

(ა კ ა კ ი)

ბატონებო, ბეატრიჩე ის ლამაზი ქალია, რომელიც 9 წლის დანტეს გამოეცხადა. მაგრამ, ბატონებო, თქვენ ვგონიათ, რომ ამ ლამაზ ჩვენებას შესწირა პოეტმა მთელი თავისი ცხოვრება, რომ ქალის სახელისთვის შექმნა დაუღალავი შრომით „ღვთაებრივი კომედია?“ განა ქალის შემკობისთვის უღუღღა გულში დანტეს ჯოჯოხეთის კუპრი, გამასპეტაკებელს ცრემლებს განა ქალისთვის ღვრიდა და სასუფეველში მართლა ქალმა შეიყვანა?

არა და არა?

ბეატრიჩე მხოლოდ ფსევდონიმი იყო; ბეატრიჩე პირადი სახელია უპირადო სატრფოსი — მამულის! დაქსაქსული, მტრებისაგან აოხრებული იტალია — ესაა ნამდვილი ბეატრიჩე. ამ უსულო ბეატრიჩეს შესწირა პოეტმა პირადი ბედნიერება; იტალიისთვის ითმენდა ჯოჯოხეთის ტანჯვას; მისთვის აფრქვევდა გამასპეტაკებელ ცრემლებს; მას, იტალიას, მიუჩინა „ღვთაებრივ კომედიაში“ სამყოფად სასუფეველი; მხოლოდ თავისი სამშობლოს, იტალიის წინამძღოლობით და მფარველობით გაბედა სასუფეველში შესვლა.

ყველა იტალიის მოღალატე სამარადისოდ შთააგდო დანტემ სატანას ხელში, ყოველს უბედურს შეიღს იტალიისას ივედრებს უფალს ცოდვების შესანდობელათ, ყოველს დამსახურებულს სამშობლოს წინაშე მიანიჭა პოეტმა სასუფეველი. „ღვთაებრივ კომედიაში“ იტალია ზოგან მოკარნახე ძალაა,

ზოგან ბეატრიჩეს სახელით გამოყვანილი მომკმედი პირი
კეთილი, მაღალსულოვანი, სათაყვანო.

პოეტის მთელი ძალა მოუნდა ერთს თხზულებას, მისწრაფების გამოხატვას.

ბეატრიჩე იყო, ბეატრიჩე უყვარდა პოეტს, მაგრამ არა
ჩვეულებრივის პირდაპირის მართლაც სიყვარულით, არამედ
სამშობლო იტალიისაგან ხორცშესხმულ ქმნილებაზე გადატა-
ნილის სიყვარულით. ასე, მთვარე გვინათებს მზის სხივებით!

ორმოცდაათი წლის განმავლობაში აკაკიმ მრავალი თხზუ-
ლებანი შექმნა: დრამები, პოემები, ლექსები, მოთხრობანი და
საჟურნალ-გაზეთო წერილები. და აი საკვირველება! —
ყველგან იგივე სურათი, ყველგან იგივე სურვილი.

ამკობს ქალს, აგვიწერს იას, აღტაცებაში მოყავს ჩვილ
ყმას, თუ დასტირის მიცვალებულს, ყველგან მოისმის იგივე
აკკორდი, იგივე ვნება სამშობლოს სიყვარულისა.

ვარდის სურნელება, იის სინაზე, ლომის ვაეკაცობა, ქალის
შვენება, ყველაფერი მიაქვს პოეტს თავის მამულის შესამკო-
ბად, სასიამოვნოთ, სახსნელათ!

მე არ მგონია, რომ აკაკის ახსოვდეს გიჟური კოცნა სატრ-
ფო ქალის, არა, მას არ შორდება მხოლოდ სურვილი დაკოც-
ნოს, გულში ჩაიკრას, ცრემლები შეაშროს, ჯაჭვები ახადოს
თავის ერთადერთს საყვარელს — საქართველოს. აკაკიმ ათასი
სახელი დაარქვა საქართველოს... უსულო და სულიერი — ყვე-
ლაფერი მისთვის საქართველოა — იგივე ჩვენება, იგივე სურა-
თი.

ეს, — მომიტევეთ ბატონებო, კადნიერება! — თავისებური
მონოთეიზმია, ეს ავადმყოფური სიყვარულია. ყოველ საგანში
ერთი და იმავე სახის დანახვა პატალოგიური მოვლენაა!

50 წლის გიჟური სიყვარული შეიგნო მიჯნურმა. სხვადასხ-
ვა ფერად, სხვადასხვა გვარად მოდის შენთან, ბედნიერო პოე-
ტო, შენი სამშობლო: ია გიმშვენებს გზას, ზურმუხტი ცა გო-
ლიმის, ვარდი სურნელებას გიძღვნის, ქალი გეტრფის, ბავშ-
ვები გიგალობენ... ეს საქართველოა სხვადასხვა სახით.
მხოლოდ ლომები, ლომები არსად არიან... შეიძლება იყვნენ
ხალხში, მაგრამ ბრჭყალებს ჯერ ვერ აჩენენ. ნუ გეწყინება!
დაგვირგვინებულ ბედნიერებას მამულისას, რა ვუყოთ,

რომ ვერ მოესწარი სიკვდილის წინ ხომ მაინც გრძნობ მომავალ
ბედს? და ამ გრძნობას სულთა მბრძოლი თან ჩაიდნობ:

არ მომკვდარა საქართველო!
აჰყავდებო ერთხელ კიდევ!
და ვაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდით-კიდევ.



[1908 წ.]

„სამშობლო“

განახლებული სათავადაზნაურო თეატრი თფილისში ამ
კვირას გაიხსნება. დირექციას იმედი აქვს ახალი როლი შე-
იტანოს სცენაზე. აფიშებში გამოცხადებულია საკმაო რიცხვი
ახალი პიესებისა. რეპერტუარს კი იწყებენ უძველესი პიესით—
„სამშობლოთი“. ზოგი უკმაყოფილოა, განა ეს არის განახ-
ლება ქართულის სცენისაო. ზოგიერთებს ჰგონია, რომ ახალი
სცენა, ახალი რეპერტუარი, ახალ ტანისამოსივით ძაფიდან
დაწყებული სარჩულ-საპირემდის ახალი უნდა იყოს. ნამდვი-
ლათ კი სცენის განახლება ნიშნავს ისეთის პიესების მიღებას,
ისეთის პიესების სცენაზე დადგმას, რომელთაც ცხოვრებაში
ჯერ მნიშვნელობა არ დაუკარგავთ და ისეთის პიესების მიმა-
ტებას, რომელნიც ახალმა ცხოვრებამ გამოიწვია. ცხოვრება
ძლიერ ნელ-ნელა იცვლება: აი საქირთა, რაც შეიცვალა, რაც
გაჩნდა — მას ადგილი დაუთმობთ, გავფურჩქნობთ, მაგრამ არ
დავიფიწყობთ ისიც, რაც, სავალალოთ, უცვლელია.

დაბერდა, მნიშვნელობა არ აქვს „სამშობლოს“, „ღალატს“,
„და-ძმას“? აქვს და დიდი მნიშვნელობაც!

გინახავთ თქვენ მხიარული ყრუ და მუნჯი? მე მგონია, რომ
არა! ან და თუ კვლავ დიმი მოუვა პირზე, მწუხარების ნაოქებს
მაინც ვერ გააქრობს და თვალები ისევ და ისევ სევდით სავსე
რჩება.

ბევრმა ნახა „სამშობლო“, „ღალატი“, „და-ძმა“, იგრძნო
გულის მე-0,000...1 ნაწილით პატივისცემა თავდადებულთა-
მი. გაახსენდა ყოფილი თავისუფლება, ეხლანდელი „ჩაბალახ-
-

ახდილობა“, ოდნავ დასტკება ესტეტურათ და გათავდა სწორედ ისე, როგორც მუნჯისა და ყრუს ნახეა ოდნავ შეგაწუხებდა ოდნავ სიბრაულეს იგრძნობთ და მერე შეუდგებით თქვენს საყოველღეო საქმეს. მაგრამ თვით მუნჯს, თვით ტანჯულს უსიტყვობით, არ ავიწყდება თავისი უბედურება და რაც უნდა გართული იყოს საქმეში, მაინც ახსოვს თავისი ჭირ-ვარამი.

დასახელებული პიესები დრამატიული ხელოვნების მხრე (თვით „ლალატიც“) ვერ გვაკმაყოფილებსო. ქვეშარიტებას მაგრამ, საუბედუროთ, ამ საგნის შესახებ სხვა დრამები არ გვაქვს და სანამ უკეთესს ვიშოვიდეთ, ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ ეს პიესები წმინდა გრძნობებს გვიღვიძებს, ჩვენს მოვალეობას მოგვაგონებს, ლაჩრულ მოთმინებას გვაზიზღებს და გვაიძულებს საქართველოს მომავალ ბედზე ვიოცნებოთ.

[1908 წ.]

ერთი საღამო აკაკისთან

კაი ხნის ამბავია. წელიწადი არ მახსოვს. ზამთარი იდგა. ქუთაისში თ. დ. მიქელაძის ოჯახში ერთ საღამოს დიდი საზოგადოება შეიკრიბა. სხვათა შორის იყვნენ ალ. ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) მ. გურიელი (ფაზელი) და დღევანდელი ჩვენი იუბილარი — აკაკი. ბავშვებიც ბევრი ვიყავით. როგორც ამბობენ, იმ ხანებში აკაკის მასპინძლის ვაჟისთვის, პატარა ივერიკოსთვის, ეძღვნა ცნობილი საყმაწვილო ლექსი:

„ქრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა...“

შემდეგი ლექსი ამიტომაც უნდა ყოფილიყოს, როგორც გამიგონია:

„მას მიეპარა ი ვერა, დაიჭირა და იამა...“

და არა ისე, როგორც ნაბეჭდშია:

„მას მიეპარა ყმაწვილი დაიჭირა...“

ბავშვები ცნობის მოყვარეობით და პატივისცემით შეეყურებდით ჩვენი მწერლობის დიდებულთ. ზოგს ჩვენგანს მთელი მათი თხზულებანი უკვე წაეკითხა და უფრო ბევრი კიდევ გაეგონა მათზე მშობლებისა და ნაცნობებისაგან. ბავშვები სულგანაბული უკვირდებოდით ხან ჩუმსა და ნაღვლიანს ამოხენეშას დიდებისას, როცა, მათ გაახსენდებოდათ „ხანჯალი“,

„დამეხსენი, ოსმალეთო...“ ხან გაფაციცებით ვისმენდით მ. გურიელისაგან წაკითხულს: „ალავერდის“ ან ალ. ყაზბეგისაგან წარმოთქმულს: „სამშობლოს ხევსურისა“-ს.

მამია ხანდახან ბავშვებს მკლავს უსინჯავდა და თავისებური სიღინჯით, თითქოს სიტყვები სხვა ქვეყნიდან მოდისო, ჰკითხავდა ახლო მყოფს, „დახედე რა მკლავი აქვს... ვერ გასწევდა კახაბერობას?“

წვრილი, მოღუშული მამია, გამხმარი, გრძელი თითებით, რომელზედაც ჩაყვითლებული დიდის ხნის მოუქნელი ფრჩხილები ჰქონდა, სწორეთ ბოროტს სულს ჰგავდა და ბავშვებს ცოტა არ იყოს კიდევაც გვემინოდა მისი. მოჩხუბარიძეც ბავშვებისთვის ვერ იყო მიმზიდავი, მაგიერათ აკაკი, თეთრის თმით, საოცნებო კეთილის სახით და ტკბილის ამხანაგურის ბაასით გვათამამებდა, და ჩვენც მას ვეხვეოდით. ხანდახან, თითქოს გვეჯიბრებო, ერთს ლექსს რომ ჩვენ ვეტყოდით, ორს ის გვეტყოდა. როცა ერთმა ბავშვთაგანმა აკაკის მისი ახალი ლექსი — „ქართველი უცხოეთში“ — წაუკითხა, აკაკის სახე გაუბრწყინდა და სიხარულით უთხრა ფაშელს: შეხედე, ამათაც იციანო: შეიძლება ამ სიამოვნების მიზეზი იყო, რომ აკაკი მთელი საღამო ბავშვებში დარჩა.

ვიღამაც იმ საღამოს აკაკის მიმართა: „რა ბედნიერი ხარ, რომ ბავშვებს ეგრე უყვარხარო!“

— ჰე, წამოიზრდებიან თუ არა, ზურგს შემომაქცევენო, — უპასუხა ოდნავ დაღვრემილმა აკაკიმ.

ასეთი იქვიანები არიან ნაზმგრძნობიარე ადამიანები: რაც უნდა პატივისცემით მოეპყრათ მათ, რაც უნდა შეიყვაროთ — ისინი მაინც უმადური არიან, რადგან მათ თვითონ უფრო ღრმად და ძლიერათ უყვართ, ვიდრე მათი შეყვარება საშუალო ადამიანს შეუძლია.

ნუთუ დღესაც, როცა პოეტისადმი სიყვარულსა და პატივისცემას მთელი საქართველო შეუკრებია, აკაკი მეტს სიყვარულს გრძნობს ჩვენდამი?

ნუთუ დღესაც გვეკარბობს და დღესაც უკმაყოფილოა მობუცი?!

მკვს გარეშეა!

[1908 წ.]

თავის დღეში დრამა, სცენა არ იქნება ნამდვილი სურათი ცხოვრების. რაც ცხოვრებაში წლობით მოხდება, რაც ცხოვრებაში ათასი სიტყვით გამოითქმება, რაც ათას ადამიანშია გაფანტული, ის სცენაზე უნდა მოხდეს ორ-სამს საათში, გამომქლავნდეს ორი-სამი სიტყვით, ჩამოყალიბდეს ერთს ადამიანში. სცენაზე სინამდვილე ნიშნავს მხოლოდ და მარტო ერთგვარის პროპორციის დაცვას მოქმედ პირთა სიტყვებში და მოქმედებაში, ერთგვარის გრძნობის და გონების ვალეიდებას ანდა გაცხოველებას მაყურებლებში. პირველი დრამატურგიის საქმეა, მეორე კი — მსახიობისა.

„სამშობლო“ დიდი ხნის მეგობარია ქართული საზოგადოების, მისი სიავ-კარგისათვის არ ღირს ლაპარაკი. ცნობილია, რომ, როგორც დრამატიული ნაწარმოები, სუსტია, მაგრამ „მასში რაღაცაა“ და ეს რაღაცა, თუ ბევრისთვის აღარაა საჭირო, ბევრისთვის საჭირო „ცხოვრების ელექსირია“.

გულის ფანცქალით ჩვენ მხოლოდ ორს ვუცქეროდით: შეუნიშნავს, მაგრამ მრავალმნიშვნელოვან ხელს რეჟისორისას და ახალგაზდა არტისტს ბ. იშხნელს.

რეჟისორის უნარსა და გემოვნებაზე სხვა უფრო შესაფერ პიესის დადგმის დროს ვიტყვით რასმე, რადგან „სამშობლოს“ დადგმა ჩვეულებრივ ტრაფარეტებს არ გადაცილებია.

ბ. იშხნელი მშვენიერი იყო ხიმშიაშვილის როლში. ამბობენ, ხიმშიაშვილი არ არის ბ. იშხნელის რეპერტუარით. შეიძლება... ისიც შეიძლება, რომ ბ. იშხნელმა შეუგნებლად ითამაშა ეგრე მშვენიერაო. მე მგონია, რომ ბ. იშხნელის თამაში სწორედ რომ ნამდვილი და არა ყალბი სტილიზაცია იყო, ისეთი სტილიზაცია, რომელსაც უსათუოდ აქვს მომავალი. ცხოვრებაში ხიმშიაშვილი მეტად გამოაჩენს სულიერს, შინაგან მოძრაობას, გარეგნათ მეტს სახეს მისცემს, მაგრამ არტისტისთვის არ არის საჭირო, სწორედ ისე მოიქცეს, როგორც მოიქცეოდა ცხოვრებაში გმირი. არამედ არტისტის მოვალეობაა თქვენ გაგრძნობინოთ ის, რასაც იგრძნობდით, რომ ცხოვრებაში გენახათ ნამდვილი, ცოცხალი ხიმშიაშვილი.

სიცოცხლით სავსე, ტრფობის ბადეში გახვეული ხიმშიაშ-

ვილი ებრძვის ორს გრძობას — სიყვარულს სატრფოსადმი და პატივისცემას მეგობრისადმი, ვერც ერთს ვერ შეაქცია სრულიად ზურგი. ხიმშიაშვილს არც კი ჰგონია, რომ ამ ორს საკითხში შეუმჩნევლად ჩაებმება მესამე გრძობა — მამულისადმი სიყვარული. გმირობა, მამულისთვის თავისდადება ისე აქვს ხიმშიაშვილს ზორცსა და რბილში გამჭდარი, რომ არც კი ეფიქრება მისი და, როცა საჭიროა, უბრალოდ, შეუმჩნევლად, მოიქცევა საუკეთესოდ.

სატრფო რომ დაინახა მამულის მოღალატედ, გამცემათ საუკეთესო მამულიშვილთა, არ შეუდრკა ხელი და მოჰკლა კიდეც. რაღა დარჩა ახალგაზდას? აოხრებული სამშობლო... ჩაბალახ-ახდილის, უნამუსო საყვარლის, მისგანვე მოკლულის ცხედარი... და შორს კოცონის ცეცხლში გახვეული მეგობრები, თან შეთქმულები... და ისიც მირბის კოცონისაკენ...

დინჯათ, წყნარათ, თითქოს აულელვებლად, მაგრამ საოცარის სახის თამაშით, დაგვიხატა ბ. იშხნელმა ხიმშიაშვილი და მისი სურათი ვაგვატანა სახლში. მეტი არსტისტს არაფერი მოეთხოვება.

[1908 წ.]

ქართული თეატრის მომავალი

სეზონი გათავდა. თუ კიდეც რამდენიმე პიესას დადგამენ ქართულ სცენაზე სეზონის გაგრძელებაში, იმედი მაინც არ ვვაქვს, რომ რაიმე ახალი, შესანიშნავი შეიტანონ ქართულ სასცენო ხელოვნებაში.

ქართულს სეზონს ახასიათებდა ჩვეულებრივი უსისტემობა, არტისტების მოუმზადებლობა, ანსამბლის უქონლობა, ერთი და იმავე პიესის განმეორება. ერთად ერთი სასიამოვნო გამონაკლისი მხოლოდ დეკორაცია იყო: დეკორატიული მხარე მართლაც რომ სასურველად მოაწყო ბ. ყანჩელმა. მაგიერად სხვა მხარეები, როგორც ვთქვით, ძლიერ და ძლიერ კოჭლობდა.

ჯერ ერთი არ შეიძლება 14 წარმოდგენიდან პატრიოტულ გრძობათა აღმძვრელ პიესებს დაეთმოს 7 (არა ნაკლებ შეი-



დისა, შეიძლება რვა იყო, კარგად არ მახსოვს). ყოველი ჩვენგანი, გარდა ქართველობისა, გრძნობს სხვადასხვა მოქალაქეობრივ მოვალეობას და მიდრეკილებას და სურს, მამასადამე, სცენაზე ნახოს მათი მხატვრული გამოქვეყნება.

სეზონის დასაწყისის სიამოვნებით ვეგებებოდით, რომ ახალს რეჟისორს, წინააღმდეგ ზოგიერთების სურვილისა, ადგილი დაეთმო ისეთი პიესებისთვისაც, როგორიც არის „ლალტი“, მაგრამ, ვიმეორებ, მთელი სეზონის 1/2 დამთავრება მათთვის შეცდომაა. მეტი მეტი, თავის რეჟიორ, ნათქვამია.

უნუგეშო მდგომარეობა ქართული თეატრის გვამძულეს ყველას ამ საგანს ძლიერ ჩაუკვირდეთ და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოთ მატერიალურად იქნება თუ სულიერად.

როცა ევროპიელი მიდის თეატრში, მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, ესტეტიურად დატკბეს და ყოველდღიურ ჭირ-ვარამით დაქანცულმა რამდენიმე საათით მაინც დაისვენოს. სხვა რაიმე მიზნით თეატრში არ წავა ევროპიელი, რადგან სხვა მისწრაფებას სხვა დაწესებულებანი აკმაყოფილებენ.

რუსეთის შეხუთული ცხოვრება აიძულებს მსმენელს თეატრში გარდა მოსვენებისა, ესტეტიური სიამოვნებისა, გონების განვითარებაც ეძიოს.

ჩვენში, საქართველოში, კი ამ თეატრის დანიშნულებებს კიდევ ემატება ერთი და შეიძლება უდიდესი მიზანი — ენის შენახვა, ენის დემონსტრაცია.

რა ვიმოქმედეთ გასულ სეზონში ასეთის მრავალმნიშვნელოვან დაწესებულებებისათვის, როგორიც არის, ჩვენის აზრით, თეატრი?

არაფერი!

არტისტების უმრავლესობა სუსტობდა. მათი განვითარებისთვის საჭირო იყო ყურადღება მიექცია არა მარტო რეჟისორებს და დრამატიულ საზოგადოებას, არამედ ჟურნალ-გაზეთებსაც და ინტელიგენციას. ჩვენს სცენაზე მუშაობს ზოგიერთი ნიჭიერი არტისტი, რომელსაც უცხო ენა იმდენად არ ეხერხება, რომ თამამად ისარგებლოს; ზოგიერთმა არც კი იცის რა საშუალებას მიმართოს, თავისი ხელობის შესასწავლად, ინტელიგენცია, ჟურნალ-გაზეთობა ლექციების მოწყობით, თუ საბუთიანი სასცენო ხელოვნების შესახებ წერილების

დაბეჭდვით უნდა დახმარებოდა მათ! მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ჩვენს ეურნალ-გაზეთებში არ გაურჩევიათ არც ერთი დრამა, არ განუხილავთ არც ერთი ტიპი, არ უღვწეულა ბაასი არც სცენის ისტორიაზე, არც მის აწმყო მდგომარეობაზე.

მგონია, რომ ვისაც გული შესტკივა ქართული თეატრისათვის, დღეიდანვე უნდა შეუდგეს ამ დანაკლისის შევსებას, რათა მომავალ სეზონში ორი-სამი მოსაზრების შეტანა მსახიობთა წრეებში მაინც მოესწროს.

საკიროა დრამის ისტორია, სხვადასხვა ტიპების გარჩევა, დიდ მსახიობთა მანერებისა და ცხოვრების შესწავლა, პლასტიკის ძირითადი კანონების გადმოცემა, მიმიკისა და გრიმის შესწავლა და ათასი სხვა. ყველა ეს საკმაოდ არის გამორკვეული რუსეთისა და უცხო ქვეყნების მწერლობაში და მათი თარგმნა, თუ გული გულობს, არაა საძნელო. ჩვენი რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ასეთს წერილებს, ნათარგმნსა თუ ორიგინალურს, აღმანახის ფურცლებს.

მაგრამ სულიერ საზრდოს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა კუჭი ოდნავ მაინც დაკმაყოფილებულია. ქართველ არტისტებს კი შეუძლებელია, რომ არ შიოდეთ. სეზონი ქართული თეატრის სამი-ოთხი თვე გრძელდება და მსახიობთა უმრავლესობას თვეში 40-დან 50 მანეთამდე ეძლევა. საკვირველია, რა გვარად ახერხებენ ჩვენი არტისტები ცხოვრებას!!

გასულ სეზონში ბევრი საუკეთესო ქართველი მსახიობი ან სრულიად არ იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში, ანდა ძვირად გამოდიოდა სცენაზე. შეიძლება მათ მომავლისთვის აღვითქვან მიტოვებულ სცენაზე მუშაობა და ეხლაც უნდა გაგება, თუ როგორ და რაში გამომქლავნდება მათი სცენისადმი სიყვარული. თვით იუჟინსაც კი უნდა მიმართოს დრამატიულმა საზოგადოებამ. ვინ იცის, იქნებ, რამოდენიმე ხნით ჩამოვიდეს და თავის ავტორიტეტით, სცენის საქმის ცოდნით, სისრულეში მოიყვანოს ის სურვილი, რომელიც, როგორც აქა-იქ ხმა დადის, ცრემლებს აფრქვევინებს თურმე: ქართულ საქმეს მეც მინდა რამე შევძინოვო. განა არ შეიძლებოდა დრამატიულ საზოგადოებას ბ. იუჟინისთვის თხოვნით მიემართნა, რომელიმე სცენის დარგისთვის სახელმძღვანელო შეედგინა? თარგმ-

ნით ვინმე გადათარგმნიდა, და თუ ცალკე წიგნად არ მოხერხდებოდა, ქურნალში ან გაზეთში მაინც დაიბეჭდებოდა.

გარდა უკვე ცნობილ არტისტებისა, დრამატურული სახეების გადოება მხურვალედ უნდა შეუდგეს ახალი ძალების შემოკრებას. მაგალითად, კორესპოდენტები პროვინციებიდან გვაწვდიდნენ ცნობებს, რომ აქ ნიჭიერი სცენის მოტრფიალე გამოჩნდაო, იქ მუყაითი შრომა შევნიშნეთ მსახიობსო. ამ კორესპოდენტებიდან ათში ერთი გამოდგება მართალი და უტყუარი, მაგრამ იმ ერთისთვისაც ღირს ძებნა-კვლევა. აგრეთვე დრამატიულ კურსებზე, როგორც თფილისში, ისე უცხოეთში, არიან შეგირდები, მათთან გაცნობა და მათი, თუ მოსახერხებელი იქნა, მოწვევა გააძლიერებს ჩვენს სცენას...

როგორც ამდენმა ხანმა დაგვარწმუნა, რამდენიმე ტრუპის ყოლა ქართველ ერს არ შეუძლია. იმ ტრუპებიდან კი, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობდნენ, ერთი რიგიანი ტრუპის შედგენა ბევრად უფრო შესაძლებელია. სრულიად არ არის საჭირო, რომ ეს ტრუპა მხოლოდ ერთს ქალაქს, თუნდაც თფილისს მივაკუთვნოთ, მაგრამ უმთავრესი მოღვაწეობა თფილისში დარჩება... იმავე არტისტებს შეუძლიათ მოთხოვნილებანი სხვა კუთხეების (ქუთაისის, ფოთის, ბათუმის) დააკმაყოფილონ ყოველ კვირეულს; რაც შეეხება ბაქოს, კავკავს განაპირა ადგილებს (სოხუმში), იქ გასტროლებია უსათუოდ საჭირო დიდმარხვაში მაინც. ზაფხულში კი სააგარაკო ადგილები, პროვინციის პატარა ქალაქები უნდა მოიაროს ჩვენმა ტრუპამ.

ერთი სიტყვით, არტისტები თითქმის მთელი წლითაა საჭირო დავიჭირავით. არ ვიცი, რომ სხვაგან სადმე მთელი წელიწადი მუშაობდეს ერთი და იგივე ტრუპა, მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული პირობები გვაიძულებენ განსაკუთრებულად მოვაწყუოთ ტრუპის საქმე. საქმე იმაში გახლავთ, რომ რამოდენიმე ტრუპის შედგენა, რომელნიც სხვადასხვა ადგილას მართავდეს წარმოდგენებს, შეუძლებელია, ერთი — ხეირიან მსახიობთა რიცხვის სიმცირის გამო და მეორე — უსახსრობის გამო, ხოლო ტრუპამ რომ მოახერხოს, ყველა კუთხეები მოიაროს, სადაც კი სცენის მოთხოვნილებაა, ათი-თერთმეტი თვე მაინც მოუხდება.

ამ საქმისთვის საჭიროა დიდძალი ფული. მართალია, მაგრამ თუ შევეერთებთ იმ ჯამებს, რომელსაც ქუთაისისა და თფილისის დრამატიული საზოგადოებანი შოულობენ, თუ მივმართავთ ყველა ჩვენს დაწესებულებებს (ბანკებს, ს. აზ. დეპუტატთა საკრებულოებს, ქალაქის თვითმმართველობებს), კერძო შეძლებულ პირებს, არ მგონია, რომ ფული ვერ ვიშოვოთ. ყოველი საქმე ჩვენში ბოლოს და ბოლოს ქველმოქმედებაზე ამყარებს თავის იმედებსო, ღიმილით ჩაილაპარაკებს მკითხველი. არა, ბატონო, ეს არ გახლავთ მართალი. თავისუფალ სახელმწიფოს შემოსავლის ერთი დიდი ნაწილი კულტურულ დაწესებულებებს ხმარდება, სხვათა შორის თეატრსაც. ჩვენი გადანახადი კი ქარს მიაქვს. და, სანამ ქარი არ ჩაგვიგდია, მეორეჯერ უნდა გადავიხადოთ უკვე გადახდილი. ჩვენი ქართველი მოღვაწეები და მათ შორის ქართველი მსახიობნი მზად არიან სილატაკეში, სილარიბეში იმუშაონ, თუ მათ დავეხმარებით არ ქველმოქმედებით, არამედ ჩვენივე სურვილის დასაკმაყოფილებლად. ქველმოქმედების იდეით გატაცებული ადამიანი მარგალიტსაც არ მიიღებს, ხოლო თანამოაზრიდან ერთი კაპეიკიც ძვირფასია.

ამას ნებაყოფლობით ერთმანეთის დახმარება ჰქვია და არა ქველმოქმედება.

[1909 წ.]

შემთხვევითი წერილი

სწავლა დაიწყო და, როგორც ოსტატები, ისე დიდი და პატარა შეგირდები დაფუსფუსებენ წიგნის მაღაზიაში და ეძებენ საჭირო სახელმძღვანელოებს.

ოსტატები ერთმანეთს უზიარებენ აზრს ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოების შესახებ, არჩევენ რომელი სჯობიაო და თავისი საგნის დაყენების გასაუმჯობესებლად შრომასა და ფიქრს არ გაუარბიან.

პატარები უკვირდებიან უცნობ სურათებს, საკვირველ ფორმულებს, გაუგებარ სათაურებს და სიამოვნებით ელიან საიდუმლოების ახსნას, ახალი წიგნის შესწავლას.

წვრილის, მსხვილის, მწყარალის მორიდებულის, ნაძალადეგ დარდიმანდულის და შეჩერებულ-დარცხვენის ხმით გაყვიტ-
ლებული მასწავლებელი, სისხლბორცით სავსე გემნაზიელი
და მეოცნებე გემნაზიელი ქალები მოითხოვენ ალგებრას, გეო-
მეტრიას, გერმანულს, ფრანგულს, ხანდახან სომხურსაც კი,
მაგრამ ვერ გაიგონებთ, რომ ვინმემ ქართული ენის სახელმძღ-
ვანელო მოითხოვოს. რევოლუციის დროს მიგდებულ-მიტო-
ვებული ლათინურის სახელმძღვანელოებმა ისევ გამოყვეს
თამამად თავი, მხოლოდ ქართულს, ქართულს არაფერი ეშველა,
არც რევოლუციის ხანაში და არც ეხლა.

მაგრამ გავა ორი თვე და რალაც საკვირველმოქმედებით,
როცა თქვენი ლიზიკო, თამრიკო, მიშა და ლადო მოიტანენ
ნიშნებს, უსათუოდ იქნება ნიშანი ქართულ ენაშიაც და თითქ-
მის უსათუოდ შეგვიძლია ვთქვათ — კარგი, საკმაო ცოდნის
ნიშანი.

რომ კითხვით ბავშვს, რა ისწავლა, რას სწავლობენ ეხლა
ქართულში, ხეირიანად ვერც გეტყვის პასუხს, ხოლო ძლიერ
დაწვრილებითაც კი მოგიყვებათ, თუ როგორ აწვალებენ „ბა-
ტონს“. ასე უძახიან თითქმის ყოველ მთავრობის სასწავლებ-
ელში ქართულის მასწავლებელს ეს „ბატონი“ ჩვეულებრივ
გადაყრუებული მოხუცია, უსაზღვროთ გულკეთილი და აგ-
რეთვე უსაზღვროთ ზარმაცი. უსაზღვროთ გულკეთილი-მთქი
რომ მოგახსენეთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მე პართლაც
გულკეთილად ვრაცხდე მას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ეგრე
უძახიან ცხოვრებაში ასეთს ადამიანებს.

საერთოდ ქართული ენის მდგომარეობა არსად არ არის
სასურველად დაყენებული; არსად არ ისწავლება ქართული ენა
ისე, როგორც ამას მოითხოვს ყოველი ერი თავისი დედამიწ-
ისთვის. ფრანგმა მოწაფემ ბევრად უკეთ იცის ფრანგული, გერ-
მანელმა მოწაფემ — გერმანული, რუსის შეგირდმა — რუსუ-
ლი, ვიდრე ქართველმა მოწაფემ ქართული. ეს იმით აიხსნება,
რომ სწავლის ენათ ქართული მხოლოდ უმდაბლეს სასწავლებ-
ელშია და მეორეც ქართული ენის დაბეჩავებას ცხოვრება
ძლიერ ამკარად ამჟღავნებს, ისე რომ როგორც მასწავლებელი,
ისე მოწაფეც საკმაო ყურადღებას და გულმოდგინებას არ
უძღვნიან ქართულის შესწავლას. სხვაგან, გარდა ეროვნული

გრძნობისა, ენის შესწავლის სუოვილს ბევრად უფრო აძლიერებს საჭიროება. ჩვენში კი ასეთი საჭიროება ძლიერ და ძლიერ პრობლემატური საკითხია უმრავლესობისათვის. რაც უნდა გულმაგარი ოსტატი იყოს და გულმხურვალე შეგირდი, მაინც მათი ენერგია სუსტდება შავის ფიქრით, რომ უქართულოდაც შეიძლება ცხოვრების გზის გაკაფვა, კეთილ მოქალაქედ გახდომა.

რამდენად მართალია ასეთი მსჯელობა, ბევრჯერ გაურჩევიათ; ჩვენც ოდესმე დაუბრუნდებით საკითხს, თუ როგორ ქვეითდება ადამიანის ბუნება, როცა მშობლიურ ენაზე ვერ ახერხებს სწავლა-განათლებას. აქ გვინდა მხოლოდ ორიოდ მოსაზრება გაუზიაროთ საზოგადოებას, თუ როგორ შეიძლება უკეთესად მოწყობა ქართული ენის სწავლებისა მთავრობის სასწავლებლებში დღევანდელ პირობათა მიხედვით.

თითქმის ყოველ მთავრობის სასწავლებელში რამდენიმე გაკვეთილი აქვს დათმობილი ქართულს. ზოგიერთ სასწავლებელს ქართულის ენისთვის განსაკუთრებული სუბსიდია ეძლევა (მაგ. ქუთაისის თავადაზნაურობა ეხმარება წმინდანინოს სახელობაზე დაარსებულს გიმნაზიას). საუბედუროთ, გაკვეთილების ამ მცირე რიცხვსაც ვერ ვიყენებთ. მართალია, თვით მთავრობა არ უწყობს ხელს, რომ საგანი კარგად იქნეს დაყენებული, მაგრამ ბევრში მასწავლებლები და საზოგადოება არიან დამნაშავე. როგორც წინათაც ვთქვით, სასწავლებლების უმრავლესობაში დაბუდებულან ისეთი ოსტატები ქართული ენისა, რომ დიდ გულკეთილობად მიაჩნიათ შეგირდს ხუთებით აუვსონ „დღიური“ და მთელი გაკვეთილი ზღაპრების მბობაში და საოჯახო მასლაათში გაატარონ, მაშინ როდესაც თუ არ ენის, ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლა — ამ საგანთა შეყვარება მაინც შეიძლებოდა.

რადგან მთავრობა ამ საქმეს არ კიდებს ხელს, რადგან ზოგიერთისთვის ხელსაყრელიც კი არის ასეთი მდგომარეობა, ჩვენ შეგვიძლია, თუ მეტს უნარს გამოვიჩინთ, ქართული ენის სწავლება უფრო კარგათ (არა სასურველად, არამედ უფრო კარგათ) მოვაწყოთ.

ამისათვის საჭიროა საუკეთესო ქართველმა ინტელიგენტებმა არ იუკადრისონ და ეცადონ როგორმე აიღონ ქართულის

გაკვეთილები სასწავლებლებში. ეს ერთი. მეორეც, შეიძლება სასწავლებელთან არა სავალდებულო გაკვეთილები ქართული ენის დაარსდეს. ვინც გულით მოეკიდება ამ საქმეს, ციფრს მოახერხებს. თუ ინგლისურის და ესპერანტოს შესასწავლო არსდება ჯგუფები, თუ ნებას აძლევენ მთავრობის სასწავლებლები არა სავალდებულო გაკვეთილებისას ყოველ მასწავლებელს, ვერც ქართული ენის ოსტატებს ეტყვიან უარს ამაზე, თუნდაც გულში არა სასიამოვნოდ ეჩვენოსთ. ასე ხებრად არ მოიქცევიან უბრალო მიზეზების გამო. არავის არ სურს აშკარად თავისი თავი უსინდისოთ დასახოს. ამ საქმისთვის ინტელიგენციის შეკრება ქ. შ. წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების საქმეა. მე რომ რაიმე გავლენა მქონდეს, თვით აკაკისაც კი მიემართავდი თხოვნით, ათასგვარ დაუფასებელ სამშობლოსათვის შრომას ერთი მისთვის არა ჩვეულებრივი ღვაწლი დაუმატოს. პირადის მაგალითით აჩვენოს ჩვენს საზოგადოებას და მთავრობის სასწავლებლებში ქართულის მასწავლებლად შევიდეს და დაანახოს ყველას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წელიწადში ორმოციოდე გაკვეთილსაც კი. ერთი მისი კათედრაზე დანახვა საუკუნოთ შეაყვარებს შეგირდებს ქართულის გაკვეთილებს და როგორც ტრადიცია მოდგმიდან მოდგმამდე გადავა სურვილი ქართულის შესწავლისა ასეთ ცუდ მდგომარეობაშიაც კი.

ჩვენი ინტელიგენციაც დარწმუნდება, რომ ქართულის გაკვეთილები მთავრობის სასწავლებელში ყურადღების ღირსი არის, რომ რამდენიმე გაკვეთილის დროს ისეთის გრძნობების ვალვიძება, ისეთი ცოდნის გადაცემა შეიძლება, რომელსაც თვით საუკუნე ვეღარ აღმოფხვრის.

ეს იქნება ერთი საუკეთესო პოემა მოხუცი მგოსნის! აქ აკაკი, რა თქმა უნდა ჰიპერბოლურ მაგალითად არის მოყვანილი. ყოველი მომზადებული და გულწრფელად მომუშავე მასწავლებელი მიიზიდავს შეგირდებს. წარმოუდგენელია, რომ ნ. ბარათაშვილის, ილ ქავჭავაძის, აკაკის პოეზიამ, ყაზბეგის პროზამ არ მოხიბლოს მოწაფეები და, თუ ახლა გაურბიან გაკვეთილებს, ეს ნათლად ამქლავნებს მასწავლებლების სრულს უვიცობას.

ამას უნდა მოეღოს ბოლო.



გიოტე: „ფაუსტი“ — დრამატული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანაშვილისა, გამოცემა „შრომის“ სტამბისა.

ყოველ ერისათვის ისეთ თხზულების გადათარგმნა, როგორც არის გიოტეს „ფაუსტი“, დიდ ბედნიერებას წარმოადგენს. მით უმეტეს ჩვენთვის ეს თარგმანი, სხვათა შორის დამამტკიცებელია, რომ, მიუხედავად ათასის დაბრკოლებისა, ერი მაინც რჩება:

იგივე მხნე, იგივე მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა.

ვუძღვებთ ყოველ ტანჯვას, ყოველ დაბრკოლებას, და ხალხის სული ესწრაფვის ესთეტიკურ უმაღლესს დატკობას, აზროვნების უდიდესს ნაყოფთა შეთვისებას. გიოტეს „ფაუსტი“ საუცხოვო, არაჩვეულებრივი ნამოქმედარია: შიგ ჰარმონიულად შეერთებულა ცხოვრების დაკვირვება. მეცნიერულ გამოკვლევის შედეგები და სიტყვაკაზმული ხელოვნება. მოქმედება სწარმოებს მდიდარ პალატათაგან დაწყებული ღარიბ ქოხებამდის, უმანკო ქალის სარეცელიდან როკაპის სადოსტაქრო ღვიმემდის, ციდან დაწყებული, საიდანაც მოისმის გალობა მთავარანგელოზთა, უკუნეთის სამფლობელომდის, სადაც სიციარიელე შიდილები განისვენებენ. იმპერატორი, მეცნიერი, მათხოვარი, ეშმაკი და ანგელოზი, მოხუცი და ბალდი — ყველა გამოდის ამ პოემაში თავისის ხასიათით, მიხვრა-მოხვრით, თავისებურის სიტყვა-პასუხით. პიროვნების, მდგომარეობის და ხასიათის მიხედვით იცვლება თვით ლექსთწყობა. აზრი ჰპოულობს სწორედ ისეთს გამომხატველს სიტყვას, რომელიც არა თუ გაგაგებინებს, გაგრძნობინებს კიდევ ნათქვამს,

ასეთი პოემის უნაკლოდ გადმოთარგმნისთვის ჩვენში ჯერჯერობით არავინ მოიპოვება. არც რუსულ ენაზე გვინახავს ჩვენ ისეთი თარგმანი, რომელშიაც ან აზრი არ იყოს დამახინჯებული, ან ზომა არ იყოს შეცვლილი, ან და რაც ისეთივე ნაკლოვანებაა, როგორიც სხვა, მოკლედ მოჭრილი სიტყვა გიოტესი გაჭიანურებულად არ იყოს ნათქვამი.

ქართულად მთარგმნელს წინადადე უარი უთქვამს გიოტეს გაპყოლოდა ლექსთა-წყობაში. როგორც თექვსმეტმარცვლო-

ვან ჰეკზამეტრს, ისე სხარტულ ოთხ და ხუთმარცვლოვან ლექსებს ბ-ნი მირიანაშვილი სთარგმნის ერთისა და იმავე სომით — ხუთ მარცვლოვან ურითმო და ურიტმო ლექსით. რატომ უნდა, ამით ბევრი აკლდება ორიგინალის ძალას, ველარ ახდენს შეუდარებელს შთაბეჭდილებას თვით გიოტეს ნაწარმოებისას.

მირიანაშვილს უთარგმნია რუსულიდან და ამით აიხსნება, რომ ნიუანსები ორიგინალისა დაკარგულია. სამაგიეროდ აზრი არსად არ არის შერყვნილი. როცა შეეჩვევით არაჩვეულებრივ ზომას თარგმნისას, სიამოვნებით, ალტაცებითაც კი, წაიკითხავთ მშობლიურ ენაზე სულ ხუთასიოდე გვერდზე მოქცეულ მთელ ცხოვრების ფილოსოფიას, შეიყვარებთ ჰემარიტების ძებნაში დაქანცულ ფაუსტს, მოლიბულ გზაზე წაქცეულს, სიყვარულით და უმანკოებით სავსე გრეტხენს, მეფისტოფელს რომელიც თავის ბოროტებით ბოლოს და ბოლოს მაინც კეთილსა ჰქმნის, უნებო მეფეს, პრანკია ქალებს, მთელს კალეიდესკოპს ცხოვრებისას. აქ გაეცნობით დედების სახელით გამოყვანილს პლატონის იდეებს, გაიგებთ მშვენიერ ელენეს ცხოვრებას და მიმზიდველობას, შხამს სიძულვილისას და სიყვარულის ნეტარებას.

ლექსიკონის სიმდიდრე ბევრს რასმე შეგვძენს, განსაკუთრებით ჩვენ პატარა და დიდებულ მწერლებს, ინტელიგენციას, ნიმუშად მოვიყვან რამდენსამე ადგილს. პირველად პოეტს მის დანიშნულებაზე შევეკითხოთ. აი რას ამბობს გიოტეს პოეტი:

დიად უფლებას
ბუნება მაძლევს...
ნუთუ ღმერთების
ხესთაებრ ნიჭი
საჭირდველია?
პოეტის ძალა,
წმინდათა წმინდა
ნუ თუ სასუიდელ
საშოვნელია?
მითხარო, პოეტი
ალტაცებული
გულს რით აღუძრავს
ადამიანსა?
რა უმორჩილებს
სტიქიონებსა?
ნუ თუ არ ჰანგი

ყოვლად ძლიერი,
რასაც გამოსცემს
იმისი გული
შემოქმედ, მეფე
ქვეყნიერობის?
ფერმკრთალნი პარკნი
ახვევენ ძაფსა
მორჩილ თითისტარს
და ყოველივე
არსი სულდგმული
ზარით ისწრაფის —
და ქაოს ქმნილა
ესე სოფელი
დაუღვევლი.
ვინ განუძარტებს
ცხოვრების მიზანს
გაურკვეველსა,
ვინ გამოხატავს
რიგზე წყობისად
ცხოვრების სრბოლას
დაუწყობელსა,
არეულ ქაოსს
ვინ მოუწოდებს
ერთობისათვის
და ვინ შეუწყობს
ხმასა, საზეო
გალობისათვის?
აშლილ გულისტქმას
ვინ გიმხურვალებს
ვარვარა ცეცხლით;
ვინ აფრქვევს ყვავილს
გასხიოსნებულს
მიჯნურობის გზას,
ვინ უღალადებს
ტყბილ ხმა-შეწყობილ
ქებათა-ქებას
მწუხრის ციაგთა
მშვიდ ბრწყინვალებას?
ვინა ჰსდებს ფასსა
ურგებ ფოთლებსა,
მათ, რომ ჩააწნის
ქების გვირგვინსა?
ვინ მწყისის ოლიმპოს
და უდრის ღმერთებს?
კაცობრიობის
ძალა, რომელიც
პოეტში ცხოვრობს!

როცა დაღალულს, მწუხარე პოეტს დაუყინებენ:

თქვენი ვალია,
სწორედ ეგ ძალა
გამოიყენოთ!
მაშ არ დაქარგოთ



ალმაფრენის დრო,
როგორც აშიფი
ცდილობს კურკურის
დრო არ დაჰკარგოს!

პოეტი შემდეგის მშვენიერ, მელანქოლიურ ლექსით უპასუხებს:

დრო მომანიჭე
ნეტარებისა
იმ ქაშთ, როცა წინ
თვითონ მივქროდი,
როცა სიყმისა
საგალობელსა
თავისუფალის
გულით ვგალობდი!
ჩემ წინ სოფელსა
ნისლი ჰბურავდა,
ყვავილთ კუკური
საკვირველებას
ჩამჩურჩულებდა,
გულითა ვსვამდი
სიტკბობასა,
ყველგან ვეძებლით
ქეშმარიტებას
და ოცნებით,
ძილსა მოვგვრიდი
ჰკუა-გონებას.
მოძვეც, რისკენაც
მიეისწრაფოდნი,
ქაეშანთ სიტკბო,
ტრფობისა ძალი,
მძულეარებისა
გულმოდგინებაც,
ჩემი სიყმისა
ჰასაკოვნებაც!

ეს პასუხი თვითონ გიოტეს პასუხია, როცა მას მეგობართაყვანის მცემლები ეხვეწებოდნენ დაემთავრებინა „ფაუსტი“. „ფაუსტს“ მთელი 62 წელი წერდა გიოტე და მხოლოდ ბევრის ხვეწნისა და ვედრების შემდეგ დაამთავრა სიკვდილის წინა თვეებში.

შესანიშნავი დახასიათება „ფაუსტისა“ მეფისტოფელის მიერ მკრთლად აქვს გადმოცემული მირიანაშვილს, მაგრამ დედა-აზრი მაინც სრულად არის დარჩენილი. საკმაოა შეადაროთ გერმანული დედანი თარგმანთან, რომ ნათლად დაინახოთ ეს.

მსოფლიო მწერლობის ერთ უნაზეს და უმშვენიერეს ლექსს შეადგენს შეყვარებულ გრეტხენის სიმღერა სართავის წინ:

არ მაქვს სიმშვიდე,
 გული მიკვდება:
 მისი (?) კვლავ მოსვლა
 არ მოხერხდება,
 ყველგან, სადაც კი
 იგი არაა,
 მხოლოდ მკედრეთია,
 ბედნიერება
 არ იპოება,
 წუთისოფელი
 სულ შავეთია.
 ლარიზ-ლატაკი
 გული მიკვნისის,
 დამშავებია.
 არ მაქვს სიმშვიდე,
 გული მიკვდება:
 მისი (?) კვლავ მოსვლა
 არ მოხერხდება?
 აქ სარკმელიდან
 სულ მას გავუხურებ,
 მხოლოდ მას ველი,
 ხანსა ვახანებ.
 მისი ღიმილი,
 ფეხის გადადგმა,
 თვალ-ტანადობა,
 ვითა თილისმა
 მიწვევს, შეწყობა.
 მისი სიტყვისა
 ჯადო რამ ბგერა,
 თვალთაგან ცეცხლი,
 ხელთ გამეშვება!
 არ მაქვს სიმშვიდე,
 გული მიკვდება,
 მისი კვლავ მოსვლა,
 არ მოხერხდება!
 მასთან, მის მიმართ
 ისწრაფის გული,
 შეეთხზოს, იქნებ
 მოსვენებული.
 მას ეხვეოდეს,
 იბნიდებოდეს,
 იმას ჰკოცნიდეს,
 ზედ აკვდებოდეს!

ბევრის ამონაწერით, იქნებ, მკითხველს თავი მოვაბეზრე,
 მაგრამ ერთი უკანასკნელიც. დოქტორმა ფაუსტმა ქვეყნად
 გამოსცადა ყოველივე ქვეყნიური: ჭეშმარიტების უნაყოფო ძებ-
 ნა, მშვენიერების მუდმივი დაახლოება და შეუძლებლობა
 სიმშვენიერის ხელთაპყრობისა, ვნებათა ღელვის დაკმაყოფი-
 ლება, ოცნება და სინამდვილე, და დაბრმავებული, მოხუცე-
 ბული დაასკვნის, რომ ცხოვრებას მხოლოდ მუდმივი და შე-



უწყვეტელი შრომა, შრომა თანამომეტათვის
 აი როგორ გამოთქვამს სიკვდილის წინ ამ აზრს:

აქის კრონეკს

დამყაყებულის
 წყლის შეყენება
 ესძლიო — ჰა ჩემი
 უმალესი და
 უკანასკნელი
 საქმე? გავაჩენ
 მრთელ ქვეყანასა,
 ერცელს და ახალსა,
 ხალხთ იცხოვრონ აქ
 მილიონობით
 მრთელი ცხოვრების
 განმავლობაში
 მძაფრის ხიფათის
 მოლოდინითა
 მხოლოდ თავიანთ
 თავისუფალის
 შრომის იმედით.
 მთავორებს შორის.
 და ნაყოფიერ
 მინდორ-ველზედა
 ხალხნიც, ჯოჯინცა
 იქმნენ ხალვათად:
 კორდი სამოთხედ
 გადმეფურჩქნება, —
 იქ შორიდან კი
 ზღვის საქანელი
 რისხვით შხივოდეს,
 შქამდეს საგუბარს,
 გაუმრთელებენ
 წუთსვე ზიანსა.
 დიახ, დიდი ხნის
 ცხოვრების წელთა
 მაცნობეს სჯული,
 რომელიც მარად
 ცხოველ იქმნება:
 თავისუფლების,
 ცხოვრების ღირსი
 მხოლოდ იგია
 დღე დამე ბრძოლით
 ვინც ეუფლება.
 მკაცრის მუდმივის
 ბრძოლითა გავლენ
 ყმაწვილმა, მამამ
 და ბერიკაცმა,
 მთელი ცხოვრება, —
 მეცა ვიხილავ
 სასწაულ ძალის
 სხივოსნობითა
 ჩემს ქვეყანასა
 თავისუფალსა,
 მას, ჩემს ხალხსაცა,



თავისუფალსა.
 ე. შაშინ ვიტყვი:
 წუთოი შენა ხარ
 ტურფა — მშვენიერი
 მოიცა, იქმენ
 მრავალ-ქამიერი
 უქველია,
 ვერცა წარხოცენ
 საუკუნენი
 ჩემს ნაქვალევსა,
 იმ უცხო წამის
 წინასწარ მგრძნობი
 ამ ქამად ვიხმევ
 ჩემს მაღალ წუთსა.

აღვსუსხეთ თარგმანის ნაკლოვანებანი. ამოწერილ მაგალითებიდან კი შეამჩნევდა მკითხველი, რომ მიუხედავად თარგმანის სიმკრთალისა, წიგნის მნიშვნელობა მაინც ბევრად აღემატება მრავალ ჩვენისა და უცხო პოეტის ნაძალადევ ნამოქმედარს. ასე ტარიელი სიყვარულის ბნელით ეცემა, სტირის, დაუძღურებულა, მაგრამ ლომის მოკვლა არად უჩანს, მათრახის ერთი გადარტყმით შუა აპობს საშუალო ადამიანის თავს. „ფაუსტზე“ ცალკე მოვილაპარაკებ, აქ მხოლოდ ბიბლიოგრაფიული შენიშვნით ვკმაყოფილდები.

[1909 წ.]

გრიგოლ ვოლსკი

მშვიდათ, თითქოს მითვლემას აპირებსო, უეცრად, ასე რომ ახლობელ მეგობრებსაც არ გაუგიათ ავადმყოფობა, გარდაიცვალა ცნობილი მგოსანი და საზოგადო მოღვაწე.

არიან ადამიანები, რომელთა შესახედავი მოღვაწეობა, კაცობა, მხოლოდ უმცირესი ნაწილია მათ ბუნებაში ჩამარხული სიმდიდრისა. მშვენიერი, დამატკობელი არის „შენ გეტრფი მარად“, „მე აქ აღვზდილვარ...“ და სხვა; სასარგებლო და ნაყოფიერი იყო ვოლსკის მოღვაწეობა ბათომის თვითმმართველობაში, მაგრამ განა ამ ოციოდე წერილის მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი? განა უფრო ფართო მოქმედებისთვის არ იყო მომზადებული განსვენებული, რომ ჩვენი ცხოვრების

უჩინარს და გამოჩენილს ქსელებს არ შეეკრათ მისთვის
ფეხები?

ვინ იცის, „მგესლმა გველმა“ რამდენს ლექსს მზანით გაუწ-
მო ძირი, ვინ იცის, რამდენს „საქმეს საგმიროს“ სევდამ დაუტ-
მო კარი!

ეხლა კი... ეხლა

ალარ გეწვევა სევდა დამწველი,

გულს ვერ დაგიღრღნის, ვით მგესლი გველი,

უფროსო მეგობარ-ამხანაგო, საყვარელო ძმავ!

[1909 წ.]

თეატრის სეზონის დასაწყისი

(უმნიშვნელო გაკერით)

ქუთაისის წრევანდელი დასი, რაც დღე მოდის, უფრო და
უფრო მწყობრათ და აზრიანათ ასრულებს თავის მოვალეობას.

უნებლიეთ გვებადება სურვილი თვალის გადავავლოთ ამ ორი
თვის ნაშრომს.

სეზონის დაწყებამდი ხმა დადიოდა ქუთაისის წრეულს დასი
არ ეყოლება, წარმოდგენები არ ექნებაო. ხმას საფუძველიც
ქონდა: დრამატიული საზოგადოების უსახსრობა და მსახიობთა
პროვინციებში გაფანტვა.

29 სექტემბერს მაინც გაიხსნა სეზონი და მას მერე ორი
თვის განმავლობაში 18 წარმოდგენა გაიმართა; მხედველობაში
თუ არ მივიღებთ ორ-სამს უმნიშვნელო პიესას, ყოველი საღ-
მო ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხებს გვიყენებდა ვადა-
საწყვეტათ. და მსახიობის გრძნობით განშუქებულს აღამიანთა
ზრახვებს გეიხატავდა.

როცა უმნიშვნელო პიესები გაეიხსენეთ, უმთავრესად ს-
ხეში ვვქონდა „განთავისუფლებული მონები“. ეს პიესა არც
გონებას ეუზნება რასმე და არც რისიმე ვანცდა შეიძლება მისი
ცქერით. მართალია, გვაციუნებს იგი, მაგრამ არა ხასიათების
მდგომარეობის და სინამდვილის დასახვით, არამედ მანქან-
ვრებით, მომქმედ პირთა სისულელით. ასეთ სიცილს სხვაგან
უნდა ქონდეს ადგილი და არა თეატრში.

სრულიად არა მსურს ვთქვა — ჩვენმა თეატრმა უსათუოდ
ცრემლები გვადვრევიოს და მხოლოდ მაღალ საკითხებზე ვაფიქროს-მეთქი; პირიქით — რადგან ერთადერთი თეატრი
გვაქვს, და ერთადერი დასი გვაქვს, ნუ დაიზარებთ სხვადასხვა
დასელები სცენიური ხელოვნებისა გვაჩვენოთ, მაგრამ ხელოვნებისა და მხოლოდ ხელოვნებისა.

ლიტინით გამოწვეული სიცილი თეატრს არ ეკადრება.

მოგვეცით დ. კლდიაშვილის, აზიანის, თუ გნებავთ ძველი
იუმორისტების — ანტონოვისა და ერისთავების საუკეთესო
პიესები, გოგოლი და არისტოფანე.

ახლა თვით თამაში სხვადასხვა გვართ სწარმოებს. ერთი
თეატრი უკიდურესს რეალიზმს მისდევს, მეორე ამარტივებს.
ერთი რომ ცთილობს „შექმნას გუნება“ (создать настроение),
მეორე შშრალი ცოცხალი სურათის დახატვას ეთაყვანება,
თითქოს ეუბნება მაყურებელთ — შენი ნებაა, რასაც იგრძნობ
და რასაც იფიქრებო.

ყველა ამის ნიმუშები გვიჩვენეთ, რამდენადაც კი შესაძ-
ლებელია...

მაგრამ ნუ დავანახებთ სცენაზე ნურც „გათავისუფლებულ
მონებისთანა“ უაზრო ფარსს, ნურც გამოიყვანთ ისეთს არ-
ტიტებს, რომელნიც ერთმანეთის დანახვაზე იცინიან, როგორც
ეს მოხდა სხვამხრივ მშვენიერათ ჩატარებულ 24 თებერვლის
წარმოდგენაზე „სამშობლოს“ შარჟზე.

სხვა დანიშნულების გარდა, რომელნიც ყოველგან აქვს
თეატრს, ჩვენში იგი უნდა ემსახუროს ქართულის გამშვენი-
ერებას, მისი კანონიერათ ხმარების შეთვისებას. პიესა ენის
მხრივ ვახვეწილი და გასწორებული უნდა იდგმოდეს. ორიგინალურ
პიესებსაც ატყვია ენის უცოდინარობა და ზოვიერთი
თარგმანი ყოვლად შეუწყნარებელია.

და ეს დიდ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს დრამატული საზო-
გადრების გამგეობას...

მსახიობებიც ხელს უწყობენ ენის დამახინჯებას, რადგან
ძველი ცოდვა როლის უსწავლელობისა ჯერ კიდევ ვერ აღმო-
უფხვრიათ ახალგაზრდა, მუყაით მუშაკთაც კი. აი, ამიტომაც
რომ ზოგჯერ გომერტიული სიცილი გაისმის თეატრში („ჩააგეთ
ხმლებით, ქვე ხანჯლებო!“ ანდა „ყუთი მჭირდება!“ — „ფულს
მჭირდება!“ — მაგიერათ).

ზოგიერთ მსახიობს ეტყობა, რომ ცხოვრებაში ქართულს არ ხმარობს, ქართულად არ აზროვნებს და ამიტომ სუფელითრის მიერ მოწოდებულ სიტყვებსაც რუსულს უნარზე ჩამოაყალიბებს, გადააკეთებს.

წერილი გაგრძელდა. იძულებული ვარ მსახიობთა დახასიათება უფრო მოხერხებულ დროისთვის გადავდვა, რადგან უკანასკნელი სამი წარმოდგენის შესახებ, თუ ახლაც ნაგვიანები არ არის, თრიოდე სიტყვა უნდა ვთქვა.

როგორც ბავშვთა დილა 21 ნოემბერს გამართული, ისე ბელეტრისტულ თხზულებათა სცენაზე წარმოდგენა ქუთაისისთვის სრულიად ახალი მოვლენაა.

იმედი უნდა ქონოდა კაცს, რომ საზოგადოება ბლომთ დაესწრებოდა... ბავშვები, ეს იმედი და სასოება, ისე დაღონებულია, ისე მოკლებულია საზრიან დროს გატარებას, რომ არა თუ ხელი უნდა შეეწყოს დრამატიულ საზოგადოების განზრახვისთვის, არამედ თვითონ მოქალაქენი, განსაკუთრებით კი მშობლები, უნდა ცდილობდნ ასეთი „დიღებისა“ და „სალამოების“ მოწყობას, რათა ააშორონ მოზარდი თაობა ქუჩაში ხეტიალს და ქუჩის ზნე-ჩვეულების შესისხორცებას. ეს პატარა უმანკო თვალი, ვინ იცის იქნებ ლეონარდოს ნიჭით აღბეჭდოს ბუნებაში. ამ მკლავს, რომელზედაც ნაზი, ლურჯი ძარღვი მოსჩანს, იქნებ წილად ხვდეს აღმაშენებლის ხრმალი, ამ ორმა ბავშვმა, ასე უბრყვილოთ რომ შესცქერიან ერთმანეთს, იქნებ თვით ცხოვრებაში განახორციელონ უსაზღვრო უკუნიითი უკუნისამედი გამყოლი სიყვარული რომეო და ჯულიეტასი.

და ცოდვა არ იქნება, შესაძლებელი შეგნება და სიამაყე ქვეყნის მოწყენით დავსახიჩროთ ანდა უსაქმობით, ცხოვრების უღიმღამობით გავრყვნათ?

ვინც თეატრში იყო, დამეთანხმება, რომ ძვირად თუ ნახავთ ისეთს დასევდიანებულს, გამხთარ-ჩაყვითლებულს პაწიებს, როგორც ჩვენშია. სხვაფრივ კი როგორ უნდა გამხდარიყო, როცა ჩვენი ბავშვები მოკლებულნი არიან სოფლის მარტივს ცხოვრებას, სოფლის წმინდა პაერს, სირბილს, ცელქობას და მათ არ აქვთ არც ქალაქის გამომათხიზლებელი, გონების მავარჯიშებელი და ფანტაზიის აღმძვრელი გასართობები, ისინი რო-

გორც მოახლეები, შურით შეყურებენ უფროსების დროს გატარებას.

პიესამ ცუდათ ჩაიარა, მაგრამ ეს არაფერია... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრამატიული საზოგადოება შემდეგში უფრო დახელოვნებულ მსახიობებს მიანდობს როლებს... ეს არაფერია — მიზანი მაინც მიღწეული იყო: ბავშთა მკრთალ სახეებზე აღურაცხველი სიამოვნება იხატებოდა, თვალეში ნაპერწკალი სცივოდა; პატარები გულმხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მომქმედ პირთა ცხოვრებაში: საყვარელ მომქმედ პირებს უჩევდნენ თავ-თავიანთ ადგილებიდან, ვინც სძულდათ, მათ კი აუგებდნენ დაუფარავათ.

რა გახარებული დარჩენ ბავშები, როცა სათნოებამ გამარჯვა და სულის სიავე, სიკაპასე დასჯილი, მიტოვებული იქმნა!..

„სამანიშვილის დედინაცვლის“ სცენაზე ნახევრათ წაკითხვამ და ნახევრათ წარმოდგენამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. არ იცვლებოდა დეკორაცია, თამაშს შუა წყვეტდა კითხვა, მაგრამ მაყურებელთ საკმაოთ, ნათლად დაინახეს ვაჰირეებაში ჩავარდნილ იმერელი აზნაურის ხრიკი, ტანჯვა და ბედი. განსაკუთრებით კარგი იყვნენ ბ. ბ. არაბიძე, ჩარკვიანი, და ო. ლოლობერიძის ასული.

სამი შაოჯიდან პირველზე ორიოდ სიტყვით თავში გვექონდა ნათქვამი. მეორე და მესამე კარგათაც შეასრულეს და იდეურიც იყო. წვრილფეხა ოთარბეგების სასაცილოთ დასახვა და თეატრში მოსიარულე უზრდელების ალაგმვა სწორეთ რომ საჭიროა: პირველნი სწამლავენ ცხოვრებას და უკანასკნელნი კი თეატრში სიარულს აძლებენ საზოგადოებას.

ჩვენს მწუხრიან და მოწყენილ დროს ასეთი საღამოები სასურველია — იქნებ ოდნავ მაინც გაგვეღიმოს.

კინემატოგრაფი და შარადა ვერ აკმაყოფილებდა ძლიერ თავდაპირველ მოთხოვნილებასაც კი.

მე მგონია, რომ ანდრეევის დრამის — „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“ — დედა აზრი უკანასკნელ სცენის სიტყვებში სავსებით არის გამოთქმული: „ვინ უწყის, რა გველის ან დღეს

ან ხვალე“. პიესას სწორედ ამიტომ ხვდა არაჩვეულებრივი ბე-
ლი — იგი საყვარელ პიესათ შვიქნა, რომ ავტორმა მთანასა-
რითმი პროზისა და ამ სიმღერის ძირითადი პანგონოტებს
მაგიერ სიტყვებში და მოქმედებაში ისე ხელოვნურად გადა-
იტანა, რომ შთაბეჭდილება ოპერისებური რჩება...

სტუდენტობა სვამს, ცუდ-ყოფაქცევის ქალთა შორის ატა-
რებს დროს, მაგრამ ამ სტუდენტობას გულს უღრღნის ფიქ-
რი — ვინ უწყის რა გველის ან დღეს ან ხვალე?

ონუფრი სასოწარკვეთილებით მოსილი, იმედ-დაკარგული
სტუდენტი — ისიც კი სიმპატიას იწვევს, რადგან ეტყობა იგი
სულ იმაზე ფიქრობს — ვინ უწყის რა გველის ან დღეს, ან ხვა-
ლე...

გლუხოვცევი, ეს გულწრფელი, ცხოვრებაში ჯერ გამოუც-
თელი, ისიც ვერ იტყვის, თუ რა გელის ხვალ...

მთელი ეს წრე, ამხანაგები გლუხოვცევისა და ონუფრისა,
სცენაზე ლოთობენ და ბავშურათ ილრიკებ-იგრიხებიან, მაგრამ
აქა-იქ წამოცთენილ სიტყვაში (გლუხოვცევი — „მე და ონუფ-
რი სამი დღეა, რაც ვმსჯელობთ, თუ ვინ არის დამნაშავე...“
„ნიცმე, შენ და მეც მდაბიო მოქალაქეები ვართ“, „ახლა ლოც-
ვაც კი კადნიერებაა“) ისახება თუ რა მალალ და წმინდა წრეს
გვიხატავს ავტორი...

პიესამ მშვენიერათ ჩაიარა.

ბ. არადელი-იშხნელი თავისი ბუნებრივი თამაშით, არათუ
ახორციელებდა ნაკისრ როლს, არამედ გამხდარიყო ჭეშმარი-
ტულ ონუფრათ.

ბ. იმედაშვილი გვავიწყებდა ქუთაისის უსულგულო ცხოვ-
რებას და გვაგონებდა, რომ იქ, სადღაც ახალგაზდა სტუდენტ-
თა შორის არის მალალი სხივმფენი სიყვარული, რომელსაც
ულმობელი ბედი ასახიჩრებს უღვთოდ, უმართლოდ.

ახლაც ჩამწივის ყურში გულზე მოწოლილი სიმღერა.

ზარი გლუხოვცევი — იმედაშვილსა, რომელსაც თვალკრემ-
ლიანი ისმენს ონუფრი — არადელი-იშხნელი:

ვინ უწყის, რა გველის

ან დღეს, ან ხვალე.

და ეს ქალი (ოლგა ნიკოლაევნა), რომელსაც შიშისაგან ძა-
ლა არ შესწევს წინაღუდგეს პირადს შეურაცხყოფას, ეს სიმ-

ბოლო გულის სიწმინდისა და მოქმედების სიცუდისა, რა რიგ
ხელოვნურათ დაგვისახა ნინო ჩხეიძის ასულმა!
ღრმა მადლობა ასეთი წარმოდგენისათვის!
ის გარემოება კი, რომ საზოგადოება ცოტა დაესწრო ასეთ
წარმოდგენას, გულს გვიმწარებდა.

[1912 წ.]

ვლადიმერ მესხიშვილს

ხელიდან გვეცლება მიწა,
იკარგება ენა,
თაქს გვენგრევა ციხე-ტაძარი,
ყველა ეს არაფერია!
სული დაკნინდა, სული! დაბეჩავდა გული,
აი სავალალო რაა!
სული აშენებს ციხე-ტაძარს,
სული ქმნის ენას,
სული იძენს და აბოხიერებს მიწას,
ეს სული დაიკარგა!
ვერ ვხედავთ უანგარო ჭეშმარიტების მაძიებელს;
მუხლს არვინ იყრის სამარადისო სიყვარულის წინაშე.
რაინდულათ თვალი თვალში გაყრილი აღარ ხვდება მტერი
მტერს.

ჭორი და შური, ვით გესლიანი გველი, დასისინებს ჩვენ
შორის.

ასეთ ღროს, ღროსა საზრახსა და სამარცხვინოს, შენ ჩაგ-
ვაფიქრებ ჰამლეტის კითხვით:

„ყოფნა? არ ყოფნა“?...

შენ გვაზიარებ საქართველოსთვის დიდთა მებრძოლთა —
ლევან ხიმშიაშვილს და გაიოზ ფალავას ვაჟკაცობას.

პეტრონიუსის სახით გვასწავლი ამაყათ თავის დაჭერას
თვით საშინელ მტარვალთან და საჭიროების დროს ლამაზათ
სიკვდილს.

მსახიობო! სცენიდან შენ სულიერათ კურნავდი საქართვე-
ლოს.

თამამათ მიიღე დაფნის გვირგვინი — იგი დამსახურებული
ვაქვს.

[1913 წ.]

(ქუთაისი)

ქუთაისი დიდებული ქალაქი იქნებოდა, რომ ადამიანის ხელი მოშორდებოდეს და ბუნებას საშვალებას მისცემდეს თავის ნებაზე მორთოს მდებარეობა.

შემოდგომაზედაც კი, მთა-გორაკები, ბაღები, ყველა ის ადგილი, რაც სადგომებით არ დაუფარავთ და ქუჩებით არ გაუბინძურებიათ, ნაზათ და მხიარულად გამოიყურება.

ფოთლებიდან გაცრცვილი ხეების ტოტები, გამხმარი მცენარეულობით დაფარული ველი უცდის მზის პირველ სხივს ზამთრის დამლევისას, რომ აბიბინდეს მოლღა აშრიალღეს ფოთოლი.

კალაპოტ ვიწრო, პატარ-პატარა კლდეებით სავსე რიონი სჩქედს და მიაქანებს ლურჯ ანკარა, ყინვარივით ცივ წყალს; ლეჩაქათ ქალაქს თავს გადაფარებია ტრედის ფერი ცა და მოწმენდილ მკერდზე ვარსკვლავებს ჩაისვამს, თუ მოღუშულ პირს ღრუბლებით შეიბურავს, მაინც მშვენიერია და სატრფო.

მაგრამ ეს ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები; ლამპები, რომელიც შემოჩენილივით სწორეთ მაშინ ქრება, როცა საჭიროა მათი სინათლე; ჩამოქცეული, შემურული, ფანჯრებ-ჩამტვრეული, სახურავ ახდლილი სახლები, ნავაგით სავსე დუქნები და ქუთაისის მეხუთე სტიქია — მტვერი, მთელი ეს „უტყვ საგანთა მეტყველი ცრემლები“ ცხად ყოფს თვით ქალაქის განუსაზღვრელ მწუხარებასა და ტანჯვას.

ქუთაისში, არ მგონია, რომ მხიარული ადამიანი ცხოვრობდეს... არათუ მხიარული! — არ არის ადამიანი, რომელიც ყველას, ყოველთვის და ყველგან არ სწყევლიდეს და თვის გაჩენის დღეს არ კრულავდეს...

ქუთაისში ყველა საზოგადო მოღვაწეა, ვისაც ეხალისება თავის თავს საზოგადო მოღვაწე უწოდოს და ვისაც ბედმა უნიჭობა არგუნა.

ქუთაისში გამუდმებული, გახურებული მუშაობაა, თუმცა გაკეთებული ჯერ არაფერი უნახავთ.

ქუთაისი ნამდვილი ქართული ქალაქია... თუმცა რუსულს

უფრო გაიგონებთ, ვიდრე ქართულს, მაგრამ ეს რუსული ნამდვილი იმერულია... აი ერთი წინადადება: გენაცვალე, ლიზინკა!
вчера письмо გამოგიგზავნე... получила ნეტაი?

ყველაფერი დაუთავებელი, მოუშუშებელია ქუთაისში. თითქოს სათარეშოთ ვიყოთ მოსული... დაიწყებს ვინმე ქარხნის შენებას... მიატოვებს, და გასვრილი მასალა, ნაფოტი, დაქანგული იარაღები, ნახევრათ ამოყვანილი ბალავერი ყრია თვალთ დასატკობათ წლიდან წლამდი.

სუფთად გალესილ სახლს, შნოიანათ ჩაცმულ კაცს, მოვლილ ხეს, აქ უსათუოდ ახლად შემდგარ სამუზეუმო საზოგადოებას გადასცემენ.

ქუთაისში სასირცხოთ ითვლება, თუ ორსართულიან სახლს კიბის რამდენიმე თვალი არ აკლია, თუ მთელ დარბაზში ორისამი დანეღრეული სკამი, დახეული, მატყლ-გამოვარდნილი დივანი არ დგას, თუ შუშის მაგიერ ქალაღი არ არის გაკრული.

ქუთაისელი მრავალ-მეტყველი სულდგმულია. ამ ნიჭს იზიარებს კარები. ვიდრე სტუმარი მიესალმებოდეს მასპინძელს, კარები იძახის „ქრ“... ამას მოყვება „წკრ“, „პრ“, „თრ“ და სხვა...

ლექსიკონი მისალმებათა დამოკიდებულია მასპინძელთა რიცხვზე... ყოველი კარი ერთ რომელსამე ხმას კი არ იძლევა. არა! ვინ და როგორ მოჰკიდებს ხელს... ნამდვილი ჭიანჭურია ქუთაისის კარები..

სწორედ ისე, როგორც მათი პატრონები...

ქუთაისლები...

ყველა სიღარიბეს უჩივა,

მართლა,

ქუთაისი ღარიბია.

მაგრამ ნუთუ არ შეიძლება სახლს, ორ სართულიან, დიდ სახლს კიბე გაუკეთდეს და სამიოდე ჩამტვრეული ფანჯარა ჩაეყენოს?... ეს ხომ ოთხი-ხუთი მანეთის საქმეა...

მაგრამ სწორედ ეს ოთხი-ხუთი მანეთი არ გვაქვს.

როგორ?

კაცმა ათასობით დახარჯა სახლზე და ორი შაურის ზეთი აღარ აქვს, რომ კარების დასაკიდს მოსცხოს და საძაგელ წრიპინს გადარჩეს?

ღიახ, არ აქვს...

და რატომ?

სწორედ იმიტომ, რომ, ჩვენში, ვისაც ორი ოთახის სასახლე უნდა, უნდა აქვს და ასევე საყვარელი ეზოს საყიდელი, უნდა აქვს ხუთას საყენს (თავისუფლად უნდა ვიქნეთ...) და აშენებს ექვს ოთახს (რავა შეიძლება ცალკე კაბინეტი არ ექნეს ადამიანს, თუნდაც თავის დღეში არ მუშაობდეს კაბინეტში).

რა თქმა უნდა, როცა ორი ოთახის ფულით ექვსს ააშენებ, უნდა უარი სთქვა სამზარეულოზე, კიბეზე, ფანჯარაზე — ყველა მაზე, რაც ნამდვილ საჭიროებას შეადგენს...

ქალაქი ღარიბია, მაგრამ რა ასეთი ფული უნდა, რომ საწვეთლები პირდაპირ გამვლელთა კისერზე არ იყოს მიმიზნებული და ტროტუარი ერთი დუქნის წინ უსათუოდ არ იყოს ან უფრო დაბალი მეორე დუქნის ტროტუარზე... ამაზე აშენების დროს ზედმეტი ხომ არ დაიხარჯება?! მოქალაქეთა პატარა გონებაა საჭირო და თვითმმართველობის თვალ-ყური.

საცოდავი ქვეყანა, სადაც ბუნების ძალა შეზღუდულია და ხელობას და ხელოვნებასა კი მისი ადგილი ვერ დაუჭერია!

[1914 წ.]

ლვინის მსხვერპლი

მარტო ქალაქ ქუთაისში, ერთი წრიდან ღვინომ ამ მცირე ხანში 4 ადამიანი იმსხვერპლა. იგივე ხდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. იგივე ხდება თვით ქუთაისში და იმ დროს წრეში, რომლის ბედ-იღბალი არც პოლიციას აინტერესებს მაინც და მაინც და სამწუხაროთ, არც გაზეთებისთვის არის ხელმისაწვდომი.

პატარა ქალაქისთვის ღვინის მსხვერპლათ თვეში ერთი-ორი ადამიანის შეწირვა მეტისმეტია!

ის ოთხი ადამიანი, რომელიც ეხლა სახეში გვყავს, ან ჩხუბის დროს რომ მოეკლათ, ან ძველი ანგარიშების გასასწორებლად გამოემეტებია ვისმეს სასიკვდილოთ, ან რაიმე ცუდი ჩაედინათ — კიდევ ჰო! — კაცი იტყოდა: თვითონ იყენენ დამნაშავე და თავს დააბრალონო.

მეგრამ არა... ოთხივე დაიღუპა მკვლელის და მოკლულის მოულოდნელად ისე, რომ იტყვიან, უცაბედათ და რადგან უცაბედათ, შემთხვევით ქვეყანაზე არაფერი ხდება, წინააღმდეგობა მელსაც გამოაკლდა სასიამოვნო, საყვარელი 4 წევრი, უნდა ჩაუკვირდეს თავის მდგომარეობას.

არ შეიძლება ასე ადვილათ დაეიწყება მეგობრის, ნაცნობის და განსაკუთრებით კი იმ თმაგაწეწილ ჭირისუფლების და ასბრალბულ წვრილი შვილების, რომელნიც მისდევენ განსვენებულის კუბოს.

ეს მიზეზი, ეს ულმობელი ღმერთი თავის ქურუმთაგან მსხვერპლათ რომ ადამიანთა სისხლს თხოულობს, არის ღვინო.

ალკოგოლი სხვადასხვა გვარად შემზადებული (ლუდი, ღვინო, რომი, შამპანიური) ყველგან მრავალი იხარჯება, ადამიანი ყველგან ეჭებს გამამხიარულებელ საშუალებას, მეგრამ ყველგან იციან ზომა და თითქმის არსად არ იციან, როგორც ჩვენში ღაძალება, ხვეწნა, პატივი გვეცი, მეგობრობა გაგვიწიე, და ერთი ჭიქა თუ ყანწი დალიეო. ადამიანი ატყობს, რომ მეტი ღვინო უკლავთ იმოქმედებს, დიასახლისი იქნება, თუ მეგობარი, ჭირს მოსკამს, „შეურაცყოფას ნუ მომაცენებ, ეს ერთი კიდევ და მეტს არ შეგაწუხებო“... და თავაზიანი ადამიანი ჰკარგავს გონებას, ჰკარგავს ადამიანის სახეს და იწვევს ზიზღს იმ მოხუცთა შორისაც კი, რომელსაც თითქოს ებაძავთ ქვიფ-ნადიმობაში.

ეს გარინდებული, კაცობრიობიდან გამოსული ადამიანი, რა თქმა უნდა, ვერ შეუფარდებს თავის მოქმედებას ქალაქის ცხოვრების რთულ მოვლინებებს: იქ სადაც „გაცლა სჯობია მამაციისაგან“, იგი ვაჟკაცობას დაადგება და სადაც ვაჟკაცობით უნდა დაიფასოს თავი მეორე გაღმეილისაგან, უდარდელათ ჩაიქნევს ხელს.

ლოთობა იშვიათი შემთხვევა იყო ძველ საქართველოში: ქეიფს უძახდნენ სიმღერას, ცეკვას, ჯირითობას, ბურთათობას და სხვ. ეს სენი ზიზღს ჰკვრიდა წინაპართ და ნეტარხსენებულო თამარის დაშორებას გიორგი რუსთან მემატთანე სხვათა შორის გიორგის ლოთობითაც ხსნის.

[1917 წ.]



„უსამართლობამ პალიასტომი დააქციაო“, „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო“ და მრავალი სხვა ხალხის გულიდან აღმოხეთქილი ზღაპარი, ანდაზა, თქმულება ამტკიცებს, თუ რამდენათ სწყუროდა ერს სამართლიანობის დამყარება, მაგრამ თვით შოთას პათეთიური სიტყვები „ქმნა მართლისა სიამართლის ხესა შეიქმს ხმელსა ნედლაღო“ მოწმობს, რომ ნეტარხსენებულ დროშიაც საქართველოს უკანონობა და უსამართლობა უთხრიდა ძირს.

ეხლა ხომ ცხოვრების უმდაბლეს საფეხურიდან დაწყებული, ვიდრე უმაღლესამდე ჰაერს სწამლავს უაღრეს ყოველი სხვა მავნე მოვლენისა, ეს უსამართლობა.

დღევანდელი ჩვენი ნუმერი სწორეთ ამ უსამართლობასა და უკანონობაზე ლაღადებს — ამ უსამართლობაზე სწერს მეფის უავგუსტოესი ნაცვალი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და ბ. ხეთერელი.

მეფისნაცვალი მადლობას უცხადებს პოლიციას მკვირცხლი მოქმედებისათვის, ოლქის გამგე გვაფრთხილებს, საექვო პირებთან ნუ დაიჭერთ საქმეს, პირდაპირ მიმართეთ მოხელეებსო და მადლაკელი გლეხი კი ვიღაც „ტარასის“ გულზეიადობის მსხვერპლი გამხდარა.

შეიძლება თავდავიწყებით ასრულებდეს პოლიცია თავის მოვალეობას, მაგრამ ყაჩაღობა მაინც არ მოისპო. სჩანს, პოლიციური საშვალეებები არ არის საკმაო. რა თქმა უნდა, უებარი საშუალება განათლება და ეკონომიური ცხოვრების გართულებაა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, თვით საზოგადოებამ უნდა შექმნას ისეთი სულიერი განწყობილება, რომ ყაჩაღს, მცარცველსა და ქურდს თავისი ნაქურდალი, წანავლუკი შეზარდეს. თუ საზოგადოება ზურგს შეუბრუნებს მავნე პირთ, თუ მათ არ დაეხმარება და მათი „ნადავლით“ სარგებლობის სიამოვნებას არ აღირსებს, რა საჭირო იქნება თვით ნადავლი და ყაჩაღობა...

კავკასიის ოლქის მზრუნველის გაფრთხილება ერთ ძლიერ საჭირობოროტო საკითხს ეხება... იგი აშკარათ აღნიშნავს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციის გარშემო საექვო მოქ-

მედებს. ეს ამბავი არ ახალია, ძველია. რედაქციას წინათაც მოდიოდა წერილები... ზოგიერთი მათგანი პირდაპირ მოუწოდებდა ყველა დაინტერესებულ პირთ შებრძოლებოდნენ იმ საშინელ პირობებს, რომელშიც ჩავარდნილა სახალხო სკოლის საქმე ქუთაისის გუბერნიაში და ისეთ ბრალდებებს უყენებენ სხვადასხვა პირთ, რომ ჩვენ უტყუარი, მრავალჯერ განხილული საბუთების მიღებამდის ვერ დავსტამბეთ. აწი მაინც ამის შემდეგ, რაც თვით მზრუნველი აღიარებს არა სასურველ მოვლენათა სიმრავლეს, შესაძლებელია ნათელი და დეტალური დასურათება ამ საქმის: ეს სოფლის ინტელიგენციის მოვალეობაა.

ყველა კარგი, მაგრამ რა ჩიტია ეს მაღლაკელი „ტარასი“, რომ სპარსულ სატრაპიით ბრძანებლობს საღუბერნო ქალაქის ახლო, მრავალრიცხოვან სოფელში და ნუთუ ასეთ წვრილფეხსაც კი იმდენი ძალა აქვს, რომ მისი ალაგმვა ვერ მოუხერხებიათ?

[1917 წ.]

პალერინან გუნია

სამშობლოს უნებლიეთაც ბევრი ემსახურება პირადი კეთილდღეობის შექმნით, ვაკარი, მუშა, მრეწველი, მოხელე სჭედს აგრეთვე სამშობლოს სვე-ბედს.

მრავალი შეგნებულათ სწირაეს მსხვერპლს. მაგრამ მტლად დადება თვისი არსებობისა მხოლოდ ზოგიერთის, იშვიათის პიროვნების ხვედრია.

სათაყვანებელი საგნისათვის ფულის, შრომის, სახელის შეწირვა თუ მისაბამ მავალითად არის აღიარებული, რამდენათ უფრო საქები და საკვირველია შეწირვა იმისი, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია ადამიანის პიროვნებისათვის — შეწირვა მთელი თვისი ნიჭისა, თვისი ხელოვნებისა.

გუნია უხვად არის დაჯილდოებული მხატვრულ-არტისტული ნიჭით და თუ მის არაჩვეულებრივ უნარს მუშაობისას მივიღებთ მხედველობაში, იგი რომელიმე დარგში უსათუოდ დაიჭერდა პირველს თუ არა მეორე ადგილს მაინც.

მაგრამ ვალერიანს სახეში არ მიუღია რომელ ადგილს და-
იჭერდა, ყურადღება არ მიუქცევია გულის სიღრმის მართლმ-
ნიღებისათვის, — ვინ იცის რას დამღეროდა და რას ეხვეწე-
ბოდა იგი! არამედ გაფაციცებული ეძებდა, თუ რა იყო საჭირო
დღეს, ამ წუთს საზოგადოებისათვის.

დღეს დრამების ავტორი, ხვალ კალენდარს ადგენდა; ორშა-
ბათს ოთარბეგის განმახორციელებელი, სამშაბათს გაზეთს
პბეჭდდა; ვესლიანი პოლემისტი, ზოგჯერ ნაზ პანიგერისტათ
ხდებოდა.

ასეთს მრავალფეროვან და ფართო ასპარეზს თანაბრის
მნიშვნელობით ვერ მოევლინებოდა უსაღსრობით შებოჭვილი
დაკნინებული ქვეყნის შვილი, მაგრამ ყოველ სფეროში შეი-
ტანა ვალერიან გუნიათა თავისი უაღრესად საჭირო წვლილი და
ამ წვლილისთვის უღრმესის პატივისცემით და მადლობის
ნიშნად დღეს მთელი საქართველო ეტყვის ქართველურ ძველ-
ბურს:

გამარჯობა, ვალიკო, მრავალყამიერ!

[1917 წ.]

წიწამურიდან მთაწმინდამდე

(1907 — 1917)

წიწამური...

ათი წელია მას მერმე...

საუკუნეები გაივლის... წიწამურს ვერ დავივიწყებთ.

იქ მიადწია უმაღლეს წერტილს ქართველთა დაქსაქსვამ,
ეროვნული სულის გათახსირებამ, უბედურებამ, ისტორიის
უარყოფამ...

ქრისტეს სარწმუნოება გოლგოთამ დაავიკრიგვინა.

წიწამურმა ბრმებსაც თვალი აუხილა.

გოლგოთაზე „სიკვდილითა სიკვდილი დაითრგუნა“.

წიწამურში ეროვნულმა დაცემამ ეროვნული სული ამო-
ძრავა, ჩააფიქრა, აღდგენის გზაზე დააყენა.

შეშინდა ყოველი...

საქართველო
საქართველო

დავრწმუნდით, რომ პირისაგან ქვეყნისა აღმოფხვრა მოვ
ველოდა...

ვიგრძენით განსაცდელი, მოვიკრიფეთ ძალა და ერთხმად
სამშობლოს სულის მეზარაღტრეთ, თფილისის დაჩაჯად მაღ-
ლა, მთაწმინდის ფერდზე დავასვენეთ დიდი ილია.

ეკლიანი გვირგვინი ჰბოჭავდა გრძნობას და მოძღვრება —
ქრისტესი იკრებდა მართლმორწმუნეთ.

წიწამურის მსხვერპლის, მთაწმინდის გუშაგის მოძღვრება
„ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდესო“ — ნელ-ნელა, მაგრამ
შეუჩერებლივ ერთმანეთში ღობავს ყოველ ქართველს და
თლის, და პწნის, სანთლავს კიდობანს — ერის ბედნიერებისას.

რიგში უკვე ჩაბმულა საქართველო; მართალია, ზოგი
მწყობრათ ვერ აღგამს ფეხს, მაგრამ მიდიან კრებულათ, შეერ-
თებულათ და შორს არ არის დღე მთაწმინდის მწვერვალიდან
გავეიგონებთ:

ვიხაროდესთ, ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის...

და მართალ-მორწმუნეთათვის წმინდა მთა მთელი ერის სა-
თაყვანოდ გადაიქცევა, როგორც სხვანე ილიასი.

[1917 წ.]

ბუნხართან

არ მიყვარს ბუნხარი! ვერ ათბობს გარემოს თანაბრად, ზო-
მიერათ და ხანგრძლივ. გულ-მკერდს თუ სწევას, ზურგს სცივა,
და მუსაიფის დაწყებისას რომ აღმური აგდის სახეზე, დასას-
რულს ნასუთქი ჰაერი პირიდან ორთქლათ ეფინება.

მაგრამ მივარდნილია ეს სოფელი. ღუმელი აქ არ იბოვება
ზამთარია სუსხიანი. ხეები დაფარულა თოვლით. აქა-იქ თუ
გადაიფრენს ბელურა და სუროზე შემოჯდება შაშვი- სახლები
ვერ უძლებენ ყინვას, და ფარღალალა კედლებს შორის თამა-
მად დათარეშობს ქარი.

ბუნხარის წინ თბილა. ცეცხლი გუზგუზებს, ნაპერწკლებს
ჰყრის; ელი ენა-წყლიან მოსაუბრეს, რომელიც გაჭირვებით
თუ დაგიტომობს სიტყვას, თორემ ისე არ შეჩერდება. არც ის

სტუმარია ცუდი, სადილობამდის პირდამუწული რომ ზის. ჩვენი სოფლის ღვინო მასაც აუხსნის ბაგეს, და ნასადილს ბუხართან შადრევანათ წამოვა ამბავი ყბად-ასაღები, ამბავი სევდიანი, განაცადი, საიდუმლო დრამა, აღსარება გულწრფელი.

მაგრამ როდესაც გზები გაიკვრება, შავი, გველშაპივით უზარმაზარი ღრუბლები ჩამოწვებიან, და უკუნეთი მოიციას არეს — მარტოდ-მარტო შთენილი — თითქოს გადაწვენილა დაბორგავ პატარა ოთახში, — მაშინ ბუხარი რაღაც მტერ-მოყვრათ ხდება: შემონაბერი კვამლი, ნაკვერჩხალის ალი მთელ მსოფლიოდან ჰკრებს მიცვალებულთა ლანდებს და ცოცხალთა სახეებს, მეხსიერებაში აამოძრავებს ძველათ გაგონილს, თუ ახლად წაკითხულს და ვით ჯადოქარი გატარებინებს დროს.

ბუხრის წინ სხივების ნათქვამი, საკუთარი ოცნებისა და გონების ნაყოფი ზოგჯერ თითქოს გიბრძანებს, გამიშვი ოთახიდან, შენ თუ არ გსურს, მე მინდა სეირნობაო: და აი ვბეჭდავ.

ალექსანდრე ჟაზგავი

რამდენჯერაც კი მინახავს ალ. ყაზბეგი, მის ქცევას ყოველთვის განცვიფრება გამოუწვევია ჩემში. გარკვევით არ მავონდება არც მისი სახე, არც ხმა, არც სიტყვა თქმული, მაგრამ იერი თავისებური, ქცევა უცნაური, ჩამრჩენია მეხსიერებაში.

ვზივართ, სალამოს ჩაის ვსვამთ. მრავალრიცხოვანი ჩვენი ოჯახი შეკრებილია. მგონი, სტუმრებაც არიან.

შემოდის მსახური და გვეუბნება, რომ ვილაცამ ეს მოიტანაო.

ბილეთებია თეატრის.

სანამ გამოარკვევდნენ ვინ წავა, რამდენია ბილეთი საქირო, რა ადგილი აიღონ, შემოდის მეორე მსახური და რაღაც უხერხულად იღიმის... ჩოჩქოლი ატყდა... გამოირკვა, რომ სამზარეულოში ვილაც პატივსაცემი კაცი უნდა იყოს, შემოსვლა არ ისურვა და ისე კი ბიჭებს ყველაფერი გამოკითხა, თუ როგორ ცხოვრობდნენ ბატონები, მოსამსახურეები. როგორ ეპყრობიან უკანასკნელთ, იციან თუ არა წერა-კითხვა, დაიარებიან თეატრში თუ არა და სხვა.

მამას ამ დროს სუფრიდან ადგომა და მისი სამზარეულოში გამგზავრება ჩემთვის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო... ამოიყვანეს ცოტა არ იყოს შემკრთალი (სამზარეულოში იქექებოდა შინაურ ცხვრებაში!)... ალექსანდრე ყაზბეგი. მალე წავიდა.

ვინც დარჩა, მგონი, ბევრი უწუნებდა, როგორ ეკადრება ასე სხვის ოჯახში, სამზარეულოებში ხეტიალი და გამოკითხვა შინაური ამბებისათვის; ზოგი კი შენიშნავდა, მწერალი თვალმახვილათ უნდა უკვირდებოდეს, იძიებდესო და სხვა...

ჩემი სიძისას, ნესტორ თავდგირიძისას, შევხვდი. 9 — 10 წლის ვიქნებოდი. შემოვიდა მალალი, წვერმოპარსული კაცი, რომელსაც ელალი მოუხეშავი ჩოხა და მალალყელიანი წალები ეცვა; გრძელი ცხვირი წარბებიდან ისე გამოიყურებოდა, თითქოს გულმოსული იყოსო. ყველა სიამოვნებით მიეგება, სთხოვეს წაეკითხა ლექსი „სამშობლო“. ჯერ საზოგადოებას აიმედებდა წავიკითხავო და ჩაფიქრებული ერთი ოთახიდან მეორეში მიდი-მოდიოდა; მერმე სხვებს რომ ხეეწნა მოსწყინდათ, ეილაცას თხოვა ლექური დაეკრათ, და თითონ ჩამოუარა.

მისი ლექური არა თუ არ მომეწონა, გულიც კი მომივიდა. უზრდელათ აქვს გაშლილი ხელი, თითქოს ეს-ეს არის ეცემა ქალს და გულში ჩაიხუტებს-თქო;

ჩემი აზრი უფროსებმა სასაცილოთ აიგდეს და ზოგმა, როგორც პატარას, ყურადღება არ მათხოვა, მაგრამ რა ნასიამოვნები დავრჩი, როდესაც დედამ მხარი დამიჭირა: ჩვენში, იმერეთში, ცეკვის დროს უფრო მოკრძალებით ეპყრობიან ქალსო...

აღდგომა დღეს აღ. ყაზბეგი სადარბაზოდ იყო ბიძაჩემთან, ნ. გ. ლორთქიფანიძესთან. ხმა ამოუღებელი იჭდა სუფრაზე, მერმე უეცრათ წამოდგა, პასკაზე დაწებებულს ზვარაკს მოკიდა ხელი, რაღაც შეაბრუნა და... უეცრადვე შემკრთალმა მოჩხუბარიძემ აღარ იცოდა, სად დაედო ზვარაკის მოტეხილი თავი. — არაფერი, ბატონო, არა უჭირს... ეს პასკა დღეს მაინც გათავდება...

ცდილობდენ მასპინძლები გაეჭროთ სტუმრის უხერხულობა.

ალექსანდრე დარცხვენილი იჭდა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა დარბაზობამ ისევ ჩვეულებრივი

ხასიათი მიიღო, დავით მიქელაძემ (მწერლობაში „მეველე“) ლიმილით ჰკითხა:

— სანდრო, რა იყო, ამ საწყალს რომ თავი მოსტეზე?

— აბა სად გინახავს, დათა, რომ ცხვარს წინ ბალახი ჰქონდეს და პირს კი არიდებდეს... მაინც ისე განზე მოეგრიხა კისერი, რომ უნებურათ მომინდა. გამესწორებინა და ტუჩი ბალახზე დამედვა...

ანა მესხის ასული პეტრიაშვილისა

დღეს გავიგე, რომ ქუთაისში გარდაცვლილა ანა, სვიმონ მესხის ასული, პეტრიაშვილისა.

მესხის ოჯახი ქართული კულტურის მთელი ზომლია, რომლის ყოველი სანთელი მეტ-ნაკლების სიძლიერით, მაგრამ ერთგვარის ურყეობით იწვოდა მრავალი წელი.

მე არ ვეხები მათ ნიჭსა და მიმართულებას — ეს დღეს, საფლავის წინ, ადგილს უთმობს კაცურ-კაცობას, სიწრფელს და მისწრაფებით გატაცებას...

აი სერგეი მესხი — რაინდი ქართული პუბლიცისტიკისა. ქართული კულტურისადმი უმწიკლო, თავდადებული სიყვარულით არჩილ ჯორჯაძის წინამორბედი.

კოტე მესხი — თეატრის ზოგჯერ ფიანდაზა, ზოგჯერ ბურჯი და მტვირთველი, სცენის თაყვანის ცემით რომ თარგმნიდა, როლებს ასრულებდა, რეჟისორობდა და გარემოს ხელოვნებისადმი მიჯნურობით რომ აცოცხლებდა.

დათიკო მესხი — რედაქციის ჩუმი მუშაკი, მსახიობი, იუმორისტი, მარად გამზადებული წრფელი თავდადება და სამსახური მიუძღვნას საქმეს.

ფეგმია მესხი — უეცრათ რომ დაიბყრო თეატრი, თავისი ზოლი გაავლო ქართულ სახიობაში, კურთხევა თავიდანვე აკაკისაგან მიიღო, მაგრამ, სამწუხაროთ, სამუდამოთ არ დარჩა სცენის არეზე.

ივანე მესხი — ბათომის და მთელი აჭარის სულიერათ შემოერთების საქმეში თანამებრძოლი პოეტი გრ. ვოლსკისა და ლ. ასათიანისა, შავრაზმულ რუსეთის პრესით გამაგრებულს

რუსეთის ბიუროკრატიას კრიკაში რომ უდგენ და მუსლიმან ქართველთა გამარუსებულ ტალღებს რომ ებრძოდნენ... უცნაური ოჯახია! ყოველ წევრს შინაგანი დემონი მიიზიდავდა კულტურულ საქმიანობისაკენ.

და ვინც თვით ვერ შეიტანა წვლილი ოჯახის ვალის გადასახადათ, იგი სამაგიეროთ ზრდიდა შვილებს: ჩვენი დღევანდელი თეატრის დამამშვენებელი მსახიობი — ანჯაფარიძის და გამრეკელის ასულნი — ორივე დედით ამ საკვირველი ოჯახის შვილები არიან!

დღეს მიწას მიბარებული ანა მესხის ასული მხარში ედგა თავის და-ძმას, როგორც მწერლობაში, ისე სცენაზე. ის პირველი ქალთაგანი იყო ქუთაისის მუდმივ დასში რომ შევიდა 1870 წელს და, როცა სცენას ჩამოშორდა, მის თანაგრძნობას, დახმარებას და წაქეზებას ხშირათ შეუმსუბუქებია ქართველი მსახიობისათვის ნალვლიან გზაზე სვლა. ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულ და ცალკე წიგნებათ გამოცემულ მრავალ თარგმანთა გარდა, იგი აგროვებდა ხალხურ სიტყვიერების ნაწარმოებს.

[1926 წ.]

წყალტუბო

მწერლები მეგობრულად მუსაიდობენ, ხუმრობენ, არ მგონია, რომელიმეს გვერდში მჯდომი „გალიაში ჩასაჭენ“ მხეცად ეჩვენებოდეს. ექვი კი გადიფრენს ზოგჯერ: ასე თავაზიანი ვიქნებით მუდამ?

იწლება იმერული სანახაობა: აქ ბუჩქნარი, იქვე ვენახი, გვერდში ტევრი, უეცრად დედამიწის გაშიშვლებული წითელი, თეთრი, ყვითელი ნიადაგი და შემდეგ ისევ ყანა, ხეებით შემოვლებული კარ-მიდამო...

შოფერიც საუცხოვო შეგვხვდა — არც მიგვაქანებს „კისრისსატეხათ“ და არც მიზოზინობს — მიდის, როგორც შეეფერება გორაკთა შორის ფერდობებზე დაკეცილ გზას...

ჩემს მახსოვრობაში ამ გზამ სამჯერ მაინც იცვალა ფერი. რამდენჯერ მინახავს, ჩოჩიელა ურემი რომ მოედებოდა

შუა გზაზე ამოჩრილ ქვას და პატარა მოზვრები უიმედოთ დახ-
რიდენ თავს, მეურმე მხარით მოაწვებოდა ზედსაღვამს...

ცხენითაც კი გასაჭირი იყო სიარული: ჩანგრეული ბოგი-
რები, ციცაბო აღმართ-დაღმართი, ორივე მხრიდან გადმოწო-
ლილი ხეების და მცენარეების ყლორტები ხიფათს უშზადებ-
დენ ოდნავ შენელებულ ყურადღებას...

ოდნავ შეაკეთეს გზა, და ქუთაისის ნაცადმა მეეტლეებმა
გაბედეს... მაგრამ ამ თორმეტოდე ვერსზე სამჯერ ისვენებ-
დენ, წამდაუწუმ ჩამოსხამდენ მგზავრებს, რომ საერთო შედა-
ხებით, ყიყინითა და მათრახის ტყაცა-ტყუცით გააფთრებულ
ცხენებს როგორმე აეტანათ ეტლი აღმართში, დაღმართში და-
ქანების დროს კი იყო ქალების გვილი: «ვაი, შვილო, დამეუ-
სო თვალები!»

ნაწვიმარზე გავლა კიდევ უფრო საშიში იყო: აქ — «სადე-
ბი»,¹ იქ მქუხარ მდინარედ გადაქცეული პატარა ლელე და უნდა
გეტებნათ ფონი იქ, სადაც წინათ წყალი წვეთად მიძვრებოდა
ქვიშაში.

ზამთარში წყალტუბო და მისი მიდამოები თვეობით წყდე-
ბოდა ქალაქს და მართლაც ვინმე ვაჟკაცი თუ ბედავდა გარ-
დუვალ საჭიროების გამო ეთელა თოვლი, ან მთელი დღე
ეზილა აყალო მიწის ტალახი.

ეხლა კი გზატკეცილია... ორივე მხარეზე ხროვებათ სდგას
დამზადებული ნატეხი ქვა,

როცა წყალტუბოს მშენებლობა დამთავრდება და მუდმი-
ვით ეყოლებათ 10 — 15 ათასი მოაგარაკე, როცა გუმბრინისა და
ოხრის წარმოება გაფართოვდება — ამ გზას უნდა ექნეს სამი
პარალელური ხაზი: 1. საავტომობილო — გუდრონით გადა-
ლესილი; 2. გზატკეცილი, როგორც ეხლა არის — საურმო და
საცხენოსნო და 3. საქვეითო.

ამიტომ გზის ფართობი ეხლაც საჭიროა შემოიფარგლოს,
თორემ შემდეგ ნაშენისა და ნარგავის აყრა ბევრ ნაშრომს
იმსხვერპლებს.

ერთიც: კარგი იქნებოდა ამ გაფართოებულ გზას ორივე

¹ სადები ჰქვია ისეთ ადგილს, სადაც შეიძლება ჩაეფლოს მგზავრი.

მხრით ჩაურგონ ხეები (უსათუოდ ერთი ჯიშის, სჯობია — ცაცხვი), რომ მგზავრს ჩრდილი ჰფარავდეს ქუთაისიდან აგარაკამდე...

...დაბლობში გამოჩნდა თვით წყალტუბო.

რა რიგ გამოცვლილა!

სადღაა მესრით შემოვლებული დიდი ქართა, რომელშიაც სძოვდნენ კამეჩები, ხარები, ცხვრები; დარბოდენ ქათმები, გოჭები (აგარაკზე მოსულთ პატარ-პატარა მეურნეობები ჰქონდათ აქ მოწყობილი); სადღაა აყირაგებული ურმები და მათ ქვეშ მოკალათებული მთელი ოჯახები? სადღაა პატარა ოთახები, თითქმის მიწაზე დადგმულნი ფარღალალა კედლებით და ყავარ აყრილი სახურავებით?

არა, ეხლა შენების პროცესში მყოფი ევროპიული აგარაკია-ზოგიერთი შენობა ყურადღებას იპყრობს მოხდენილობითაც და სიდიდითაც (სასტუმრო, საკ. სამმართველოს, სოცდაზღვევის, და სხვ...)

გენერალური გეგმა ეხლა დგება. მუშაობს სამი კომისია: ბალნეოლოგიური, კლიმატოლოგიური და გეოლოგიური.

თუ ბელეტრისტს შეუძლია ასეთ საქმეში ჩაეროს, ვიკითხავდი:

არ შეიძლება აქ, წყალტუბოში, წყლით მკურნალობას დაემატოს ხილითა და მზის სხივებით მკურნალობა? და რა შედეგს მოგვცემდა მათი მრავალგვარი კომბინაცია?

ეს კი ვიცი, წყალტუბოს მიდამოების ლედვი და შავქლიავი — იშვიათია.

ერთიც კიდევ: ყოველ აგარაკს თან უნდა ახლდეს საექსკურსიო ადგილები და ისინი უნდა გამონახოს აგარაკის მესვეურებმა.

ჩემის მხრით დავასახელებდი სოფელ ყუმისთავს, რომელიც წყალტუბოდან 10—11 ვერსის მანძილზეა. აქ არის სტალაქტიტიც და სტალაგმიტის ძლიერ დიდი გამოქვაბული, საიდანაც გამოდის მდინარე ყუმი და რომლის თავზე ძველი ციხის ნანგრევებია. მდინარე ყუმი გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ იკარგება მიწაში და 1—2 ვერსის შემდეგ ისევ ამოდის მიწის ზედაპირზე.

ეხლა წყალტუბოსათვის წყალსადენის გამოყვანის გეგმა მზადდება და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ მიზნითაც მიექციათ ყურადღება მდინარე ყუმისათვის.

გზაც წყალტუბოდან ყუმამდე ექსკურსიისათვის ჩინებულია: 5—6 ვერსის შემდეგ მგზავრი დაინახავს 60—70 ვერსით დაშორებულ ზღვის ხაზს, და როცა შიგ მზე ჩადის, ფერტიული სანახაობა იშლება... ვინ იცის, იქნებ, აქ მზის ჩასვლას ისე მიეტანოს ხალხი, როგორც კისლოვოდსკიდან მიდიან ბეშტაუზე მზის ამოსვლის დასანახავად...

არ შეცვლილა მხოლოდ სამკურნალო წყალი — ნაზი, მოალერსე, დამამშვიდებელი.

ერთი შეცდომა დაუშვიათ, მგონი — აუზის ფსკერზე დაუფენიათ თლილი ქვა... სჯობდა დაეტოვებინათ კენჭები, ოღონდა შეძლებისდაგვარად პრტყელ-პრტყელი კენჭებით შეეცვალათ, რომ ფეხებს არ ეხამუშებოდეს... ავადმყოფისთვის უფრო თვალსაჩინოა, როცა ხედავს, თუ როგორ ამოდის მიწიდან სამკურნალო წყალი და ქრუანტელივით უვლის ტანში...

[1932 წ.]

15 ოქტომბერი

...იცვლება ეკონომიური სახე საქართველოსი: აქ ფერო-მარგანეცის კომბინატი, იქ ელექტრო-მავლები; მაუდისა და აბრეშუმის საფეიქროები... ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებს ემატება შირაქის ნავთი და ტყვარჩელის ქვანახშირი. უნდა მოიღწყოს სამგორის ველი და დაშრეს კოლხეთის ქოროხები...

ადგილობრივი ჩაი, ადგილობრივი ქალაღდი, ადგილობრივი შაქარი...

ეკონომიურად გარდაქმნილი ქვეყანა ზრდის ახალ ადამიანსაც — კოლექტივის თავდადებულ მსახურს, შრომის მოტრფიალეს, ჯანსაღი სხეულით და ძლიერის ნებისყოფით.

ასეთი ადამიანის ასახვა, მისი განვითარებისათვის ხელს შეწყობა, მისი ესტეტიური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეადგენს ერთ-ერთ ამოცანას საბჭოთა მწერლობისას. ...და ჩვენც ყველანი „ერთხმად“ შეძლებისა და შეგნების-დაგვართ ვემსახურებით მას.

[1932 წ.]

მისალმება

ჩვენნი მოდგმის სასიქადულო შეილონიან-გო!

მთელმა ჩვენმა მოდგმამ გამომგზავნა შენთვის მომელოცნა შენი მოღვაწეობის ათი წლის თავი, შენთან მზეზე თავი დამედვა და განცხრომას მივცემოდი შენი დიდი შრომით გაამაყებული, მაგრამ ვერ მოვალწიე და წერილს გწერ, რომ გითხრა, თუ რამ შემისალა ხელი.

ვიცი, შენ საერთო, საზოგადო უფრო გაინტერესებს, ვიდრე პირადი, კერძო და ამიტომ ტფილისზე შეეჩერდები, მისი მოსახლეობის საკვირველ თვისებებზე.

ვაგონიდან რომ ჩამოვხტი, სწორედ ოთხის ნახევარი იყო. გამოვედი ქუჩაში თუ არა, მეფხოვემ მომაყარა საშინელი მტვერი. ვუთხარი — ამხანაგო, ამ მტვერს რომ მაყარი, რა დაგიშავეთქო. შემომხედა, ხმაც არ გაუცია და განაგრძო ქუჩის ხვეტა. ბრაზი მომივიდა:

— კაცო, ნუ მსერი...

— გაიარე, ხომ უყურებ ათასი კაცი მიდი-მოდის და არაფერს მეუბნება, შენ რა წითელი კოჭი ხარო! — შემომიბღვირა.

— ჰო და ათასი რომ მიდი-მოდის, სწორედ იმიტომ არ უნდა ხვეტდე, სხვა დრო ვერ იპოვე?

— შენ, ძმაო, ციდან თუ ხარ მოსული, ისევ იქ წადი, მართლაც, იქ უფრო სისუფთავეაო, — დამცინა კიდევ!

— ციდან კი არა ნანგრევებიდან, კლდეებიდან ვარ დებუტატად გამოგზავნილი, იქაც კი ქარი ხვეტს და წვიმა რეცხს, როცა მუშაობა შენელებულია, შენ კი სწორედ მუშათა და მოსამსახურეთა მიმოსვლის დროს აგიფორიაქებია ქუჩა.



მეზოვემ ბუზათაც არ ჩამავლო.

ვიფიქრე, ვილაც სპილო იძლევა ასეთს განკარგულებას და პატარა ხვლიკს რა ხმა აქვს, იქნებ დიდმა ნიანგმა მიშველოს მეთქი.

გამვლელთაც უცნაური ჩვეულება ჰქონიათ ამ ტფილისში: ვისაც გაჩერება სჭირდება და შეხვედრილთან ლაპარაკი, განზე კი არ მიდგება, რომ დანარჩენთ გზა დაუთმოს, არამედ უეჭველად შუა ქუჩაში გაეხივება, განსაკუთრებით კი კიბეზე, გადასასვლელზე და როცა წაედება ვინმე, ვერ გრძნობს უხერხულობას, დატაკებას... ბექს არ შეარხევს, ფეხს არ მოიცვლის...

ბინა მეგობართან მქონდა დაპირებული.

მილიციონერს ვთხოვე ეჩვენებინა, რომელი ტრამვით წასულიყავი მაჩაბლის ქუჩისკენ.

— რა ვიცო! — მიპასუხა.

— არ იცით მაჩაბლის ქუჩა სად არის?

— რა ვიცი, ბიძია, რამდენი ქუჩაა ამ დალოცვილ ტფილისში!

— აბა რისთვის ხარ აქ დაყენებული? — ჩავბურღუნე და ტრამვის კონტროლიორს მივმართე:

— იქითკენ მიდის 1, 2, 3, 4 ნუმრები, სულ ერთია, ყველა მიგიყვანს.

მეც მე-2-ში ჩავჯექი და... სილაზე, აბანოებთან ამოვყავითათვი.

გამოირკვა, რომ ნუმრები არეული ყოფილა და რაც ერთის მხრით მიდიოდა, მეორე მხარეზე მიდის!

— იმე!

— ზმუკი! — მომადახა ვილაცამ.

გავშმაგდი.

ნიანგის კი არა ნამდვილი ცრემლები დავღვარე.

კონტროლიორს მივევარდი:

— ნუ თუ შეიძლება მგზავრების ასე გაწამება?

— მერე რა... ჩაჯექი სხვა ვაგონში და დაბრუნდი უკან.

— იმე!

— ზმუკი!

— თუ აქეთ აგზავნიდით რონოდას, ნუმერიც შეგეცვალათ!..

— ჰო, ახლა ვიხტუნოთ ვაგონის სახურავზე? დაბრუნდი და ის იქნება — არ დაქცეულა ქვეყანა!...
ეს ნათქვამი: „არ დაიქცევა ქვეყანა“ — მაგიყებს ჩემს სიმკვირცხლეს სიზანტეთ სცვლის და ძველი რუსეთის — „ნიჩევოს“ მაგონებს.

რა გავაგრძელო, დაებრუნდი უკან, მოვძებნე დაწესებულება, სადაც ჩემი მეგობარი მსახურობს. აქ ხალხი ასობით შედის და გამოდის, მაგრამ კარის ერთი ნახევარი დაკეტილი დამხვდა. გავოცდი. ნუთუ არ ღირს ამ ნახევრის გაღებაც, რომ შესვლა-გამოსვლა გაუადვილდეს ხალხს, მაგრამ ეტყობა ტფილისი სივიწროვის მოტრფიალეა! — აქ არავინ გრძნობს უსიამოვნებას, როცა ვინმე ან რამე ეხლახუნება-ედება... ვიღაც უმაწვილი გაჩხერილა ღიათ დარჩენილ კარებში და არხეინად ეწევა პაპიროსს. არც არავინ იხდის ბოდისმს დატაკების დროს, არც არავინ სთხოვს გზიდან ჩამოგვეცალეო.

შევედი, როგორც იქნა.

უჰ რა ჰაერი დგას! ეტყობა ფანჯრებს და კარებს წლობით არავინ აღებს... დახურული ჰაერი თავბრუს მასხამს... გამოვვარდი და ხელოვნური წყლის დასაღვეათ შევარდი... აქ უარესი ამბავია. ხალხი ესევა ლუდს, ბურახს, ლიმონის, მსხლის და სხვა წყლებს, რომ გაგრილდეს, მაგრამ რამდენადაც ცივი სასმელები გვშველიან, იმდენად მოგთენთავს, მოგშლის, გულს შეგიწუხებს დახშული ჰაერი და... სუნია...

და არავის გაახსენდება ფანჯრები დაალოს.

ადგილობრივ მოსამსახურეებს მაინც არ შეეცოდებათ თავი.

განსაცვიფრებელია.

სასახლის ქუჩის დასაწყისში პატარა ბაღნარი მოუწყობელი დარჩა სამი წელია. ვერ ეღირსა ვერც სკამებსა და ვერც კარებს... ელბაქიძის დაღმართის ბაღი დაკეტილია. რას უცდიან? ერთის სიტყვით, მე ავად გავხდი, ვწევარ!

და აი წერილით გიგზავნი ჩემს მოლოცვასა და ცნობებს — აწი შენ იცი.

ყველაფერი ჩემ მიერ შემჩნეული და დღეს მიწერილი წერილმანია, მაგრამ ცხოვრება ხომ წვრილმანებისაგან შესდგება და მსხვილმანსაც გაგიზიარებ, თუ განცვიფრების გაშე-

შება თავიდან მოვიშორე და შევფოფხდი, სადაც დიდი საქმეები ხდება და კეთდება.

შენი ხვლიკი

ნიანგთა და ხელიკთა სამოდგმათაშორისო ენიდან მთარგმნელი.

ნილოძე.

[1933 წ.]

ოცნება და სინამდვილე

ოციოდე წლის წინად წერა-კითხვის საზოგადოების ოთახში ჩვეულებისამებრ თავი მოეყარა ქართული საქმის მაშინდელ მესვეურთ და ბაასობდნენ.

— აი, უნივერსიტეტს რომ გახსნიდნენ როგორმე...

— შენობას ჩვენ მივცემდით...

— ოღონდაც....

— და რომელი მეცნიერი ჩამოვა აქ?

— ქართველები...

— ქართველებით ფონს ვერ გავალთ... პეტრიაშვილი, მელიქიშვილი, მარი, ჯავახიშვილი და კიდევ ერთი-ორი...

— ისინიც არ მგონია, რომ მოშორდენ პეტერბურგ — ოდესის სამეცნიერო გარემოს, დასტოვონ დაწყებული კვლევები და აქ უარააოდ დაიწყონ ანბანიდან.

— უნივერსიტეტი ქართული უნდა იქნეს...

— ეს კი ვერ წარმომიდგენია!.. სრულიად საქმაოა გაიხსნას უნივერსიტეტი რუსული, ოღონდ გაიხსნას აქ, რომ მეცნიერული ზედგავლენა დაეტყოს ჩვენს ცხოვრებას, რომ ჩვენი ახალგაზრდობა არ იყოს მოწყვეტილი თავის კერას და ახალგაზრდობიდანვე შეისწავლოს ჩვენი ჭირვარამი... ქართულ ენაზე სწავლება კი უნივერსიტეტში შორეულ მომავლისათვის დაეტოვოთ... მეტსაც ვიტყვი — გიმნაზიებშიაც კი ჭერჭერობით უნიადაგო ცდათ მიმაჩნია ქართულ ენაზე გადასვლა. სადაა მომზადებული მასწავლებლები, წიგნები, ქარტები და სხვა? თუ

ქართულზე გადავედით, ჩვენი ახალგაზრდობა მეტად ჩამორჩება და...

— რატომ?! უნივერსიტეტში ქართულად სწავლება მეც შეცდომად მიმაჩნია — არ გვყავს ჯერ საკმაოდ მომზადებული მეცნიერები, სახელმძღვანელოები არ გვაქვს, მაგრამ გიმნაზიებისათვის ერთ-ორ წელიწადში ყველაფერს დავამზადებდით, თუ ნებას დაგვრთავდენ, და საკმაო თანხას გაიღებდა თავადაზნაურობაც.

— ნეტარ არიან მორწმუნენი!..

— ასე დიდი საქმისთვის თავადაზნაურობის თანხამ რა უნდა გააწყოს?! ანდა რას მოგცემს ის? აქ საჭიროა მთავრობის მიერ გამოყოფილი დიდი თანხა და ხელმძღვანელობა.

— ერთი სიტყვით, შენ ამბობ, საჭიროა ჩვენი ქვეყნის შემოსავალს ჩვენ თითონ ვანაწილებდეთ, მოკლედ რომ ვთქვათ, მოითხოვთ ჰომრუს.

— ჰომრუს დაარქმევ, თუ ავტონომიას, ყველა ჩვენს მოთხოვნილებას დიდი თანხაც უნდა და დიდი დროც, ასეთ თანხას ჩვენი მიწა-წყალი ვერ მოგვცემს.

— და მერე რას წააგებს, ვინც ჩვენს ქვეყანაში ფულს ჩააყრის? მარტო ჩვენი აგარაკები რად ღირს, თუ კაცი მოაწყობს, საქართველო ხომ ჰაერით, წყლებით და ტალახებით მთლიანი სამკურნალო აგარაკია.

— კოლხიდის ჭაობებიცა და სამგორის უდაბნოც?

— ჰაი, ჰაი, რომ ისინიც ქვეყნის უმდიდრესი სიმდიდრეა! დამშრალი კოლხიდის ჭაობი და სამგორის მორწყული ველები ვინმე პოლანდიელს მისცემდა ტროპიკულ ხილსა და ულევ პურეულს. და ესლა, რომ რაჭის მოსახლეობა კავკასიის გადაღმა გარბის, ან ხევსურეთი და სვანეთი მთელი ზამთარი ჩაკეტილი და მშვიერი რომ რჩება, აქ გააჩაღებდა სამეურნეო კულტურას.

— ეჰ, რა სიმდიდრეზე ლაპარაკობთ?.. სწორედ იმ სვანეთში ოქროა, ოქრო, და ვინ არის გამომკვლევი და დამმუშავებელი?

— ჩვენი უკულტურობა, მცონარეობა...

— არაა მართალი, თითქოს ჩვენ ან უმოქმედო ვიყოთ ან სურვილი არ გვქონდეს, მაგრამ ვინ გაძლევს გასაქანს?.. კითხ-

ვა არ ვიცით და წერა... რა ერია, სულ სამი გაზეთია და არც ერთი არ სალდება 1500—2000-ზე მეტი?

— რევოლუციის დროს 10.000-მდე ავიდა გაზეთის რაჟი.

— მით უარესი! ჰგავს, მხოლოდ მაშინ კითხულობდნ გაზეთს, როცა დარბევას ან სიკვდილს მოელოდნენ, ან გამარჯვებასა და ხსნას... ნორმალურ პირობებში კი ამ ათი ათასმა ხელის მომწერმა კითხვა ზედმეტად მიიჩნია... არ აინტერესებთ არც მსოფლიოს ჭირ-ვარამი, არც საკუთარი ქვეყნის განვითარება — ყოველივე ის, რაც უმთავრესად იბეჭდება გაზეთში.

— ამ მხრითაც სწორედ რომ ჩამოვრჩით. აკაკი, აკაკო, ვიძახით, ილია, ჩვენი ილიაო, ვლადიმერ და აბა თუ მოვახერხებთ, არა თუ მთლიანად გამოგვეცა მათი თხზულებები, რჩეული ნაწერები მაინც შეგვეკრიბა... ვაჟა, რომელსაც სხვა ქვეყანაში სასახლეები ექნებოდა, სადღაც ჩარგალშია ჩამწყვდეული და ისე ხელმოკლედ არის, რომ, თუმც იცის, მაინც სჭამს ჭირიანი საქონლის ხორცს და იწამლება. საუკეთესო ნოველისტს, შიო არავვისპირელს ბეითლობისათვის ვერ დაუნებებია თავი და ვასილ ბარნოვი გაკვეთილებზე დარბის, რომანების წერის მაგიერ.

— რომელი ერთი უნდა სთქვა? აი მსახიობებიც: მესხიშვილი რუსეთში გაიქცა, რომ შიმშილისთვის თავი დაეღწია და ვასო აბაშიძე, ეს გენიოსი კომიკოსი, ხან ერთთან მიდის სადილათ და ხან მეორესთან... ერთი მუდმივი დასი ვერ შეგვიდგენია, რომ რჩეულებს მაინც ჰქონდეთ უზრუნველყოფა და ასპარეზი.

— რა დასზე ბრძანებთ... ქუთაისის თეატრში ერთი საკვირველი ასალია... ხან მოსასხამია, ხან სუფრის საფარი, ხან ბაი-რაღი და ხან კიდევ რა!..

ასე მუსაიფობდნენ ოციოდე წლის წინად ქართველი ინტელიგენტები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პატარა ოთახში.

...მენშევიკების თარეშის ხანა. რა გააკეთეს მენშევიკებმა?.. ეპ, ეს მხოლოდ მწარე მოგონების საგანია...

— ეს ოცნებები ზომ გადაჭარბებით განახორციელა საბჭოთა ხელისუფლებამ. განახორციელა არა უცხოეთისა და შინაური კაპიტალისტების საშუალებით, — საკუთარი ძალდონით, სოციალიზმის გზით.

...სინამდვილეზე აღარაფერს იტყვი, მწერალო? — იქნება, მომადახოს მკითხველმა.

— თქვენს წამოძახილშია უკვე პასუხი, მეგობარო-მკითხველო. ამ წამოძახილისთვის დაწვერე რამდენიმე სტრიქონი და მიზანს მივალწიე — თქვენ ადასტურებთ, რომ ოცნება სინამდვილეთ იქცა....

[1936 წ.]

რა თვალუწვდენი შესაძლებლობანი გვეულება წინ

ოქტომბრის რევოლუციის ზედგავლენა ცხოვრების ყველა მხარეზე, და კერძოდ მწერლობაზე, იმდენად ნათელი და თვალსაჩინოა, რომ საფრთხე მომელის განმარტება ბუნდოვანი არ გამომივიდეს.

ოქტომბერმა ქართველ მწერალს, ორი — სამი ათასი მკითხველის მაგიერ, მოუყვანა ათიათასები და თან ისეთი მკითხველი, რომელიც არ კმაყოფილდება მხატვრული ნაწარმოების ცალმხრივი ღირსებით (ვთქვათ, მარტო სტილით, მხატვრობით, რიტმიულობით ან მარტო იდეოლოგიით, ან მთავარი და ახალი კითხვების წამოყენებით, ან ახალი ტიპის გამოყვანით), არამედ მოითხოვს შედუღებულ ნაწარმოებს, რომელშიაც ძნელად ერკვევი, რა უფრო გზიბლავს — შინაგანი თვისება, თუ გარეგანი სამკაული.

როცა მკითხველს ასეთი მოთხოვნილება გაეღვიძა, რა თქმა უნდა, პატივისცემაც გაუძლიერდა ადამიანებისადმი, რომელნიც მოახერხებენ ამ რთული დავალების შესრულებას...

საბჭოთა მთავრობამ დაამშვიდა მწერალი, რომ მისი ნაწარმოები წლობით არ იქნება უჯრამში შენახული, და მისი გრძნობა და აზრი ჯერ გაზეთებისა და ჟურნალების საშუალებით, შემდეგ

კი წიგნაკებად გამოცემული მოედება ქვეყანას... სწორედ
ქვეყანას და არა მარტო საქართველოს.

აკაკისა და ილიას, ყაზბეგსა და ვაჟას არ ღირსებია ყველა თავისი თხზულება ცალკე წიგნებად ენახა, ეხლა კი დამწყები მწერლის პირველივე ნაწარმოებიც ხომ ხშირად იბეჭდება მეორე და მესამე გამოცემით.

მწერლის ზნეობრივ დაქმავიფილებას თან სდევს მატერიალური უზრუნველყოფაც.

ამ თხუთმეტი წლის წინათ საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მხატვარი-მწერალი, რომლის საყოფა-ცხოვრებო მინიმუმი დამყარებული ყოფილიყოს ლიტერატურულ ჰონორარზე — ყველა ან მსახურებდა, ან სოფლის მეურნეობას ეწეოდა, ან მშობლების ხარჯზე ცხოვრობდა. ეხლა კი მეტად იშვიათია მწერალი, რომელიც თავის დროს რაიმე გარეშე საქმეს ანდომებდეს, და უნდა ვთქვა — შეიძლება ეს ზედმეტიც იყოს: — პარტიისა და ხელისუფლების სიუხვე და ზრუნვა ლიტერატურის საქმეების მიმართ ბევრად აჭარბებს იმას, რაც მოსალოდნელი იყო ამ უმაგალითო გარდაქმნისა და ყველა სასიცოცხლო ძალების დაქიმვის დროს!

მკითხველთა რიცხვის ზრდამ, საზოგადოების ყურადღებამ, შრომის დაფასებამ, მთავრობისა და პარტიის ზრუნვამ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, მწერალში გამოიწვია პასუხისმგებლობის მეტი გრძნობა, გაამახვილა სურვილი, მართლაც ღირსი გახდეს „სულის ინჟინერის“ საპატიო წოდების.

ცოტა რამ ჩემზედაც: სამწუხაროდ, ბევრის წერა არ მებეზრებდა... საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე დავწერე მეტი, ვიდრე წინად („ბილიკებიდან ლიანდაგზე“, „შელოცვა რადიოთი“, „რაინდები“, „ფეოდალები“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ყავახანა“, „თავსაფრიანი დედაკაცი“ და სხვა...); რუსულად ნათარგმნი გამოვიდა კრებულების სამი წიგნი.

რას ვწერ? ბევრი რამ მაქვს დაწყებული. დეტალებზე ნება მიბოძეთ არ შევჩერდე — ძნელი სათქმელია სათაური როგორ შეიცვლება და რის დამთავრებას მოვახერხებ — მოგეხსენებათ წერის პროცესში რა გადაარჩევა ხდება...



ბევრჯერ მითქვამს, ეხლა ვიმეორებ მხოლოდ, ათი — ოცი წელიწადი ადამიანისთვისაც შეგნებული შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისს წარმოადგენს და, სახელმწიფოსთვის ხომ იგი ერთი წამია; მაგრამ ამ თუთხმეტ წელშიაც, რა გზა გაუთელავს, რა ციხეები აუღია და რა შედეგს მიუღწევია საბჭოთა ხელისუფლებას!

ჩემი თაობის ოცნება, — როგორმე მოსწრებოდა ტფილისში უნივერსიტეტს, არა ქართულს, — ამაზე ვინ იფიქრებდა! — მოსწრებოდა ისეთ უნივერსიტეტს, როგორიც იყო რუსეთის მრავალ პროვინციაში: ხარკოვში, ვარშავაში, კაზანში — განხორციელდა, ასზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებაში, მრავალ რიცხოვან სამეცნიერო მუშაკებითა და ათასობით მოზღვავებულ მსმენელებით, რომელნიც ჩვენი კულტურის დაეიწყებულ ნაშთებს გაცამტვერებას ხელიდან გლეჯენ და მსოფლიოს უერთებენ.

ჩვენი დიდი მსახიობები, ქართული თეატრის ფუძემდებელნი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია — ჩამოთვლილი მანეთებით აკოწიწებდენ წარმოდგენას, თავისი ხელით სდგამდენ დეკორაციას, ახლა კი ყოველ დაბას თავისი დასი ჰყავს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და აკადემიურმა თეატრებმა ევროპაშიაც კი მოიხვეჭეს სახელი.

მივარდნილ კუთხეებში, ყოველ წრეში მთავრობა და პარტია ეძებს არა მარტო ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც ფართო საშუალებას აძლევს განავითარონ ბუნების ნაბოძები ძალები, არამედ ჰკრავს ხალხური სიტყვიერების, მუსიკის, პლასტიკის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების განძებს, რომ ხალხს არ დაუკარგოს საუკუნეთა მანძილზე მოპოებული კულტურული მიღწევა. მხატვრობას, ქანდაკებას, მუსიკას — ხელოვნების ამ სრულიად მივიწყებულ დარგებს უკვე აქვთ თავისი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები — და მართლაც რომ საკვირველია! — ამ თუთხმეტ წელში მოგვეცეს ტექნიკის ღრმა ცოდნით შესრულებული ნიჭის ღირსშესანიშნავი ნიმუშები.

კლდე აფეთქდა, რომ მადანი გადმოგორდეს. უწყლო, უნაყოფო ველები არხებმა გააპოხიერა და ტბა-ჭაობები სავენახე და ჩაის პლანტაციებათ გარდიქმნენ.

სვანეთსა და ხევსურეთში, სად მხოლოდ ორბნი-არწივნი ბუდობდენ, ჰაერობლანები შეიქრა და მყუდრო ქუთაისს ქარხანების გუგუნნი აღარ აძინებს.

მაგრამ მათ შორის ყველაზე გულწარმტაცია სამგორის ველების დაწყებული ათვისება, საიდანაც მშრომელი ხალხი სხვადასხვა დროს მტარვალმა მშობლიურ კერას მოკლიჯა.

და თუ ეს პირველი ნაბიჯებია ახალი წყობილების, რა თვალუწვდენი შესაძლებლობანი გვეშლება წინ!..

მწერალს ჩასაფიქრებლად ისლა დარჩენია, თუ როგორ მისდის ამ გაქანებულ დროს და როგორ ასახოს ამ ორომტრიკალში ვარდაქმნილი ადამიანი...

[1936 წ.]

მწვერვალებისკენ

არც ერთი ერის განვითარება არ ხდებოდა, რა თქმა უნდა, თანდათანობით, შეუწყვეტლივ და პირდაპირი ხაზით. თემთა და ტომთა შორის ომი, სარწმუნოებრივი ბრძოლა ან კიდევ უფრო გარეშე მტრის შემოსევა ერს სახელმწიფოებრივ, მატერიალურ და გონებრივ სიმაღლიდან უკან დააქანებდა.

მაგრამ საქართველოს ამ მხრივ ნამეტანი ემართებოდა. გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნების სიმდიდრე ცხოვრების მთელ მანძილზე იწვევდა უცხოთა შემოსევას — უმაღლესად განათლებული საბერძნეთი და რომი იქნებოდა ეს მტერი თუ ჩინგის-ყაენისა და თემურლენგის ნახევრად ველური თემები, და ყველაფერი, რაც გონებრივი თუ ნივთიერი საგანძური დაეგროვებინა ქართულ გენიას, გათელილი და ალაფებული რჩებოდა.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი თაობის თვალწინ, რუსეთის თვითმპყრობელობის შემდეგ, საქართველო გადათელა გერმანიამაც, ინგლისმაც და ოსმალეთმაც.

მაგრამ ქართველ ერს ყოველთვის რჩებოდა უნარი ზეაღდგომისა. მას ისევ აღუდგენია დამხობილი, შეუმოსავს გაძარცული, უშენებია, უწერია და განუგრძვია თავისი ისტორია.

სულ ოცი წელია, რაც ლენინურმა ეროვნულმა პოლიტი-

კამ ქართველ ერს მრავალი საუკუნის ჭრილობების მოჩინის
საშუალება მისცა; მყუდრო მუშაობის შედეგად ამ ოცნებულ-
წადში ჩვენი ცხოვრება გარდაიქმნა, ქართული ენა, რომელიც
განდევნილი იყო კულტურული სფეროს უმნიშვნელოვანეს
კუთხეებიდან (სკოლიდან, სასამართლოდან) და მხოლოდ ზო-
გიერთი წრის საოჯახო და ორიოდ ქართველი მწერლის ენად
დარჩენილიყო, გახდა სახელმწიფო ენად და ვითარდება, შეის-
წავლება უნივერსიტეტსა და სპეციალურ ინსტიტუტებში;
სასოფლო მეურნეობას შეემატა კულტურა ჩაის, მანდარინისა,
ლიმონისა და სხვა. სააგარაკო მეურნეობა, რაც სამკურნალო
წყლების სიუხვისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ჰავის თვისებების
გამო, ესოდენ ხელსაყრელია საქართველოსთვის და რაც წინად
ადგილობრივ მოთხოვნილებასაც მხოლოდ ნაწილობრივ აკმა-
ყოფილებდა, უკვე გამოვიდა საკავშირო ასპარეზზე.

დაიბადა მეტალურგია — ეს საფუძველი ინდუსტრიალიზა-
ციისა.

კიდევ რამდენიმე ხუთწლედი და ჩვენი ქვეყანა განვითა-
რების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწევს...

[1941 წ.]

დამატება

„ეს გეგმაში არ ყოფილა“!

ამსტერდამის საავადმყოფოში ერთი მეზღვაურისათვის დაშავებული ფეხი უნდა მოექრათ.

ოპერაციის დროს მეზღვაურს კრინტიც არ დაუძრავს, საშინელ ტკივილებს მხოლოდ ყალიონის წვევით იქარვებდა და დროგამოშვებით კბილებს აკრაჭუნებდა.

ექიმი დიახაც გაკვირვებული იყო იშვიათის სიღინჯით და ქებით იხსენიებდა ვაჟკაცურ მოთმენას და ამტანლობას.

სწორედ ამ დროს მეზღვაურმა საშინლად შეკივლა, თურმე ექიმს წყლული შეხვევის დროს ნემსით გაეკაწრა.

— როგორ? — გაიკვირვა ექიმმა, — ნემსის ჩხვლეტაზე ჰყვირით, მაშინ როდესაც უმწვავესი ტკივილები ხმა ამოუღებელივ აიტანეთ!..

— მართალია, მიუვო მეზღვაურმა, მაგრამ, ბატონო ექიმო, ეგ ჩხვლეტა გეგმაში არ ყოფილა.

მეზღვაური მართალი იყო.

[1908 წ.]

თუთიყუშის აღმატება

ბრამინებს დაკვირვების ახირებული ნიჭი აქვთ.

ერთი მათგანი ბზის ტყეში მიდიოდა. გზაზე მიწაზე მოსიარულე თუთიყუშს მოჰკრა თვალი.

— თუთიყუშიაო — თქვა ბრამინმა და დააკვირდა. თუთიყუში ზევით იყურებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო; მერმე მიახტა ერთ-ერთ ბზას და აცოცდა ზევით და გზაზე შეჩერდა.

— თუთიყუშიაო — თქვა ბრამინმა.

ჩიტი უფრო მაღლა აცოცდა, მიაღწია ხის მწვერვალს და ირგვლივ მიმოიხედა.

— იქაც მხოლოდ თუთიყუშიაო — თქვა ბრამინმა.

[1908 წ.]

ბრიუმფი

ო, ჭეშმარიტად, გამარჯვებული ბრიუმფის ღირსია! პანტერა, ლამაზი ჭრელი პანტერა, მოელვარე თვალებიანი, ლერწამსავეით მოქნილი, ეპარება ადგილს, სადაც მგზავრს სძინავს. თვალებმა ორს ბორბტს ეარსკვლავსავეით გაუელვა. პანტერა ნელა ირტყამს კუდს მართოლვარე, მოყვანილ გვერდებზე. ეპარება. თეთრი კბილები შუქს ჰფენს. ეპარება. სისხლი ბერავს ნესტოებს და ლამის გადმოსქდეს ძარღვებიდან. კიდევ ერთი წუთი. მიწვა, გაღიზნიკა გადასახტომად — მგზავრს კი სძინავს. ხელთ დანა აქვს, მაგრამ სძინავს. დანა გარეულ ღორის ეშოსა ჰგავს; პანტერას მუცელს გაუფატრავდა, მაგრამ მგზავრს სძინავს.

პანტერა კარგათ ხედავს ამ ძილს ღრმასა და მძიმეს; გრძელი, ძნელი, ქანც-გამომღევი მოგზაურობის შემდეგ ძილს.

ფლიდი ცხოველი!

1908 წ.

ცის მდინარე

ყურეული თქმულება

ოდესღაც ქვეყანაზედ ცხოვრობდა მხატვარი, რომელიც მშვენიერად ხატავდა. მაგალითად, მის მიერ დახატული ცხენი, თუ არ მიემათ, გარბოდა.

მხატვარმა განიზრახა ისეთი სურათი დაეხატა, რომელიც ზედნიერებას მიანიჭებდა მთელ მის ერს. ამ ფიქრის დროს ძილში მას გამოეცხადა მოხუცი. სახე და თმა მოხუცს ვერცხლსავეით თეთრი ჰქონდა.

— მე ვიცი შენი განზრახვა. ასეთი სურათის დახატვა შეიძლება, მაგრამ იგი სიციოცხლეთ დაგიჯდება.

— თანახმა ვარ, — უპასუხა მხატვარმა.

— მაშ მე გასწავლი, როგორ მოიქცე: ცის შუა პატარა მდინარეა; მხოლოდ ღამ-ღამე გამოცდილს თვალს შეუძლია დაინახოს იგი. ყოველთვის, როგორც კი დაღამდება, გამოდი მინდვრად, წამოწეპი აი ასე მხარზე, აი ასე გადიზნიქე და უძრავათ უყურე ცას. ბევრი ღამე გაივლის, სანამ შეეჩვევოდე ცის მდინარის გარჩევას.

როგორც მოხუცმა ასწავლა, ისე მოიქცა მხატვარი. დაღამდებოდა თუ არა, იგი მიდიოდა მინდორში, წევებოდა, როგორც უბრძანა მოხუცმა და შეყურებდა ცას. ტანი ებრუნებოდა უხერხულის წოლით, ეძინებოდა, თვალს ნისლი ეფარებოდა, მაგრამ მხატვარი უყურებდა და უყურებდა ცას. პირველად მხოლოდ იმას ამჩნევდა, რასაც ყველა ხედავს — ლურჯს ცას და ვარსკვლავებს; მერმე კი მეტი დაინახა: მუქი, თითქოს მუქ-წითელი სინათლე, ცის სილურჯე კი უფრო და უფრო იღებოდა და მან გაარჩია ნაზათ მოელვარე მტრედის ფერი, თითქოს თეთრი, ოდნავ მოძრავი ზოლი — აი ეს იყო ცის მდინარე. ანკარა ცის იქით მან დაინახა ოკოშანტეს* ბალი და სასახლე; დაინახა ცის მცხოვრებნი და ციური ღლის სინათლე. ეს სინათლე იყო, ცას რომ წითლად გადაფენოდა. მხატვარი სულ უყურებდა და სხვადასხვა საგნებს არჩევდა: დაინახა ცის მდინარეები, თევზები და ერთხელ შეხედა გადახსნილ წიგნს ბედის-წერისას და ამოიკითხა, თუ რაში იყო ყურეის ბედნიერება. დილაზე, იმ ღამის შემდგომ, მხატვარი მკვდარი იპოვეს; ის მოკვდა სისუსტისა და დაქანცვისგან.

მიცვალებული იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც თეთრმა მოხუცმა უბრძანა.

იქვე იდგა მისი ნახატი. ვერაფერს ვერ გაიგებდა კაცი იმ ნახატისას. საღებავი ისეთი ნაზი იყო, რომ ერთი ხაზის მეტს ვერაფერს შენიშნავდა კაცი. იფიქრეს, ილაპარაკეს, თუ რა ექნათ ნახატისათვის და მერმე ხელმწიფის ბრძანებით სალაროში შეინახეს.

* „ოკოშანტე“ ყურეველთა ღმერთია.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ბიბლიოთეკა

ჩინელები ყურეილებზე უფრო ჭკვიანი გამოდგენ. ისენი მოვიდნენ ყურეის ხელმწიფესთან და სთხოვეს ნახატი მოგვეყიდეო.

ხელმწიფემ საბჭო შეკრიბა.

— ნახატი არაფერათ ღირს, — უთხრეს ვეზირებმა ხელმწიფეს, — ფული კი გვიჭირს; ეხლა შემოგვაკლდა კიდეც. ამიტომაც გავყიდოთ ნახატიო. ნახატი მიყიდეს ჩინელებს 3000 ლიანათ (600 მან.); ქრთამათ კი ჩინელებმა 130000 ლიანი დახარჯეს.

როცა ჩინელებმა, როგორც იყო, მიიღეს ნახატი, ყურეილებმა კითხეს მათ:

— რათ გინდათ ეს ნახატი, აქ ხომ მხოლოდ ერთი ხაზია გავლებული?

მაშინ ჩინელებმა მოითხოვეს ოქროს ანკესი. როცა ჰია წამოცმული ანკესი ნახატს მიუახლოვეს, ნახატიდან ამოხტა ცოცხალი კარჩხანა.

— ეხლა გესმით რა ნახატია ეს ნახატი? — ჰკითხეს ჩინელებმა. — ეს ცის მდინარეა და მასში ბედნიერებაა მისთვის, ვისაც იგი ეკუთვნის.

ნახატი ჩინეთის ბოჰდიხანს წაუღეს. ეხლაც იქაა ის ნახატი. მას მერე ჩინელები ამაღლდნენ, ყურეილები კი დაეცენ.

შენიშვნები

ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა IV ტომში მოთავსებულია დრამატული და დაუმთავრებელი ნაწერები, აგრეთვე წერილები. ეს უკანასკნელი იბეჭდება შერჩევით, ორიოდ მათგანს გაუკეთდა კუბიურა.

დამატების სახით იბეჭდება ის ნაწარმოებები, რომელთა ორიგინალობა საეჭვოა. „ეს გეგმაში არ ყოფილა“ და „ყურეული თქმულება“ რომ თარგმანია, ნ. ლორთქიფანიძეს აღნიშნული აქვს მათი პირველად დაბეჭდვის დროს. პირველი ნაწარმოების ავტორად დასახელებულია მულტატული, მეორეზე სათაურს ქვემოთ მიუწერია „თარგმანი“. „ტრიუმფსა“ და „თუთიყუშის აღმატებას“ აწერია: „ყაზიმირ ტეტმაიერიდან“. შემდეგ გამოცემებში ეს ცნობები მწერალს მოუხსნია, ტექსტები სტილისტურად გაუსწორებია და ისე დაუბეჭდავს.

ნ. ლორთქიფანიძეს მულტატულიდან გადმოთარგმნილი აქვს სხვა თხზულებებიც, მათ შორის „მალა ცხოვრება“ (იხ. ჟ. „ნიშადური“, 1908, № 49, გვ. 4—5), რომლებიც თავის თხზულებათა კრებულებში არ შეუტანია.

წინამდებარე ტომით ვამთავრებთ ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა ოთხტომეულის გამოცემას.

განყოფილებაში „შენიშვნები“ თხზულებათა სათაურების შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედვითაც მომზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი. ნაწერები დალაგებულია ქრონოლოგიურად.

ზოგიერთ ხელნაწერსა და ნაბეჭდს ფრჩხილებში მიწერილი აქვს ლიტერი. A ლიტერი მიგვითითებს იმ ძირითად წყაროზე, რომლის მიხედვითაც იბეჭდება ჩვენი გამოცემის ტექსტი, ხოლო B და C სხვა წყაროებია.

ვარსკვლავიან (*) კომენტარში გამოყენებული გვაქვს ს. გერსამიას ნაშრომი „ქართველი მსახიობები“, რომელიც ხელ-

ნაწერის სახით დაცულია საქართველოს თეატრალურ მუზეუმში.

ტექნიკურ სამუშაოს შესრულებაში გვებმარებოდნენ ნ. ზღულაძე და მ. ყორღანაშვილი.

შ ე მ რ (გვ. 6)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: პირველნაბეჭდი — ჩასწორებული (B).

ნ ა ბ ე კ ე ლ ი: გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ., № 13; თბზულებანი ტ. 1, 1934 წ., გვ. 423—461 (A).

B-ში სათაურს ზემოთ, მარჯვნივ, დაბეჭდილია: „ოდნავ გადმოკეთებული, უფრო ნათარგმნი“ — შემდეგ ავტორს გაზეითის ამონაქერ ცალის ყველა ნომერში გადაუხზავს. გამოცემაში ეს შენიშვნა არ არის. გამოცემლობას ამ საკითხზე წინასიტყვაობაში შემდეგი ცნობა აქვს: „ამ ტომშივე მოთავსებულ პიესას „ქეთო“-ს თან უნდა ახლდეს შენიშვნა: „უფრო ნათარგმნი, ოდნავ გადმოქართულებული“, რაც სტამბას, სამწუხაროდ, გამოორჩენია. მერმინდელ და ამ გამოცემაში ეს შენიშვნა აღდგენილია.“

სამივე (ABC) გამოცემის ტექსტში ავტორი I და II მოქმედების პიესის პერსონაჟად ასახელებს ფარალიშვილს (ზოგჯერ ფარალაშვილს). მეორე მოქმედების ბოლო ნაწილსა და მესამე მოქმედებაში კი მარტო მისი სახელია — ვანო (ივანეს ნაცვლად).

ასეთივე მდგომარეობაა მეორე პერსონაჟის სახელის გადმოცემისას: პიესის I და II მოქმედებაში იწოდებოდა აღნიშნული, მესამე მოქმედებაში კი მხოლოდ მისი სახელი — ქრისტეფორე. სხვა პერსონაჟები კი იმავეთვე მარტო სახელითაა მოხსენებული. როგორც ჩანს, ავტორს ამგვარად უნდოდა ტექსტის გამართვა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი 1934 წ. გამოცემაში არ ნუხორციელებია. ამ გამოცემაში პიესის მოქმედი პირები ყველგან მხოლოდ სახელით მოგვყავს და ამით ტექსტში დღემდე არსებული სიჭკველეთავედანაა აცილებული.

B ტექსტი ნ. ლორთქიფანიძეს გაუშვადებია A ტექსტისთვის, სადაც ზოგჯერ ფარალაშვილი უმოდლებით (ფარელ-) დაუბეჭდავს და გარდა ორიოდესი სხვა შესწორებები არ შეუტანია. მიუხედავად ამისა BC-სთან შეპირისპირებისას A-ში მცირეოდენი ვარიანტული სხვაობა მაინც შეინიშნება. ეს ცვლილება, როგორც ჩანს, კორექტურის დროს მომხდარა.

ქ ა რ თ ე ე ლ თ ა შ ო რ ი ს წ ე რ ა - კ ი თ ხ ვ ი ს გ ა მ ა ე რ ც ე ლ ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა — დაარსდა 1879 წ. ეს საზოგადოება ხსნიდა და დახმარებას უწევდა ქართულ სკოლებს, აარსებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ბეჭდავდა ქართველი კლასიკოსების თბზულებებსა და სახელმძღვანელო წიგნებს, ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა და მუზეუმი, სადაც ქართველი ხალხის უძვირფასესმა განძმა მოიყარა თავი. (ხელნაწერები, სიგელგუჯრები, ხელოვნების ძეგლები, მემორიალური ნივთები და სხვ.). 1930 წ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი შეუერთდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, რომელიც შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტად გადაკეთდა, წ. კ. ს. ხელნაწერები მის ერთ-ერთ ფონდს (S) შეადგენს. ბიბლიოთეკა კი დაუკლია საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

ისტორიული საზოგადოება — იგულისხმება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით 1907 წ. ამ საზოგადოების საჯარო სხდომებზე იკითხებოდა მეცნიერული მოხსენებები და იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საზოგადოებას ჰქონდა მდიდარი მუზეუმი, რომლის ხელნაწერები დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ ფონდს (H) შეადგენს.

ლაროშფუკო, ფრანსუა დე (1613—1680) — ფრანგი მწერალი-მორალისტი.

ლაბაღება — საღვთისმსახურო წიგნის—ბიბლიის ნაწილია, რომელსაც ძველ აღთქმასაც უწოდებენ. მასში მოთხრობილი თქმულებები ეხება ქვეყნის ვაჩენას, კაცობრიობის წარმოშობას, ებრაელების ეგვიპტეში ყოფნას, მათ იქიდან გადასახლებას და სხვა საკითხებს. შედგება 50 წიგნისაგან, რომელთაგან 39 კანონიკურად ითვლება. დაწერილია ისინი ძვ. წელთაღრიცხვის მე-11 და ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეებს შორის. ბევრი მათგანის ავტორი უცნობია.

ლავეით მეფე — უნდა იგულისხმებოდეს ებრაელთა მეფე ბიბლიური ლავითი (980—950 ძვ. წ.). მას მიეწერება „ფსალმუნის“ ავტორობა.

ქილილა და დამანა — იგავ-არაკთა კრებულია.

ქართულად არსებობს ამ თხზულების სოპალისეული ვერსიის თარგმანები. მათ შორის ყველაზე კარგია ვახტანგ VI მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც არსებითადაა „გაზაღბული“ სულხან-საბა ორბელიანის მიერ.

პეტრიწი იოანე — მეთერთმეტე საუკუნის გასულისა და მეთორმეტის დამდეგის ქართველი ფილოსოფოსი. სწავლა-განათლება მიიღო საბერძნეთში კონსტანტინე მონომახის მიერ 1044—1047 წწ. დაარსებულ აკადემიაში. ოციოდე წელი მოღვაწეობდა ბულგარეთში პეტრიწონის ქართველთა მონასტერში, სადაც სასულიერო სემინარიას ედგა სათავეში. მეთორმეტე საუკუნის პირველ ათეულში, დავით აღმაშენებლის მოწვევით, დაბრუნდა სამშობლოში, დამკვიდრდა გელათში და ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას.

ზეუთანხმებელი (გვ. 54)

ეს თხზულება ავტორს პირველად მოთხრობის სახით დაუწერია — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. შემდეგ გადაუკეთებია პიესად, რომლისთვისაც სახელწოდება „ზეუთანხმებელი“ მოთხრობის ერთ-ერთი ქვესათაურიდან აუღია. ავტორის ცნობით, „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ დაწერილია 1927—1928 წლებში, დაიბეჭდა 1928 წ. „მნათობის“ მე-11 ნომერში. პიესა



„შეუთანხმებელი“ ამის (1928 წ.) შემდეგ გამოდის დაწერილი. პიესა ავტორს, როგორც ჩანს, შავად დაწერილი დარჩენია: პერსონაჟთა სია შემოკლებითაა წარმოდგენილი, ტექსტში კი უფრო მეტია მოცემული. ჩვენს გამოცემაში ეს დამატებითი სია თან ერთვის მოქმედ პირთა სახელებს, პერსონაჟების დასახელებაც სხვადასხვა ფორმით იყო მოცემული: სპირიდონი, ებანოვი, ელისაბედი და იოსები ზოგჯერ შემოკლებით იყო დასახელებული — სპირიდონ, ებანოვ., იოსებ., რომლებიც ამ გამოცემაში გასწორებულია. პიესა პირველად დაიბეჭდა 1953 წელს ავტორის თხოვნებთა კრებულში (ტ. II). ხელნაწერი არ შენახულა. იბეჭდება პირველნაბეჭდის მიხედვით.

ყარამანი — საღვევმირო თხზულების „ყარამანიანის“ პერსონაჟი. არსენას ლექსს ამღერებს სტვირზე — იგულისხმება ხალხური პოემა „არსენას ლექსი“, რომლის პერსონაჟი არსენა ოძელაშვილი ბატონყმობის უსამართლობის წინააღმდეგ და გლეხთა ინტერესების დამცველ მებრძოლ ეპეაკად არის გამოყვანილი.

ნასკაკოცი მიაძახა, გახლავარ ბიჭი არსენა — არსენას ლექსის 84—85-ე სტრიქონის ვარიანტია.

ალიხანოვი — ალიხანოვ-აგარსკი, გენერალი, მეთაურობდა 4 000 კაცისაგან შემდგარ დამსჯელ რაზმს, რომელიც სასტიკად ახშობდა საქართველოში გლეხების რევოლუციურ მოძრაობას. მოკლეს ერევანში 1905 წელს.

გვირაბიდან გამოვიდა ალიხანოვი — იგულისხმება წიფის რკინიგზის გვირაბი, გაიხსნა 1890 წ.

მენიკოვი ილია ილიას ძე (1845—1916) — გამოჩენილ რუსი ბიოლოგი.

ვორონცოვის ძეგლი — ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782—1856), გრაფი. კავკასიის მთავარმართებლად იმყოფებოდა 1844—1854 წლებში. ძეგლი იდგა მისივე სახელობის ხიდან (დღეს ეს ხილი კ. მარქსის სახელობისაა).

ყარაიაზი — ყარაია, დღევანდელი სოფ. გარდაბანი (გარდაბნის რ.).
თხოვნა გაპონების საქმეა — იგულისხმება პროეოკატორი ზუცესის, მეფის ოხრანის საიდუმლო აგენტის გიორგი აპოლონის ძე გაპონის საქმიანობაში მოტყუებით ჩაბმული მუშები.

დავით აღმაშენებელი (გვ. 147)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, დაუღლია მწერლის ოჯახში, თხზულებისათვის საბოლოო რედაქციის გაკეთება ავტორმა ვერ მოასწრო. სიციცხლეში გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი ნაწყვეტი „მუშის“ სათაურით 1918 წ. ვაზ. „ჩვენი ქვეყანა“ (№ 19, I, 26). მოაპოვება ამ ნაბეჭდის ავტორის მიერ ჩასწორებული ცალი. ასეთივე დამოუკიდებელი მოთხრობის სახით გაუმზადებია ავტორს მეორე ნაწყვეტი „მყინვარის“ სახელწოდებით. ეს ნაწყვეტი ნ. ლორთქიფანიძეს არ დაუბეჭდავს. იგი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ ჟურნ. „მნათობში“ (1944, № 11, გვ. 21—22).

ნაწყვეტებს მოეპოვება შემდეგი ქვესათაურები: „მუშას“ — სურათის
ესკიზი ტეტრალოგიიდან „აღდგომა“, „მყინვარს“ — ლეგენდა ისტორიული
რომანიდან „დავით აღმაშენებელი“.

მოთხრობა მთლიანი სახით პირველად დაიბეჭდა ავტორის გარდაცვა-
ლების შემდეგ 1945 წ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. ამ ნაწარ-
მოების შესახებ 1945 წ. ხსენებული გაზეთი (№ 20) იუწყებოდა: „განსვენ-
ებულ მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის არქივში აღმოჩნდა ისტორიული
ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ დაუმთავრებელი ხელნაწერები“.

ხელნაწერის პირველ ფურცელს აწერია: „დაწყებულია 1912 წ. 12 სე-
ქტემბერს“. როგორც ხელნაწერიდან ჩანს, მწერალს ტეტრალოგიისათვის
თავდაპირველად უწოდებია „ცეცხლის წვიმების დროს“. შემდეგ ავტორს
ეს სათაური წაუშლია და უწოდებია „აღდგომა“, ხოლო საბოლოოდ კი
„დავით აღმაშენებელი“ დაურქმევია. ხელნაწერში შენახულია ერთი დიდი
ზომის გვერდი, რომელიც ალბათ ნაწარმოების პირველი წიგნის დასაწყის-
სი უნდა ყოფილიყო. ამ გვერდს აწერია: „ცეცხლის წვიმების დროს“, და-
წყებულია 1914 წელს ს. ჩუნეშვი, დამთავრებულია 1916 წელს ქ. ქუთაის-
ში. სულ 242 გვერდია“.

უნდა ვიფიქროთ, რომ მწერალს ნაწარმოების შემდგომ დამუშავებისას
ბევრი რამ არ მოსწონებია და მხოლოდ მცირე ნაწილი დაუცავს და შეუ-
ნახავს. შემდეგ გაზეთი მკითხველებს აუწყებს, რომ „ჩვენი გაზეთი შემდეგ
ნომრებში გამოაქვეყნებს გადარჩენილ ხელნაწერს“. მართლაც, დასახე-
ლებული მოთხრობა გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ მომდევნო ნომ-
რებში (№ 22, 5, VII, № 23, 15 VII და № 31, 23 IX) მთლიანად დაიბეჭდა,
სადაც ის დათარიღებულია 1912—1919 წლებით. შემდეგ ტექსტი ამ გამო-
ცემიდან შევიდა მწერლის თხზულებათა კრებულებში. როგორც შავ ავ-
ტოგრაფში დაცული ცნობიდან ჩანს, მოთხრობის წერა ავტორს დაუწყია
არა 12 სექტემბერს, არამედ 21-ს.

ფ ა რ ნ ა ო ზ მ ე ფ ე — მე-11 საუკუნის სამოციანი-სამოცდაათიანი
წლების ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით იყო ქართ-
ლის პირველი მეფე. თანამედროვე ზოგი ისტორიკოსის აზრით, იგი ცხოვ-
რობდა ძვ. წ. მესამე საუკუნის პირველ ნახევარში.

ს ი ო ნ ი ს ტ ა ძ ა რ ი — თბილისის სიონის ტაძარი აშენებულია X—XI
საუკუნეებში.

ს უ ლ მ ნ ა თ ი თ ა მ ა რ ი — ივულისხმება თამარ მეფე (1184—1213).

ა ბ რ ა ზ ი (გვ. 178)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ეურნ. „ახალი კავკასიონი“, 1925 წ., № 1—2.

**დავით და კონსტანტინეს მოსალოცავად უნდა მო-
დიოდნენ** — დავით და კონსტანტინე იყვნენ არგვეთის მთავრები, რომ-
ლებიც მე-8 საუკუნეში აწამეს არაბებმა. ბაგრატ მეფემ მათი წამების აღ-
ვილას ააშენა ტაძარი.

ა რ ს ე ნ ა ყ ა ჩ ა ლ ი, ივულისხმება არსენა ოძელაშვილი.

ნოეს კიდობანი — ბიბლიური თქმულებით, ადამ და ევას შთამომავლობამ დაივიწყა ღმერთი. ერთადერთი ნოეს ოჯახი ღმერთს მორწმუნე ღმერთმა გადაწყვიტა აღამიანთა დასჯა, მხოლოდ ნოე და მისი ოჯახი უნდა გადარჩენილიყო. ამ მიზნით ნოეს უბრძანა კიდობანის გაკეთება მისი ოჯახისათვის. ოჯახის გარდა ნოეს კიდობანში უნდა შეეყვანა შვიდ-შვიდი წყვილი სამსხვერპლო ცხოველი და ფრინველი, არა სამსხვერპლოდან — ორ-ორი წყვილი. ნოემ შეასრულა მითითება, რის შემდეგ დაიწყო წარღვნა, ყველა დაიღუპა და ნოეს კიდობანი შეფარებულელებილა გადარჩენი.

უწყრეთის ბრისბოკრბბბ (გვ. 210)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: აეტოგრაფი, დაცულია მწერლის ოჯახში (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ეურნ. „ღროშა“, 1933 წ., № 12, გვ. 7—8 (A).

დასაწყისში A-ს დართული აქვს შენიშვნა: ნაწყვეტი სატირიდან.

მგოსანი მხოლოდ ერთის მისწრაზების (გვ. 221)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ეურნ. „საქართველო“, 1908 წ., № 7, XI, 2.

დ ა ნ ტ ე ა ლ ი გ ი ე რ ი (1265—1321) დიდი იტალიელი პოეტი, „ღვთაგებრივი კომედიის“ აეტორი.

სამშობლო (გვ. 222)

ნ ა ბ ე ქ დ ი: კრებ. „აკაკის ღღე საქართველოში“ 1908 წ. 1, XII, 7.

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“—დავით ერისთავის (1847—1890) ყველაზე პოპულარული დრამა. იგი შედგება 5 მოქ. და 7 სურათისაგან. ეს პიესა გადმოკეთებულია ფრანგი დრამატურგის ვიქტორიენ სარლუს (1831—1908) ამავე სახელწოდების ისტორიული დრამიდან.

„დ ა მ მ ა“ — ე. გუნიას (1862—1938) პიესა. მრავალჯერ დაიდგა ქართულ სცენაზე. 1891 წ. 27 აგვისტოს ამ პიესის შესახებ თავის დღიურში ე. გუნიას უწერია: „ვასრულებ ჩემს პიესას „და-ძმას“. ეგონებ ქართველებს მოეწონებათ. პიესაში არც ერთი ისეთი სიტყვა არ არის, რომლიდანაც უაზრო და ხშირად უადგილო „საქართველოს გაუმარჯოს“ ძახილზე იყოს აშენებული. ისტორიული პიესა „და-ძმა“ სამეგრელოს ცხოვრებიდან არის და ეხება XVII საუკუნეში მეგრელთა გამათავისუფლებელ ბრძოლას თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. პიესის სიუჟეტი კარგად ვითარდება, იგი საესეა ეფექტური სცენებით. პერსონაჟები მოარულ მანეკენებს კი არ ემსგავსებიან, არამედ სისხლსაესე აღამიანები არიან თავიანთი უარყოფითი და დიდებითი თვისებებით“ (ა. ბურთიკაშვილი, რაინდი უშიშარი და გულშართალი, 1965, გვ. 104).

ერთი საღამო აპაკისტან (გვ. 224)

ნ ა ბ ე ქ დ ი: კრებ. „აკაკის ღღე საქართველოში“, 1908 წ., № 1, XII, 7.

მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი (1836—1891) — სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა

გე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. მის კალამს ეკუთვნის პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მრავალი ლექსი და პოემა, რომელთაგან გან ზოგი ხალხმა სასიძღვროდ გაიხადა.

„ხ ა ნ ჯ ა ლ ს“ — ლექსი აკაკი წერეთლისა.

ა ლ ა ე რ დ ი — ამ სათურთ მამია ვურიელს აქვს ვრცელი ლექსი, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა (ხელნაწერი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში № 245, 132, 160 და სხვა). აქ შეიძლება იგულისხმებოდეს აკაკი წერეთლის პოპულარული ლექსი „ა ლ ლ ა - ვ ე რ დ ი“.

„ს ა მ შ ო ბ ლ ო ხ ე ე ს უ რ ი ს ა“ — რაფიელ ერისთავის ლექსია.

„ქ ა რ თ ვ ე ლ ი უ ც ხ ო ე თ შ ი“ — აკაკი წერეთლის ლექსი.

ცხოვრება სენაზე (გვ. 226)

ნ ა ბ ე კ დ ი: კრებ. „აკაკის დღე საქართველოში“, 1908 წ., № 2, XII, 25.

ი შ ხ ნ ე ლ ი — მსახიობი გიორგი ნიკოლოზის ძე არადელი (1882—1920), დაიბადა ქარელის რ. სოფ. არადეთში. ქართულ სცენაზე, სხვა როლებთან ერთად, წარმატებით ასრულებდა ლევან ხიმშიაშვილის როლს დ. ერისთავის „სამშობლოში“.

ქართული თეატრის მომავალი (გვ. 227)

ნ ა ბ ე კ დ ი: აღმანახი „თეატრი“, 1909 წ., № 7, 11, 22.

ხელის მოწერა: თანიმელო.

ი უ ე ი ნ ი — ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი (1857—1927). ცნობილი მსახიობი და დრამატურგი.

უმთხვევითი წერილი (გვ. 231)

ნ ა ბ ე კ დ ი: გაზ. „ივერია“, 1909 წ., № 39, IX, 28.

ზიგლიოგრაფია (გვ. 235)

ნ ა ბ ე კ დ ი: გაზ. „დროება“, 1909 წ., № 108, 120.

გ ი ო ტ ე — გოეთე იოჰან ვოლფჰანგ (1749—1832) დიდი გერმანელი პოეტი და მოაზროვნე.

გრიგოლ ვოლსკი (გვ. 241)

ნ ა ბ ე კ დ ი: გაზ. „დროება“, 1909 წ., № 221, I, 7.

გ რ ი გ ო ლ ვ ო ლ ს კ ი (უმწიფარიძე, 1860—1909) — ექიმი, პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ლექსების გარდა ბეჭდავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების პუბლიცისტურ წერილებს. თავისი ცხოვ-

19. ნ. ლორთქიფანიძე, ტ. IV

რების მომეტებული ნაწილი ვაატარა ბათუმში, სადაც ერთ დროს ქალაქის თავადაც იყო იარჩველი.



თეატრის საზოგადოების დასაწყისი (გვ. 242)

ნ ა ბ ე კ ე დ ი: გაზ. „იმერეთი“, 1912 წ., № 54, XI, 29.

„ვ ა ნ თ ა ე ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი მ ო ნ ე ბ ი“ — ბლუმენტალისა და მ. კაღელაშვილის 3 მოქმედებიანი კომედია. ქართულად თარგმნა რ. ფანცხავეამ.

* ა ზ ი ა ნ ი (1878—1943) — ნატალია მიხეილის ასული დანდურთა, დრამატურგი ქალი, წერდა აზიანის ფსევდონიმით.

* ა ნ ტ ო ნ ო ე ი ზ უ რ ა ბ (1820—1854) — მსახიობი და დრამატურგი. ცნობილია მისი კომედიები „ქმარი ზეთი ცოლისა“, „ქორწილი ზევსურთა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „ვანა ბიძიამ ცოლი შეირთო?“, ტრაგედია „ქოროლი“.

ე რ ი ს თ ა ე ე ბ ი — იგულისხმებიან დრამატურგები გიორგი და დავით ერისთავეები.

გ ო გ ო ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ე ა ს ი ლ ი ს ძ ე (1809—1852) — დიდი რუსი მწერალი. ნ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს ვოგოლის კლასიკური კომედია „რევიზორი“.

ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე (დაახ. 446—385 ძვ. წ.) — ათენელი, კომედიების მწერალი. ცნობილია მისი 11 კომედია, რომლებიც სხვადასხვა დროს იდგმებოდა.

* ა რ ა ბ ი ძ ე ვ ა ს ი ლ ო ქ რ ო პ ი რ ი ს ძ ე (1881—1951) — მსახიობი. მუშაობდა ქუთაისისა და სხვა ქართულ თეატრებში.

* ჩ ა რ კ ე ი ა ნ ი გ რ ი ვ ო ლ ს ი მ ო ნ ი ს ძ ე (1870—1933) — მსახიობი, 1900 წ. მუშაობდა ქუთაისის თეატრში.

* ა ნ დ რ ე ე ვ ი ლ ე ო ნ ი დ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე (1871—1919) — რუსი მწერალი და დრამატურგი. მისი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

* ი მ ე დ ა შ ე ი ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ძ ე (1882—1942) — მსახიობი და რეჟისორი, სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქუთაისის თეატრში. წერდა სხვადასხვა ხასიათის სტატიებს მსახიობის შემოქმედებასა და სასცენო ხელოვნებაზე. თარგმნა 15-მდე პიესა.

* ნ ხ ე ი ძ ე ნ ი ნ ო (ნ უ ც ა) პ ლ ა ტ ო ნ ი ს ა ს უ ლ ი (1881—1963) — ქართული სცენის ნიჭიერი და პოპულარული მსახიობი. წარმატებით ასრულებდა დრამატულ და ტრაგიკულ როლებს.

ვლადიმერ მიხეიშვილს (გვ. 247)

ნ ა ბ ე კ ე დ ი: გაზ. „კოლხიდა“, 1913 წ. № 5, III, 10.

* მ ე ს ხ ი შ ე ი ლ ი ვ ლ ა დ ი მ ე რ (ლ ა დ ო) ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს ძ ე (1857—1920) — ქართველი მსახიობი და რეჟისორი. დიდი ოსტატობით ასრულებდა ტრაგიკულ როლებს. ეხერხებოდა კომიკური როლების განსა-

ხიერებაც. სხვადასხვა წლებში მსახურობდა მსახიობად მოსკოვისა და თბილისის თეატრებში, ხანგრძლივად მოღვაწეობდა როგორც რეჟისორ-მსახიობი ქუთაისის თეატრში.

ლევან ხიმშიაშვილი — დ. ერისთავის „სამშობლოს“ პერსონაჟი.

ნაფი. გაიოზ ფაღვავა — ვ. გუნიას „და-ძმას“ პერსონაჟი.

გზაპირის წიგნაკი (გვ. 248)

ნაბეჭდი: ვაზ. „იმერეთი“, 1914 წ., № 51, V, 10.

ხელმოწერა: Argon.

ღვინის მსხვერპლნი (გვ. 250)

ნაბეჭდი: ვაზ. „სამშობლო“, 1917 წ., № 547, II, 11.

უსამართლობა (გვ. 252)

ნაბეჭდი: ვაზ. „სამშობლო“, 1917 წ., № 553, II, 19.

შოთა — შოთა რუსთაველი.

ვაღერიან გუნიან (გვ. 258)

ნაბეჭდი: ვაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., № 17, IV, 29. წერილი დაწერილია ვ. გუნიას იუბილესთან დაკავშირებით.

ოთარბეგი — „ლაღატის“ პერსონაჟია.

წინამორბედან მთაწმინდამდე (გვ. 254)

ნაბეჭდი: ვაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., № 113, VII, 27.

ხელისმოწერა: Ar.

წერილი დაწერილია ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან ათი წლისთავის აღსანიშნავად.

გოლგოთა — ბორცვი, მდებარეობს ქ. იერუსალიმთან. სახარების მიხედვით, გოლგოთაზე ჯვარს აცვეს მითიური ქრისტე.

გზაპირიან (გვ. 255)

ნაბეჭდი: ქურ. „ხელოვნება“, 1926 წ., № 23—24, I, 2.

მწერლის არქივში დაცულია ავტოგრაფი, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „ალ. ყაზბეგი სულ სამჯერ ენახე და ისე გამაყვირვა, რომ ბავშვობიდან მისი საქციელი აქამდის არ მაფიქვდებია...“ გვ. 10 სტრიქონის (გვ. 196) შემდეგ ქვემოთოყვანილი ტექსტის ნაცვლად წერია: „ეხლა კი როცა მოვიგონებ ალ. ყაზბეგს, თავის ცეკვით მივლს დრამატულ სურათს ხატავდა.“

ვაჟს დრო დაუღდა შეყვარებისა და სიყვარულისა; იგი დარბის წრეში

და ქორსავით ეძებს თავის სამიჯნურს; საზოგადო ტაშის ცემით წრე თუ
ქოს უწონებს ყოველ მოქმედებას; ეს ტაში ბერძნული ხორბოა, რომელიც
საზოგადოების აზრს გამოთქვამდა ხოლმე. ქალებიც ერთიმეორის უკან
იმალებოდნენ — ზოგს მართალია არ მოსწონს ვაჟი, ზოგს კი ვრიდება,
„უტყუბობა“ არ გამოიჩინოს. აი ამოიჩნია ერთი ქალი ვაჟმა; ქალს რცხვე-
ნია, ან უნდა „ნამუსი შეინახოს და კაცს კისერზე არ დაეკიდოს“ და ერთ-
ხანს უკან უკან იხვეს, მაგრამ დობილები გამოაგდებენ მას ძალად თავის
ადგილიდან; იწყება ცეკვა; ქალი გაურბის ვაჟს, რომელიც მისდევს და
სცდილობს ისეთს ადგილს მოიმწყვდიოს, საიდანაც გაქცევა აღარ შეიძლე-
ბა, მაგრამ ქალი მარბათ უსხლტება მას ხელიდან. ხან და ხან ქალს ვული
მოუღებება ამდენი არსიყობით და შეჩერდება, რომ თვალში შეხედოს ვაჟს,
მაგრამ ისევ გაქცევა ან იმიტომ რომ არ მოეწონება, ან იმიტომ რომ შე-
რცხვება; ხან და ხან ვაჟი შეატყობს თუ არა რომ ქალს მოეწონებარ, შე-
ჩერდება და უნდა აჩვენოს თავისი თავი... ასე მიდის მთელი ცეკვა, სანამ
ქალი არ გადაწყვეტს: თუ მოსწონს ვაჟი, ქალი თავს უკრავს მას; ვაჟი
ღრმად გადაუხდის მადლს, შემობრუნდება ერთ ფეხზე ძლიერ თავდახრა-
ლი თითქოს უნდა თავისი ბედნიერება თავდაბლათ ყველას შეატყობინოს
და მადლობა უთხრას; თუ ქალს არ მოსწონს ვაჟი, მაშინ იგი გარბის წრი-
დან და ისევ იმალება ამხანაგებთა შორის, ვაჟი კი ან დარცხვენილი გადის
წრიდან, ან ხელმეორეთ იწყებს ცეკვას თითქოს უნდა თქვას: „შენ თუ არ
გინდევარ, არაფერია, სხვას მოეწონებო“.

აი ასეთი მნიშვნელოვანია ჩვენი ლექური და მიტომაკაა რომ ყოველ
მოცეკვარს აქ შეუძლია თავისი არტისტული ნიჭი გამოიჩინოს. წარმოიდ-
გინეთ ვაჟი, რომელსაც სრულებით არ უყვარს ქალი, მაგრამ რაიმე ძალით
უნდა შეიყვაროს ეს თუ ის ქალი. რა ნაირათ იცეკვებს ის? ორივეს რომ
ერთმანერთი უყვარდეთ, სძულდეთ, ერთს უყვარდეს, მეორეს კი სძულ-
დეს — რანაირათ იცეკვებენ ისინი? კომბინაციები აქ უთვალავია“.

დავით მიქელაძე — მეველე (1844—1918), პუბლიცისტი, ჟურ-
ნალისტი. თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში“ და „ივერიაში“, რომლის
ფაქტურ რედაქტორად ითვლებოდა 90-იანი წლების დასაწყისში.

* სერგეი მესხი (1844—1893) — სამოცდაათიანი წლების პროვ-
რესული მიმართულების პუბლიცისტი და ჟურნალისტი.

* მესხი დავით სიმონის ძე (1860—1945) მწერალი და სა-
თეატრო მოღვაწე. ძმა ცნობილი მოღვაწეებისა სერგეი, ეფემია და ივანე
მესხებისა.

* მესხი ეფემია სიმონის ასული (1862—1941) — მსა-
ხიობი. 1885—1894 წ. მუშაობდა ქუთაისის თეატრში.

* გამრეკელი-თორელი, ნინო ალექსანდრეს ასული
(1882—1935) — რეჟისორი და მსახიობი. 1911 წ. მიწვეული იყო მსახიობად
და რეჟისორად ქუთაისის თეატრში.

* კოტე მესხი (1858—1914) — ცნობილი ქართველი მსახიობი,
მთარგმნელი და გადმომცემი მთელი რიგი პიესებისა.

წყალტუბო (გვ. 259)

ნაბეჭდი: „სალიტერატურო გაზეთი“, 1932 წ., № 18, VIII, 6.



15 ოპოზიციონერი (გვ. 262)

ნაბეჭდი: „სალიტერატურო გაზეთი“, 1932 წ., № 24, XI, 15.

მისალმება (გვ. 263)

ხელნაწერი: ავტოგრაფი, დაცულია მწერლის ოჯახში (B).

სათაური: — B.

ხელმოწერა: ნილომ გადახაზულია B-ში და მის ნაცვლად დაწერილია: ნ. ლ-ძემ.

წერილი დაწერილია ეურნ. „ნიანკის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით.

ოცნება და სინამდვილე (გვ. 266)

ნაბეჭდი: გაზ. „კომუნისტი“ 1936 წ., № 45, II, 24.

* აბაშიძე ვასო (ვასილ) ალექსის ძე (1854—1926) — ნიკორი მსახიობი და რეჟისორი. დაწერა, გადმოაკეთა და თარგმნა 37-ზე მეტი პიესა. იყო პირველი ქართული სათეატრო ეურნალის რედაქტორ-გამომცემელი.

* პეტრიაშვილი ვ. მ. (1845—1908) — ქართველი მეცნიერი ქიმიკოსი.

მელიქიშვილი პეტრე (1850—1927) — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

მარი ნიკო (1864—1934) — ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი.

ჩარვალი — სოფელი დუშეთის რაიონში. ამ სოფელში დაიბადა და ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა.

შით არაგვისპირელი — დედაბრძვილი (1867—1926) — ცნობილი ქართველი მწერალი.

რა თვალუწვდენი უსახლავლობანი გვეშლება წინ (გვ. 269)

ამ წერილის მეორე ნაწილი დაბეჭდილია გაზ. „მეშაში“, 1936 წ., № 46, II, 25. წერილი მანქანაზე გადაბეჭდილი, ავტორის მიერ ჩასწორებული და ხელმოწერილი დაცულია მწერლის ოჯახში. სათაური არ აქვს. ებეჭდებოდა გაზეთში გამოქვეყნებული სათაურის მიხედვით.

* ნატო გაბუნია — ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა (1859—1910) — ცნობილი მსახიობი ქალი.

მწვერვალისაკენ (გვ. 272)

ნაბეჭდი: ამონაჭერი გაზეთიდან, 1941 წ., I, 1. დაცულია მწერლის ოჯახში.

ას გავგაზი არ უოფილა (გვ. 277)

ხელნაწერი: პირველნაბეჭდი, ავტორის მიერ ჩასწორებული (A).

ნაბეჭდი: ეურნ. „ნიშადური“, 1908 წ., № 23, გვ. 16 (B).

სათაურის ქვემოთ: („მულტატულიდან“) B.

მულტატული — ფსევდონიმი ცნობილი პოლანდიელი პროგრესული მწერლის — ედუარდ დაუეს დეკარისა.



თუთიყუზის აღგაბაბა (გვ. 277)

ხელნაწერი: პირველნაბეჭდიდან გადმობეჭდილი ავტორის მიერ ჩასწორებული.

ნაბეჭდი: „საქართველო“, ყოველკვირეული სალიტერატურო მხატვრული ჟურნალი, 1908.

ყაზიმირ ტეტმაიერი, პოლონელი პოეტი და პროზაიკოსი.

ტრიუმფი (გვ. 278)

ნაბეჭდი: „საქართველო“, ყოველკვირეული სალიტერატურო მხატვრული ჟურნალი, 1908, № 11, გვ. 6.

ცის მდინარე (გვ. 278)

ხელნაწერი: პირველნაბეჭდი, ჩასწორებული ავტორის მიერ (A).

ნაბეჭდი: ჟურნ. „ნიშადური“. 1908 წ., № 45, გვ. 11 (B).

სათაური: ყურეული თქმულება. სათაურის ქვემოთ: (თარგმანი) B.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პიესები

ქეთო	6
შეუთანხმებელნი	54
დაუმთავრებელი თხზულებები	
დავით აღმაშენებელი	147
აბრაგი	179
უწყურეთის არისტოკრატია	210
პუბლიცისტური წერილები	
მგოსანი მხოლოდ ერთის მისწრაფების	221
„სამშობლო“	223
ერთი საღამო აკაკისთან	224
ცხოვრება სცენაზე	226
ჭართული თეატრის მომავალი	227
შემთხვევითი წერილი	231
ბიბლიოგრაფია	235
გრიგოლ ვოლსკი	241
თეატრის სეზონის დასაწყისი	242
ვლადიმერ მესხიშვილს	247
მგზავრის წიგნაკი	248
ლენინის მსხვერპლნი	250
უსამართლობა	252
ვალერიან გუნია	253
წიწამურიდან მთაწმინდამდე	254
ბუხართან	255
წყალტუბო	259
15 ოქტომბერი	262
მისალმება	263
ოცნება და სინამდვილე	266
რა თვალუწვდენი შესაძლებლობანი გვეშლება წინ	269
მწვერვალებისაკენ	272
დამატება	
ეს გეგმაში არ ყოფილა	277
თუთიყუშის აღმატება	277
ტრიუმფი	278
ციხე მდინარე	278
შ ე ნ ი მ ვ ე ნ ბ ი	281

Нико Мерабович Лордкипанидзе

Собрание сочинений в 4-х томах

Том IV

(На грузинском языке)

Издательство «Сабхота Сакартвелო»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1981

გამომცემლობის რედაქტორი ზ. კილაძე

მხატვარი ლ. გრიგოლია

მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა

ტექნიკური რედაქტორი ნ. მანიყაშვილი

კორექტორი ნ. კირთაძე

გამომშვები მ. წიგწივაძე

გადაეცა წარმოებას 15/V-78 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 20/IX-80 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1, 84×108¹/₂.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,54. სააღრ.-საგამომც. თა-
ბახი 13,22. უე 06151.

ტირაჟი 3.000 შეკვ. № 1698

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბი-
ლისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის
გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе.
Государственного комитета Грузинской ССР по
делам издательств, полиграфии и книжной тор-
говли, пр. Дружбы № 7.

